მცხეთა

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

ტომი IV

ალექსანდრე კალანდაძე

სამთავრო. ფინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

„მეცნიერება"
თბილისი
1980

~~902.6 (С-4)~~
902.6 (47.922)
~~З-977~~

„მ ცხ ე თ ა“ სერიის IV ტომში ქვეყნდება სამთავროს ცნობილი სამაროვნის უძველესი ფენის სამარხეული კომპლექსები. ამ მასალას ეტალონური მნიშვნელობა აქვს კავკასიის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისათვის. მაშასადამე, წიგნში გამოქვეყნებული არქეოლოგიური ძეგლების, ვითარცა უმნიშვნელოვანესი საისტორიო წყაროების, მეცნიერული ღირებულება განუზომელია. სამარხეული კომპლექსები აქ განხილულია კავკასიის სინქრონული ძეგლების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მაგრამ იმავ დროს ავტორის გამოკვლევა დიდ ინტერესს იწვევს მასალის კლასიფიკაციისა და პერიოდიზაციის ორიგინალური სქემით.

სამთავროს სამაროვნის უძველესი ფენა ფრიად მრავალ ძეგლს შეიცავს და, ბუნებრივია, მთლიანად წინამდებარე წიგნში ვერ აისახება. მკითხველი ახლა გაეცნობა არქეოლოგიურ კომპლექსებს, რომლებსაც ავტორი — ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი—ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (სანდრო) კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე მიაკუთვნებდა შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს (გვიანბრინჯაო I და გვიანბრინჯაო II) ხანებს.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული. იგი გამიზნულია სპეციალისტ-არქეოლოგთათვის და ძველი თუ უძველესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულთათვის.

რედაქტორი—ა ნ დ რ ი ა ა ფ ა ქ ი ძ ე
Редактор — Андриа Апакидзе
Editor — Andria Apakidze

К $\frac{10602}{М\ 607\ (06)-80}$ 251—80 © გამომცემლობა

წინასიტყვაობა

„მ ც ხ ე თ ა“ სერიის IV წიგნში იბეჭდება საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები, რომელთა გამომზეურება დაკავშირებულია ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ცნობილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის პროფესორ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნ ე ს ტ ო რ ი ს ძ ე კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს სახელთან. ეს მასალა, როგორც ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, შუა-და გვიანბრინჯაოს ხანისაა და მოიცავს ძვ. წ. XVII—VI სს. სამარხეულ კომპლექსებს.

სამთავროს სამაროვანის უძველესი ფენის სამარხეული მასალა დიდი ხანია შესულია მეცნიერულ მიმოქცევაში, მაგრამ სრული სახით იგი დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ეს, რა თქმა უნდა, ართულებდა ამ ეტალონური მნიშვნელობის არქეოლოგიური მასალის მთელი ღირებულების შესახებ სრული წარმოდგენის შემუშავებას და, რაც მთავარია, მის შეუფერხებელ გამოყენებას კავკასიის სინქრონული სამაროვნების კვლევისას.

წლების მანძილზე ავტორს გამოწვლილვით უკვლევია ეს ზღვა მასალა, გულდასმით უძებნია პარალელური ძეგლები და შეუქმნია მათი პერიოდიზაციის ორიგინალური სქემა, რომლის მიხედვითაც გამოსაქვეყნებლად დაულაგებია სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

ავტორს განზრახული ჰქონდა მთელი ეს მასალა ერთ წიგნად გამოექვეყნებინა „მ ც ხ ე თ ა“ სერიაში. რა თქმა უნდა, ავტორისეული გეგმა საკუთრებით მართებული იყო და მისი განხორციელებით დიდად გაადვილდებოდა მრავალრიცხოვანი მასალით სარგებლობა, მაგრამ ალექსანდრე კალანდაძის გარდაცვალებამ შეაფერხა ეს დიდი მეცნიერული საქმე, შეიცვალა შესაძლებლობები და „მ ც ხ ე თ ა“ სერიის შესაბამისი ტომის მოცულობა მხოლოდ 15 თაბახით განისაზღვრა. ასეთ ვითარებაში საჭირო შეიქმნა გამოსაქვეყნებელი მასალის გაყოფა. წინამდებარე წიგნში შევიდა სამთავროს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხეული ძეგლები, სახელდობრ: შ უ ა ბ რ ი ნ ჯ ა ო II, III და გვიანბრინჯაოს ხანის მასალები: გ ვ ი ა ნ ბ რ ი ნ ჯ ა ო I და გვიანბრინჯაო II. ავტორისეული გვიანბრინჯაო III, რა თქმა უნდა, ამავე წიგნში უნდა შესულიყო, მაგრამ, როგორც ითქვა, იძულებით გადავიტანეთ მომდევნო

ტომებში სერიისა „მცხეთა“, რომლის გამოქვეყნება საქართველოს არქეოლოგიურმა კომისიამ 1981 და 1982 წლებისათვის დაგეგმა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნამდვილად ერთიანი მასალის დასანანი დაწაწილება მოხდა, დაინტერესებული სპეციალისტები კმაყოფილებით შეხვდებიან სამთავროს წინაანტიკური ხანის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების გამოცემის დასაწყისს.

სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების გამოცემა ქართულ ენაზე მოსამზადებელი საფეხურიც უნდა გახდეს მომავალი რუსული გამოცემისათვის, რასაც, როგორც ცნობილია, დიდი ხანია მოელიან ჩვენი დიდი სამშობლოს არქეოლოგები; მოელიან, ბუნებრივია, რადგან სამთავროს სამარხეული კომპლექსები ნამდვილად ეტალონური მნიშვნელობისაა კავკასიის არქეოლოგიისათვის, ბრინჯაო-რკინის ხანის კავკასიური ცივილიზაციისათვის, რომელიც, რა თქმა უნდა, ეთნიკური კულტურების, მიკროცივილიზაციებისა და მათი სისტემური კონტაქტების გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ.

წინამდებარე წიგნის სასტამბოდ მომზადების ფრიად ძნელი სამუშაო შეასრულეს განსვენებული მეცნიერის თანამშრომლებმა, კოლეგებმა და მოწაფეებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ზურაბ ალექსანდრეს ძე კალანდაძის, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლების: თ. ჭანიშვილის, მ. კაკაჭიშვილის, თ. სურგულაძის, თ. ბიბილურის, გ. გიუნაშვილის, მ. ძნელაძის, ე. ელიავას, ლ. ფავლენიშვილის და ნ. ამბრიაშვილის წვლილი წიგნის ტექსტისა და საილუსტრაციო მასალების შერჩევა-მომზადებისა თუ შესაფერისად გაფორმების საქმეში. პროფ. ალექსანდრე კალანდაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას და, პირველ ყოვლისა, სამთავროს გათხრისას აღმოჩენილ უმდიდრეს არქეოლოგიურ ძეგლებს დიდი გულისყურით უვლის და იცავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების სწავლული მცველი, განსვენებული მეცნიერის უახლოესი თანამშრომელი ლ ე ლ ი მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, რომლის წვლილი ამ წიგნის შექმნაში ფრიად თვალსაჩინოა.

სამთავროს სამარხეული კომპლექსები ქვეყნდება ავტორის ხელნაწერის მიხედვით, ე. ი. ისე, როგორც დატოვა ის აწ განსვენებულმა მეცნიერმა. ამის გამო, მასალის ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლები, აგრეთვე, ტერმინოლოგიური მხარეც, შეიძლება, საჭიროებდეს ამ ნაშრომის შექმნის შემდეგ გამოქვეყნებული ლიტერატურის ასახვას და შესაბამისად დახვეწას, შევსებას, შესწორებასაც კი.

რედაქციამ მიზანშეწონილად სცნო არ შეეტანა ცვლილებები განსვენებული ავტორის ნაშრომში, რომელიც არსებითად არქეოლოგიური წყაროების პუბლიკაციას წარმოადგენს და დაინტერესებულ მკვლევარს შესაძლებლობას მისცემს შემდეგი კვლევისათვის ამ სახითაც.

საკატალოგო ნაწილში მითითებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საფონდო შიფრი: 12—54, რომელიც სამთავროს მონაპოვარს მიეკუთვნა. იშვიათად, ავტორი მასალის საველე ნომერსაც მიუთითებს.

წიგნში ქვეყნდება ნახაზ-ნახატები, შესრულებული კლ. კვეესის, ვ. კანდელაკის, ა. ამბრიაშვილის, ნ. თოფურიძისა და ე. კონიაშვილის მიერ. ფოტო-საილუსტრაციო ნაწილი მოამზადა ვ. ასტახოვმა.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელობამ და წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების კოლექტივმა ყველა პირობა შექმნეს იმისათვის, რომ მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლებს მოემზადებინათ გამოსაცემად პროფ. ა. კალანდაძის ხელნაწერიცა და საამისოდ აუცილებელი ილუსტრაციაც.

ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა აწ განსვენებული მეცნიერის წინამდებარე ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მომზადებაში, რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს.

ანდრია აფაქიძე

1979. 10. I.
ქ. მცხეთა.

მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები
(უძველესი დროიდან ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე)

მცხეთა... „სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდი ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების“.

(ილია ჭავჭავაძე, „აჩრდილი“)

ნაშრომში განხილული მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომელმაც არსებითად შეავსო ჩვენი ეროვნული საგანძურის — საქართველოს მუზეუმის— ოქროს ფონდი, წარმოადგენს მცხეთის ქალაქობამდელი მოსახლეობის მიერ ნაანდერძევ კულტურულ მემკვიდრეობას. მიწა-წყალს, სადაც განფენილი იყო ეს მოსახლეობა, ჩვენ ერთგვარი პირობებით „დიდი მცხეთა“ ვუწოდეთ [1, გვ. 3]. გავიხსენოთ, რომ ეს არის ტერიტორია, შემოფარგლული აღმოსავლეთით — ავჭალის სანახებით, დასავლეთით — ძეგვის მიდამოებით, ჩრდილოეთით — წილკან-მუხრანის ველით, ხოლო სამხრეთით — კარსან-არმაზ-სანგრის ხევთა სათავეებით.

აღნიშნულ გეოკულტურული გარემოს ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კულტურა, რომელიც წინამდებარე ნაშრომის მთავარ საკვლევ საგანს შეადგენს, სრულიადაც არა ჩანს მოწყვეტილი იმ ერთიან კულტურულ-შემოქმედებით პროცესს, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მეტალურგიული წარმოების გარიჟრაჟზე მიმდინარეობდა. ამის დამადასტურებელია ადრეული და შუაბრინჯაოს ხანის ის მასალები, რომლებიც ჩვენს მიერ ზემოთ შემოფარგლულ მიწა-წყალზე იყო თავის დროზე აღმოჩენილი. ეს მასალები შემდეგია:

1. ხარის რქის მოყვანილობის მქონე თიხის საკურთხევლები, რომლებიც, შესაძლებელია, ენეოლითსაც ეკუთვნოდნენ, სპილენძის ცული და შუბისპირი — ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის ტერიტორიაზე 10 მ სიღრმეზე აღმოჩენილი.

2. სპილენძის თუ ბრინჯაოს შუბისპირი, რომელიც მოპოვებული

იყო 1947 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის მიერ ბაგინეთის მთის ფერდობის ერთ-ერთ ტერასზე, არმაზციხის კულტურული ფენების თხრისას.

3. შავი საღებავით მოხატული წითელკეეციანი თიხის ჭურჭელი, რომელიც 1940 წ. აღმოჩნდა ნარეკვავთან, წილკნის ველზე, ქართლ-იმერეთის გზატკეცილის გაფართოებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს.

4. საკუთრივ სამთავროს სამაროვანზე 1940 წელს მ. ივაშჩენკოს მიერ გათხრილი ყორღანული სამარხის ინვენტარი, პირველ რიგში კი ბრინჯაოს გრძელი, რაპირისებრი საძგერებელ-საგმირავი მახვილი და სპილენძის მოკლე, უყნწიანი, უქედო სატევარი (საქართველოს მუზეუმი — № 12—54:11716). აქვეა შუაბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლეულიც.

ზემოთ ჩამოთვლილი მასალებიდან ზაჰესის მახლობლად შემთხვევით მოპოვებული იარაღები (განსაკუთრებით მარტივი ფორმა-მოყვანილობის სპილენძის ცული) ყველა დანარჩენ მასალაზე უადრესია და მათი ხნოვანება თითქოს ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით უნდა განისაზღვრებოდეს. ამასთანავე, ამ იარაღთა ტიპოლოგიური რაგვარობა და ტექნოლოგიური ბუნება იმდენად საერთო და ზოგადპრიმიტიულია აფროევრაზიის უძველესი კულტურული სამყაროსათვის, რომ, ჩვენი აზრით, არავითარი საფუძველი არ არსებობს მათი უეჭველად ერთი კულტურული ცენტრიდან გამოსაყვანად. ამდენად, ჩვენ არ მიგვაჩნია უცილობელ ჭეშმარიტებად ზოგიერთი არქეოლოგის (მაგ., ბ. კუფტინის) მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ზაჰესის მასალები პირდაპირ დამოკიდებულებაში იყოს ირანისა და სამხრეთი შუამდინარეთის სპილენძ-ბრინჯაოს იმ იარაღთა ტიპებთან, რომლებიც აქ ჯერ კიდევ სუმერულ ეპოქაში წარმოიქმნენ [13].

ბაგინეთში აღმოჩენილი შუბისპირი რამდენადმე უფრო განვითარებული ტიპისაა, თუმცა მასაც ტარში ჩასამაგრებელი ყუნწი, ზაჰესის შუბისპირის მსგავსად, მოკაული აქვს, მაგრამ ფრთები უფრო ფართო და დაშვებულია, რაც კარგად შეესატყვისება შუაბრინჯაოს ხანის მსგავს იარაღთა განვითარების კანონზომიერებას. აღსანიშნავია, რომ თუმცა ეს შუბისპირი ბაგინეთარმაზისციხისათვის თავისი დროის ერთადერთი ძეგლია, მაგრამ იგი არ არის გამოთიშული ამ მიდამოების პალეომეტალური კულტურის ძეგლთა საერთო ჯაჭვიდან, ვინაიდან იგი უშუალოდ მოსდევს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ზაჰესის კომპლექსს, ხოლო, თავის მხრივ, წინ უსწრებს იქვე (მახლობელ კარსანში) აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის ნაცრისფერკეეციან და რუბპრიალაზედაპირიან თიხის ჭურჭელს [1, ტაბ. CXIX, სურ. 7—9], რომელიც ლითონის იარაღთაგან მოკლე, ფოთლისებური სატევრისპირისა და უკვე მასრაგახსნილი შუბისპირის თანადროულია.

ნარეკვავში მოპოვებული ფრიად საინტერესო კომპლექსი თიხის ჭურჭლისა (რომლისგან ახლა მხოლოდ ერთი მუცელგანიერი დაბალი ქილაა შემონახული, ხოლო ორიოდე ჯამი და იქნებ სხვა რამდენიმე ჭურჭელიც დაკარგულია) საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ თრიალეთის ზეგანი არ იყო უძველესი ქართული კულტურის ერთადერთი საწყაო, არამედ ამ ზეგანზე შექმნილ კულტურას თვით უდიდესი აღზევების ხანაშიაც კი მოეპოვებოდა თავისი ორეული საქართველოს სხვა კუთხეში (კერძოდ, მცხეთასა და მის მიდამოებში), ოღონდ ესაა, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არის მთელი სისრულით მზის სინათლეზე გამოტანილი.

მცხეთის რაიონული მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცული ნარეკვავული ჭურჭელი წარმოადგენს მომცრო, დაბალ, უყურო ქილას, კარგად გაცრილი ნაზელი თიხისგან ნაკეთებსა და წითლად გამომწვარს. მას მთელ ზედაპირზე წერნაქი აქვს გადავლებული, რომელიც ამჟამად ერთიანად წითელი საღებავის ქვეშ არის დაფარული. ჭურჭელს მხრებიდან მუცლისაკენ ჩასდევს მოკლე, ტალღისებრი ხაზებით შევსებული ხუთი შევრონი, წვერით ქვემოთ დაშვებული. შევრონთა შორის სათითაოდ დატანილია სვასტიკის გამომხატველი ხუთი ფიგურა. მთელი სურათი შესრულებულია შავი საღებავით, რომელიც ჭურჭლის მხიარულ, წითლად მოლაპლაპე ფონზე სასიამოვნო ელფეროვნებას იძენს. სამწუხაროდ, არაფერი შეგვიძლია ვთქვათ ნარეკვავისავე აწ უკვე დაკარგულ ჭურჭელთა შესახებ, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელიც წითლად შეღებილი და მათ შორის ორიოდ ცალი შავად მოხატული ყოფილა. ასევე არაფერი ვიცით ამ ჭურჭლეული თანმხლები ინვენტარის შესახებ. მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი წითელ ფონზე შავადმოხატული ჭურჭლეულის აღმოჩენისა ფრიად სიმპტომატურია და სტიმულს აძლევს მცხეთისა და შიდაქართლის სიძველეთა მკვლევართ გაამახვილონ თავიანთი მეცნიერული ინტერესი აღნიშნულ ადგილებში ადრეული და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების გამოვლინება-შესწავლისადმი.

ნარეკვავის ჭურჭლის ანალოგიები ბლომადაა მოპოვებული თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხებში, კერძოდ, V, VII, XV, XVII გორასამარხებში, აღმოჩენილი წითელკეციანი და შავადმოხატული ჭურჭლები და მათი ფრაგმენტები თითქმის სრულ იდენტურობას ამჟღავნებს ნარეკვავის ჭურჭელთან [13, ტაბ. LXXVI, LXXVIII, LXXX, LXXXIII]. განსაკუთრებით ახლოსაა ამ უკანასკნელთან (მოხატულობის მხრივ) სამარხი ორმის მქონე ერთ-ერთ გორასამარხში (VII) აღმოჩენილი ორი დიდი ჭურჭელი [13. ტაბ. XXXI, LXXXII]. თუ აქედან გამოვალთ, მაშინ საფიქრებელი უნდა იყოს, რომ იმდროინდელი მცხეთის მოსახლეობის კულტურული დონე, რომელიც ამ შემთხვევაში მეთუნეობა-მეკეცეობის მაღალ განვითარებასა და მხატვრულ-დეკორაციული ხელოვნების დაწინაურებაში მჟღავნდება, არათუ არ ჩამოუ-

ვარდებოდა, არამედ ღირსეულად ეთანატოლებოდა კიდეც მეზობელი კულტურული კერების განვითარების დონეს.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის წითლად შეღებილი კერამიკული ჭურჭლის ხნოვანების, ისევე, როგორც მისი წარმოშობის, შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ცნობილმა პოლონელმა ხელოვნებისმცოდნემ და არქეოლოგმა სტ. პშევორსკიმ საგანგებო ნაშრომში, რომელიც მან შუა რუსეთის ფატიანოვის კულტურაზე წინააზიურ კულტურათა გავლენის საკითხს მიუძღვნა [22, გვ. 24—60], ამიერკავკასიის, კერძოდ ყ ი ზ ი ლ ვ ა ნ ქ ი ს კერამიკა, სტილისტურ თავისებურებათა მიხედვით ორ ჯგუფად გაყო: ყიზილ-ვანქი I და ყიზილ-ვანქი II, რომელთაგან პირველი ა ნ ა უ ს ბორცვის ქვედა ფენისა და ე ლ ა მ ი ს უძველესი პერიოდის დასასრულის კერამიკულ ნიმუშებს შეუდარა და ამგვარად იგი ენეოლითით — ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისით — დაათარიღა, ხოლო მეორე ჯგუფი (ყიზილ-ვანქი II) ამავე ათასწლეულის გასულს (ძვ. წ. 2200 წ.) მიაკუთვნა. მაგრამ ცნობილია, რომ სტ. პშევორსკი თავის დასკვნაში უპირატესად ეყრდნობოდა წინა აზიისა და კავკასიის კერამიკული ნიმუშების გარეგნულ მსგავსებასა [17, გვ. 48—49] და ჭურჭლის მოხატულობაში შემჩნეულ ზოგიერთ სტილისტურ შეხვედრას. რაც შეეხება თანმხლებ ინვენტარს, რომლის გარემოცვაში იყო მოპოვებული, კერძოდ, II სტილის ყიზილ-ვანქური კერამიკა, ამ მკვლევარის ნაშრომში უყურადღებოდ რჩებოდა და საბოლოოდ აღნიშნული რაიონების კერამიკული ნიმუშების ფორმალური მსგავსება უპირობოდ გენეტური, ნათესაობრივი ურთიერთობის ნიადაგზე ისაზღვრებოდა. მაშასადამე, სტ. პშევორსკისა და ზოგიერთი სხვა არქეოლოგის ნაშრომებში ამ ტიპის ამიერკავკასიური კერამიკის გამოყვანა ელამური გარემოდან აუცილებელი ხდებოდა.

1936—1940 წწ. თრიალეთში აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე გორასამარხების კულტურის ძეგლების შესწავლისას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის წითელპრიალა და შავად მოხატულ კერამიკას შეეხო ბ. კუფტინიც. იგი მას (კერძოდ, ჩარკოვსკის მიერ 1896 წ. მდ. ზანგის პირას, ყოფ. სოფ. თაზაკენთან — ახლანდელ ყიზილ-ყალასთან, აღმოჩენილ კერამიკას) თვლის წინა აზიის მოხატული კერამიკის სრულიად თავისებურ ფაციესად, რომელიც სამხრეთ მესოპოტამიურ და დასავლურ* მიმდინარეობათა შეხების სფეროში განვითარდა [13. გვ. 7]. ამავე დროს თაზაკენდური ერთფეროვანი (წითელ ფონზე შავად მოხატული) კერამიკა ავტორს ყიზილ-ვანქის I სტილის ბიჭრომულ კერამიკაზე აშკარად უხნესად მიაჩნია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბ. კუფტინმა ერთგვარი სინათლე შეიტანა ამიერკავკასიის მოხატული კერამიკის სტრატიგრაფიის დადგენის საკითხში. მაგ., 1926 წ.

* ავტორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს მცირეაზიული მიმდინარეობანი.

ყიზილ-ვანქის ცნობილი სამაროვნის მიდამოებში ი. მეშჩანინოვისა და ა. მილერის მიერ ჩატარებული თხრის შედეგად მოპოვებულმა მასალებმა საშუალება მისცა მას ყიზილ-ვანქის მოხატული კერამიკის მანამდე არსებულ დაყოფაში (ყიზილ-ვანქი I და II) ჩაერთო ყიზილ-ვანქი I bis სტილის კერამიკა, რომელიც თუმცა, აგრეთვე, ორფეროვანია, მაგრამ სამაგიეროდ ხასიათდება მოხატულობის გრაფიკული სიმშრალით და ჭურჭლის მქისე, მოუპრიალებელ ზედაპირზე უნდილად დადებული მქრქალი ფერებით.

საბოლოოდ ამიერკავკასიის წითელკეციანი მოხატული კერამიკის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური დაყოფა ბ. კუფტინთან შემდეგნაირად გამოიყურება:

I. თ ა ზ ა კ ე ნ დ ი (ჩარკოვსკის კოლექცია). კერამიკის წითელ ფონზე შავად მოხატულ სახეებში სჭარბობს ორმაგი ჩუგლუგები და ხვიების არშია; განეკუთვნება დროს არაუგვიანეს ადრეული ბრინჯაოს (ძვ. წ. მესამე ათასწლეულის II ნახევრისა).

II. ყ ი ზ ი ლ-ვ ა ნ ქ ი I (ფედოროვის კოლექცია) ხასიათდება ორფეროვანი მოხატულობით, რომელშიაც სჭარბობს მეტოპიურად განლაგებული ზოომორფული ფიგურები. დრო — შუაბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. XVII—XVI სს.).

III. ყ ი ზ ი ლ-ვ ა ნ ქ ი I bis (მეშჩანინოვის მონაპოვარი) — ისევ ორფეროვნად, მაგრამ გაცილებით დაუდევრად მოხატული და ნაკეთები კერამიკაა (პატარა სურები, „ჩაიდნები" და სხვ.). გვიანი ბრინჯაოს ხანა (დაახლ. ძვ. წ. XII—X სს.).

IV. ყ ი ზ ი ლ-ვ ა ნ ქ ი II (ა. მილერის მონაპოვარი) — ჭურჭლის ქვედა ტანის ხაოიან ღია ფონზე ლენტური სახეებით წითლად მოხატული კერამიკა; მიეკუთვნება „ვანის ექსპანსიის ხანას" (ძვ. წ. IX—VI სს.).

V. მ ი ლ ი ს ტ ე პ ი ს (ყალა-თეფეს) ქვევრსამარხების კერამიკა. აქაური ფართოყელიანი ორყურა ჭურჭლები შემკულია მცენარეული და გეომეტრიული სახეებით, რომლებიც წითელ-ოქროსფერი ან წაბლისფერი საღებავით არის გამოყვანილი. დრო — ელინისტური ხანა (ძვ. წ. III—I სს.).

ამიერკავკასიის მოხატულ კერამიკას საგრძნობლად „აახალგაზრდავებს" აკად. ბ. პიოტროვსკი. იგი არ თვლის შესაძლებლად, ეს კერამიკა (კერძოდ, ყიზილ-ვანქი I და II) შეუპირისპირდეს ელამური (სუზა I და II სტილის) კერამიკის ნიმუშებს და პირველთა დათარიღებისას გამოდის: ა) მუხანათ-თეფეს გათხრის დროს დადგენილი სტრატიგრაფიიდან და ბ) ყიზილ-ვანქური კერამიკული ნაწარმის მსგავსებიდან ჩრდილოეთ ირანის შესატყვისს ძეგლებთან, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდებიან. ამ ორი გარემოებიდან თითქოს არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სტრატიგრაფიულ მომენტს. მართლაც პროფ. ბ. პიოტროვსკის მოწმობით, ერევნის რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე ციხესიმაგრის მ უ ხ ა ნ ა თ-თ ე ფ ე ს გათხ-

რის დროს (1935 წ.) შემჩნეულ იქნა, რომ წითელკეციანი მოხატული კერამიკისა და ელამის ტიპის შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტების შემცველ ფენას ძირს ეგო ქვა-სპილენძის საუკუნის ფენა, ხოლო ზემოდან ურარტული პერიოდის ფენა ეფარა [17. გვ. 44].

ამგვარად, დაასკვნის ავტორი, მუხანათ-თეფეს სტრატიგრაფიული მონაცემები მოწმობენ, რომ შავად მოხატული წითელი კერამიკული ნაწარმით დახასიათებული კულტურა მოსდევს ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრის ენეოლითურ კულტურას, ხოლო, თავის მხრივ, წინ უსწრებს ურარტულ პერიოდსო*. ბ. პიოტროვსკის მიერ მუხანათ-თეფეს მიხედვით წარმოდგენილი სურათი კულტურის საფეხურების მონაცვლეობისა, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ამდენადვე სწორი და ადვილი შესამჩნევია, რომ აქ ავტორი ძალიან „აახალგაზრდავებს" ამიერკავკასიის ენეოლითს, რის გამოც, ხსენებული რაიონის მთელი ადრეული წითელი და ღიაფონიანი კერამიკა ერთობ გაახალგაზრდავებული და ძვ. წ. მეორე ათასწლეულის II ნახევრის ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩაჭედილი ჩანს. უკანასკნელი ხანების დაკვირვებათა მიხედვით, ამიერკავკასიის მიწა-წყალზე ენეოლითური კულტურა, თუ უფრო ადრეული ხანისათვის არა, მესამე ათასწლეულის შუა საუკუნეებისათვის მაინც უკვე განვლილი ეტაპია და მით უფრო შეუსაბამობა და პერსპექტივის დარღვევა იქნებოდა, იგივე კულტურული ვითარება გვევარაუდნა მეორე ათასწლეულის I ნახევრისთვისაც, როდესაც ბრინჯაოს მეტალურგია თავისი განვითარების გზაზე უკვე საკმაოდ შორს იყო წასული.

ამიერკავკასიის მოხატული კერამიკის შესახებ ზემოთ მოტანილი მსჯელობა, ჩვენი აზრით, პირველყოვლისა, მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რამდენად გამოურკვეველია ჯერჯერობით ეს საკითხი და რაოდენ ერთიმეორის საწინააღმდეგო, ერთიმეორის გამომრიცხველი შეხედულება არსებობს ჩვენი მხარის ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის ერთი ყველაზე მეტად საინტერესო და მაღალი კულტურული დონის მქერმეტყველი მოწმის, თავისი დროის ხელოვნების ჩინებული ნაწარმოების — მოხატული კერამიკის გარშემო; კერამიკისა, რომელმაც ჩვენ წინაპართა კოსმოგონიურ წარმოდგენათაგან ბევრი რამ გაგვაცნო, მაგრამ მისი გამოჩენიდან დღემდე, სამოც წელზე მეტი ხნის ხანდაზმულობისადა მიუხედავად, ჩვენთვის საბოლოოდ ამოცნობილი მაინც არ არის.

როგორადაც არ უნდა იყოს, ერთი კანონზომიერება მაინც შეიმჩნევა ჩვენი ფერადი კერამიკის განვითარებაში. ეს ის არის, რომ თიხის ნაწარმის წითლად შეღებვა-მოპრიალება და ამ წითელ ფონზე გამოსახულებათა შავი

---

* იქვე, ცოტა ქვემოთ, ავტორი ასკვნის, რომ ყიზილ-ვანქის I და II სტილის კერამიკის შემცველი სამაროვნის ყველაზე უფრო შესაძლებელ თარიღად ძვ. წ. მეორე ათასწლეულის II ნახევარი (XIV—XI სს.) მიჩანიაო (17. გვ. 50).

საღებავით დატანა უფრო ადრე ყოფილა გავრცელებული, მაშინ როდესაც ჭურჭლის კრემის ან ღია ვარდისფრად ანგობირებული ზედაპირის მრავალფეროვანი (შავი, წაბლისფერი, ლეგა, წითელი და სხვ.) საღებავით მოხატვა შემდგომ, გვიან მოვლენას წარმოადგენს. ეს ქრონოლოგიური კანონზომიერება კარგად იქნა გამოკვლეული ყიზილ-ვანქისა და თრიალეთის კერამიკულ კომპლექსებზე. თუ ზემოხსენებული დაკვირვებიდან გამოვალთ, ნარეკვავის ჭურჭელი, რომლის წითლად შეღებილ-გაპრიალებული ზედაპირი შავი საღებავით არის მოხატული, ძვ. წ. მეორე ათასწლეულის II მეოთხედით (1750—1500 წწ.) მაინც უნდა დათარიღდეს.

ნარეკვავის წითელი კერამიკა რომ სავსებით ეულად არ დგას მცხეთის მიდამოების უხნიერეს ძეგლთა შორის, ამას არა მარტო ფრინევში მოპოვებული მსგავსი კერამიკის ფრაგმენტი ამტკიცებს, არამედ ისიც, რომ იგი ახლო ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ მეზობლობაშია სამთავროს გორასამარხის (№ 243) ნივთიერ კომპლექსთან, რომლის განხილვაზედაც ჩვენ ახლა გადავალთ. არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნარეკვავის კერამიკულ ნაწარმს, იქნებ რამდენადმე დაგვიანებით, მაგრამ მალე მოსდევს ნარეკვავშივე მოპოვებული საკმაოდ მდიდარი კომპლექსი შავ და რუხპრიალა ზედაპირიანი თიხის ჭურჭლეულისა, მოკლე ფოთლისებრი, ტარშეურჩენელი სატევრისპირისა, კოლხური ტიპის ბრინჯაოს მახვილყუიანი ორნამენტირებული ცულისა, ბრინჯაოს საკინძებისა, ბრინჯაოს ოთხი ცხენის თავის გამომხატველი ყავარჯნის ჩამოსაცმელისა, რკინის მახვილისა და სხვ. შემადგენლობით, რომელიც შინაარსეულად კარგად შეესატყვისება სამთავროს ძვ. წ. XII—VIII სს. დათარიღებულ „ქვედა სართულის" სამარხეულ ინვენტარს.

ჯერჯერობით ეს არის ყველაფერი, რაც უნდა გვეთქვა ნარეკვავის ჭურჭლის ანალოგიების, ადგილისა და ხნოვანების შესახებ, ხოლო რაც შეეხება ამ მონაპოვრის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას, ჩვენ მას კვლავ დავუბრუნდებით მცხეთის უადრესი ნივთიერი ძეგლებით წარმოდგენილი კულტურული ვითარების დახასიათების დროს.

მეოთხე პუნქტი, სადაც დამოწმებულია უფრო სრული, სისტემატური და საიმედოდ დათარიღებული არქეოლოგიური მასალა, ეს თვით სამთავროს სამაროვანია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სამაროვნის სამხრეთ უბანზე (167—167a კვადრატებში) 1940 წელს ბ. ივაშჩენკოს მიერ გათხრილი გორასამარხი (243), რომელსაც ტიპოლოგიურად უკავშირდებიან ჩვენს მიერ იმავე სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე 1940 და 1947 წწ. აღმოჩენილი, სრულიად გაძარცული, გორასამარხები (№№ 1 და 2) და ერთიც ისევ მ. ივაშჩენკოს მიერ ფიქრის გორაზე 1940 წ. მიკვლეული სამარხი (№ 281), რომელიც შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს უნდა გვაუწყებდეს.

სამთავროს გორასამარხი, როგორც ვიცით, ორმოიან გორასამარხთა ტიპს ეკუთვნის. გავიხსენოთ, რომ მისთვის დამახასიათებელია ორმოს გარშემო

რიყისა და ქანისეული ნაგლეჯი ქვების წრიულად შემოლაგება. წრის დიამეტრი 10,5 მ უდრიდა, ორმოს სიგრძე-სიგანე-სიმაღლე კი შესაბამისად — 3,0; 2,25;, 2,50 მ იყო. ორმოს ფსკერზე, სამარხეული ინვენტარის (იხ. ქვემოთ) გვერდით ან მეზობლად, ადამიანის ჩონჩხის აღმოუჩენლობამ მ. ივაშჩენკო [15.] აიძულა მასში მეორედ დამარხული ადამიანის ჩონჩხის უკვალოდ გაქრობა ევარაუდნა. სხვა ავტორები, მაგ., ბ. კუფტინი [14 .გვ. 311], გ. ლომთათიძე [5, გვ .24—26; 16. გვ. 47], ტ. ჩუბინიშვილი [9: გვ. 16], წალკის ანალოგიის მიხედვით, ამ მიცვალებულის სრულ დაწვას ვარაუდობენ. ჩვენ კი უფრო მართებულად მიგვაჩნია ამ სამარხის კენოტაფობა, ვინაიდან იგი, სრული უჩონჩხობის პირობებში, შეიცავს მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე პიროვნებისათვის განკუთვნილ რჩეულ ნივთებს, ხოლო ასეთი სოციალური წრის წარმომადგენელთათვის გამართული კენოტაფები ამავე სამაროვანზე, ოღონდ უფრო გვიან ხანაში, საკმაოდ მოხშირებული ჩანს. მიუხედავად ერთგვარი თავისებურებისა, ეს სამარხი ტიპოლოგიურად (აღნაგობისა და იქნებ დაკრძალვის წესითაც) თრიალეთის ორმოიან გორასამარხებს უახლოვდება. ეს სიახლოვე რამდენადმე ინვენტარის (კერძოდ, თიხის ჭურჭლეულის) ურთიერთმსგავსებაშიც მჟღავნდება. მაგ., ამ სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლები, განსაკუთრებით, რუხზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი დერგი, როგორც მოყვანილობით, ასევე ფაქტურითა და დამზადების ხერხებით ახლო ემსგავსება წალკის XXIX გორასამარხში ოთხთვლიანი ურმის გვერდით აღმოჩენილ ქილას [13 გვ. 229] ასეთივე ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური ერთიანობა შეიმჩნევა სამთავროს სპილენძის პატარა, ყუნწგახვრეტილ სატევრისპირსა და თრიალეთის ერთ-ერთ უორმოო (XVIII) გორასამარხის ქვაყრილს ქვეშ აღმოჩენილ ბრინჯაოს სატევრისპირს შორის* [9, გვ. 228—229, ტაბ. CV, მარჯვენა].

რაც შეეხება ბრინჯაოს გრძელ, საძგერებელ-საგმირავ მახვილს, თუ იგი ამ უკანასკნელი ათიოდე წლის წინათ ამიერკავკასიისათვის ერთგვარ უნიკალურ იარაღად გამოიყურებოდა და მისი ანალოგიების ძიება კრეტა-მიკენური კულტურის სამყაროში გვიხდებოდა, ახლა მას აქვე, ძველი საქართველოს ისტორიული პროვინციის — ლორე-ბამბაკის მიწაწყალზე, უკვე გამოუჩნდა ორი თანამედროვე, რომლებთანაც ერთად მან მტკიცე ადგილი მოიპოვა იბერიულ-კავკასიური ტომების კულტურული გარემოსათვის კარგად ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლთა შორის.

ერთი სიტყვით, ეს გორასამარხი და მასში აღმოჩენილი არქეოლოგიური

---

* სამთავროს ყორღანული სამარხი საგანგებოდ აქვს შესწავლილი ტ. ჩუბინაშვილს, რომელსაც, როგორც სამარხის აღნაგობისა და დაკრძალვის წესის, ასევე სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის ანალოგიების, დათარიღების და სხვ. გარშემო ბევრი საფუძვლიანი, ანგარიშგასაწევი დაკვირვება მოეპოვება [9].

მასალა, რომლის ანალოგიების ძიება ახლა ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ აღარაა საჭირო, ასაკობრივად კარგად ემთხვევა თრიალეთის მდიდრული გორასამარხებით წარმოდგენილ შუაბრინჯაოს გაფურჩქვნის ხანას. თავის მხრივ, იგი მთელი რიგი დამაკავშირებელი რგოლების (ზემოხსენებული ქვების წრით შემოზღუდული სამარხები №№ 1, 2, 26, 27, 281, 1946 წ. კენოტაფი № 1 და მათში აღმოჩენილი არქაული ნიშნების შემცველი ინვენტარი) მეშვეობით, როგორც ეს ტ. ჩუბინაშვილის ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომშია (9) ხაზგასმული, მჭიდროდ არის გადანასკვული სამთავროშივე მოპოვებულ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებთან, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ამ რაიონში ბრინჯაო-რკინის ინდუსტრიის განვითარების უწყვეტ სურათს ძვ. წ. თითქმის ორი უკანასკნელი ათასწლეულის ისტორიის მანძილზე. ასე რომ, „დ ი დ ი მ ცხ ე თ ი ს“ ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ პუნქტში (ზემო ავჭალაში, ბაგინეთში, სამთავროსა და ნარეკვავში) მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები, რომელთაც ჩვენ ზემოთ გაკვრით შევეხეთ, ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ რაზომ პოხიერ ნიადაგზე აღმოცენებულა და განვითარებულა აქაური მკვიდრი მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კულტურა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, უშუალოდ მცხეთის დედაქალაქობის წინამორბედ ხანაში.

რამდენადაც ამჟამად ჩვენ მოკლებული ვართ, ერთი მხრით, წინამდებარე ძეგლებით წარმოდგენილი ხანის ადამიანთა ნამოსახლარიდან მომდინარე სისტემატურ მასალებს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ეს ძეგლებიც, კერძოდ, გორასამარხი და მისი ინვენტარი, საზოგადოების მხოლოდ ერთი, სახელდობრ მაღალი წრის ცხოვრების ზოგიერთი მხარის შესახებ გვაძლევს წარმოდგენას, ამდენად არსებითად გაძნელებულია მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო და კულტურული განვითარების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე. და ხშირ შემთხვევაში იძულებული ვხდებით ნართაული ცნობებითა და ზოგადი ხასიათის მოსაზრებებით დავკმაყოფილდეთ.

პირველყოვლისა, ესაა ხანა, როდესაც მთელი წინა და მცირე აზიის მიწა-წყალზე ხური-მიტანული და ხეთური ადრემონათმფლობელური დესპოტური სახელმწიფოები ბატონობენ, ხოლო ამ სამყაროს ჩრდილოეთ პერიფერიებში, კერძოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, პატრიარქალურ საფეხურზე მყოფი მესაქონლე, მელითონე და მიწათმოქმედი ტომები თავიანთი კონფედერაციების ჩამოყალიბებას ეს არის იწყებენ. არსებობს, ჩვენი აზრით, ადვილად გასაზიარებელი ვარაუდი, რომ მესაქონლე ტომთა ერთი გაერთიანება თრიალეთის ზეგანზე და თანამედროვე კიროვაკანის მხარეში უნდა ყოფილიყო, რის მაუწყებელი უნდა იყოს აქაური მდიდარი გორასამარხები და მათში აღმოჩენილი მაღალმხატვრული გემოვნებით დამზადებული ნივთები. არ არის გამო-

რიცხული, რომ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომთა ერთ-ერთი ასეთი კონფედერაცია ჩამოყალიბებულიყო ცენტრალური ამიერკავკასიის ისეთი მნიშვნელოვანი არტერიების შესაყარში, როგორსაც მტკვარ-არაგვის მიდამოები წარმოადგენდნენ. ვფიქრობთ, რომ შეაბრინჯაოს ხანის ჩვენს მიერ განხილული ძეგლები გამომხატველი უნდა იყოს სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ, მანამდე უნახავი, აღმავლობისა, რომელსაც განიცდიდა იმდროინდელი „დიდი მცხეთა" — შიდა ქართლის გეოეთნიკური და კულტურული გარემოს ავანპოსტი. მართლაც, რა ჩინებული ხელობისაა ნარეკვავის მოხატული ჭურჭელი. მისი დამზადება და შემკობა უცილობლად გულისხმობს მეთუნეობის განვითარების მაღალ დონეს, დახვეწილ მხატვრულ გემოვნებასა და ოსტატის კოსმოგონურ წარმოდგენათა მოწიფულობას. იგი ნამდვილად არ არის ყველასათვის და ყოველთვის ხელმისაწვდომი და მოსახმარი ნივთი. ისევ რომ არ მოვუბრუნდეთ ამ ჭურჭელს, აქვე აღვნიშნავთ, რომ მასზე გამოხატული სურათის გაშლილი სახე წარმოგვიდგენს მზის დისკოს და მისგან გამოშუქებულ სხივებს (შევრონები). ამ უკანასკნელთა შორის მოთავსებული სვასტიკური ნიშნები, ალბათ, მზის თანამგზავრი ცთომილების დაუსრულებელ მოძრაობას გამოხატავენ ცის კაბადონზე, ხოლო შევრონების ტალღისებური ხაზებით შევსება გარკვეულ მინიშნებას იძლევა, რათა მასში წყლის სტიქიონი, ე. ი. ულამური კერამიკის მოხატულობაში ფართოდ გავრცელებული „წყლის სქემა" დავინახოთ [21]. თუ ნარეკვავის ჭურჭლის მოხატულობის ჩვენეული ინტერპრეტაცია რამდენადმე მაინც სინამდვილეს უახლოვდება, მაშინ ამ ძეგლის შემქმნელი საზოგადოების მიერ მზისა და წყლის კულტის აღიარება დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს [22]. ამ ფაქტის დადგენას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველთა აქაური წინაპრების არა მარტო ასტრალურ წარმოდგენათა შესასწავლად, არამედ და უფრო მეტად იმ სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების დონისა და ხასიათის გასათვალისწინებლად, რომლის ანარეკლს ფაქტიურად ისინი წარმოადგენდნენ. ანდა ავიღოთ სამთავროს ყორღანული სამარხის რაპირისებრი ბრინჯაოს მახვილი, რომელსაც არათუ კავკასიაში, მთელ წინა აზიაშიც არ მოეპოვება ბადალი. ხომ ცხადია, რომ მსოფლიოს უძველეს მახვილთა შორის იგი ერთი უძველესი მახვილთაგანია (მახვილთა ტექნოლოგიის იმ საფეხურისა, როდესაც ტარისა და პირის ურთიერთთან ორგანულად დაკავშირება ჯერ არაა მიღწეული), მაგრამ იმდროინდელი მეიარაღის რა დიდი ცოდნა და გამოცდილებაა მასში ლითონთა თვისების, მათი შედუღების უნარის, ყალიბის დამზადებისა და მასში იარაღის ჩამოსხმის, ნაკეთობის გამოკვერვა-გაფხიანების, პროპორციების შერჩევაში დახელოვნებისა და მრავალი სხვა საამისოდ საჭირო და აუცილებელი დარგიდან.

როდესაც სამთავროსა და ლორე-ბამბაკში აღმოჩენილ მახვილებს ვსწავლობთ, გაკვირვებას იწვევს, თუ რატომ არ მოიკიდა ამ ტიპმა ჩვენში ფეხი

და რატომ ვერ იქონია მან საგრძნობი გავლენა აქაური მახვილების განვითარებაზე. მაგრამ თუ დღევანდელი ამიერკავკასიის გარეთ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ ტალიშის მხარის გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალებში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ყოფილა ერთი წყება ბრინჯაოს მახვილებისა, რომლებიც ტიპოლოგიურად ძალიან მიგვანან სამთავროულ მახვილს. ესაა გრძელი (არა უმეტეს 60—65 სმ სიგრძის) და ვიწრო მახვილები, რომელთაც ტარის დასამაგრებლად მოკლე გახვრეტილი ყუნწი აქვთ, ხოლო პირის მთელ სიგრძეზე საკმაოდ მაღალი და თხელი ქედი ჩაუყვებათ, ისე რომ განიეკვეთში იძლევა ჯვარს, თუმცა, არათანაბარ მკლავებიანს როგორც ეს ამიერკავკასიის მახვილებს ახასიათებთ. ეს გარემოება საკმარისი საფუძველი გახლავ იმისათვის, რათა ჯერ იდ. ღეშელეტს [19, 20. გვ. 725 და შემდ], ხოლო შემდეგ ჰ. ბონეს [18. ვვ. 76 და შემდ.] ტალიშური მახვილები შეედარებინათ ეგეოსურ სამყაროში კარგად ცნობილი შპაგისმაგვარი ბრინჯაოს მახვილებისათვის, ეს უკანასკნელნი პირველთა პროტოტიპებად დაესახათ და, ამგვარად, კავკასიაზე ეგეოსური კულტურის გავლენის ამ ერთ მომენტთაგანისათვის ხაზი გაესვათ. ახლა კი, როდესაც ცნობილი გახდა გრძელი, რაპირისებრი მახვილების აღმოჩენის სხვა, ახალი ბუდე, იქნებ ტალიშური მახვილების მიბაძვის წყარო უფრო ახლოს, ცენტრალური ამიერკავკასიის გარემოში, იყოს საგულისხმებელი მით უმეტეს, რომ აქაური (ლორე-სამთავრული, მახვილები, როგორც ეს მ. ივაშჩენკოს [15], ბ. კუფტინის [13; 14. გვ; 310—312], გ. ლომთათიძისა [6; 16, გვ. 47] და ტ. ჩუბინაშვილის [9, გვ. 22] გამოკვლევებიდან ჩანს, მაინცდამაინც არც ასაკობრივად ჩამორჩებიან ეგეოსურს. ხოლო, უკეთუ დღის წესრიგში კვლავ დარჩება საკითხი ეგეოსური და კავკასიური მახვილების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ჩვენი ავტორების (გ. ლომთათიძისა და ტ. ჩუბინაშვილის) კვალდაკვალ ვიტყოდით, რომ იგი, ისევე, როგორც ხსენებული რაიონების ნივთიერი კულტურის განვითარებაში შეჰჩნეული ბევრი სხვა შეხება-შეხვედრის მაგალითი, უნდა აიხსნას, თანახმად ს. ჯანაშიას შეხედულებისა, ამ ქვეყნების უძველესი მოსახლეობის ერთიანობით [10]. ეს გარემოება კი განსახილველი მახვილების დამოუკიდებელ, ლორე-სამთავრულ ტიპად, გამოყოფას თუ ვერ გვაბედვინებს, იმის სრულ უფლებას მაინც გვაძლევს, რომ ისინი ამიერკავკასიის ბრინჯაოს მახვილთა ტიპოლოგიურ სერიაში პირველ ადგილზე დავსვათ, როგორც ეს თავის დროზე გ. ლომთათიძემ მოიმოქმედა [6, გვ. 5].

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ მცხეთასა და მის მიდამოებში მოპოვებული შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები, მსგავსად თრიალეთურისა, ტომების გაერთიანებათა ჩამოყალიბების პროცესს უნდა ასახავდნენ. ერთი ასეთი გაერთიანების წარმოქმნა შიდა ქართლის ამ კულტურული გარემოსათვის ვივარაუდეთ. სამთავროს ყორღანული სამარხის რჩეული ინვენტარი (გრძელი მახვილი, ოქროს მძივთა გარსაკრავები და სხვ.) თითქოს უეჭველობით გვანიშნებს, რომ

ამ დროის საზოგადოების გვაროვნულ ერთიანობას უკვე გასჩენია პირველი ბზარი და საზოგადოება ქონებრივი და შემდგომ სოციალური დიფერენციაციის გარდაუვალ გზაზე შემდგარა, ვინაიდან, ხომ ცხადია, რომ ეს რჩეული ნივთები გვარში რითიმე დაწინაურებულთა ჯერ კიდევ ძალიან მცირე ჯგუფის, იქნებ მხოლოდ ერთეულების, ხვედრი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება უდიდეს უმრავლესობას (რომლის არათუ ნამოსახლარი ადგილები, სამარხებიც კი არ გაგვითხრია), აშკარაა, იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო საზოგადოებრივი დოვლათის იმ წილით, რომელსაც მას გვაროვნული ადათ-წესებით შეპირობებული და დაუწერელი კანონებით კოლექტიური წარმოების, კოლექტიური განაწილებისა და კოლექტიური მოხმარების საუკუნეობით შემუშავებული წესი არგუნებდა. თავისთავად ცხადია, რომ მცხეთის წინარეანტიკური ხანის ამ მეტად საინტერესო ისტორიულ მონაკვეთზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შემუშავება მცხეთისა და მისი შემოგარენის საცხოვრებელი ბორცვ-ბორკეების, მასობრივი სამაროვნებისა და სხვა კულტურული ფენების გეგმაშეწონილი და სისტემატური თხრისა და ახალ-ახალი მასალების მოპოვების შედეგად შეგვეძლება.

ამით შეიძლება ჯერჯერობით დავამთავროთ მცხეთის ადრეული ხანის ძეგლების მოკლე მიმოხილვა და გადავიდეთ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კულტურის დახასიათებაზე.

*

მცხეთის ისტორიული წარსულის შესასწავლად გაკილებით მეტი და უფრო საიმედოდ დოკუმენტირებული მასალა დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. ამ მხრივ მცხეთის მოსახლეობის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა სწორედ რომ განსაცვიფრებელია. ეს მემკვიდრეობა შეიძლება დახასიათდეს სიტყვებით: კლასიკურობა და სიუხვე მრავალფეროვნებაში. ალბათ, ძალიან ცოტა თუ მოიძებნება სხვა ისეთი კულტურული რაიონი, რომელიც უტოლდებოდეს აქაურ ნივთიერ კულტურას, როგორც თავისი გავრცელებით, შემადგენელ ელემენტთა სიმდიდრით, ფორმათა ტიპოლოგიური მრავალგვარობით, ასევე ძეგლთა დამზადებისა და შემკობა-გალამაზების თავისებურებებით; მოკლედ, ყველაფერი ამით, რაშიაც ამ კულტურის არსი შეიძლება იხსნებოდეს და მისი სოციალური ფუნქცია გამოსჭვიოდეს. ეს ხანა კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში უფრო კარგადაა შესწავლილი, ვიდრე წინამავალი ხანები, რაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვით უცხო, რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ, ქართველ და სხვ. მეცნიერებს.

(ფ. ბაიერნი, ე. შანტრი, ე. რესლერი, რ. ვირხოვი, ჟ. მორგანი, ფ. ჰანჩარი, ა. ტალგრენი, გ. ფილიმონოვი, ვ. ანტონოვიჩი, პ. უვაროვა, ა. ივანოვსკი, ა. ზახაროვი, ი. მეშჩანინოვი, ა. მილერი, ე. პჩელინა, ა. იესენი, ბ. პიოტროვსკი, გ. კრუპნოვი, ი. ჰუმელი, ს. ყაზიევი, გ. ლალაიანი, ა. მარტიროსიანი, ო. მნაცაკანიანი, ე. თაყაიშვილი, გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი. მ. ივაშჩენკო, ს. მაკალათია, გ. გობეჯიშვილი, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, ალ. კალანდაძე, ნ. ხოშტარია, ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, რ. აბრამიშვილი, დ. ქორიძე და სხვ.). მცხეთის მიწა-წყალზე მოპოვებული მასალების შედარებითი შესწავლისა და ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა ნაშრომების კრიტიკული გამოყენების საფუძველზე, ჩვენს მიერ შემუშავებული კავკასიის პალეომეტალური კულტურის განვითარების ქრონოლოგიური ცხრილით, ქართული გვიანბრინჯაოს ხანა ძვ. წ. 1300—1100 წლებზე მოდის, ადრეული რკინისა კი (მისი პირველი ათვისება და შემდგომ წარმოებაში ფართოდ დანერგვა) ძვ. წ. 1000—600 წწ. განისაზღვრება (2; 3). საჭიროა აღინიშნოს, რომ იგივე ხანა იყო წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხთა ცხოვრებაში, დიდ ეკონომიკურ ძვრებთან ერთად, უაღრესი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილების ხანა. ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიური ფაქტების გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო იმ თავითვე ჩაბმული ყოფილა ძველი მსოფლიოს ამ ნაწილის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურული შემოქმედების საერთო ფერხულში. ქვემოთ განხილული არქეოლოგიური ძეგლების სოციალური ბუნებისა და დანიშნულების გასაგებად იქნებ ზედმეტი არ იყოს სქემურად მაინც ჩამოვთვალოთ ამ ხანის განვითარების ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი. ეს ნიშნებია:

ა) ხალხთა ეკონომიკურ ცხოვრებაში მეჯოგეობისა და მიწათმოქმედების ერთიმეორისაგან გამთიშავი პროცესის შემდგომი გაღრმავება (შრომის პირველი დიდი დანაწილების დასასრული); გვართა და ტომთა საერთო-სამეურნეო საქმიანობაში სხვადასხვა ხელოსნური წარმოების გამოყოფა და მათი დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბების პროცესი, მაგ., ლითონდამმუშავებელი ხელოსნობა — მეტალურგია (მეიარაღე-მეაბჯრენი, მეჭურჭულენი და სხვ.); მეთუნეობა-მეკეცეობა; ხითხუროობა, ალბათ, მეხამლეობაც; რთვისა და ქსოვის საქმე და სხვ. (შრომის მეორე დიდი დანაწილების პროცესი); წარმოების თანდათანობითი სპეციალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად პროდუქტის გაჩენა და ამ უკანასკნელის გაცვლის საჭიროების აუცილებლობა; ამ ნიადაგზე გაცვლა-გამოცვლის ფართოდ განვითარება; მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი ფენის გაჩენის დასაწყისი (შრომის მესამე დიდი დანაწილების დასაწყისი); სასოფლო თემის ეკონომიკური საფეხურების რღვევა და ქალაქთა აღმოცენების პროცესის გაძლიერება. აშკარაა, რომ მთელ ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი ძვ. წ. პირ-

ველი ათასწლეულის პირველივე ნახევარში წარმოების საშუალებათა წარმოების რკინის მეტალურგიის ბაზაზე გადასვლამ.

ბ) სოციალურ ურთიერთობათა სფეროში — კერძო საკუთრების ჩასახვისა და განვითარების ნიადაგზე სოციალურ წინააღმდეგობათა წარმოქმნა და გამწვავება; პატრიარქალური მონობის განვითარება; მეთემეთა შორის ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის უაღრესად განვითარება; ეს წანამძღვრები კი შემდეგ, ძვ. წ. პირველი ათასწლეულის II ნახევარში წარმოქმნიან სახელმწიფოს, როგორც მთელი ამ პროცესის განვითარების ლოგიკურ შედეგს.

გ) პოლიტიკურ ცხოვრებაში — ხეთების ძლიერი სახელმწიფოს დაცემა (1200 წ. ახლოს); ტროადის ომი (1184 წ. ახლოს); ბაბილონის სამეფოს დამხობა (689 წ.); ეგვიპტის დაპყრობა (VI ს., 585 წ.); ურარტუს სამეფოს ამაღლება (IX ს.) და დაცემა (VI ს.) და, საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელური დესპოტიების საბოლოო დაშლა და გადაშენება; პროტოხეთებისა და ხური-ურარტების მონათესავე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა შორის ქართველური ტომების მიერ ჰეგემონიური მდგომარეობის მოპოვება.

ამავე პერიოდის გასულს უკავშირდება აგრეთვე კიმერიელთა და სკვითების ლაშქრობანი წინა აზიაში და ბერძენთა მიერ კოლონიზაციური მოღვაწეობის გაჩაღება.

დღეისათვის დაგროვებული მასალების გათვალისწინებისა და ამის საფუძველზე შემუშავებული შეხედულების თანახმად, ამ პერიოდში საქართველოს მიწაწყალზე უკვე ჩამოყალიბებული ჩანს გვიანბრინჯაოს ხანის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთიმეორის ახლო მონათესავე, საერთო ფესვებით მოსაზრდოვე მძლავრი კულტურული კერა: დასავლურ-ქართული (ანუ კოლხური) და აღმოსავლურ-ქართული კულტურული კერები. მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ძეგლები თავისი ბუნებით და, ცხადია, ტერიტორიული გავრცელებით, უფრო აღმოსავლურ-ქართულ კერას ემხრობოდა და მის კულტურულ წრეში შედიოდა, მაგრამ ამავე დროს იგი ხასიათდებოდა ერთგვარი თავისებურებებით. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი ქართლის ეს ცენტრალური თემი, რომელიც მნიშვნელოვანი საწყლო არტერიების შესაყართან და მიმოსვლის საშუალებათა ჯვარედინზე მდებარეობდა, ადვილად ეცნობოდა და ითვისებდა მეზობელი საწარმოო-კულტურული ცენტრების მიღწევა-გამოცდილებას და თავისასაც მათ ასევე ფართოდ უზიარებდა. თუ რა სახით ვლინდებოდა ეს ურთიერთგაზიარება, აი ერთ-ერთი ძირითადი კითხვა, რომელსაც ჩვენ უნდა ვუპასუხოთ.

იმის გამო, რომ ჯერჯერობით არა გვაქვს გათხრილი მცხეთა-სამთავროს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარი ადგილები, ჩვენი მსჯელობის საგანი უმთავრესად სამაროვნებიდან მომდინარე ნივთები იქნება. მაგ-

რამ როდესაც სამაროვნის წიაღიდან ამომზეურებული მასალების ისტორიულ წყაროდ გამოყენება გვწადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამარხები, როგორც ასეთი, საგრძნობი დაგვიანებით აირეკლავდნენ ადამიანის რეალურ ცხოვრებასა და სარწმუნოებრივ წარმოდგენებში მომხდარ ცვლილებებს. მით უფრო დარწმუნებით ითქმის ეს იმ წესებისა და რიტუალის შესახებ, რომლებიც მიცვალებულის დაკრძალვისას სრულდებოდა. დაკრძალვის წესების შესრულებას კი ძველი ხალხების ყოფაცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჰოდა, როდესაც სამარხეული ინვენტარის ამა თუ იმ შემადგენელ ელემენტს ვიხილავთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ხელში გვიჭირავს ნივთი, რომელიც ადამიანის მიერ საიქიო ცხოვრებაზე შემუშავებული რწმენის შედეგად მოხვდა სამარხში. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ნივთს სააქაო ცხოვრებაში ყავლი დიდი ხნით უკვე გასული ჰქონდა. სამარხეულ ინვენტარში ზოგჯერ ისეთი საგანიც კი გამოერევა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ დანიშნულებას, მაგრამ საგანგებოდ დასაკრძალავი რიტუალის შესასრულებლად არის დამზადებული (მაგ., სახელ-დახელო თიხის ჭურჭელი, ბუტაფორიული მახვილები და ცულები, პაწია ვოტივური ქანდაკებანი და სხვ.). მაგრამ უმეტესად და ძირითადად სამარხშიაც ისეთ ნივთიერ მასალას ვხვდებით, რომლის პრაქტიკული გამოყენება ცხოვრებაში ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ოღონდ ეს კია, რომ სამარხი და მასში აღმოჩენილი ნივთი ყოველთვის ტოლასაკოვანი არ არიან. ამიტომ ყოველთვის გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ სამარხეულ ინვენტარში შემავალი ნივთები ხშირად თვით სამარხზე ბევრად უხნესია და ნივთიერი კულტურის განვითარების დონის უფრო უტყუარი საზომი, ვიდრე კონსერვატიული სამარხი [2, გვ. 162].

• •

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 7 წლის (1938—1941, 1946—1948 წწ.) მუშაობის შედეგად ორ ჰექტარამდე გათხრილ ფართობზე ბრინჯაორკინის ხანის 550-მდე ორმოსამარხია აღმოჩენილი. ამათგან ერთი, შედარებით მცირე ჯგუფი (65 სამარხი), საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანისაა (დაახლ. XIV—XII სს.), მეორე, კარგა მოზრდილი ჯგუფი (225 სამარხი), ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას (ძვ. წ. XI—XII სს.) ეკუთვნის, ხოლო მესამე, ყველაზე რიცხვმრავალი ჯგუფის სამარხები (255) ადრეული რკინის ხანაზე (ძვ. წ. IX—VI სს.) მოდის. აღსანიშნავია, რომ სტრატიგრაფიული განსხვავება ამ ჯგუფთა სამარხებს შიგნითაც შეიმჩნეოდა: პირველი ჯგუფის სამარ-

ხები შედარებით უფრო ღრმად იყო ჩაფლული მიწაში, ვიდრე მეორე და მესამე ჯგუფისანი. სამარხთა დაახლოებით 70% 1,20 მ სიღრმისა იყო, 25%-ს სამ მეტრამდე სიღრმე ჰქონდა, დანარჩენი კი ან სამ მეტრზე უფრო ღრმად იყო ჩაფლული, ან კიდევ უმნიშვნელო (1,0 მეტრამდე) სიღრმე ჰქონდა. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, სტრატიგრაფიულმა დაკვირვებამ არსებითი როლი შეასრულა სამარხთა არქაული ფენის გამოყოფის დროს. სამარხთა უმრავლესობა დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რაც, რა თქმა უნდა, დაკრძალულთა დამხრობით ისაზღვრებოდა, დანარჩენებისათვის დამახასიათებელი იყო ან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ან პირუკუ დამხრობა. იყო აგრეთვე შუალედ მხარეთა მიხედვით დამხრობის შემთხვევები, თუმცა იშვიათად. თავის ადგილზე ნათქვამი გვქონდა და ახლაც გავიმეორებთ, რომ დამხრობის მიზეზების ახსნაში მეცნიერთა შორის ერთსულოვნება არ არსებობს. არც ერთი დღემდე ცნობილი მოსაზრება ვერ გამოიყურება დამაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვუშვებთ ვარაუდს ამ მოვლენის მზისა და წყლის კულტით შეპირობების შესახებ. არც ერთ სამარხს რაიმე განმასხვავებელი გარეგანი ნიშანი გათხრის მომენტში არ ჰქონია. ისინი თავის დროზე ძელებითა და ქვაყრილით უნდა ყოფილიყვნენ გადახურული და შემდეგ მიწით მოზვინული ისე, რომ თითოეული ორმოსამარხი გარეგნული მოყვანილობით, შესაძლებელია, პაწია გორასამარხსაც კი მიაგავდა*. სამარხთა დიდი უმრავლესობა (65%) მიწის ასეთ უბრალო ორმოში იყო მოწყობილი. დანარჩენებისათვის კი დამახასიათებელი იყო სამარხის პირზე რიყის ქვების სწორკუთხოვანი ერთპირი წყობა, ან ასეთივე, ზოგჯერ ნაგლეჯი ქვის წრიულად, ოვალურად (იშვიათად) და სწორკუთხოვნად შემოწყობა ორმოს ძირზე. სამარხის გარშემო ქვების წრიულად (ე. წ. კრომლეხისებურად) შემოლაგებაც იმ რიგის მოვლენად მიგვაჩნია, რომელიც განსაკუთრებული თაყვანისცემით ჩანს შეპირობებული. ზოგიერთ სამარხს ქვაყრილის მაგივრად ზემოდან ფილაქვა ეხურა. ძალიან ხშირად მიცვალებული ოთხ რიყის ქვას შორის იყო მოთავსებული. დადასტურებულია, რომ სამარხთა ფილაქვით გადახურვა უძველესი ფენის სამარხებისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი; ეს წესი პირველად გარდამავალ ხანაში შემოსულა, ხოლო გვიანი, საკუთრივ რკინის ხანის სამარხებში საკმაოდ გავრცელებული ჩანს. ქვის სამარხის მსგავსი ნაგებობის პირველი ნიშნები მეორე (გარდამავალი ხანის) ფენაში გვაქვს, მესამე ფენაში კი ისინი უფრო ხშირია. ეს გარემოება თითქოს საფუძველს გვაძლევს ქვის სამარხისათვის საჭირო დიდი ფილაქვების მოჭრა, გათლა და გადმოტანა აქ ძირითადად რკინის ხელსაწყო-იარაღების შემოღებასა და მათ ფართო გავრცელებას დავუკავშიროთ. ქვაფენილიან-ფილაქვიან ან სხვა რომელიმე დამატებითი ნიშნით განსხვავებულ სამარხთა-

* ეს გარემოება პირველად შეუნიშნავს ა. აფაქიძეს (უფრო დაწვრილებით იხ. გვ. 7).

გვ. გაცილებით მეტი რაოდენობა მამაკაცებზე მოდის. ადვილი საფიქრებელია, ეს გარემოება სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაში მამაკაცთა სულ მზარდი ხვედრითი წონის ანარეკლს წარმოადგენს. იქნებ ამასვე მიუთითებდეს ის გარემოება, რომ მესამე ფენაში აღმოჩენილი ქვასამარხები მხოლოდ მამაკაცთა განსასვენებლად არის გამოყენებული, ხოლო ქალთათვის არც ერთი.

ორმოსამარხთა დიდი უმეტესობა, როგორც მათი აღწერილობიდან დავრწმუნდებით, ინდივიდუალურია, ე. ი. თითო ადამიანისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ ამავე დროს არის კოლექტიური სამარხებიც (სულ 30), რომლებიც შეიცავენ ორს, სამს ან მეტ ჩონჩხსაც, მაგ., სამაროვნის სამხრეთ უბანზე გათხრილ ერთ-ერთ (№ 8) სამარხში 33 ადამიანი იყო დაკრძალული. ნიშანდობლივია, რომ კოლექტიურ სამარხთა რაოდენობა ფენების მიხედვით თანდათან მატულობს (1—9—20). ამასთანავე შეინიშნება თანჩატანებული ინვენტარის არათანაბარი განაწილება დაკრძალულთა შორის. ყველა კოლექტიური სამარხის წარმოშობის მიზეზის ახსნა შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია, ზოგიერთი თანადამარხვა (მაგ., წყვილისა, № 155 სამარხი, 1940 წ. ჩრდ. უბ.) ცოლ-ქმრული დამოკიდებულებით აიხსნას. სქესის მიხედვით განსხვავებულ წყვილთა სამარხებში (№№ 49, 86, 110, ჩრდ. უბ. 1939 წ. № 7, სამარხ უბ. 1939 წ. №№ 14 ნაშთი, 169, 187, 200, ჩრდ. უბ. 1940 წ. და 274, ჩრდ. უბ. 1947 წ.) აღმოჩენილ, ზრდადასრულებულ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება ასევე ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებად მიგვაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სამარხეული ინვენტარი არ ასახავს მათ შორის ქონებრივ სხვაობას და აქედან გამომდინარე ერთიმეორისადმი დაქვემდებარებას, ჩვენ აქ მაინც უნდა დავინახოთ ოჯახის მამამთავრისადმი შეწირული, უფლებრივად დაქვემდებარებული პიროვნების თანადამარხვა. ზოგიერთი კოლექტიური სამარხის წარმოშობა (მაგ., 33 ჩონჩხის შემცველი საფლავისა) შეიძლება დავუკავშიროთ ეპიდემიას ან რაიმე სოციალურ უბედურებას, ხოლო იმ საზიარო სამარხთა გაჩენა, რომლებშიც სამარხეული ინვენტარის განაწილება დაკრძალულთა შორის თითქოს ცხადს ხდის მათ სხვადასხვა ქონებრივ შესაძლებლობას სიცოცხლეში, ვარაუდით მივაწეროთ აქაურ მოსახლეობაში ოჯახური, პატრიარქალური მონობის ჩასახვა-განვითარებას. ჩვენ ვფიქრობთ, ამ ტიპის სამარხთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აირეკლებოდა დაკრძალვასთან დაკავშირებულ რიტუალში გვარსა და ოჯახში ამა თუ იმ პირის მიერ გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება, თუ მეორე პირის მიმართ მორჩილებაში ჩავარდნა. ეს გარემოება კი გარკვეულ მითითებას გვაძლევს იმაზე, რომ წინარეანტიკური ხანის მცხეთის მოსახლეობაში უკვე საქმე გვაქვს კლასობრივად ერთიმეორისადმი დაპირისპირებული სოციალური ფენების არსებობასთან, რასაც უფრო ამკვეთრად ხდის სამარხეული ინვენტარის განხილვა.

სამთავროს ყველა სამარხი ინჰუმაციურია. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ე. წ. კენოტაფები ანუ სამახსოვრო ცარიელი სამარხები, რომელთაც ჭირისუფლები ადამიანის უცხო მხარეში დაღუპვის ან უკვალოდ დაკარგვის შემთხვევაში ამ უკანასკნელის მოსაგონებლად გამართავდნენ ხოლმე. და მიუხედავად იმისა, რომ კენოტაფებში ჩონჩხი არ არის, ისინი სამარხეული ინვენტარის (საიმქვეყნიო საგზალ-მარაგის) ერთგვარი სიუხვითაც კი გამოირჩევიან. გავიხსენოთ, რომ ამ ტიპის სამარხებს ეკუთვნიან: სამთავროს გორასამარხი (№ 243) შუაბრინჯაოს ხანისა; № 1 კენოტაფი (1946 წ.), სვასტიკის გამოხატულებიანი მქისე თიხის ჭურჭლის შემცველი, რომელიც შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ხანაზე უნდა მოდიოდეს; № 26 ორმოსამარხი (1938 წ.) საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანისა და სხვ. სულ 10 ერთეული.

ამათ გვერდით, სამთავროში ისეთი სამარხებიცაა, რომლებშიაც მიცვალებულნი მეორედ ყოფილან დასაფლავებული, ე. ი. გავრცელებული ყოფილა (არცთუ ძალიან) სხვაგან გარდაცვალებული ან კიდევ ადრე სხვა წესით დაკრძალული ადამიანის გადმოსვენება და მეორედ დაკრძალვა. ასეთი დაკრძალვის სულ 7 შემთხვევა გვაქვს დადასტურებული (შვიდივე 1939 წ. კამპანიის დროს). მათ შორის ხუთი სამარხი სამხრეთ უბანზე იყო აღმოჩენილი (№№ 5, 55, 91, 128, 139), ორი — ჩრდილოეთისაზე (№№ 39 და 119). ისინი ხასიათდებიან ყველა იმ ნიშანთვისებით, რასაც ჩვეულებრივ ორმოსამარხში ვხედავთ, ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ აქ ყოველთვის ნაკლულ ჩონჩხთან გვაქვს საქმე (აკლია წვრილი ძვლები: ნეკნები, ხელ-ფეხი ძვლები და სხვ.). ამ ტიპის სამარხთა შესწავლის შედეგად ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივედით: ა) ყველა მეორედ დამარხული ადამიანის ჩონჩხი მამაკაცს ეკუთვნის; ბ) ყველა დამარხული მეტ-ნაკლებად შეძლებულთა სოციალური წრის წარმომადგენელია, გ) დაკრძალვის ეს თავისებური წესი სამთავროში შედარებით გვიან ხანაში შემოდის (4).

ინჰუმაციურ სამარხებში მიცვალებული მოთავსებულია ამა თუ იმ გვერდზე, ფეხებმოკეცილად. არის თითო-ოროლა შემთხვევა მიცვალებულის ზურგზე, კიდურებგაშოტილად მოთავსებისა (№ 31 ერთიანი ნუმერაციით, ჩრდ. უბ. 1938 წ. და № 126, სამხრ. უბ. 1939 წ.). ზოგჯერაც (აგრეთვე ორიოდ შემთხვევაში) მიცვალებული გულაღმა მწოლარე აღმოჩნდა, თუმცა ფეხები ჩვეულებრივ მოხრილი ჰქონდა. რამდენიმე შემთხვევაში ჩვეულებრივ ფეხებშემოკეცილი მიცვალებულის ზედა ტანი ჩაპირქვავებული ჩანდა. აშკარაა, რომ ორსავე ამ შემთხვევაში გულაღმა და ჩაპირქვავებული, მაგრამ ფეხებმოკეცილი მიცვალებულებიც გვერდზე, მოხრილად მწოლარე მიცვალებულთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. ვარაუდით აღნიშნული იყო აგრეთვე დამჯდარი დასაფლავების ერთადერთი შემთხვევა (№ 156, სამარხ. უბანი, 1939 წ.), მაგრამ გაბატონებული მაინც პირველად აღნიშნული კიდურებმოხრილად და-

სვენების წესია. ამასთანავე აღინიშნება მოხრილობის სხვადასხვა ხარისხი, ერთგვარი გრადაცია [7]*, სახელდობრ, მკვეთრად, თავისუფლად და ოდნავ მოხრილობა. სამთავროში გათხრილ 550 სამარხიდან (რომლებიც, კენოტაფებს გარდა, ყველა ინჰუმაციურია) მოხერხდა 415 სამარხში დაკრძალულთა მდებარეობის განსაზღვრა. აქედან 410 სამარხი, რომლებშიაც მიცვალებულთა მოხრილად დასაფლავება იყო დადგენილი, მოხრილობის გრადაციის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ა) მკვეთრად მოხრილი მიცვალებული ესვენა 159 სამარხში, მათ შორის 107 მამაკაცის და 52 დედაკაცის სამარხია; ბ) თავისუფლად მოხრილი კიდურები ჰქონდა მიცვალებულს 211 სამარხში (117 მამაკაცს და 94 დედაკაცს); გ) ოდნავ მოხრილი კიდურები ჰქონდა მიცვალებულს 40 სამარხში, მათ შორის 20 მამაკაცის, 20-ც დედაკაცის სამარხია. მოტანილი ცნობებიდან აშკარავდება, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში სამთავროელთ მიცვალებულები უმარხავთ უმთავრესად თავისუფლად ანდა ოდნავ მოხრილი ქვედა კიდურებით (61%); მკვეთრად მოხრილ ჩონჩხთა რაოდენობა კი არ აღემატება 38%-ს. რაც შეეხება ამ უკანასკნელთა სქესის მიხედვით განაწილებას, გამოირკვა, რომ მათში მამაკაცები (107) ორჯერ სჭარბობენ ქალებს (52). ჰქონდა თუ არა ამ გარემოებას რაიმე გარკვეული აზრი, გარდა იმისა, რომ მამაკაცის დასაფლავებასთან დაკავშირებული რიტუალი თითქოს ყველაფრით გამორჩეული უნდა ყოფილიყო, ჩვენ ამჟამად არ ვიცით.

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ასაფლავებდნენ მოკუნტული სახით, ჯერაც არ არის საბოლოოდ ახსნილი. დამარხვის ასეთი წესი საყოველთაოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხში. ჩონჩხთა მოკუნტულობას ვხვდებით როგორც ქვის ხანის მასობრივ სამაროვნებში, სადაც ეს წესი ფართო გავრცელებას პოულობს საზოგადოების განვითარების გვაროვნულ საფეხურზე. ამ მხრივ სამთავროს უამრავი პარალელი მოეპოვება კავკასიასა და თვით საქართველოში (ყობანი, მოზდოკი, რედკინლაგერი, ტალიში, ახტალა, ვორნაკი, ყალაქენდი, ყარაბულახი, გოგჩა, ბაკურციხე, იყალთო, გულგულა, ბეშთაშენი, დვანი, ფლავისმანი, ხოვლე, ღები და სხვ.). როგორც დაკვირვება მოწმობს, დაკრძალვის ეს ჩვეულება განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს პატრიარქალური პერიოდის მეჯოგე ტომებისათვის. მართლაც, ამ ხანის სამარხებში აღმოჩენილ მოხრილ ჩონჩხთა მდებარეობა ძალიან მიაგავს ღია ცის ქვეშ დროებით წამოწოლილი, დასვენებული მწყემსის შესახედაობას. თუ გავიხსენებთ, რომ ამ სახით დასაფლავებას საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ რაიონში დღესაც კი მწყემსურად, „მეცხორულად", დასაფლავებას უწოდებენ, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოხრილად დაკრძალვის მამოძრავებელი მიზეზი უნდა ყოფილიყო ჭირისუფალთა მის-

* ჩონჩხთა მოხრილობის ტრადიციას პირველად ხაზი გაუსვა გ. ლომთათიძემ 1940 წ.

წრაფება წარმოედგინათ მიცვალებული — ოჯახისა და გვარის განუყრელი წევრი — ცოცხალი (მაგრამ დასვენებული) ადამიანისათვის დამახასიათებელი სახით. წლების მანძილზე, როგორც თხრის პროცესში, ისე კამერული მუშაობის დროს წარმოებულმა დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ მამრობითი სქესის მიცვალებულნი სამთავროს ორმოსამარხებში მ ა რ ჯ ვ ე ნ ა გვერდზე უმარხავთ, დედრობითი სქესისა კი — მ ა რ ცხ ე ნ ა ზ ე. ასეთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელი გახადა, ერთი მხრით, სათანადო ოსტეოლოგიურ მასალაზე საველე პირობებში წარმოებულმა პირველადმა დაკვირვებამ*, ხოლო, მეორე მხრით, და უმთავრესად სამარხეული ინვენტარის ხასიათის შესწავლამ. დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქალები, როგორც წესი, იმარხებოდნენ იარაღ-საჭურვლის გარეშე, და ეს, ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იარაღი პრაქტიკულ ცხოვრებაში სრულიადაც არ შეადგენდა ქალის კუთვნილებას. მაშასადამე, მარცხენა გვერდზე მოსვენება და უიარაღობა არის ის ორი ძირითადი ნიშანი, რომელთა მიხედვით თითქმის ყოველთვის ადვილად შეგვიძლია გამოვიცნოთ ქალთა სამარხები სამთავროში. მაგრამ ამ ნიშნებს შორის უფრო მეტად დამტკიცებული ჩანს მარცხენა გვერდზე მოთავსების ტრადიცია, ვიდრე იარაღის ჩაუტანლობა. ამის ცხად მაგალითს გვაძლევს ორიოდე სამარხი, რომლებშიც დიაცურად დაკრძალულ მიცვალებულთ (მაშასადამე, დედაკაცებს), სამკაულთან ერთად იარაღიც (სატევარი, შუბისპირი, ცული და სხვ.) აღმოაჩნდათ. მაგრამ ეს იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ ზოგადი ხასიათის დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. სამაგიეროდ, ქალთა შეუიარაღებლობა კარგად გვანიშნებს იმ დიდი სოციალური მოვლენის განმტკიცებას, რომელიც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის I ნახევრის მცხეთის მოსახლეობაში სამხედრო არისტოკრატიის ჩამოყალიბებით დასრულდა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ნიშნების მიხედვით მიცვალებულთა სქესობრივი დანაწილება რომ ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს, ამას შემდეგი ცნობებიც უნდა ადასტურებდეს. ჩვენს მიერ გათხრილ 550 სამარხში აღმოჩენილი იყო 594 ჩონჩხი, რომელთა განაწილება ფენების და სქესის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

I	ფენა —	38	მამაკაცი,	27	დედაკაცი,	3	გაურკვეველი,	სულ 68
II	ფენა —	106		110	„	41	„	„ 257
III	ფენა —	155		74	„	40		269
	სულ —	299		211		84		594

* ამ დაკვირვების სისწორე კარგად დაადასტურა საგანგებო კვლევამ, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში მ. აბდუშელიშვილმა ჩაატარა სამთავროს ორმოსამარხებში აღმოჩენილი თავისქალების კრანიომეტრიული შესწავლის მიზნით [12].

მოტანილი ცნობები ააშკარავებს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მოპირდაპირე სქესის წარმომადგენელთა რიცხობრივი ურთიერთშეფარდების დაახლოებით თანაბრობას, რაც რამდენადმე დარღვეულია III ფენაში მამაკაცთა სასარგებლოდ, სადაც ეს უკანასკნელნი ორჯერ სჭარბობენ ქალებს (155 74-ის წინააღმდეგ). მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ქალთა პროცენტი მეტი ყოფილიყო იმ სამარხებში, რომლებშიაც ადამიანთა სქესი სხვადასხვა მიზეზის გამო გაურკვეველი დაგვრჩა. ასეთი სამარხები კი III ფენაში არცთუ ცოტაა (სახელდობრ, 40), თუმცა დანაკლისის შესავსებად მაინც არაა საკმარისი. ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება არ გვავარაუდებინებს, რომ მამაკაცებისათვის და ქალებისათვის სამაროვანზე ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი უბნები ყოფილიყოს გამოყოფილი და რომ ჩვენ უმეტესად მამაკაცთა სასაფლაო გვეთხაროს. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა რწმენით ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, როდესაც სხვადასხვა სქესის მიცვალებულთ სხვადასხვა გვერდზე დაასვენებდნენ ხოლმე სამარხში, იგი ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება. შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ ქალთა მარცხენა გვერდზე დასვენება ერთგვარი გამოხატულება იყოს საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში უკანასკნელ ხანებამდე დაცული იმ ადათისა, რომლის მიხედვით საქალებო სადგომი ყოველთვის საცხოვრებლის მარცხენა ნაწილში იყო მოთავსებული. მაგრამ დედაკაცთა ამგვარად დაკრძალვა არა მარტო საქართველოშია გავრცელებული და ამიტომ ეს ვარაუდი მთლად დამარწმუნებლად ვერ გამოიყურება. ამდენადვე არასაკმარისი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ მამაკაცის მარჯვენა გვერდზე დასაფლავება შესაძლებელია მისი, როგორც მ ა რ ჯ ვ ე. მეომრის, თუნდაც ძლიერი მარჯვენის მქონის, თვისებებიდან გამომდინარეობდეს. არსებობს ვარაუდი, რომ რამდენადაც ადამიანს იარაღი სამხარიღლიით მარცხენა მხარეზე ჰკიდია, სამარხშიაც იგი მას იმავე მხარეზე, მაშასადამე, ზემოდან უნდა ჰქონოდა, რის გამოც ადამიანი უეჭველად მარჯვენა გვერდზე უნდა დამარხულიყო. მაგრამ როგორღა ავხსნათ იმ მამაკაცების მარჯვენა გვერდზე დამარხვა, რომელთაც იარაღი ან სულ არა აქვთ ჩატანებული, ან სულ ქვეშ აქვთ მოქცეული. როგორც ვხედავთ, საკითხი ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი და კიდევ საჭიროებს დამატებით კვლევას.

ორმოსამარხებში მიცვალებულთათვის საგზლად შინაურ და გარეულ ცხოველთა ხორცის ჩატანების წესი, ისევე როგორც სხვაგან, სამთავროშიაც საყოველთაოდ აღიარებული ყოფილა. მაგ., აქ ვხვდებით: ცხვრის, თხის, ღორის, ტახის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ხარის, ძროხის, კამეჩის), ცხენის, ვირის, კურდღლის, ირმის, ფრინველის, კუსა და სხვ. ძვლებს. დადასტურებულია ძაღლისა და თევზის ძვალთა აღმოჩენის ფაქტიც. ჩამოთვლილ ცხოველთაგან ყველაზე ხშირად გვხვდება: ცხვარი, თხა, ხარი, ძროხა, ღორი. ამასთანავე საკმაოდ ხშირი იყო მთელი ჩონჩხებიც, განსაკუთრებით,

ცხვრისა და თხის (№ 243 სამარხი, სამხრ. უბ. №№ 62, 70, 142, 153, 160, 161, 296, 306, ამავე უბნისა, № 1:0 სამარხი ჩრდ. უბნისა და სხვ.). იყო ღორის ჩონჩხიც (№ 240 სამარხი, 1946 წ.). ამავე სამარხში, სხვათაშორის, რჩეული ნივთები იყო: აღმოს. ქართული ტიპის ცული, ღორეჩო, შუბისპირი, სადგისი, თევზისმაგვარი ყუნწიანი საკიდები და სხვ. ხარისა და ძროხისას კი უმთავრესად თავის ქალისა და ფეხის ძვლებს ვხვდებოდით. აღსანიშნავია № 27 (1938 წ. ჩრდ. უბ. და № 160 სამარხები, 1939 წ. სამხრ. უბ.), რომლებშიაც ხარის თავის ქალა და თითქმის ყველა კიდური იყო აღმოჩენილი. № 160-ში ამასთან დამატებით კუდის ძვლის მალებიც აღმოჩნდა, რაც სრულიად სამართლიანად აფიქრებინებდა მ. ივაშჩენკოს, რომ აქ ჩატანებული უნდა ყოფილიყო ცხოველის თავ-ფეხი და მთელი ტყავი კუდიანად. გავიხსენოთ, რომ ეს ჰგავს მთელი ცხოველის (ხარის) იმიტაციას, რაც თრიალეთში იყო დადასტურებული [13. გვ. 96]. თითქოს ცხადია, რომ საქონლის ხორცი ქელეხს მოხმარდა, ხოლო თავ-ფეხი და მთელი ტყავი კუდიანად მიცვალებულს საფლავში ჩაატანეს. ეს სამარხი იმითაც იყო საყურადღებო, რომ მასში, სხვა ცხოველთა ძვლებს გარდა, კუს ძვლებიც აღმოჩნდა. კუს განზრახვით ჩატანება ამ საფლავში ეჭვს გარეშეა, რადგანაც 1,60 მ სიღრმეზე, რომელზედაც ამ სამარხის ფსკერი მდებარეობდა, კუს ნებისმიერი ჩაღწევა ნაკლებად არის სავარაუდებელი. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ მსგავს მოვლენას ხშირად ხვდებოდნენ მინგეჩაურის სინქრონულ სამარხებში [12], რომლებიც ბევრი რამით ჰგვანან სამთავროულთ. სამთავროს ორმოსამარხებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელი ყოფილა უმთავრესად წვრილ-ფეხა რქოსანი საქონლის თ ა ვ რ ი ე ლ ი, რომელსაც უმეტესად საამისოდ განკუთვნილ ჭურჭელში (ლანგარსა ან ღრმა ჯამში) სდებდნენ და მიცვალებულს ჩვეულებრივ სახის წინ, გულმკერდთან დაუდებდნენ ხოლმე.

ჩვენი დაკვირვების შედეგები ცხოველთა სახეზე, მათ ურთიერთშეფარდებაზე, ზრდის დინამიკაზე და სქესის მიხედვით განსხვავებულ სამარხებში მათ განაწილებაზე საკმარისი გარკვეულობით გვიჩვენებენ იმ დიდ აღმავლობას სამეურნეო განვითარებაში (კერძოდ, მესაქონლეობაში), რომლისთვისაც მიულწევია მცხეთის მოსახლეობას განსახილველი პერიოდისათვის*. ისინი, კერძოდ, საშუალებას გვაძლევენ გავაკეთოთ არსებითი ხასიათის ზოგიერთი დასკვნა.

1. უპირველეს ყოვლისა, სავსებით აშკარად ჩანს მონადირეობის მესამე-მეოთხე ხარისხოვანი როლი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ასრულებს ადა-

* როდესაც ვლაპარაკობთ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანის მცხეთის მოსახლეობაზე, „ეს თქმა უნდა, მხედველობაში გვყავს მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც ემსახურებოდა სამთავროს სამაროვანი“ ეჭვი არ არის, რომ მცხეთის ცალკეულ უბნებს თავიანთი სასაფლაოები ექნებოდათ. აქედან უკვე ცნობილია არმაზისხევის, თითქოს კარსნისხევის, წიწამურ-კამარახევის და სხვ. სასაფლაოები.

მიანთა სამეურნეო ცხოვრებაში. ამის მაჩვენებელია გარეულ ცხოველთა (ირმის, ტახის, კურდღლის და სხვ. ძვლების სიმცირე. შინაურ და გარეულ ცხოველთა ურთიერთშეფარდება 8 : 1 (400-ზე მეტი ერთეული 50-ის წინააღმდეგ). ამასთანავე ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეფარდების მნიშვნელოვნად დარღვევა შეეძლოს სათანადო პერიოდის ნამოსახლარის შესწავლას, სადაც შეიძლება მხოლოდ მასშტაბი იყოს დიდი.

2. მონადირეობის როლის პროგრესული შემცირება როგორც საერთოდ, ასევე აქაც, რა თქმა უნდა, პირდაპირი შედეგი იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის გამრავლებისა, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისა და, საერთოდ, მესაქონლეობის უფრო ინტენსიურ ფორმაზე გადასვლისა. შინაურ ცხოველთა მოშენება-გამრავლების დინამიკის მაჩვენებელი ჩვენს მიერ მოტანილი ცნობები გვაუწყებენ, რომ, მაგ., ცხვრის მოშენება საკუთრივ ადრეული რკინის ხანისათვის (ძვ. წ. X—VI სს) გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპთან შედარებით, გადიდებულია თითქმის 5-ჯერ, ღორის მოშენება — 12-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 13-ჯერ, ხოლო ცხენისა — 4-ჯერ.

3. მესაქონლეობის ასეთი სწრაფი განვითარება შესაბამის გამოხატულებას პოულობს სამარხეულ ინვენტარში, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მესაქონლეობის პროდუქტებით* მიცვალებულთა „მომარაგებაში". ასე, მაგ., ცხვრით „მარაგდება": ა) გვიანი ბრინჯაოს ხანაში ნეკროპოლის „მოსახლეობის" ერთ მესამედზე ნაკლები; ბ) გარდამავალ ხანაში — ერთი მესამედი, ხოლო რკინის ხანაში — მთელი „მოსახლეობის" ნახევარზე ცოტა ნაკლები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტებით „მომარაგება" რამდენადმე უფრო დაბალ მაჩვენებლებს იძლევა და შესაბამისად გამოიხატება: I ფენისათვის — „მოსახლეობის" მეჩვიდმეტედი ნაწილი; II ფენისათვის — მეექვსედი, III ფენისათვის — მეხუთედზე ცოტა მეტი.

4. კიდევ უფრო მჭერმეტყველ პასუხს გვაძლევენ ჩვენი მასალები კითხვაზე, თუ რომელი სქესის წარმომადგენლები ჩანან ამ მხრივ უკეთესად „მომარაგებულნი"? რა თქმა უნდა, — მამაკაცები. თითქოს, ასეთი პასუხი ივარაუდებოდა წინასწარვე, მაგრამ ჩვენი ცნობები ამ ვარაუდს საკმაოდ დამტკიცებულ დებულებად აქცევენ. ასე, მაგ., წვრილფეხა რქოსანი პირუტყვით ისინი ორჯერ და უფრო მეტად „მომარაგებული" არიან, ვიდრე ქალები. თუ I ფენაში ღორის განაწილება კაცებსა და ქალებს შორის ჯერ კიდევ თანაბარია (რაც შეიძლება სრულიად შემთხვევითი გარემოებით აიხსნებოდეს), II ფენაში მამაკაცები ამ მხრივ სამჯერ უკეთეს მდგომარეობაში

* ამასთანავე, არათუ გამორიცხული არაა, არამედ სავსებით დასაშვებია ვარაუდი, რომ გარკვეული ჯგუფი თიხის ჭურჭლებისა (სადღეგრძელები, დერგები, საფქვნე ქილები და სხვ.) შესაძლოა რძის პროდუქტებს (რძეს, მაწონს, ხაჭოსა და სხვ.) შეიცავდნენ, მაგრამ ამის კატეგორიული მტკიცება, გასაგები მიზეზის გამო, ძნელდება.

აღმოჩნდებიან, ხოლო III ფენის მამაკაცები უკვე ხუთჯერ აჯობებენ ქალებს. ასეთივე სურათი გვაქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაწილების გატანების მხრივაც: I ფენის მასალების მიხედვით ფიქსირებული უპირატესობა მამაკაცებისათვის (3 :1) კიდევ უფრო განმტკიცებულია და „დაკანონებული" ჩანს II და III ფენებში (შესაბამისად 25—12-ისა და 29—9-ის წინააღმდეგ). აღარაფერს ვამბობთ ცხენის შესახებ, რომლის მოვლა-პატრონობა, გაჯდენა და გამოყენება (მეურნეობასა და ლაშქრობაში) მხოლოდ და მარტოოდენ მამაკაცის ზრუნვის საგანს შეადგენდა, და სააქაო ცხოვრებაში მის პატრონთან მჭიდროდ დაკავშირებული, იგი საიქიოშიაც მას მსხვერპლად ეწირებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას ქალთა ადგილის, უფრო სწორედ, უადგილობის შესახებ მონადირეობაშიც, საიდანაც ქალის შრომა სრულიად გამორიცხული ჩანს, ეს იმით მტკიცდება, რომ გარეულ (სანადირო) ცხოველთა (ირმის, ტახის, კურდღლის, ფრინველისა და სხვ.) ძვლები მხოლოდ მამაკაცთა სამარხებშია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტახის ერთ ეშვს, რომელიც აქ — ქალის სამარხში, შესაძლებელია, სამკაულის როლს ასრულებდა.

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ქალის მონაწილეობის მხრივ მეურნეობის ისეთ ძირითად დარგში, როგორსაც მიწათმოქმედება წარმოადგენს. ამის თვალსაჩინო მაგალითს სამაროვნის ჩრდილო უბანზე 1948 წ. გათხრილი № 320 ორმოსამარხი გვაწვდის. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ აქ ჩვეული პოზით დაკრძალული დედაკაცი მოსვენებული იყო კევრზე, რომლისგან მხოლოდ კოხები გადარჩენილიყო [8]. ჩვენი სამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის ამ ფაქტს თავისთავად, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს საკითხის სხვა მხარე. კევრზე ქალის დასვენება გაგებულ უნდა იქნეს არა, როგორც რაღაც საოცრება, არამედ როგორც მიწათმოქმედება-მემინდვრეობაში ქალის შრომის ამა თუ იმ სახით გამოყენების მანიშნებელი ფაქტი. ამავე დროს ის გარემოება, რომ კევრის აღმოჩენა დადასტურდა არა მამაკაცის სამარხში, ოდნავადაც არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ მამაკაცები მიწათმოქმედებას არ მისდევდნენ.

როგორც ჩანს, საკითხი უნდა დაისვას არა ამა თუ იმ სქესის ადამიანთა მიწათმოქმედებაში მონაწილეობის შესახებ, არამედ იმის შესახებ, თუ შრომის რა ცალკეულ, კონკრეტულ სახეებს ასრულებდნენ კაცები და ქალები მეურნეობის თვით ამ დარგის შიგნით. ვინაიდან კევრის მოხმარება ისევე თავისთავად გულისხმობს (ამ მაგალითის მიხედვით) ქალის მონაწილეობას მიწათმოქმედებაში საერთოდ და ლეწვაში, კერძოდ, როგორც № 119 (მამაკაცის) სამარხში აღმოჩენილი რკინის ნამგლის მოხმარება — მამაკაცის მონაწილეობას მკაში. საკითხს თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ შეიძ-

ლება ვივარაუდოთ, რომ სათესი ფართობის მომზადება და ხვნა-თესვა უფრო მამაკაცის საქმე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ დროისათვის ჯერ კიდევ ივარაუდება ახოების გაჭრაზე დაფუძნებული სისტემა მიწათმოქმედებისა, რომელიც უფრო მძიმე შრომას მოითხოვდა, ვიდრე ქალის შრომაა. ამ უკანასკნელის გამოყენება კი უფრო რაციონალური იქნებოდა მოსავლის აღება-შენახვაში და მის მოვლა-პატრონობაში.

ჩვენ ქვემოთ ვიტყვით, მაგრამ აქაც აღვნიშნავთ წინასწარულად, რომ სამთავროს მასალების მიხედვით დედაკაცები (რამდენადაც მათთან იარაღ-საჭურველს არ ვხვდებით) სრულიად გამოთიშული ჩანან აქტიური მონაწილეობისაგან სამხედრო საქმიანობაში, რომელიც ამ დროიდან განუყოფლად მამაკაცების მოვალეობას შეადგენდა.

ამგვარად, მოტანილი მაგალითები თითქოს აუცილებლად ამტკიცებენ, რომ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებისათვის მოსახლეობაში, ერთი მხრივ, პატრიარქალურ ოჯახს თავისი განვითარების უმაღლესი წერტილისათვის მიუღწევია, ხოლო, მეორე მხრივ, სრულიად დასრულებულია ამ ოჯახთა საგარეო საქმიანობიდან დედაკაცთა გამოთიშვის პროცესი და ეს უკანასკნელნი, შექმნილი ვითარების შედეგად, უმეტესად შინა, ოჯახურ საქმიანობაში ჩაკეტილან.

ამის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ორმოსამარხთა და თვით სამარხეული ინვენტარის ზოგად დახასიათებაზე.

სამთავროს სამაროვნის სამარხეული კომპლექსები

1. შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. ძვ. წ. XVII—XVI საუკუნეების სამარხეული კომპლექსები

სამარხი № 243 (1940, s; სურ. 1—2).

როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ გორასამარხის ზვინულში გვიანანტიკური ხანის 5 კრამიტსამარხი (№№ 223, 224, 240, 241, 242) იყო ჩაშვებული. ამათი ალაგების შემდეგ 167—168 და მათ მეზობელ კვადრატებში აღმოჩნდა რიყის ქვისგან შედგენილი კრომლეხი, რომლის დიამეტრი 10 მ უდრიდა. კრომლეხით შემოსაზღვრული მთელი ფართობი დიდ-პატარა რიყის ქვებით იყო მოფენილი. ქვაფენილი პერიფერიებზე თხელი იყო, ცენტრში თანდათანობით სქელდებოდა. კრომლეხის ცენტრში აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო ისეთივე რიყის ქვითა და მიწით ამოვსებული. ორმოს ფართობი 1,50 მ² უდრიდა, სიღრმე 2,50 მ; მისი ძირი ზედაპირიდან 2,50 მ სიღრმეზე იმყოფებოდა. მაგრამ თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებმა და ცხოველთა ძვლებმა ჯერ კიდევ 3,30 მ სიღრმეზე იჩინა თავი. პირველად გამოჩნდა ბრინჯაოს გრძელი მახვილი, შემდეგ და შემდეგ კი სხვა ნივთებიც: ბრინჯაოს პაწია სატევარი, გიშრის, სარდიონის, კვარცისა და ოქროს ფუყე მძივები და რამდენიმე უმორგვოდ ნაძერწი მქისე თიხის სქელკეციანი ჭურჭელი. საერთოდ ფრიად ორიგინალური ინვენტარი იყო (განსაკუთრებით რაპირისებრი გრძელი საძგერებელი მახვილი). სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, საკეცხლურთან, აღმოჩნდა ცხვრის მთელი ჩონჩხი, ცენტრში კი ხარის ფეხისა და ნეკნის ძვლები იყო. მთელ ფართობზე შეინიშნებოდა ხის ნახშირის ნამცეცებისა და ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევების სიმრავლე.

1. (12—54:11715; სურ. 4). დ ე რ გ ი (ქვევრისებრი) ჭარსნარევი მქისე თიხისა; შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი, ზედაპირნაპრიალები; მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელმომაღლო, კვერცხისებრტანიანი, პირბრტყელი. ყელის ძირში ღარი არტყია. პირის და ყელის ნაწილი აკლია. უმორგვოდ ნაძერწია. სიმაღლე 50,5; დმ ყელის 45,0; მუცლის 40,0 სმ, ძირისა 18; სისქე 1,1 სმ.

2. (12—54:12162; სურ. 5). დ ე რ გ ი ქარსნარევი მქისე თიხისა; შავ-პრიალა ზედაპირიანი (რამდენადმე გადასულია); მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი და ქობიანი ფართო, მომაღლო ყელი აქვს; გოფრირებული (სამ ღარს შორის ორი რელიეფური ქედია), მკვეთრწიბოიანი; კვერცხისებრტანიანი, ბრტყელძირა ჭურჭელია; უმორგვოდ ნაძერწი. სიმაღლე ჭურჭლის 41,0; ყელის 7,5; დმ პირის 17,9; მუცლის 34,2; ძირის 16,5 სმ.

3. (12—54:11712; სურ. 3). ქ ი ლ ა ლეგად, ალაგ-ალაგ ღია მოვარდისფროდ გამომწვარი, ქარსნარევი, მქისე თიხისა; უმორგვოდ ნაძერწი; მომაღლო, პირფართო და გადმოშლილი. თითქმის სწორადკვეცილი ბაკო აქვს; კვერცხისებრტანიანი და ძირბრტყელი ჭურჭელია; მუცელზე, საპირისპირო მხარეზე, თითო მოგრძო პაწია შვერილი აქვს მიძერწილი ვერტიკალურად. სიმაღლე ჭურჭლის 22,0; დმ ძირის 18,0; მუცლის 19,2; სისქე 0,6; ბაკოსი 0,7 სმ.

4. (12—54:11714). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი ჩალისფრად გამომწვარი, ქარსნარევი მქისე თიხის ჭურჭლისა, რომელიც ბრტყელძირა ყოფილა; სქელკეციანი, უმორგვოდ ნაძერწი.

5. (12—54:11713). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი თიხის ჭურჭლისა, რომელსაც შავად გაპრიალებული ზედაპირი და ვარდისფერი სარჩული ჰქონია. თიხა არამყარი კონსინსტენციისა ყოფილა, არათანასწორად გამომწვარი; თითქმის სწორადკვეცილი პირი ჰქონია. ყელი არ ყოფილა გამოყოფილი. სისქე 1,0 სმ; უმორგვოდ ნაძერწია.

6. (12—54:11716; სურ. 6). მ ა ხ ვ ი ლ ი ბრინჯაოსი; რაპირისებრი, გრძელი; ვიწრო; მაღალი და მჭრელი ქედი წვერამდე გასდევს. განივგვერდებ-ჩაღრმავებული რომბის მოყვანილობა აქვს. ფართო მხრები თითქმის სწორად აქვს განზიდული. ვიწრო, მოგრძო ბრტყელი ყუნწი აქვს ბოლოსთან 0,3 სმ დიამეტრის ნახვრეტით ტარის დასამაგრებლად. პირი ძალიან მჭრელი და ქედის ნაწიბურიც ერთობ მკვეთრი აქვს. პირი მხრის ნაწილიდანვე მკვეთრად ვიწროვდება. მწვანე კეთილშობილი პატინით არის დაფარული. სიგრძე — 99; სიგანე (მხრებში) 5,6; შუა წელში 2,1; წვერთან 0,8 სმ; სისქე (მხრებთან) 1,9; შუა წელში 1,3; წვერთან 0.3 სმ; ფრთის სიგანე (მხრებთან) 2,2; შუაწელში 0,7; წვერთან 0,2; ყუნწის სიგრძე 5,7; უდ. სიგანე 1,2; უდ. სისქე 0,4 სმ.

7. (12—54:11717; სურ. 7). ს ა ტ ე ვ ა რ ი ბრინჯაოსი; ძირითადად სამკუთხა მოყვანილობისა, მხრებდაქანებული; სწორკუთხა, ბრტყელყუნწიანი, რომელსაც ბოლოში 0,3 სმ დიამეტრის ნახვრეტი აქვს ტანის დასამაგრებლად. ორპირლესილია, ფხიანი; ქედი თითქმის არ ეტყობა. დაფარულია მწვანე პატინით. სიგრძე 9,9; სიგანე მხრებში 3,1; ყუნწის სიგრძე 2,6; სიგანე 2,0; უდ. სისქე — 0,3 სმ.

8. (12—54:11718; სურ. 8). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა; 3 ცალი. ამათგან

ორი მოვარდისფრო-წითელი, პატარა, მრგვალ-ბრტყელი, ორთავ მხარიდან გახვრეტილი. ერთ-ერთის დმ. 0,7: სისქე 0,2 სმ; ერთიც მოზრდილი, თაფლისფერი, მრგვალი. ორგან დამრეცად ჩათლილი და გაბრტყელებულ ნაწილში ორთავ მხრიდან გახვრეტილი. უდ. დმ 1,7 სმ.

9. (12—54:11719; სურ. 9). მ ძ ი ვ ი გიშრისა, მომრგვალებული, დამტვრეული.

10. (12—54:11720; სურ. 10). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო, რძისფერი კვარცისა; 2 ცალი. მათგან ერთი ოვალურ-ბრტყელი, უხეშად ნაკეთები, მეორე მომრგვალო, ერთგან ჩამოტეხილი, მოდიდო. დმ 1,3 სმ.

11. (12—54:11721; სურ. 11). მ ძ ი ვ ე ბ ი ოქროს სიფრიფანა ფირფიტისა; მრგვალი, ფუყე; 3 ცალი უფრო სწორად, მძივების მცირე ფრაგმენტებია (ამჟამად პლასტელინის ბურთულებზე გარშემოკრული). ერთ-ერთი მძივის ფრაგმენტზე შეინიშნება მკრთალად ნაკაწრი წყვილი ღარის სარტყელი, რომელზედაც აქედან და იქიდან ეყრდნობა წვრილადვე ნაკაწრი ღარებისგან შედგენილი სამკუთხედები. ერთ-ერთი ნიმუშის სიმაღლე 1,4; დმ. 1,5 სმ.

გორასამარხი 159 (1940, N, სურ. 12). აღმოჩნდა VII ფართობზე. ზედაპირიდან 2,60 მ სიღრმეზე. იგი შედგებოდა რიყის ქვის წვრილი ყრილისა და მის ცენტრში მოთავსებული, ამჟამად დაშლილი, ქვასამარხისაგან. რაც შეეხება მიწის ზვინულს, რომელიც ქვაყრილს ზემოდან ფარავდა, დროთა განმავლობაში ერთნაირად გადარეცხილი იყო ისე, რომ გათხრის მომენტში გორასამარხისათვის ბორცვისებრი შემაღლების მსგავსი რამ აღარ შეინიშნებოდა. ყრილს მეტნაკლებად წესიერი წრის ფორმა ჰქონდა. წრის დიამეტრი 5,50—6,00 მეტრს უდრიდა. მისი შექმნილი წყობის სიფართე 1,00—1,50 მ, ხოლო სისქე — 0,20—0,25 მ აღწევდა. რელიეფის შესაბამისად იგი დასავლეთისაკენ თანდათან მაღლდებოდა. ცენტრში მოთავსებული ქვასამარხი შედგებოდა მჭადა ქვიშაქვის ფართო ფილებისაგან, რომლებიც ერთიმეორეს გადაუბმელად, მექანიკურად, უკავშირდებოდნენ; მათგან ერთ-ერთი (აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე) კედელი ადრე დამტვრეულ-დაფხვნილიყო. კედლის ქვებს ალაგ-ალაგ სხვა კირქვის ნატეხები და რიყის ქვები ჰქონდა შემოწყობილი სიმაგრის გულისთვის. არ იყო შემორჩენილი გადამხურავი ფილაქვაც. ალაგ-ალაგ შემორჩენილი რიყის ქვები აქ ზვინულის გადარეცხვის შემდეგ დარჩენილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოყვანილობით ქვასამარხი კვადრატს უახლოვდებოდა (1,10×1,05 მ); ფილაქვის სისქე საშ. 0,08 მ. მიმართული იყო N00—SWW. სამარხი სრულიად უძრავი მოყვითალო თიხნარით იყო სავსე. მიწაში გამოირჩა მხოლოდ ადამიანის ბარძაყის თუ წვივის ძვლის ნატეხი, ურეტუშო კაჟის მცირე ლამელა და ღიამოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის სამი მცირე ფრაგმენტი. აშკარაა, რომ იგი გაძარცული იყო.

უფრო გვიან ხანაში, გორასამარხის ზვინულში სხვა სამარხი ჩაუშვიათ (იხ. 158-ე სამარხის აღწერილობა).

12. (12—54: 4565). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი აგურისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა; გვერდის მცირე ფრაგმენტებია, რის გამოც ჭურჭლის მოყვანილობის წარმოდგენა ჭირს. უდიდესი ზომებია: 3,6×2,2×1,10 სმ. სამი ცალია.

13. (12—54:4566). ა ნ ა ტ კ ე ც ი თაფლისფერი კაჟისა; სამკუთხედის მოყვანილობისა, ორფერდა ზურგიანი. მუცლის მხარეზე კარგად ეტყობა ნიჟარისებრი ამონატკეცი. დარტყმის მოედანი თითქოს შესწორებული აქვს. ურეტუშოა. ნაპირზე თითქოს ხმარების კვალი ეტყობა. 3,5×2,4+0,7 სმ.

კ ე ნ ო ტ ა ფ ი 1 აღმოჩნდა 1946 წელს სამხრეთ უბანზე 1 საკდელ თხრილში, მიწის ზედაპირიდან 0,3 მეტრის სიღრმეზე. წარმოადგენს ჭურჭელთა გროვას, რომელსაც ეპირა მოედანი 0,85 (O—W)×0,60 (N—S), მეტრზე. ადამიანის ჩონჩხის ნაშთი ჭურჭელთა ამ გროვასთან არ ყოფილა, გარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რამდენიმე ძვლისა, რაც ქვემოთ აღწერილ სვასტიკიან თიხის ჭურჭელში ეყარა*.

14. (12—54:6627); სურ. 13). ქ ი ლ ა შავ-ლეგად, არათანაბრად გამომწვარი მქისე თიხისა, უმორგვოდ უხეშად ნაძერწი; მაღალი, სქელკეციანი, პირფართო, ოდნავ პირგადმოშლილი, მხრებგანიერი, მუცელჩავიწროებული, ბრტყელფართო ძირით; შიდაპირი თითქოს უფრო ღიაფრად არის გამომწვარი. პირს ქვემოთ მხარზე ოთხგან გონგით (წვეტიანი ჯოხით) ამოკაწრულია სვასტიკის ნიშანი, რომელთაგან ორ მეზობელ სვასტიკას ფრჩხილისებური ორნამენტი, ხოლო ერთს წყვილი ჯვრის გამოსახულება ახლავს. ფრიად უხეშზედაპირიანია. სიმაღლე 32,0; დმ პირის 21,0; უდ. დმ (სიგანე მხრებში) 31,0; ძირის 13,0 სმ.

15. (12—54:6628). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი .ქილა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; თხელკეციანი, ნაპრიალები, მაღალი, ოდნავპირგადმოშლილი, ყელდაბალი, მუცელგანიერი, კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი აქვს. ძირვიწრო მხარზე ერთი ტალღური და სამი კონცენტრული ღარი გადასდევს. აქვს დაბალი და ვიწრო სასულე მილი. სიმაღლე 34,5; დმ პირს 13,5; მუცლის 33,0; ძირი არ იზომება.

16. (12—54:6631; 14). ქ ო თ ა ნ ი ლეგა-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა (ღალი ფერიც ეთქმის); ზედაპირხაოიანი; პირქობიანი, რამდენადმე შიგნით ჩაღრმავებული (ალბათ სახურავის მოსარგებად). ყელდაბალი, მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული. მხარს კონცენტრული ღარები და ფრჩხილისე-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: შბ. დასასრული (შუაბრინჯაოს დასასრული.—რედ.)

ბური ორმანენტი ამკობს. ღართა შორის ალაგ-ალაგ ირიბი მკრთალი ჭდეებია. ქვედა მუცელიც (ძირთან ახლოს) სამი კონცენტრული ღარითა და ხშირი ნაკაწრი ხაზებით აქვს დაფარული. ძირის წიბო დაკეპნილია, ხოლო ზედაპირზე სპირალური ღარია. კახურია, შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოში გარდამავალი ხანისა. სიმაღლე 18,0; დმ პირის 12,7; მუცლის 22,0; ძირის 6,7 სმ.

17. (12—54:6632; სურ. 15). ქ ი ლ ა ზემოაღწერილის მსგავსი, უფრო მომცრო, პირმოტეხილი; მხარზე ცხრა კონცენტრული ღარი არტყია. ქვედა მუცელი შებოლილია. დმ. მუცლის 31,0; ძირის 9,0 სმ.

18. (12—54:6630). კ ო ჭ ო ბ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, თხელკეციანი; ოდნავ პირგადაშლილი ჭურჭელი ყოფილა.

19. (12—54:6629; სურ. 16). ჯ ა მ ი შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა, ზედაპირხაოიანი), ღრმა, რამდენადმე ძირდაჩვრეტილია. საწურავის დანიშნულების ჭურჭელი ყოფილა; პირ-გვერდი ჩამოტეხილი. სიმაღლე შემონახული ნაწილისა 8,5; დმ პირის 16,9; უდ. მხრებში 17,0 სმ.

ორმოსამარხი 156 (1939, S; სურ. 17—25).

აღმოჩნდა 127-ე კვადრატში, 151-ე სამარხის გვერდით. იგი გამოყოფილი იყო 157-ე სამარხისგან სიმაღლეზე ჩადგმული ქვიშაქვის ფილაქვით. სამარხის თავზე რიყის ქვის გროვა იდო. მიცვალებულის პოზა არ იყო მთლად ცხადი. თითქოს იგი იჯდა, მუხლები ნიკაპთან უნდა ჰქონოდა მიტანილი. სამარხის სახურავის ჩაქცევის შემდეგ ქვედა კიდურები მარჯვნივ დაქანებულან, ხოლო თავის ქალა ძირს ჩავარდნილა. მალებისა და ნეკნების ცუდად დაცულობის გამო ტანის მდებარეობის გარკვევა ვერ მოხერხდა, თუმცა ხერხემალი გაუხრელად იდო. ჩონჩხის დასავლეთით ცხვრის ძლიერ გახრწნილი ჩონჩხი იდო. სამარხში შავლეგა თიხის ოთხი ჭურჭელი, ობსიდიანის ნატეხები და ნახშირის ნამცეცები აღმოჩნდა*.

20. (12—54:10226; სურ. 18, 19). ქ ი ლ ა (ქოთანიც ეთქმის) რუხ-ლეგად, არათანაბრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირგადმოშლილი, ყელდაბალი, ზომიერად მხრებგადაქანებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა; ყელის ძირში, უფრო მხრის დასაწყისში, ერთმწკრივა წერტილოვანი ორნამენტის სარტყელი შემოსდევს, რომლის ქვეშ ასევე დაწერტილებული 11 სამკუთხა შევრონია წვერით ქვემოთ გამწკრივებული. თიხა სუსტი კონსისტენციისა, ფორიანი, ქვიშის მოშსხო მარცვლებით გამქლეებული. სიმაღლე 17,0; დმ პირის 12,0; მუცლის 20,0; ძირის 9,2 სმ.

21. (12—54:10228; სურ. 20,21). ტ ო ლ ჩ ა (დიდი ჭურჭლიდან სითხის ამოსაღები) მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; სწორად მოჭრილი თხელი

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: შბ დასასრული (შუაბრინჯაოს დასასრული—რედ.).

პირი აქვს, მხრებდაქანებული, ბიკონუსურტანიანი, ბრტყელძირა: ოვალურგასახედიანი, ოვალურგანივკვეთიანი ყური, პირიდან საგრძნობლად ამოზიდული, მეორე ბოლოთი მუცლის წიბოზეა დაძერწილი. კოხტა ნახელავია, სიმაღლე 12,1; დმ პირის 10,3; მუცლის 14,9; ძირის 6,2 სმ.

22. (12—54:10229; სურ. 22, 23). ქ ო თ ა ნ ი რუხფრად გამომწვარი მჭისე თიხისა; სქელკედლიანი; პირვიწრო, ოდნავ პირგადმოშლილი; უმორგვოდ ნაძერწი (საერთოდ ამ სამარხის ყველა ჭურჭელი უმორგვოდ არის გამოძერწილი). მკვეთრად მხრებდაქანებული, რომელიც ასევე მკვეთრად გაფართოებულ, გამოყოფილ მუცელში გადადის (ისე, როგორც ეს ადრინდელ და შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭელს ახასიათებს); სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. სიმაღლე 12,1; დმ პირის 12,1; მუცლის 12,5; ძირის — 8,2 სმ.

23. (12—54:10227; სურ. 24, 25). ჯ ა მ ი (პატარა ბადიაც ეთქმის) რუხლეგად გამომწვარი თიხისა; პირმოყრილი, შიგნით დაქანებული ბაკოთი, მკვეთრად ძირჩავიწროებული და ოდნავ გამოყოფილი ქუსლით დამთავრებული. პირთან ცალი თითის გასაყრელი, მრგვალგასახედიანი, საგრძნობლად შემაღლებული, მრგვალღერა ყურია დასკუპებული (ყურის დიდი ნაწილი ძველადვე მოტეხილა და დაკარგულა). ჭურჭელი კრემისფერ წერნაქში (ანგობში) ყოფილა ამოვლებული, რაც კარგად შემორჩენილა ზედაპირზე და პირის გარშემო; გარედან მჭლე, ფორიან თიხას ქარსიც ურევია. სიმაღლე 10.3; ქუსლის სიმაღლე 0,6 სმ; დმ პირის 17,7; სიგანე მხრებში 20,5; ძირის 8,5 სმ.

სამარხი, როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანას, მის მიწურულს მაინც, ეკუთვნის.

II. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები

გვიანბრინჯაო I. ძვ. წ. XV—XIII საუკუნეების სამარხეული კომპლექსები.

ორმოსამარხი 198 (1040, ს; სურ. 26—33).

აღმოჩენილი იყო 149-ე კვადრატში, მიწის ზედაპირიდან 0,75 მ სიღრმეზე. ჩონჩხი ძალიან დაზიანებული იყო. ქვედა კიდურები სრულიად არ შემონახულიყო, წვივის ძვლიდან ერთი მცირე ნატეხი, მარცხენა მკლავისაგან კი მხოლოდ მხრის ძვალი იყო ადგილზე; ასეთივე ძვლის ფრაგმენტი შემორჩენილიყო მარჯვენისაგანაც. ამ ნიშნების მიხედვით, მ. ივაშჩენკო ვარაუდობს, რომ ჩონჩხი ზურგზე გაშოტილი უნდა

ყოფილიყო, ხელებჩაშვებული და თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი. თავთან მიცვალებულს შავად გამომწვარი თიხის ორყურიანი ქილა და ხელით ნაძერწი პატარა ჯამი ჰქონდა. ზემოხსენებულ ქილაში პატარა კოჭობი აღმოჩნდა, რომელშიც თავის მხრივ იდო ორსაგდულიანი ნიყარა; გულზე ედო ბრინჯაოს მოკლე, უტარო სატევრისპირი, რომელიც არქაულ იერს ატარებს და შემადგენლობითაც თითქოს სულერთიანად სპილენძისაა. გარდა ამისა, ჩონჩხის ჩრდილო მხარეზე რომელიღაც ცხოველის ძვლები ეწყო*.

24 (12—54:11564; სურ. 27). ქ ი ლ ა რუხფერად გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი, პირფართო, სწორადკვეთილი ბაკოთი, რომელიც გადმოშლილია; მხრებგანიერი (კვერცხისებრმუცლიანიც ეთქმის), ორყურა (ზონრი-სათვის). ბრტყელგანივკვეთიანი და თითქმის მრგვალგასახედიანი კიდეები და დაკეჭნილია ირიბი ჭდეებით. ასეთივე ჭდეებია ჭურჭლის მხარეზეც, რაც გრეხილის შთაბეჭდილებას ქმნის. მთელი ზედაპირი წვრილი კონცენტრული ხაზებით არის დაფარული. ძირის სიბრტყეზე (და არა წიბოზე) შემორიგებულია მოკლე ხაზები. სიმაღლე 23,5; დმ პირის 21,3; მუცლის 27,0; ძირის 11,5 სმ.

25. (12—54:11565; სურ. 28). ქ ი ლ ა რუხფრად გამომწვარი თიხისა; დაბალი, პირფართო, ოდნავ გადმოწეულქობიანი, სფერულმუცლიანი, მხარზე ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყელია, რომლის ქვემოთ, თითქმის ძირამდე, მთელი ზედაპირი დაფარულია წვრილი კონცენტრული ხაზებით, ხოლო სამგან ორი ღარითა და მათ შორის მოთავსებული ირიბად ნაკაწრი ხაზებით. ძირის წიბოზე შემორიგებულია ხშირი სწორი (და არა ირიბი) ჭდეხაზები. სიმაღლე 13,4: დმ პირის 14,4; მუცლის 19,0; ძირის 9,5 სმ.

26. (12—54:11566; სურ. 29). კ ო ჭ ო ბ ა ნ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა, თხელკედლიანი, პირფართო და მოყრილი, მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული. თასსა ჰგავს, პირმოყრილი რომ არ იყოს. პირ-გვერდის ნაწილი აკლია. სიმაღლე 4,4; დმ პირის 6,4; ძირის 4,2; მხრებში 8,4 სმ.

27 (12—54:11567). ქ ი ლ ი ს ფრაგმენტები (შეკოწიწებული) — სქელკედლიანი, მქისე თიხის ჭურჭელი ყოფილა. უმორგვოდ, ხელით ნაძერწი; თითქმის სწორბაკოიანი პირი ოდნავ გადმოწეულია და მცირედ გამოყოფილი ყელი უშუალოდ მხრებში გადადის. სქელი დამდგარი ძირი ჰქონია. ჭურჭელი გარედან ღია (ლეგა თუ მოყავისფროა), შიგნით კი შავია, ე. ი. სრულად არ არის გამომწვარი. არქაულია. კეცის სისქე 1,0 სმ; ძირთან 1,3 სმ.

28 (12—54:11568; სურ. 30, 31). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე პირი ფოთლისებრია, შუაზე თავგადალესილი ქედით; პაწია ყუნწი თავმომრგვალებულია, რამდენადმე ასიმეტრიულად გახვრეტილი. მხრები საგრძ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ 1, XV—XIV (გვიანბრინჯაო 1, ძვ. XV—XIV სს. — რედ.).

ნობლად დაქანებული აქვს. შემადგენლობით თითქმის სულ სპილენძია. სიგრძე 13,2; სიგანე მხრებში 3,2; ქედის სისქე 0,4; ყუნწის 2,0; დმ ნახვრეტის 0,4 სმ.

29 (12—54:11569; სურ. 32). ს ა გ დ უ ლ ი ცალი ნიჟარისა, სადაფისებრ ბრჭყვიალა. სიმაღლე 2,1; სიგანე 4,9; სიღრმე 0,4 სმ.

30 (12—54:11570; სურ. 33). კ ო ჭ ი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა. დაუმუშავებელი. 7,1×4,8×3,9 სმ.

როგორც ლითონის იარაღი, ასევე თიხის ჭურჭელი უნდა ეკუთვნოდეს შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ხანას (ძვ. წ. XV ს.).

ორმოსამარხი 183 (1940, N; სურ. 34—44). აღმოჩნდა VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, 3,30 მ სიღრმეზე. სამარხის მოედანი 1,25×0,60 მ უდრიდა. დაახლოებით 13—14 წლის ჭაბუკის ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ფეხები ბლაგვი კუთხით ჰქონია მოხრილი. ხელები სახის წინ ჰქონია მიტანილი, მაგრამ, ალბათ, სამარხის სახურავის ჩაქცევის გამო ძვლები რამდენადმე გადაადგილებული იყო. მარჯვენა ტერფთან შავი თიხის დერგი იდგა; თავს უკან ჯამი იყო, რომელშიც პაწია კოჭობი იყო ჩადგმული გვერდელად. მუცლის არეში ბრინჯაოს მოკლე უტარო სატევარი იყო, ზურგს უკან ბრინჯაოს საკინძი იდო. გარდა ამისა, სამარხში იყო რამდენიმე პასტის მძივი და ოქსიდინის 3 ნატეხი*.

31 (12—54:4913; სურ. 35, 39). ქ ი ლ ა თუ დ ე რ გ ი მუქნაცრისფრად, ნაწილობრივ შავად გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები, დიდი მომრგვალებული ბაკოიანი, ყელმომაღლო, მხრებგანიერი, ზოგადად კვერცხისებრ-მუცლიანი, ორყურა; ყელის ძირში ერთი ტალღისებრი ამოკაწრული ხაზი და სამი ღარია კონცენტრირებული, ხოლო მხარზე, ყურთა ზემოთ, ორი ღრმა კონცენტრული ღარი უვლის. სიმაღლე 30,5; დმ პირის 11,1; მუცლის 27,0; ძირის 9,5 სმ.

32 (12—54:4914; სურ. 38). ჯ ა მ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, მომაღლო, ღრმა, პირმოვიწროებული (პირმოყრილს უახლოვდება); ზედაპირნაპრიალები. გარედან, პირთან ახლოს — ორი, წიბოზე ერთი და კალთაზე ისევ ორი ღარი არტყია. გარდა ამისა, კალთები რადიალური ნაპრიალები ზოლებით აქვს დაფარული. სიმაღლე 8,5; დმ პირის 15,2; მუცლის 17,5; ძირის 7,9 სმ.

33 (12—54:4915; სურ. 36, 37). კ ო ჭ ო ბ ი ლეგა, მოშავოდ გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელგამოყვანილი, მუცელგანიერი, ვიწროჭუსლიანი. მხარზე და ძირის წიბოზე ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყე-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ 1, XIV (გვიანბრინჯაო 1, ძვ. წ. XIV ს. — რედ.).

ლი გადასდევს. ზედაპირიც წვრილი და ხშირი ხაზებით აქვს დაფარული. კახური ტიპის ჭურჭელია. სიმაღლე 11,3; დმ პირის 9,5; მუცლის 12,2; ძირის 3,3 სმ.

34 (12—54:4916; სურ. 42). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე, პაწია, ვიწროპირიანი: შუაზე მსხვილქედიანი, რომელიც წვერამდე გასდევს. სატარე ნაწილზე იქით-აქეთ წყვილ-წყვილი ნახვრეტი აქვს ტარსამაგრი მანჭვლისათვის (მათგან ერთიღა შემორჩენილა). ტარის ნაკვალევი ანაბეჭდის სახით კარგად ეტყობა. პირზე თხლად გამოკვერილი და ფხაალესილი ყოფილა: ახლა ალაგ-ალაგ ამოჭრილია. სიგრძე 14,9 სმ უდ. სიგანე (ვადაში) 4,9 სმ; სამანჭვლე ნახვრეტის დმ 0,35 სმ.

35 (12—54:4917; სურ. 40, 41). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი. წარმოადგენს თავისაკენ საკმაოდ გამსხვილებულ ღერძს, რომელიც შემდეგ ოვალურად არის გაბრტყელებული, შემდეგ ისევ შევიწროებულია ბრტყელი ფირფიტის სახით, რომელიც ერთ მხარეზე გადმოხვეულია, ე. ი. ძირითადად თავხვია საკინძია, მაგრამ ამ ოვალურად გაბრტყელებული ნაწილით. იგი უნიკალურია. სიგრძე 13,3 სმ; ოვალის სიგრძე-სიგანე 2,7×1,6 სმ; უდ. სიგრძე 0,6 სმ.

36 (12—54:4918; სურ. 43). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო პასტისა. წვრილი, დაბალცილინდრული მოყვანილობისა. 4 ცალი.

37 (12—54:4919). ა ნ ა მ ტ ვ რ ე ვ ი ობსიდიანისა. ამორფულია; ზურგის ნაწილი ქერქით არის დაფარული. წვერთან, მუცლის მხარეზე, ერთობ მკრთალი რეტუშის ან გამოყენების კვალი უჩანს, სიგრძე 4,5; სიგანე 2,5; სისქე 1,8 სმ.

38 (12—54:4920; სურ. 44). ა ნ ა ტ კ ე ც ი ობსიდიანის, სამკუთხედის მოყვანილობისა; ზურგის მხარეზე ქერქგამოყოფილი. ერთი შეთხელებული ნაპირი მცირედ დაკბილულია, შესაძლოა, ხმარების გამო. სიგრძე 3,3; სისქე 0,7 სმ.

39 (12—54:4921). ა ნ ა ტ კ ე ც ი გამქვირვალე ობსიდიანისა, თხელი ქერცლისებრი. სიგრძე 1,7; სიგანე 1,2 სმ.

ორმოსამარხი 92 (1939, s; სურ. 45—48). აღმოჩნდა 75-ე კვადრატში, მოიკავდა 1,05×0,80 მ ფართობს. დასავლეთისა და ნაწილობრივ სამხრეთის მხარეზე შემორჩენილი რიყის ქვები მოწმობს, რომ სამარხი ასეთი ქვების წრიული წყობით ყოფილა შემორაგული. დაახლ. 3—4 წლის ბავშვის ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით მიქცეული, ფეხებმოხრილი, თავი მარცხნივ გადაგორებულიყო. ძვლები დახავსებული იყო, ხელების განლაგება არ გაირკვეოდა. თავს უკან ორი დამტვრეული ჭურჭელი იდო*.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ 1, XIV (გვიანბრინჯაო 1, ძვ. წ. XIV ს. — რედ.)

40 (12—54:10018; სურ. 46, 47). ძ ა ბ რ ი ს ე ბ რ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი შავლეგად გამომწვარი მქისე თიხისა, პირმოყრილი, თითქოს ბიკონუსურტანიანი, ძირი ძაბრისებრ ჩავიწროებული აქვს. იქნებ ძირი გახსნილი ჰქონდა ძაბრისებრ, მაგრამ ახლა თაბაშირით არის შევსებული და ამის გადაჭრით თქმა არ შეიძლება. ოდნავ გამოყოფილი პირი აქვს. ორყურა ყოფილა, როშელთაგან ერთია შემორჩენილი. იგი სეგმენტისებრ განივკვეთიანია, პირიდან არის მაღლა ამოზნექილი, შემდეგ გაბრტყელებული, შუაში გრძელ-ოვალურად გაჭრილი და ბიკონუსის წიბოზე დაყრდნობით დაძერწილი. მეორე ყური დაკარგულა და აღდგენის დროს ალარ გაუთვალისწინებიათ. ვერ იდგმის. თუ ძაბრი არა, იქნებ ჩამოსაკიდებელი ჭურჭელი იყო, დეკორატიული? საკულტო საჭრაქე? სიმაღლე 9,5; დმ პირის 11,5; მუცლის 15,0 სმ.

41 (12—54:10017: სურ. 48). პირგვერდის დიდი ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, მქისე, არათანაბრად გამომწვარი, უმორგვოდ ნაძერწი თიხის კ ა თ ხ ი ს ა, რომელსაც შემორჩენია დიდი ბრტყელი ყური; ხაოიანი ზედაპირი აქვს. თიხის ცომში გარეული ნამკეცები შესაძლოა ოქსიდინი იყოს. სისქე 0,9 სმ.

ორმოსამარხი 62 (1938, s; სურ. 49).

ალმოჩნდა 33-ე თხრილში, 62-ე სამარხის საუხრეთ-დასავლეთით 1 მ. იგი წარმოადგენდა ცალკეული თხელი. მჭადა ფილაქვებისგან ნაგებ მოკლე ყუთისმაგვარ ნაგებობას, ასეთივე ფილაქვით გადახურულს. სახურავზე, გარდა ამისა, რიყის ქვაფენილის ნაშთი იყო შემორჩენილი. ამ ნაშთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ალმოჩნდა ერთიანად დაშლილი თავის ქალა ადამიანისა. გადამხურავი ფილაქვისა და რიყის ქვების ალაგების შემდეგ სამარხში თიხის სამი ჭურჭელი, ობსიდიანის ანატკეცები და ბრინჯაოს თხელი ისრიპირი ალმოჩნდა*.

მ. ივაშჩენკო წერდა, რომ ამ სამარხის ბოლომდე გათხრა მან ვერ მოასწრო.

42 (12—54:8934; სურ. 50, 51). ქ ი ლ ა რუხნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პრიალაზედაპირიანი; პირფართო, პირგადმოშლილი, ყელგამოყოფილი, მხრებდაქანებული, განიერმუცლიანი (კვერცხისებრმუცლიანი ეთქმის), ოდნავ ძირგამოყოფილი. ყელის ძირსა და მუცელს სამ-სამი ღარი უვლის გარშემო. სიმაღლე 23,7; ყელის 3,7; დმ პირის 17,3; მუცლის 26,3; ძირის 9,7 სმ.

43 (12—54:8935; სურ. 52, 53). ქ ი ლ ა რუხნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; მომაღლოყელიანი, მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული (კვერცხისებრმუცლიანიც ეთქმის). ყელის ძირსა და მხარს სამ-სამი ღარი უვლის გარშემო. ესა და წინანდელი ჭურჭელი ერთი და იმავე

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV ს. — რედ.).

ოსტატის ერთდროულ ნახელავს ჰგავს. სიმაღლე ჭურჭლის 25,0; ყელის 2,9; დმ პირის 13,6; მუცლის 26,1; ძირის 9,7 სმ.

44 (12—54:8936; სურ. 54,55). ქ ო თ ა ნ ი რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა, მქისე, ხაოიანზედაპირიანი, ტლანქი, უმორგვოდ ნაძერწი; პირფართო, ბიკონუსურმუცლიანი. მხარ-მუცელზე სამ მწკრივად შემოსდევს ტლანქად დატანილი მოგრძო-ირიბი ჭდეები. დაჭდეულია ძირის წიბოც. სიმაღლე 12,5; დმ პირის 11,3; მუცლის 15,4: ძირის 9,7 სმ.

45 (12—54:8937; სურ. 56). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი, ნესტარისებრი, ქუსლამოღარულ სამკუთხედსაც მიაგავს; შუაში გაჩვრეტილი ზროში დასამაგრებლად. მეორე ნახვრეტი ლითონის კოროზიის შედეგი უნდა იყოს.

46 (12—54: 8938; სურ. 57). ა ნ ა ტ კ ე ც-ა ნ ა მ ტ ვ რ ე ვ ი, შავი გამჭვირვალე, ზოგი ბოლოვანი ობსიდიანისა, ერთიც ბაზალტისა. ობსიადიანის ორი ანატკეცი საფხეკის ნამზადს მოგვაგონებს. უდიდესი ნიმუშის 6,3×3,3×1,6 სმ; უმცირესის 1,8×1,1××1,4 სმ.

ორმოსამარხი 62 (1938, s).

აღმოჩენილი იყო 33-ე თხრილში. ქვებით გარს შემოწყობილი ჩონჩხი და ინვენტარი დაფარული და დიდად დაზიანებული იყო რიყის ქვაფენილით. საშუალო სიმაღლის ადამიანის ჩონჩხი ესვენა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიქცეული, საკმაოდ მკვეთრად მოხრილი ხელ-ფეხით. ხელები სახის წინ ეწყო. მიცვალებულს თავსა და ფეხებთან წყვილ-წყვილი შავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ელაგა. მარჯვენა მაჯის არეში სარდიონის წვრილი მძივები იყო, რომლებიც, როგორც ეტყობოდა, სამაჯურად იყო ასხმული*.

47 (12—54:8928; სურ. 58). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა. დიდი, პირგადაშლილი, თითქმის უყელო ეთქმის; მხრებდაქანებული, მუცელგანიერი, ძირვიწრო. მხრის დასაწყისში ოთხი მკრთალი, ვიწრო ხოლო დასასრულს წყვილი ფართო ღარი არტყია. ღართა შორის ზედაპირი სოლური ჭდეებით არის შემკული, რაც 11 სამკუთხედის სახით არის წარმოდგენილი. თითო წაგრძელებული სამკუთხედი შედგება უმრავლეს შემთხვევაში ჭდეების 5 მწკრივისაგან, რომლებიც განლაგებულია სქემით (ქვემოდან ზევით): 5—4 3—2—1. სიმაღლე 26,3; დმ. პირის 13,0; მუცლის 33,1; ძირის 9,3 სმ.

48 (12—54:8929). ქ ი ლ ი ს ფრაგმენტები. შავლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი ყოფილა, რომელსაც ყელის ძირში ფრჩხილისებრი ჭდეები არტყია. მისი ქვემოთა მხარი ხშირი ღარებით არის დასერილი, ხოლო ამის ქვემოთ რელიეფური ტალღოვანი ხაზია გამოყვანილი. ძირის წიბოს ირგვლივ ჭდეებია. კახური ჭურჭელია. ადრეული.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV (გვიანბრინჯაო 1, ძვ. წ. XIV ს. — რედ.).

49 (12—54:8930). ქ ი ლ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი, შავლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი ყოფილა. წინამავლის მსგავსი, ოღონდ ამას მხარზე წყვილი თოკისებრი ბექი გადასდევს; მათ შორის ფრჩხილისებრი ორნამენტია.

50 (12—54:8931). ფრაგმენტები შავლეგად გამომწვარი თიხის პ ა ნ წ ი ა ჭ უ რ ჭ ლ ი ს ა, რომელიც მხარგანიერი კოჭობი თუ ფიალა უნდა ყოფილიყო.

51 (12—54:8932; სურ. 59). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა, მომრგვალებული 15 ცალი.

52 (12—54:8933). მ ძ ი ვ ი პასტისა, მილაკისებრი, ჭედურზედაპირიანი, 1 ც.

ორმოსამარხი 158 (კენოტაფი, 1939, s; სურ. 60—49).

აღმოჩნდა 116-ე კვადრატში. 21 შავი თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისა (სურ. 61) ერთიმეორის გვერდითა და ერთიმეორის ზემოთ იყო მოთავსებული, როგორც მ. ივაშჩენკო აღნიშნავს, მათგან რვა ცალი იყო მთელი, დანარჩენი კი ფრაგმენტებად წარმოდგენილი. ჭურჭელთა დონეზე ფენაში წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ცალკეული ძვლები ჩნდებოდა. ჭურჭელთა ალაგების შემდეგ (სურ. 62) მათ ძირში 5 ცხვრის ჩონჩხი აღმოჩნდა (აღმოჩენილი თავისქალების რაოდენობის მიხედვით). ცხოველურ ძვალთა შორის გამოირჩა ბრინჯაოს მცირე რგოლაკი და წყვილიც პასტის მძივი. ბევრი იყო ობსიდიანის ანამტვრევები, ცოტა — ხის ნახშირი.

ძვლებისა და ინვენტარის ალაგების შემდეგ არამარტო სამარხის, არამედ მთელი კვადრატის ფართობი იქნა ჩაღრმავებული კიდევ 1,0 მ-ით, მაგრამ ადამიანის ჩონჩხის რაიმე ნასახიც არ აღმოჩენილა, რის გამოც გამთხრელი დაასკვნის, რომ ამ სამარხის სახით კ ე ნ ო ტ ა ფ თ ა ნ გვაქვს საქმე*.

53 (12—54:10299; სურ. 63, 64). დ ე რ გ ი შავლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; დიდი, პირფართო, ქობიანი, ოდნავ ყელგამოყოფილი, მუცელგანიერი, კვერცხისებრტანიანი, ძირჩავიწროებული. მხარ-მუცლის საზღვარზე გარშემო უვლის ორი ღრმა ღარი, რომელთა შორის აქოჩრილი ტალღოვანი ორნამენტია ოთხკბილა სავარცხლით დატანილი. სიმაღლე 34,5; დმ პირის 18,1; მუცლის 31,0; ძირის 12,3 სმ.

54 (12—54:10316; სურ. 65, 66). ქ ი ლ ა (დერგიც ეთქმის) შავად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი, პირმოყრილი, რომელიც სამი ღრმად ჩაჭრილი კონცენტრული ღარით აქვს შემკული; მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული. ჭურჭელს პირთან ერთგან სწორკუთხა ბრტყელი და სქელი საცერული აქვს დაძერწილი, რომელიც წყვილი ფეხით ეყრდნობა მხარს (წყვილის ცალი მოცემულია). საცერულის ძირში წყვილი კონცენტრული ხაზია ამოკაწ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV (გვიანბრინჯაო 1, ძვ. წ. XIV ს. — რედ.).

რული. ამის ქვემოთ, მხარზე, წვრილი ღარისა და მათ შორის სამკბილა სავარცხლით დატანილი, აქოჩრილი ტალღის გამომხატველი ზოლი არტყია. სიმაღლე 26,0; პირის ჭრილის 14,5 სმ; დმ მუცლის 34,0; ძირის 12,1 სმ; სიგრძე-სიგანე 5×4×1 სმ. საცერულით.

55 (12—54:10314; სურ. 67. 68). ქ ი ლ ა მოშავო-მორუხოდ გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; პირმოყრილი, პირი სწორი, ფართო, ჰორიზონტალურია და ზემოდან ოთხი ღრმა კონცენტრული ღარით არის შემკული. ღართა სისტემას ამთავრებს რელიეფური ზოლი, რომლის ზედაპირი ირიბი ხშირი ნაჭდევი ხაზებით არის დასერილი. ჭურჭელი ძალიან მხრებგანიერი და მკვეთრად ძირჩავიწროებულია. მხარზე ოთხი ღრმა ღარი არტყია. სიმაღლე 20,7: დმ პირის ჭრილის 19,7; ძირის 9,5; აღდგენილია. მუცლის ანუ სიგანე მხრებში 36,0; ლოყის სიგანე 5,3 სმ.

56 (12—54:10317; სურ. 69). ქ ი ლ ა შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; პირმოყრილი, მხრებგანიერი, ძირისაკენ ჩავიწროებული. პირი ზემოდან ორ, ოთხ და სამკბილა სავარცხლით დატანილი აქოჩრილი ტალღოვანი სახეებით არის შემკული. მხარზე კი სამი ღარია, რომელთა შორის არეზე ზემოაღნიშნული სახეები არის გამოყვანილი. სიმაღლე 20,7; დმ პირის 18,0; მუცლის 32,0; ძირის 9,7 სმ.

57 (12—54:10301; სურ. 70, 71,). ბ ა დ ი ა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, ღრმა, სწორად პირმოჭრილი. მაღალნაპირიანი ზედაპირი წყვილი ღარითა და თევზიფხური სახეებით არის შემკული. ნაპირზე, გარედან, ექვსგან ოთხ-ოთხი პაწია წრეა (ცენტრში წერტილიანი), რომელთა შორის არე პუნქტირიანი (დაწერტილებული) სწორკუთხედებით არის შევსებული. ეს სახე ძალიან მიაგავს ოთხბორბლიან ტრანსპორტს. ნაპირ-კალთის საზღვარზე ჭურჭელს ფართო ღრმა ღარი არტყია ირგვლივ სიმაღლე ჭურჭლის — 17,5; ნაპირის 4,0; დმ პირის 26,5; უდ. დმ 32,0; ძირის 10,1; პირის სიფართე 1,5 სმ.

58. (12—54:10300; სურ. 72). ბ ა დ ი ა შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; ღრმა, მაღალნაპირიანი, ოდნავ ძირგამოყვანილი — წინამავლის მსგავსი, დამრეცად პირმოკვეთილი, რომელიც შემკულია ოთხკბილა სავარცხლით დატანილი ტალღოვანი ხაზებით. ნაპირზე, პირთან ახლოს, რვა ადგილას, ერთიმეორის პირდაპირ ერთიმეორეშივე ჩაწერილი და შუაში წერტილიანი წრეები მორიგეობს: წყვილი და თითო. ამის ქვემოთ წვრილი ფართო ღარია; მათ შორის არე შევსებულია ორკბილა სავარცხლით დატანილი მკრთალი ტალღოვანი ხაზებით, ხოლო ამათ ქვეშ გავლებული ერთი ტალღოვანი ღარი უფრო ფართო და ღრმაა. სიმაღლე 15,3; დმ პირის 27,7; (მხრებში) — 31,7; ძირის — 11,7.

59 (12—54:10312; სურ. 73). კ ო კ ა მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; დიდი, პირგადმოშლილი, ყელმაღალი (ზომიერად) მხრებდაქანებული, მუხლგანიერი, რომელიც ზომიერად ვიწროვდება და ბრტყელ

ძირში გადადის. ყელის ძირს გარშემო სამწყებად გაწყობილი თევზიფხური ორნამენტის სარტყელი უელის, რომლის ქვეშ კონცენტრული ღარია. ამ ღარს ქვემოდან წვერებით ებჯინება ჭურჭლის მხარეზე ოთხგან სოლური ორნამენტით გამოყვანილი სამკუთხედების ჯგუფი (ჯგუფში 3 სამკუთხედია). სამკუთხედებს ქვემოთ ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული წყვილი ღრმა ღარია, რომელთა შორისი არე ორწყებად განლაგებული თევზიფხურად ნაქდევი ორნამენტით არის შევსებული. სიმაღლე ჭურჭლის 42,5; ყელის 7,0; დმ პირის 13,7; მუცლის 40,0: ძირის 1,3 სმ.

60 (12—54:10305; სურ. 74, 75). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირიანი, პირვიწრო და ქობიანი, ყელდაბალი, მუცელგანიერი, ძირჩავიწროებული; მხარზე დაძერწილია ოთხკუთხა განივკვეთიანი წყვილი ყურა, რომელსაც მრავალი გასახედი აქვს. ყელის ძირში წყვილი ღარია, მხარი კი წვრილი და ხშირი კონცენტრული ღარებით არის დასერილი; მხრის დასასრულს კი სამი ღარია, რომელთა შორის ოთხკბილა სავარცხელით დატანილი აქოჩრილ-ტალღოვანი ხაზების სარტყელი. სიმაღლე ჭურჭლის 26,5; ყელის 3,5; პირის 12,1; მუცლის 30,3; ძირის 9,0 სმ.

61 12—54:10308); სურ. 76, 77). ქ ი ლ ა რუხნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მაღალ ცილინდრული ყელით, პირგადმოშლილი, მუცელგანიერი, ძირჩავიწროებული. ყელის ძირსა და მხარზე თითო ღრმა ღარია, რომელთა შორის არეზე მოთავსებულია ვერტიკალური ღარები 6 ჯგუფად, (ჯგუფში სამია), ღართა ჯგუფებს შორის კი ვერტიკალურად დაშვებული აქოჩრილი ტალღოვანი ხაზებია 3—5 კბილა სავარცხლით თუ ნაფოტით დატანილი. სიმაღლე ჭურჭლის 28,5; ყელის 8,0; დმ პირის 13,2; მუცლის 30,0; ძირის 9,5 სმ.

62 (12—54:10303; სურ. 78, 79). ქ ი ლ ა შავადგამომწვარი თიხისა: ზემოთ აღწერილის ზუსტი ანალოგი, ოღონდ ეს შედარებით მაღალყელიანი და დაბალმუცლიანია. გარდა ამისა, მხარზე მოთავსებული ვერტიკალური ღარები და ტალღოვანი ხაზები აქ 5—5 ჯგუფად არის განლაგებული. ამობურცულძირიანია (სწორად არ იდგმის). სიმაღლე ჭურჭლის 28,5; ყელის 8,5; პირის 12,7; მუცლის 22,0; ძირის 10,0 სმ.

63 (12—54; სურ 80,81). ქ ი ლ ა რუხლეგად გამომწვარი თიხისა; ზემოთ აღწერილთა ზუსტი ანალოგი, ოღონდ ეს შედარებით მაღალი ჩანს. სიმაღლე ჭურჭლის 30,0; ყელის 8,5; დმ პირის 12,1; მუცლის 27,9; ძირის 8,9 სმ.

64 (12—54:10307; სურ. 82, 83). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირიანი; ოდნავ პირგადმოწეული; მაღალი ფართო, ცილინდრული ყელი, დამჯდარი (ელიფსური განივკვეთილი) მუცელი და ჩავიწროებული, ბრტყელი ძირი აქვს. მხარზე 9 ღარი არტყია. სიმაღლე ჭურჭლის 24,5; ყელის 10,0: დმ პირის 12,3; მუცლის 23,5; ძირის 8,0 სმ.

65 (12—54:10304; სურ. 84). ქ ი ლ ა (უყურო ხელადა?) მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ზემოთ აღწერილის მსგავსი, ოღონდ მომცრო,

პირჩამოტეხილი და მხარზე 8 ღარით. სიმაღლე ჭურჭლის 20,0; ყელის 8,1; დმ პირის 9,5; მუცლის 16,0; ძირის 5,3; სმ.

66 (12—54:10313; სურ. 85, 86). ს უ რ ა (?) ყელფართო, უყელო; შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა, წინამავლის მსგავსი, ოღონდ მომცრო და მხარ-ზე 9 კონცენტრული ღარით. სიმაღლე ჭურჭლის 15,5; დმ პირის 8,8; ყელის 6,3; მუცლის 12,2; ძირის 5,7 სმ.

67 (12—54:10302; სურ. 87, 88). ფ ი ა ლ ა შავ-ლეგად გამომწვარი თი-ხისა; პაწია, მხარმაღალი, ღრმა, ვიწროძირიანი; ნაპრიალები ყოფილა, მაგრამ ახლა ზედაპირი დაკენკილ-დაქერცლილია. სიმაღლე ჭურჭლის 5,0; დმ 8,6; ნაპირის (მხრის) 1,9; უდ. (სიგანე მხრებში) 9,0; ძირის 3,5 სმ.

68 (12—54:10315; სურ. 89). ბ ა დ ი ა რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პირფართო, პირის ბაკო სწორად აქვს მოჭრილი და აქოჩრილ-ტალღოვანი სახეებით შემკული; მაღალნაპირიანია, ძირჩავიწროებული და ქუსლგამოყვა-ნილი. თითქმის იმეორებს წინამავალს (№ 12—54:10300). სიმაღლე 17,0; დმ პირის 31,0; ძირის 12,5 სმ.

69 (12—54:10311; სურ. 90). კ ა თ ხ ა შავად გამომწვარი თიხისა; შავ-პრიალა; წელში გამოყვანილი ცილინდრული ტანი აქვს, რომელსაც აქოჩ-რილი ტალღების გამომხატველი ხაზების სარტყელი ამკობს, ცალყურა. იგი ოთხკუთხა განივკვეთიანია, აძერწია „ბიბილოს ნაშთი“ და შემკულია ირიბად ჭედური ხაზებით. სიმაღლე ჭურჭლის 15,5; დმ 12,2 სმ.

70 (12—54:10309; სურ. 91, 92). ქ ი ლ ა რუხ-ლეგად გამომწვარი მქისე თიხისა; უმორგვოდ ნაძერწი; სწორად მოკვეთილი პირი, ბიკონუსური ტანი და ბრტყელი, დაკეჭნილწიბოიანი ძირი აქვს. მუცელზე, წიბოს ირგვლივ, რელიეფური გრეხილური სარტყელია, რომლისგან აღმართულია ჭურჭლის ერთ მხარეს ერთი, ხოლო მეორე მხარეს ორ ტოტად ასეთივე რელიეფური ნაძერწი. სიმაღლე 21,0; დმ პირის 16,3; მუცლის 28,0; ძირის 10,0 სმ.

71 (12—54:10310; სურ. 93, 94). ქ ი ლ ა თიხისა; ფერით, მოყვანილო-ბით, დამზადების წესითა და შეხედულებით წინამავლის სრული ანალოგიუ-რი, ოღონდ უფრო მომცრო, პირფართო, ტლანქი ნახელავი. სიმაღლე 15,7; დმ პირის 14,5; მუცლის 16,5; ძირის 9,0 სმ.

ორმოსამარხი 62 (1939, s სურ. 840—841).

აღმოჩნდა 56-ე კვადრატში, 56-ე სამარხის ქვეშ, რო-მელიც ქვაყრილზე იყო მოთავსებული, სამარხისა და ქვაყრილის ალაგების შემდეგ, ზედაპირიდან 2,0 მ სი-ღრმეზე აღმოჩნდა სხვა, ე. ი. 62-ე სამარხი. ეჭირა ფართობი 2,20 (№ 5) × 1,30 (W—O) მ. სამარხში ესვენა საკმაოდ მაღალი ტანის ინდივიდის ჩონჩხი, თავით ჩრდილოეთით მიქცეული, მენჯში სწორკუთხოვნად მოხრილი კიდურებით და მკვეთრად შემოკეცილი წვივებით. ხელები სახის წინ ზეაპყრობილი უჩანდა. წინ ეწყო ორი თუ სამი წვრილფეხა საქონლის (თხის?) ჩონჩხები, რომელთაგან ერთი (მუხლების გას-

წვრივ) უკეთ არის დაცული. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ დიდ ჭურჭელში ხარის რამდენიმე ძვალიც აღმოჩნდა.

გარდა ამისა, სამარხში იყო სულ თიხის ექვსი ჭურჭელი და ქალცედონის ერთი მძივი*.

72 (12—54:9925; სურ. 842). დ ე რ გ ი რუხფრად გამომწვარი თიხისა, პირფართო, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს; მხრებგანიერი, კვერცხისებრ ტანიანი, ყელისძირში ირგვლივ მოგრძო უსწოროდ ჭდეული ხაზების სარტყელია, რომლის ქვემოთ დამრეცი მკრთალი (ნაფოტისეული?) ხაზებია ამოკაწრული. ამის ქვემოთ, მხარზე მკრთალ ღარს შორის გრეხილური სარტყელი არტყია. მთელი ზედაპირი მკრთალი კონცენტრული ღარებით არის დაფარული. აღდგენილია, თაბაშირით შევსებული. სიმაღლე 29,5; დმ. პირის 26,5; მუცლის 34,5; ძირის 15,0 სმ.

73 (12—54:9927; სურ. 843). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები, პირგადმოშლილი, ოდნავ შემაღლებული ყელი, განიერი მხრები, კვერცხისებრი ტანი და ჩავიწროებული ძირი აქვს. ყელის მხარში გადასვლა ერთგვარი სიმკვეთრით ხდება, როგორც ეს ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭელს ახასიათებს. მხარზე 15 შევრონია, რომელიც სათითაოდ 5—7 მეტრისაგან შედგენილ, წვერით ქვემოთ დაშვებულ სამკუთხედს წარმოადგენს. ნაპრიალების ხასიათი, ისე როგორც სამკაულის დატანის წესი, შუაბრინჯაოს ტექნიკის ტრადიციებს აგრძელებს. აღდგენილი და თაბაშირით შევსებულია. სიმაღლე 18,0; დმ პირის 12,3; ყელის 2,7; მუცლის 21,5, ძირის 8,7 სმ.

74 (12—54:9924;). ქ ი ლ ი ს ფრაგმენტი, საკმაოდ მაღალი, კვერცხისებრტანიანი ჭურჭელი ყოფილა, შავადნაპრიალები, სქელკედლიანი.

75 (12—54:9926;). ქ ო თ ნ ი ს ფრაგმენტი მოშავო-რუხად გამომწვარი თიხისა, თხელკედლიანი. არათანაბრად გამომწვარი, მინარევებიანი თიხა ყოფილა.

76 (12—54:9928; სურ. 844). მ ძ ი ვ ი ქალცედონისა, ბიკონუსური, პატარა. სიგრძე 0,9; დიამეტრი 0,8.

ორმოსამარხი 130 (1939, s).

აღმოჩენილი იყო 117-ე კვადრატში 1,30 მ სიღრმეზე. სამარხი ძალიან ჩაქცეული ჩანდა და ადამიანის, ცხოველთა ძვლები და ინვენტარი (თიხის ჭურჭელი) ერთიმეორეში არეული იყო; ზოგი მათგანი რიყის ქვაფენილზე, ზოგიც მის ქვეშ იდო. ცოტა დაღრმავების შემდეგ აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და მათ შორის ბავშვის ჩონჩხის ძვლები ერთ გროვად. ისე ჩანდა, რომ ბავშვი თითქოს მარჯვენა გვერდზე უნდა ყოფილიყო დასვენებული.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV ს. — რედ.).

ცხოველთა ძვლებს შორის გამოირჩა ხარის ქვედა ყბა და ფეხები, აგრეთვე ცხვრის თუ თხის ზოგიერთი ძვალი*.

77 (12—54:10195; სურ. 845). ქ ი ლ ა რუხნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადმოშლილი, მომაღლო ცილინდრულ ყელიანი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი (თითქმის ელიფსური მოყვანილობისა), ორყურა, ძირი ოდნავ გამოყოფილი აქვს. მხარზე 8 რელიეფური კონცენტრული წიბო გადასდევს. ნაპრიალობა გადასულია. სიმაღლე ჭურჭლის 33,5; ყელის 8,3; დმ პირის 12,7; მუცლის 35,5; ძირის 12,5 სმ.

78 (12—54:10196; სურ. 846). ქ ი ლ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მომაღლო, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელმაღალი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი. მხარ-მუცლის საზღვარზე შემაღლებული კონცენტრული წიბო გადასდევს. ნაპრიალები ყოფილა. მხარი შემკული აქვს სოლური სამკაულით. სქემა (ზემოდან ქვემოთ) 1, 2, 3, 4, 5. სიმაღლე ჭურჭლის 32,5; დმ ყელის 8,5; პირის 12,0; მუცლის 31,5; ძირის 11,5 სმ.

79. (12—54:10197; სურ. 847). ს უ რ ა შავად გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელმაღალი, მხარგანიერი, ძირვიწრო. ნაპრიალები. მხარზე მოთავსებული ღარების (10) და მათ შორის შემაღლებათა მორიგეობა გოფრირებულის სახეს აძლევს ჭურჭელს. ძირზე ურთიერთგადამკვეთი ნაპრიალები ზოლებით ჯვარის სახეა გამოკვეთილი. სიმაღლე 17,7; დმ პირის 8,7; ყელის 7,3; მუცლის 15, 1; ძირის 6,3 სმ.

80 (12—54:10198; სურ. 848). ქ ი ლ ა რუხფრად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები, პირგადმოშლილი, მხრებგანიერი, პირვიწრო ყოფილა (ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი). ყელის ძირში ხუთი მკრთალი ღარი გადასდევს, მხარზე კი სარტყელი: ორ ღარს შორის მოთავსებული ტალღისებრი ღარი.

კ ე ნ ო ტ ა ფ ი 9 (1939, s). აღმოჩნდა 10 და 11-ე კვადრატების ჩრდილო მხარეზე რიყის ქვაფენილის ქვეშ. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, იგი წარმოადგენდა კენოტაფს.

სამარხში გაიწმინდა შავი თიხის სამი ჭურჭელი, ობსიდიანის ანატკეცები და შინაურ ცხოველთა ცალკეული ძვლები — მიცვალებულის სახელზე შეწირული აღაპის ნაშთი*.

81 (12—54:10284; სურ. 849). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა, სუფთად ნაპრიალები, ოდნავ პირგადაშლილი, ყელვიწრო, გვერდებგანიერი, ძირჩავიწროებული, კვერცხისებრი მოყვანილობისა. მხარზე 5 კონცენტრული ღა-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV — XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს. — რედ.).

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV— XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

რი გადასდევს. ყელსა და მხარს შორის არე ტალღოვანი ნაკაწრი ხაზითა და დამრეცი პრიალა ხაზებით არის შემკული. მხარზე ორგან დიდ-პატარა წვრილი ნახვრეტია, რომელშიც, ვარაუდით, ობსიდიანის სარკმელი უნდა ყოფილიყო ჩასმული. სიმაღლე 26,5; დმ პირის 37,0; ძირის 9,7 სმ.

82 (12—54:10285; სურ. 850). ქ ო თ ა ნ ი ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პირფართო, სწორბაკოიანი, სფერულმუცლიანი. მხარზე ორ ღარს შორის თოკისებრი ორნამენტის იმიტაციაა, ამის ქვემოთ კი ტალღოვანი ხაზი გასდევს. მთელი ზედაპირი კონცენტრული ღარებითაა დაფარული. სიმაღლე 14,0; დმ პირის 15,7; მუცლის 21,1; ძირის 8,5 სმ.

83 (12—54:10283; სურ. 851). ჭ ო თ ა ნ ი მურაფრად გამომწვარი თიხისა, პირფართო, სწორბაკოიანი, სფერულმუცლიანი. მხარზე წვრილი ნაკაწრი ტალღოვანი ხაზია, რომელთა შორის წვრილი წყვილი ღარია, ამათ შორის კი დამრეცად დასმული კბილის ჭდეებია. მთელი ზედაპირი კონცენტრული წვრილი ღარებით არის დაფარული. სიმაღლე 13,5; დმ პირის 13,9; მუცლის 11,0; ძირის 7,0 სმ. ძირის წიბო ირგვლივ დაკეკნილია.

84 (12—54:10286). ა ნ ა ტ კ ე ც ი გამჭვირვალე ობსიდიანისა, რომელსაც შერჩენია ბუნებრივი ქერქი და დარტყმის სიბრტყე. თითო სიგრძე და განივი ნაპირი თითქოს დამუშავებულიაო (შეიძლება ხმარების კვალი იყო). 4,7×3,9 სმ.

85 (12—54:10287). ა ნ ა ტ კ ე ც ი შავი გამჭვირვალე ობსიდიანისა, რომელსაც ამოღარული ნაპირი მკრთალად რეტუშირებული აქვს. 5,4×2,7 სმ.

86 (12—54:10288). ა ნ ა ტ კ ე ც-ნ ა მ ტ ვ რ ე ვ ე ბ ი შავი გამჭვირვალე ობსიდიანისა, 11 ც.

ორმოსამარხი 17 (1939, N; სურ. 852—853).

V თხრილის შუა ნაწილში, 2,20 მ სიღრმეზე იყო აღმოჩენილი. სამარხის მოედანი 1,50×1.00 მ უდრიდა. შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ მაღალი ტანის ადამიანის ჩონჩხი იწვა მარჯხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთით დამხრობილი; ხელები სახსრებში ზომიერად მოხრილი და პირთან (უფრო სწორად, სახის წინ) მიტანილი ჰქონდა. ფეხები იმ ზომით ჰქონდა მოხრილი, რომ ბარძაყის ძვლები ხერხემლის სვეტთან სწორ კუთხეს ჰქმნიდა. ამ მიზნით მოხრილი ჩონჩხები გაერთიანებული გვაქვს „თავისუფლად მოხრილ ჩონჩხთა“ ჯგუფში. გარდა სამარხეული ინვენტარისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ჩონჩხთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები*.

87 (12—54:1082; სურ. 854). ლ ა ნ გ ა რ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, თითქმის სწორბაიოიანი, დაბალი ნაპირით, მკვეთრად დაქანებული

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I. XIV—XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს. — რედ.).

კალთებით და ვიწრო ძირით. შიდაპირი ალაგ-ალაგ დაკენკილია. ნაპრიალები გადასულია. სიმაღლე 6.3; დმ პირის 21,8; ნაპირის 1,2; ძირის 6,1;

88 (12—54:1084; სურ. 855). ქ ი ლ ა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები; თითქმის სფერულმუცლიანი, განიერი, მაღალ-პირმოყრილი, თითქმის სწორადკვეთილი პირი აქვს; მასზე გაელებული ღრმა ღარი ორ რელიეფურ ქედს ქმნის. პირთან, მხარზე დაძერწილია დაბალი მრგვალ-ბრტყელი სატერული კოპი (დმ — 4,5 სმ) თითის ამოსადებად. ჭურჭელს ამ საცერულის სიგანეზე ორი ვიწრო კონცენტრული ღარი არტყია. ერთი ძალიან მკრთალი ღარი მუცელზეც შემოსდევს, მაგრამ, როგორც ჩანს, პრიალის დროს უმეტეს ნაწილზე გადასულა. სიმაღლე 25,5; დმ პირის 11,7; მუცლის 31,5; ძირის 10,5 სმ.

89 (12—54:1083). ნატეხები თიხის ჭურჭლისა. ოდნავ პირმოწეული და ძირგამოყოფილი, ზედაპირნაპრიალები, მონაცრისფროდ გამომწვარი ქ ო თ ა ნ ი უნდა ყოფილიყო. კეცი გადანატეხში მოწაბლისფროა. დმ ძირის 7,0; კეცის სისქე 0,5 სმ.

90 (12—54:1087; სურ. 856). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, ოვალურ-გადმოკეცილყურიანი. წვერი მოკაული აქვს (შემთხვევით). სიგრძე 13,0; უდ. დიამეტრი 0,25 სმ.

91 (12—54:1086; სურ. 857). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, თავის ნაწილში დაწახნაგებული და ერთგზის დახვეული. დიდ-პატარა. 4 ცალი.

92 (12—54:1085; სურ. 858). ს ა ყ უ რ ე ე ბ ი თუ ს ა კ ი დ ე ბ ი ბრინჯაოს მომსხო მავთულისა, სადა, ბოლოდაწვრილებული. ერთი ორ ნატეხადაა, მეორეს თითქმის ნახევარი აკლია. დმ. 2,8; სიმსხო — 0,35 სმ.

93 (12—54:1089; სურ. 859). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი-წითელი, თითქოს ლუქისფერი სარდიონისა, დაბალცილინდრული, მკისედ დამუშავებული („ნაპობი", „ნახეთქი"). ყველა ერთი მხრიდან ნახვრეტი. 101 ც. უდ. სიმაღლე 0,6; დმ 0,8; პატარის სიმაღლე 0,25; დმ 0,6 სმ.

94 (12—54:1088; სურ. 860) მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო. ყოლისფერის პასტისა, დაბალცილინდრული, ფართონახვრეტიანი. თითქმის ყველა ერთნაირი 40 ცალი. ნიმუშის სიმაღლე 0,3; დმ 0,45; ნახვრეტის დმ 0,25 სმ.

ორმოსამარხი 45 (1939, N; სურ. 95—112).

V ფართობზე, მიწის ზედაპირიდან 2,20 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. საფლავის ფსკერის ზომა 1,45×0,70 მ უდრიდა. სამარხში ნაზი აგებულების ადამიანის კარგად დაცული ჩონჩხი ესვენა მარცხენა გვერდზე. თავით ჩრდილო-დასავლეთით დამხრობილი და მეტ-ნაკლებად სწორად ფეხებმოხრილი. ხელები იდაყვში მოხრილი და კერტებით პირთან მიტანილი ჰქონდა. მარცხენა ხელის მტევანი უფრო თავს ქვეშ ამოდებული ჩანდა. ამ ნიშნით და საერთოდაც მძინარე ადამიანის სრული ილუ-

ზია იქმნებოდა. როგორც ძვლებზე დაკვირვებამ, ხოლო შემდგომ კარგად შენახული თავისქალის კრანიომეტრიულმა შესწავლამ დაადასტურა — ჩონ-ჩხი ქალს ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ წმენდის დროს აქა-იქ ხის წვრილი ნახშირი გვხვდებოდა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სამარხში ნახშირის აღმოჩენა ყოველთვის არ არის მიცვალებულის კრემაციის მაჩვენებელი; რომ ნახშირი სამარხში შეიძლებოდა ან დაშლილი კულტურული ფენის მიწას ჩაჰყოლოდა ან კიდევ მიცვალებულისათვის შესრულებული აღაპის ცერემონიალის ნაშთი ყოფილიყო. როგორც აღვნიშნეთ, მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ იყო მიქცეული. ამგვარი დამხრობა, როგორც თავის ადგილზე გვქონდა ნათქვამი, სხვა მხარეთა, კერძოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთ მხარეთა მიხედვით დამხრობასთან შედარებით იშვიათად გვხვდება და ამდენად ეს წინამავალი ორმო (№№ 10 და 17) სამარხი ამ მხრივ სამთავროულ სამარხთა მაინც მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება.

გარდა ამისა, ამ სამარხისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ინვენტარი, ამ შემთხვევაში ჭურჭელი, ძირითადად მიცვალებულის ზურგთ უკან იყო განლაგებული და მხოლოდ ერთი ჭურჭელი, სახელდობრ სადღეგბელი, იდგა ფეხის არეში*.

სამარხეულ ინვენტარს გარდა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, სამარხში აღმოჩნდა ციკნის ძვლები მიცვალებულის თეძო-წელის მიდამოში გაბნეული.

95 (12—54:1455; სურ. 95, 103). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი მოშავო-მონაცრისფრო თიხისა; ზედაპირნაპრიალები, ოდნავ პირგადმოშლილი, ცილინდრულ-ყელიანი, კვერცხისებრმუცლიანი, ცალყურა (განივად მიძერწილი ყური მოტეხილი და დაკარგულია). ყურის მახლობლად ჭიპისმაგვარი სასულე მილია დატანებული. ჭურჭელს უშუალოდ ყურსა და ჭიპს ზემოთ კონცენტრული ღარი გადასდევს. — სიმაღლე 30,0; დმ პირის 11,0; მუცლის 26,0; ძირის 8,0; სასულე ჭიპის 0,5 სმ.

96 (12—54:1456; სურ. 101, 102). კ ა თ ხ ა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. წელშეზნექილი ცილინდრის მოყვანილობისა და, მაშასადამე, პირ-და ძირფართო; ცალყურა, რომელზედაც წყვილბიბილოსებური ლილვაკია დაძერწილი. ყურს ზემოთ (პირთან ახლოს) და ქვემოთ (ძირთან ახლოს) წყვილ-წყვილი ფართო ღარი არტყია ჭურჭელს. სიმაღლე 12,7; დმ პირის 13,0; ძირის 12,3 სმ.

97 (12—54:1457; სურ. 98—100). კ ო ჭ ო ბ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები; ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, ბიკო-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV—XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

ნუსურმუცლიანი. ყელის ძირს ორი ღარი შემოსდევს. სიმაღლე 9,0; დმ პირის 7,3; მუცლის 11,5; ძირის 5,0; კეცის სისქე 0,5 სმ. კოჟობს ახლავს კონუსური მოყვანილობის თიხის სარქველი.

98 (12—54:1458; სურ. 104, 105). ჯამი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები; ოდნავ პირგადმოშლილი, დამრეკკალთებიანი, დაბალქუსლიანი. სიმაღლე 7,1; დმ პირის 20,2; ძირის 7,7 სმ.

99 (12—54:1459; სურ. 96, 97). ქილა მოშავო-ლეგად გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, კვერცხისებრტანიანი, მხრებგანიერი, ძირვიწრო; ყელზე ტალღისებრი ხაზი, ხოლო ყელის ძირსა და ძირის წიბოს ირგვლივ ფრჩხილისებურ ჭდეთა სარტყელი გასდევს სიმაღლე 20,1; დმ პირის 15,1; ძირის 8,0.

100 (12—54:1460; სურ. 110). რგოლი (ალბათ საყურე) ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; პირგახსნილი; ცალი ბოლო შემსხვილებული აქვს. უდ. დმ 3,4 სმ; სიმსხო 0,2 სმ.

101 (12—54:1461; სურ. 110). რგოლი (ალბათ საყურე) ბრინჯაოს მავთულისა; ორად გატეხილი.

102 (12—54:1462; სურ. 107. 112). მძივები ლუქისფერი სარდიონისა; ზოგი თეთრლაქებიანი; დაბალცილინდრული მოყვანილობისა, ტლანქი ნამუშევარი („ნაპობი"). სიმაღლე უდ. 0,8; უმც. 0,4; დმ უდ. 0,7; უმც. 0,5 სმ.

103 (12—54:1463; სურ. 108, 109). მძივები მოკისფრო პასტისა; დაბალი ცილინდრული, გამოხუნებული. 5 ცალი. ნიმუშის სიმაღლე 0,4; დმ. 0,4 სმ.

104 (12—54:1464; სურ. 111). მძივები ანტიმონისა; 11 ზურგამობურცული (ხოჭოსმსგავსი); 4 მრგვალ-ბრტყელი, დისკოსებრი, ნახვრეტის გასწვრივ შესქელებული; 10 ცალი არაწესიერ მრგვალი, წვრილი. დმ დისკმძივის 1,4; მძივის 0,7 სმ. 25 ცალი.

ორმოსამარხი 15 (1939, N; სურ. 113—120). აღმოჩნდა VI თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 2,70 მეტრის სიღრმეზე. სამარხის ფსკერი, რომელიც 1,45×0,85 მ. მქონე ფართობს მოიცავდა, გაჭრილი იყო თიხნარი მიწის ფენაში. სამარხში დაკრძალული იყო საშუალო სიმაღლის მამაკაცის გვამი. დარჩენილი ჩონჩხის მიხედვით კარგად ჩანდა, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე მოუთავსებიათ, თავისუფლად მოხრილი ფეხებით, გულმკერდით ოდნავ მოპირქვავებული და თავით ჩრდილოეთ-დასავლეთ-დასავლეთისაკენ დამხრობილი. ამასთანავე თავი ზომაზე მეტად უკან გადაქანებული ჩანდა. მარცხენა ხელი მკვეთრად მოხრილი და ყელთან მიტანილი ჰქონდა, შესაძლოა, თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, ხოლო მარჯვენა სწორკუთხოვნად მოხრილი იყო და ზეაპყრობილს უგავდა. თავის ქალა კარგად იყო

დაკეული, მაგრამ თხრისას დაზიანდა (მუშას წერაქვი მოუხვდა). მიუხედავად ამისა, იგი ჩვენ მაინც წამოვიღეთ თბილისში, სადაც კრანიომეტრიულად იქნა შესწავლილი და მამაკაცისა გამოდგა. მიცვალებულის ბარძაყის ძვლის სიგანე 0,46 მეტრს უდრიდა.

მიცვალებულს თან ახლდა შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს მოკლე, ფოთლისებრი, ტარშეურჩენელი სატევრისპირი. საფიქრებელია, მიცვალებულს სარტყელში ექნებოდა გარჭობილი; ბრინჯაოს პატარა მასრაგახსნილი შუბისპირი თითქოს მარჯვენა ხელში ეჭირაო; მარჯვენა ხელის მაჯასთან, მოშორებით, იდო ბრინჯაოს მოზრდილი, ოთხწახნაგოვანი სადგისი; ბრინჯაოს ოთხწახნაგოვანი თავხვია საკინძი წელის უკანა არეში იყო. მარცხენა ხელის იდაყვთან, ცოტა მოშორებით, იდო ირმის რქის ძირი, ტოტებწაკვეთილი და ძირთან განივად გახვრეტილი (ჩვენი ვარაუდით, ლახტისთავი). მარჯვენა ხელის გასწვრივ თიხის მოზრდილი ჯამი და ქილა იდო: იდაყვთა გასწვრივ მომცრო, პირმაღალი ჯამი იდგა, რომელშიაც ჩაპირქვავებული იყო პატარა, მაგრამ ღრმა ფიალა. ამასთანავე იყო კიდევ უფრო მომცრო ჯამი, ხოლო წვივებთან დიდი პირვიწრო დერგი. ფეხებთან ედო რომელიღაც გარეული ცხოველის (ირმის?) პაწია გაპრიალებული რქა*.

105 (12—54:1864; სურ. 113, 114). ლ ა ნ ჯ ა რ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მქისე ზედაპირიანი, ღრმა, პირგადაშლილი; დამრეცი ნაპირი და მკვეთრად დაქანებული კალთები აქვს, რომელიც ოდნავ გამოყოფილ ქუსლში გადადის. ერთი მკრთალი ხაზი ბაკოზე შიგნიდან გადასდევს. ქუსლის წიბო ირგვლივ დაკეპნილია. სიმაღლე ჭურჭლის 8,5; ნაპირის 3,0; დმ პირის 27,5; ძირის — 18,5 სმ.

106 (12—54:1862; სურ. 117, 118). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; გაპრიალებულ ზედაპირიანი. სწორედ ამართული მაღალი ნაპირი, ზომიერად დაქანებული კალთები და ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს. ნაპირს გარედან ორი ღრმა ღარი უვლის გარშემო. ფსკერზე რაღაც ნაკაწრი ნიშანი აქვს (ხელოსნის). კარგი ნახელავი ჭურჭელია. სიმაღლე ჭურჭლის 7,2; ნაპირის 2,6; დმ პირის 16,8; უდ. 17,0; ძირის 7,2 სმ.

107 (12—54:1861; სურ; 115, 116). ჯ ა მ ი მოშავო-აგურისფრად გამომწვარი თიხისა; მქისე ზედაპირიანი, უმორგვოდ ნაძერწი; სწორად მოკრილპირიანი, კონუსურად ჩავიწროებული კალთები შეუმჩნეველად გადადის ბრტყელ ძირში. მძიმე სილიკატური მასა უნდა ერიოს ბლომად (ეს განსაკუთრებით ძირთან იგრძნობა). სიმაღლე 6,0; დმ პირის 15,1; ძირის 7,3; პირის სისქე 0,8 სმ.

108 (12—54:1863; სურ. 119, 120). ფ ი ა ლ ა (ან თ ა ს ი) მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პაწია, დაბალი, უმორგვოდ (უშუალოდ ხელით)

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV — XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. XIV—XIII სს.—რედ.).

ნაძერწი. პირი ვერ არის ერთ ზომაზე მოჭრილი, ალაგ-ალაგ ჩამოტეხილიცაა. სიმაღლე 5,1; დმ პირის 9,8; ძირის 5,3; სისქე პირთან 0,6 სმ.

109 (12—54:1865; სურ. 121, 122). ქ ი ლ ა მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, მქისე ზედაპირიანი, რომელიც ჩარხისეული ზოლებით არის დასერილი; პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მუცელგანიერი, ნორმალურად ძირჩავიწროებული. მხარზე წყვეტილი ნაჭდევებისგან შემდგარი სარტყელი გასდევს. ქუსლის წიბოც დაკეკნილია „ჰერული" კერამიკის მაგივრად. სიმაღლე 17,0; დმ პირის 14,7; მუცლის 20,0; ძირის 7,3 სმ.

110 (12—54:18631). ქ ი ლ ა მოშავო თიხისა; დიდი ზომის; დამტვრეული.

111 (12—54:1866; სურ. 123). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ფოთლისებრი, ძირითადად ცუდფერდა სამკუთხედის მოყვანილობისა. აქეთ-იქით წყვილი სამარჭვილე ნახვრეტია (დმ — 0,35 სმ). შუაში მაღალი მკვეთრი ქედი გასდევს. სატარე ნაწილიც ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა. ეტყობა ალესილობა (0,3 სმ ზოლი სახით) ფხებს გასწვრივ. სიგრძე 17,5, უდ. სიგანე (კუდში) — 5,5 სმ. ქედის აქეთ-იქით 3—3 მოდიდო ნახვრეტია: თვით ქედზე 6 ფოსოა ამოღებული ქიმიური შემადგენლობის დასადგენად.

112 (12—54:1867; სურ. 124). ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი, აქეთ-იქით წვრილნახვრეტიანი (ტარზე დასამაგრებლად). ფოთლისებურპირიანი. ქედის სიღრეკე თითქმის წვერამდე გასდევს. სიგრძე 11,4; საკუთრივ პირის 5,3; დმ მასრის 1,7 სმ.

113. (12—54:1868; სურ. 125, 126). ს ა დ გ ი ს ი (?) ოთხწახნაგა ბრინჯაოს ღეროსი, რომელსაც მოკლე (1,5 სმ) ყუნწი გაწვრილებულ-გაბრტყელებული, ხოლო წვერი წაწვეტებული აქვს. სიგრძე 11,8; წახნაგის უდ. სიგანე 0,4 სმ.

114. (12—54: 1869; სურ. 129). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს ოთხწახნაგა ღეროსი .თავი გაბრტყელებული და დახვეული ჰქონია, მაგრამ ადრევე მოსტეხია და დაკარგულა. სიგრძე 4,7; წახნაგის უდ. სიგანე 0,25 სმ.

115 (12—54:1870; სურ. 127). ი რ მ ი ს რ ქ ი ს ძ ი რ ი; ტოტებწაკვეთილი; განივად გახვრეტილი. ნახვრეტის სიგრძე 5,6; დმ 3,5 სმ.

116 (12—54:1871; სურ. 128). რ ქ ი ს შ ვ ი ლ ი (?), გაპრიალებული ზედაპირი აქვს, წვერთან ნაჭდევები ეტყობა. რაღაცის სამარჯვად ჩანს გამოყენებული. შუაზე სიგრძივ ჩამოპობილი და ჩამონაპობი. ადრევე დაკარგულა. სიგრძე 10,0; სიგანე (ძირთან) 2,0 სმ.

ორმოსამარხი 101 (1939, N; სურ. 130—145).

მდებარეობდა VI თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში; აღმოჩნდა დედამიწის ზედაპირიდან 3,30 მეტრის სიღრმეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამარხის ზემოდან უფრო გვიანი, ადრეული რკინის ხანის, სამარხი იყო გამართული. სამარხს ეპირა 1,30×1,00 მ ფარ-

თობი. კარგა ძვალმსხვილი მამაკაცის ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე: თავი ჩრდილოეთ-დასავლეთ-დასავლეთით ედო. თავისქალა დაფერდილი იყო, ნეკნები — არეული; წელსქვედა მალები და გავა-მენჯის ძვლები დაშლილ-არეული და გადაადგილებული იყო, ისევე როგორც ბარძაყ-წვივის ძვლები. თითქოს უფრო კარგად გაირკვეოდა მდებარეობა ზედა კიდურებისა, რომლებიც კერტებით სახის წინ ეწყო. ერთ-ერთი წვივის ძვლის მდებარეობა ააშკარავებდა, რომ ქვედა კიდურები აქ დაკრძალულ მიცვალებულსაც ჩვეულებრივ მოხრილი უნდა ჰქონოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს სამარხი მის ზემოთ მოთავსებული, 83-ე სამარხის გაჭრის დროს დაეზიანეს, თუმცა გათხრის მომენტში ამ ორმოსამარხთან გამყოფი მიწის ფენა, 1,50 მეტრის სისქის მაინც იყო, რაც შეიძლება ჩვენს ვარაუდს ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხავდეს. საერთოდ კი, სამთავროსა და სხვა მასობრივ სამაროვნებში ძალიან ხშირია საგანგებო ნიშნის არმქონე, მივიწყებულ სამარხთა ადგილას სხვა სამარხთა გამართვა, რასაც უმეტეს შემთხვევაში უწინდელთა უნებლიე მოშლა, გაუსახურება და თანჩატანებული ნივთების გაფანტვა ნოსდევს ხოლმე.

მიცვალებულს თან ახლდა შემდეგი ნივთები: სახის წინ თიხის ფართო ლანგარი, იდაყვებთან მოზრდილი ქოთანი, ხოლო მენჯს უკან კარგად შენახული სადღვებელი იყო. ამ უკანასკნელთან ირმის რქის ლახტისთავი იდო. მეორე ასეთი ლახტისთავი ზედ სადღვებელზე შემორჩენილიყო. ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი ლანგრის კიდეზე იდო, ხოლო ამავე ლითონისგან ნაკეთები მოკლე, უტარო, ქედიანი სატევრისპირი წყრთის ძვალსა და ზემოხსენებულ ქოთანს შორის ეგდო. წყრთის ძვლებს ქვეშ ბრინჯაოს თავმოკაული საკინძი აღმოჩნდა; იქვე მახლობლად გაბნეული იყო სარდიონისა და ძვლის ტლანქი მძივები (12 ც.). მეტ-ნაკლებად თავის ადგილზე შემორჩენილ წვივის ძვალთან ნაპოვნი იყო დამუშავებული ძვლის ოთხკუთხა ფირფიტა, ხოლო უკან წელის მიდამოში, ბრტყელი და მოგრძო გახეხილი და თავ-ბოლო ალესილი ქვა*.

117 (12—54:2200; სურ. 131 ,132). სადღვებელი ქილა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ოდნავ გადმოწეული ლილვაკისებრ ბაკოიანი, ყელდაბალი, კვერცხისებრ ტანიანი. ყელზე წვრილი წრიული ხაზების ნაკვალევია; მხარზე სასულე ჭიპის გასწვრივ ,წყვილი კონცენტრული ღარი არტყია. სიმაღლე 32,5; დმ პირის 11,0; მუცლის 27,0; ძირის 7,5 სმ.

118 (12—54:2201). ლანგარი თიხისა, საკმაოდ ფართო; საწურავიანი.

119 (12—54:2202). ქოთანი შავად გამომწვარი თიხისა; პირგადმოშლილი. სიმაღლე 15,0; დმ პირის 13,0 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV—XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. XIV—XIII სს.—რედ.).

120 (12—54:2201; სურ. 134, 135). ს ა ტ ე ე რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე ტარშეურჩენელი, ძირითადად ტოლფერდა მოყვანილობისა, ვიწრო და მაღალქედიანი, რომელიც წვერთან გადალესილია. სატარეც ტოლგვერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა, სადაც ქედის ბოლოში და აქეთ-იქით თითო ნახვრეტია ტარის დასამაგრებლად. ფხა ალესილი აქვს; ქიმიურად განსაზღვრულია და სინჯიც აღებულია. სიგრძე 11,7; სიგანე ვადაში 4,6 სმ.

121 (12—54:2202; სურ. 136, 137). ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; არათანაბრად მორკალული ოვალური ფრთები აქვს, მასრა კი გახსნილი. იგი წვერამდე ასდევს. ბოლოში 0,4 სმ დიამეტრის წყვილი ნახვრეტი აქვს ტარის დასამაგრებლად. სიგრძე 11,7 პირის 5,8; უდ. სიგანე 2,0; მასრის დმ 1,6 სმ.

122. (12—54:2203; სურ. 138, 139). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია (გაწმენდისას მოტეხილი და დაკარგული); ზემოთ ოთხი, ხოლო წვერისაკენ მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. სიგრძე 5,8; წახნაგის სიგანე 0,25 სმ.

123 (12—54:2204; 133). მ ძ ი ვ ე ბ ი წითელი და მოვარდისფრო სარდიონისა, ძირითადად დაბალცილინდრული ფორმისა, უხეშად ნაკეთები, წვრილი. 10 ცალი.

124 (12—54:2205). მ ძ ი ვ ი ძვლისა; ბრტყელ-მრგვალად გამოჭრილი; ცალ მხარეზე გაპრიალებული; ძალიან დაბალცილინდრული მოყვანილობისაა. სიმაღლე 0,5; დმ 1,7; ნახვრეტის დმ 0,4 სმ.

125 (12—54:2208; სურ. 143). ძ ვ ლ ი ს ნ ი ვ თ ი უცნობი დანიშნულებისა; სქელი, ოთხკუთხა (რამდენადმე კუთხეებმომრგვალებული) ფირფიტაა, რომლის გამოსაჩენი ზედაპირი ნაპირებს გაყოლებული წყვილი ნაკაწრი ხაზებისა და მათ შორის მოთავსებული ერთმწკრივი წერტილების არშიით არის შემკული. შეერთებულია ხსენებული არშიის მსგავსად ნაკაწრი დიაგონალებით. ნაპირს ირგვლივ დატანებული აქვს 20 პაწია ფოსო ძვლისავე მარჭვალთათვის, რომელთაგან ამჟამად ერთ-ერთის ნაშთი შემორჩენილა. ნახვრეტის დმ 3,5 სმ. სისქე 0,6; რომელიღაც ტყავის ჭურჭლის სახურავი თუ იყო.

126 (12—54:2206; სურ. 140). ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი — ირმის ტოტებწაკვეთილი რქის ძირისაგან გამოთლილი; კარგა მოზრდილია და განივი ნახვრეტიც შესაფერისი აქვს. ნახვრეტის დმ 3,5; გასახედის სისქე 5,0 სმ.

127 (12—54:2207; სურ. 141, 142). ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი ირმის რქის ძირისაგან გამოთლილი; გატეხილი და ძალიან დაზიანებული.

128 (12—54:2209; სურ. 144, 145). დ ა ნ ა (ან იქნებ სალესი) ღიანაცრისფერი ქვიშაქვისა; მოგრძო ტრაპეციის მოყვანილობისა; რომლის გრძელი გვერდები ბლაგვად დაწახნაგებულია, პაწია გვერდები კი გათხელებული და მძაფრად ალესილი, ისე რომ იგი უფრო დანაა, ვიდრე სალესი ქვა. სიგრძე 11,7; უდ. სიგანე 1,8; უდიდესი სისქე 0,5 სმ.

ორმოსამარხი 113 (1939, N; სურ. 146—157).

მიკვლეული იყო VI თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იმის გამო, რომ ეს სამარხი ძალიან ღრმად აღმოჩნდა, ჩონჩხის მდებარეობა და თანხლებული ინვენტარის თავდაპირველი განლაგება იდეალურად იყო შემონახული. მიწის ზედაპირიდან ჯერ კიდევ 2,85 მ სიღრმეზე ნაგლეჯი და რიყის ქვებისგან ერთპირად ნაგები სამგვერდა წყობა გამოჩნდა. წყობას სწორკუთხედის გეგმა ჰქონდა და თავისი გრძელი ღერძით სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მიმართული. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ღიად იყო დატოვებული. წყობის სამხრეთ-დასავლეთის მხარე შედგებოდა ოთხი ქვისგან, ჩრდილო-დასავლეთისა სამისა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთისა ისევ ოთხი ქვისაგან. ქვის წყობით შემოზღუდული ფართობი 1,35×1,00 მეტრს მოიკავდა. ამასთანავე, მიცვალებულის ქვედა კიდურები და საგზლად გატანებული თხის თავრიელის ნაშთი ნაწილობრივ წყობის გარეთ რჩებოდა. სავარაუდებელია, რომ თავის დროზე წყობა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდანაც იქნებოდა შეკრული, მაგრამ გათხრის მომენტში ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ეს უკვე აღარ იყო. ამ წყობის ზედაპირიდან 0,75 მეტრის სისქის ფენა მსხვილმარცვლოვან ფხვიერ მიწას წარმოადგენდა. აშკარად ჩანდა, რომ საფლავის ორმოც სწორკუთხოვნად იყო გაჭრილი. საფლავში ჩანაყარი მიწა გარკვევით განირჩეოდა მატერიკული, ხამი მიწისაგან. გარდა ამისა, მიცვალებულზე და მის გარშემო ათიოდე სანტიმეტრის სისქის ჰუმუსიანი მიწის ფენა იყო, რომელიც, შეიძლება ვიფიქროთ, ჩაქცეულ და დამპალ-გახრწნილი ხის სახურავის ხარჯზე წარმოიშვა. ხის ძელებისგან შეკრული სახურავის არსებობა კი სავსებით დასაშვებია, მით უმეტეს, რომ მისთვის ისეთი საიმედო საყრდენი არსებობდა, როგორსაც ამ, № 100, და ზოგიერთ სხვა სამარხში დადასტურებული ქვის წყობა წარმოადგენდა.

საბოლოოდ, დედამიწის ზედაპირიდან 3,6 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი და სამარხეული ინვენტარი. საშუალო სიმაღლის დედაკაცის ჩონჩხი იწვა მარცხენა გვერდზე თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული, თავისუფლად მოხრილი ფეხებით (ბარძაყის ძვლები ხერხემალთან სწორ კუთხეს ქმნიდა). ხელებიც იდაყვში სწორკუთხოვნად მოხრილი და წინ გაშვერილი ჰქონდა ისე, რომ კერტები სახის წინ მოდიოდა. კარგად შენახული თავის ქალაც თავის ადგილზე იყო და, საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, ის ჩონჩხი კარგად იყო დაცული და კავშირი ანატომიურ სახსრებშიაც არ იყო დარღვეული. ჩვენი ვარაუდი, რომელიც საველე დაკვირვების შედეგად გამოვთქვით აქ დაკრძალული ადამიანის სქესის მიმართ, ჩონჩხის კრანიომეტრიულმა შესწავლამ ჩვეულებრივ დაადასტურა.

მიცვალებულისათვის გატანებული საგზლიდან შემორჩენილი იყო ორი წვრილფეხა რქიანი საქონლის (თხის?) თავ-ფეხის ძვლები, რომელთაგან ერ-

თი საქონლის თავრიელი — სახის მახლობლად, მეორისა კი წვივებიდან ცოტა მოშორებით კოხტად ელაგა.

გარდა ამისა, წინვე, ბარძაყ-მუხლების მახლობლად, ეწყო თიხის სამი ჭურჭელი: თუნგი, ქილა და პატარა ტოლჩა მონაცრისფროდ გამომწვარი. ზურგთ უკან ბრინჯაოს თავხვია საკინძი იყო; სამი ასეთი საკინძი კი თავის არეში აღმოჩნდა. ბრინჯაოს ერთი გრძელი მახათიც აქვე იყო. ყურთა ადგილზე ბრინჯაოს წვრილი მავთულის, პირიპირზე შესული, რგოლები ეწყო. მარცხენა ხელის სხივისა და მაჯის ძვლებს ირგვლივ, ორგან, ლუქისფერი სარდიონის ტლანქი „ნაკვეთი" მძივების ასხმულა გაიკვლეოდა, რაც გვავარაუდებინებს, რომ ამ ხელზე მიცვალებულს აღნიშნულ მძივთაგან ორი სამაჯური სცმია. ასეთივე მძივები ბლომად იყო გაფანტული ყელ-კისრის არეშიც, რაც ადასტურებდა, რომ მას მძივის ყელსაბამი ჰბმია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩონჩხის წმენდის დროს, განსაკუთრებით ინვენტარის ალაგებისას, აქა-იქ ხის ნახშირის ნამცეცები გვხვდებოდა*.

129 (12—54:2340). ქ ი ლ ა რუხად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა; თხელპირიანი ყელდაბალი, მუცელგანიერი, ბრტყელძირიანი (ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი).

130 (12—54:2341; სურ. 147, 148). ქ ი ლ ა (?) მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები; ოდნავ პირგადმოშლილი, ცილინდრულყელიანი; მუცელგანიერი. ზომიერად ძირჩავიწროებული. ყელზე ერთი ღრმა ფართო ღარი, მუცელზე წყვილი, ხოლო მხარზე და ძირის გარშემო 4—4 კონცენტრული ღარი არტყია. ძალიან კოხტა ჭურჭელია. სიმაღლე 24,0; დმ პირის 9,6; მუცლის 19,0; ძირის 6,5 სმ.

131 (12—54:2342; სურ. 149, 150). ს ა ს მ ი ს ი ნაცრისფერი თიხისა; პაწია ტოლჩისმაგვარი, ტანგამოყვანილი; ქვედა ტანი ბიკონუსურია. პირს გარშემო წყვილი ღარი არტყია; ცალყურაა, რომელიც მუცელს უშუალოდ პირთან აერთებს. სიმაღლე 8,3; დმ პირის 7,5; ძირის 3,5 სმ.

132 (12—54:2343; სურ. 151, 152). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი, გადმოკიდული ყუნწით. სიგრძე 12,8; სიმსხო 0,25 სმ.

133 (12—54:2344; სურ. 153, 154). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; მრგვალგანივკვეთიანი; მცირედ წვერმოტეხილი. სიგრძე 6,4; დმ ყუნწის 0,25 სმ.

134 (12—54:2345; სურ. 153, 154). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია; ზემოაღწერილის მსგავსი. სიგრძე 6,6 სმ.

135 (12—54:2346; სურ. 153, 154). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია; ზემოაღწერილის მსგავსი. სიგრძე 6,6 სმ.

136 (12—54:2347; სურ. 153, 154). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, ზე-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარჯვნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I. XIV—XIII (გეიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

მოაღწერილების მსგავსი; თავი მოტეხილი და ადრევე დაკარგული აქვს სიგრძე 7,0.

137 (12—54:2348; 155, 156). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მავთულისა; პირიპირთან მისული თითქოს. დმ 2,6 სმ.

138 (12—54:2349; სურ. 155—158). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი, ზემოაღწერილის მსგავსი, ოღონდ ეს უფრო კარგად არის დაცული. დმ 2,5; სიმსხო 0,25 სმ. ორივე ყურსაკიდად გამოყენებული ჩანს.

139 (12—54:2350; სურ. 157). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი წითელი; ზოგი ღია ვარდისფერი სარდიონისა; დაბალცილინდრული; ტლანქი ნახელავი. მათში ურევია პასტის ოთხი ხორკლიანი მძივი. ორი ასხმულა სამაჯურებად, ერთიც ყელსაბამად იყო გამოყენებული. 392 ცალი.

ორმოსამარხი 155 (წყვილთა) (1040, N; სურ. 158—192).

აღმოჩენილი იყო VII ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 2,10 მეტრის სიღრმეზე. საფლავი გაჭრილი ყოფილა მუქი წაბლისფერი თიხნარის ფენაში ისე, რომ მისი ფსკერი მოდიოდა დელუვიურ ნარიყზე. საფლავის ფსკერის მოედანი 1,55×1,75 მ უდრიდა, ე. ი. სიგანე სიგრძეზე მეტი იყო. სამარხში, სწორედ ზემოთ აღნიშნულ დელუვიურ ნარიყზე, ესვენა წყვილი ჩონჩხი, თავით ჩრდილო-დასავლეთით — დასავლეთით მიქცეული.

ჩონჩხი 1 (უკან მდებარე) იწვა მარჯვენა გვერდზე, თავისუფლად მოხრილი ფეხებით ისე, რომ ბარძაყის ძვლები ხერხემალთან ბლაგვი კუთხით მიემართებოდა. მარცხენა ხელი იდაყვში სწორკუთხოვნად მოხრილი და სახის წინ მიტანილი ჰქონდა. როგორც ჩანს, მარჯვენაც ასევე ჰქონია მოხრილი, თუმცა წყრთის ძვლები იდაყვის სახსარში მოშორებია მხრის ძვალს და რამდენადმე წინ გადაადგილებულა. როგორც ვხედავთ, აქაც ამ დროისათვის დამახასიათებელ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. თავის ქალა მიცვალებულს ძალიან დაზიანებული ჰქონდა. ბარძაყისა და წვივის ძვალთა სიგანე, შესაბამისად 0,45 და 0,38 მ, გვაფიქრებინებდა, რომ მიცვალებული სიცოცხლეში საკმაოდ მაღალი მამაკაცი ყოფილა. მას თან ახლდა შავი თიხის რვა ჭურჭელი: კოჭობი — მარცხენა ხელის წყრთასთან; ფიალა — მარჯვენა ხელის იდაყვთან; მეორე ფიალა ისევ მარცხენა ხელის იდაყვთან, ოდნავ მოშორებით იყო. ამ ორი ჭურჭლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოზრდილი ლანგარი იდო; ყურიანი ქოთანი — მარჯვენა წვივთან; სხვა ლანგარი, ოღონდ ოდნავ მომცრო, ამავე წვივს ზემოდან ეფარა; აქვე იყო ერთიც პატარა ჯამი; მარცხენა ფეხის წვივ-ბარძაყთა შორის კი წაქცეული იყო სადღვებელი. ბრინჯაოს მოკლე სატევრისპირი წელის მალებზე (ჩვეულ ადგილზე) იყო შემორჩენილი. ბრინჯაოს ორ თავმოკაულ საკინძთაგან ერთი მარჯვენა მხრის ძვალზე იდო, ხოლო მეორე მიცვალებულის თავქვეშ აღმოჩნდა. გარდა ამისა, სამარხში იყო ტახის ეშვი, გახვრეტილი — მარჯვენა ხელის იდაყვთან და ირმის რქის გა-

ხვრეტილი ძირი — ლახტისთავი —ქვედა კიდურთა არეში აღმოჩენილ ლანგარზე იდო.

ჩონჩხი II წინა პლანზე, მარჯვენა გვერდზე იყო დასვენებული, ამასთან მარჯვენა ფეხი უფრო მოკეცილი ჩანდა, ვიდრე მარცხენა. ზედა ტანი საფლავში ერთიანად მოპირქვავებული იყო, რის გამოც მარცხენა მხარ-ბეჭი საგრძნობლად გაშლილიყო და იდაყვში მკვეთრად მოხრილი მარცხენა ხელი სწორკუთხოვნად მოხრილ მარჯვენას გადაჯვარედინებოდა. ნაწილობრივ გადაადგილებული იყო ნეკნები და მალები.

ჩონჩხი III კიდევ უფრო მთელი აღმოჩნდა, მისი ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,50 მეტრს უდრიდა, მხრისა — 0,37 მ. მანძილი ამ ჩონჩხთა შორის არ აღემატებოდა 0,10 — 0,20 მეტრს. მიცვალებულს თან ახლდა შემდეგი ინვენტარი: ტალღისებრი ორნამენტით შემკული ქოთანი მარჯვენა ბეჭზე ჰქონდა მიდგმული. იქვე თავს უკან ჯამის ნატეხები იყო. ერთი ღრმა ჯამიც სახის წინ იყო დამხრობილი, დაბალი მუცელგანიერი ქილა ტერფებთან იდგა. სახის წინ დაყუდებულ ჯამს ქვემოდან ბრინჯაოს ხელშუბისპირი მოჩანდა. ამ ჯამთან ახლოს ობსიდიანის სამი ანამტვრევი იყო. მარჯვენა ბარძაყის ტაბუხთან ირმის რქის ლახტისთავი იდო, ხოლო თავ-ყელის არეში გაბნეული იყო სარდიონისა და წითელი იასპის ტლანქი დაკვეთილი, დაბალი ცილინდრის მოყვანილობის 28 ც. მძივი. ზემოთ აღნიშნულ ნივთებს გარდა, საფლავში აღმოჩნდა ცხენის ერთი კბილი. როგორც ჩანდა ჩონჩხთა აგებულებისა და ინვენტარის მიხედვით, აქ მამაკაცები, შესაძლებელია, ძმები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული. ამასთანავე დამარხვაც ერთდროულად უნდა მომხდარიყო*.

140 (12—54:4521); სურ. 519, 160). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; მაღალი, ყელმომაღლო, კვერცხისებრი, მხარზე ამობურცული წვრილნახვრეტიანი სასულე ჭიპი აქვს, რომლის ქვეშ ორი ირგვლივი ღარი გადასდევს. ზედაპირი დაკენკილია. სიმაღლე 34,5; დმ პირის 32,2; მუცლის 29,0 სმ.

141 (12—45:4514). ქ ო თ ა ნ ი ლეგად გამომწვარი თიხისა (ზედაპირი თითქოს ჭვარტლიანი აქვს). ყელაკეცილი, მუცელგანიერი, ძირვიწრო. მხარზე ღარისებრი სარტყელი გასდევს, ამჟამად თითქოს სულ აქერცლილი. ზედაპირი ძალიან აქერცლილ-ამოჭმულია. შეკოწიწებულია. სიმაღლე 11,5; დმ პირის 9,0; მუცლის 15,0; ძირის 4,0 სმ.

142 (12—54:4518; სურ. 165). ქ ო თ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; ოდნავ პირგადმოშლილი, თითქოს ბიკონუსურმუცლიანი, ცალყურა, რომელზედაც ბიბილოსებური ლილვაკი არის დაძერწილი. სიმაღლე 10,8: დმ პირის 10,3; მუცლის 13,0; ძირის 5,0 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIV—XIII (ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

143 (12—54:4517; სურ. 171, 172). ლ ა ნ გ ა რ ი ნაცრისფრად გამომ-წვარი თიხისა, მომრგვალებულბაკოიანი, ნაპირშემაღლებული; შავპრიალა ზედაპირიანი; დამტვრეული; შეკოწიწებული. სიმაღლე 6,8; დმ პირის 23,1; ძირის 9,0 სმ.

144 (12—54:4519; სურ. 173, 174). ლ ა ნ გ ა რ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ნაპირშემაღლებული. კარგად ეტყობა ნაპირისა და კალთის გამყოფი წიბო. შეკოწიწებულია. სიმაღლე 7,3; დმ პირის 22,8; ძირის 9,5; კეცის სისქე — 0,5 სმ.

145 (12—54:4520; სურ. 166, 167). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირით; ნაპირშემაღლებული; კოხტად მომრგვალებული კიდეები (ნაპირიდან წიბოთი გამოყოფილი) ფართო ძირში გადადის. ჭურჭლის ზედაპირი ძალიან აქერცლილია. სიმაღლე ჭურჭლის 6,0; ნაპირის 1,8; დმ პირის 17,8; ძირის 8,0 სმ.

146 (12—54:4515; სურ. 168, 169). ფ ი ა ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; ოდნავ პირგადმოშლილი, კოხტად მომრგვალებული კალთებით. ძირვიწრო. სიმაღლე ჭურჭლისა 5,5; ნაპირის 2,5; დმ პირის 11,6; ძირის 6,1 სმ.

147 (12—54:4516; სურ. 170). ფ ი ა ლ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირი შავპრიალა ჰქონია, მაგრამ ბევრგან აქერცლილი აქვს; კოხტა. ზემოთ აღწერილის მსგავსი, მაგრამ მომცრო სიმაღლე ჭურჭლის 4,0; ნაპირის 1,8; დმ პირის 12,2; ძირის 5,0 სმ.

148 (12—54:4526; სურ. 179, 180). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ტარშეურჩენელი, ალისებრი მოყვანილობის, ფართო და მაღალქედიანი, რომლის უფართოეს ბოლოში აქეთ-იქით წვრილი ნახვრეტია ტარის დასამაგრებელი მანჭვლებისათვის; სატარე ნაწილი ოვალურია; ფხები მძაფრად აქვს ალესილი. სიგრძე 19,2; სიგანე 5,3; ქედის უდ. სიგანე 2,0 სმ.

149 (12—54:4528; სურ. 183). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; თავისაკენ წახნაგა, წვერისაკენ მრგვალი და რამდენადმე დეფორმირებული. სიგრძე 7,2; წახნაგის უდ. დმ 0,25 სმ.

150 (12—54:4528; სურ. 183). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, რომლის დიდი ნაწილი მოტეხილი და დაკარგულია, წვერის დიდი ნაწილიც მოტეხილ-დაკარგულია.

151 (12—54:4531; სურ. 184, 186). ი რ მ ი ს რ ქ ი ს ძ ი რ ი, ტოტებწაკვეთილი და განივად გახვრეტილი; ძირი ხეხვით დაწახნაგებული. ლახტად გამოყენებული იქნებოდა. ნახვრეტის სიღრმე 5,5; დმ 3,5 სმ.

152 (12—54:4533). ე შ ვ ი გარეული ღორისა; ორად გატეხილი, ამულეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო. ყველა ზემოაღწერილი ნივთი უკან, მარჯვნივ, მწოლარე ჩონჩხს ეკუთვნოდა.

153 (12—54:4525; სურ. 161). ქ ი ლ ა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თი-

ხისა; ოდნავ პირგადაშლილი, ძალიან ყელდაბალი, მუცელგანიერი, ძირჩავიწროებული. მხარზე ერთი ფართოღარიანი სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 21,5; დმ პირის 14,5; მუცლის 27,5; ძირის 8,0 სმ.

154 (12—54:4522; სურ. 163). ქ ო თ ა ნ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ხელით ნაძერწი (უმორგვოდ), ზედაპირხაოიანი, სფერულმუცლიანი; მხარზე ორი ცულისებრი სახისა და მათ შორის ნაკეკნი სახეების სარტყელი არტყია; ძირიც დაკეკნილია. სიმაღლე 12,0; დმ პირის 11,5; მუცლის 16,0; ძირის 7,0 სმ.

155 (12—54:4523: სურ. 175, 176). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა, მრგვალბაკოიანი, მაღალნაპირიანი, მკვეთრად ჩავიწროებული კალთებითა და ვიწრო ძირით. ზედაპირი ძირიდან რადიალურად გამომავალი ნაპრიალები ხაზებით არის შემკული. შეკოწიწებულია. სიმაღლე ჭურჭლის 8,5; ნაპირის 2,0; დმ პირის 21,0; ძირის 7,7 სმ.

156 (12—54:4524; სურ. 177—178). ჯ ა მ ი მოწითალოდ გამომწვარი თიხისა; გადანატეხში მუქი ყავისფერი, მაღალი, ღრმა, ზემოთ აღწერილის მსგავსი, ოღონდ უფრო დიდი. სიმაღლე ჭურჭლის 8,7; ნაპირის 2,0; დმ პირის 23,0; ძირის 7,7 სმ.

157 (12—54:4527; სურ. 181, 182). ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ფართოდ გახსნილმასრიანი. პირი სამკუთხა მოყვანილობისაა, მასრა ქედის სახით წვერამდე გასდევს. მასრას საპირისპიროდ წყვილი ნახვრეტი აქვს ტანზე დასამაგრებლად. სიგრძე 13,0; პირის 6,0; დმ მასრის 1,8; გახსნილის 1,2 სმ.

158 (12—54:4532; სურ. 185, 187). ი რ მ ი ს რ ქ ი ს ძ ი რ ი; მსხვილი, ტოტებწაკვეთილი, განივად გახვრეტილი ტარის გასაგებად. ლახტისთავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. დაზიანებულია. ნახვრეტის სიგრძე 6,0; დმ 3,5 სმ.

159 (12—54:4530; სურ. 190). მ ძ ი ვ ე ბ ი; მუქი მოწითალო, ზოგი ღიავარდისფერი სარდიონისა, დაბალცილინდრული, უხეშად „ნაკვეთი“: 28 ც.

160 (12—54:4529; სურ. 191,192). ა ნ ა ტ კ ე ც ე ბ ი ობსიდიანისა; დიდპატარა; უსახური, დამუშავება არ ეტყობა.

ორმოსამარხი 156 (1940, N; სურ. 193—211).

უკანასკნელი რვა ნივთი წინა, მარცხნივ, მწოლარე ჩონჩხს ეკუთვნოდა. VII ფართობის so ნაწილი იყო, 2,75 მ სიღრმეზე, ღიაყვითელი თიხნარის ფენაში. სამარხის ფსკერი მოიცავდა 1,35×0,75 მ.

საფლავში ესვენა დაახლოებით 4—5 წლის ბავშვის ჩონჩხი, თავით დასავლეთისკენ დამხრობილი, მარჯვენა გვერდზე, თავისუფლად მოხრილი ფეხებით. თავის ქალა წინ გადაგორებულა, თუმცა აქაც მარჯვენა ლოყაზე იდო. ხელებიც მოხრილი ჰქონდა; მათ შორის ერთი ჩვეულებრივ ზეაპყრობილი, მეორე გულზე მიხუტუ-

ლივით ჩანდა. ნაკვთები და მალები აშლილ-აფანტული იყო, მაგრამ ჩონჩ-ხის განლაგების საერთო სურათს მაინც არ არღვევდა. თავს უკან მიცვა-ლებულს ბატკნის კანქები ეწყო, ფეხებთან კი, ალბათ, ამავე ცხოველის ქვედაყბა და კანჭის ორი ძვალი. თავთან ედო რომელიღაც მსხვილფეხა საქონლის კოპი, ერთგან გახვრეტილი, ალბათ, ჩამოსაკიდათ. ჩონჩხის წინ გამწკრივებული იყო შავი თიხის ექვსი ჭურჭელი; ლანგარი თუ ფართო ჯამი; პაწია ქვევრისებური მოყვანილობის ჭურჭელი, პრიალა ზედაპირიანი; ორყურა მოზრდილი ქილა; მოზრდილი ქოთანი, რომელსაც ზედაპირი საგრ-ძნობლად შებოლილი ჰქონდა; პაწია კოჭობი, რომელიც დაპირქვავებული იყო. ჭურჭელთა ალაგებისა და გაწმენდის შემდეგ ზემოხსენებულ მოზრდილ ორყურა ქილაში ქვევრისებრი მოყვანილობის მეორე პაწია ჭურჭელი აღმო-ჩნდა. გულმკერდის წინ ბრინჯაოს პატარა, მოკლე უტარო სატევრისპირი იდო, ორ მანჭვალიანი და კარგად გამოსახული ქედიანი. აქვე ახლოს იყო ანტიმონის ღილი, ფეხებზე ბრინჯაოს თითო რგოლი ჰქონდა წამოცმული. წელს უკან ბრინჯაოს თავხვია საკინძი იდო, ხოლო თავ-ყელის მიდამოებში ლუქისფერი სარდიონის ტლანქად კვეთილი მძივი მოიკრიბა.

ზემოხსენებული სატევრისპირის აღების შემდეგ მიწის გორაზე შემჩ-ნეულ იქნა ხის ბოჭკოთა ანაბეჭდი, რაც იმას მოწმობს, რომ სატევრისპირს ხის ტანი და, შესაძლოა, ხისავე ქარქაში ჰქონია*.

161 (12—54:4539; სურ. 194, 195). ქ ი ლ ა ღიანაცრისფრად გამომწვა-რი თიხისა; რუხპრიალა, მომაღლო, მომრგვალებულბაკოიანი, დაბალყელია-ნი, კვერცხისებრმუცლიანი, ორყურა (ცალი მოტეხილ-დაკარგული აქვს), ძირჩავიწროებული; მხარს ირგვლივ (ყურთა დონეზე) ორი კონცენტრული ღარი გადასდევს. შეკოწიწებულია. სიმაღლე ჭურჭლის 25,5; ყელის 3,0; დმ პირის 9,0; მუცლის 22,0: ძირის 7,3 სმ.

162 (12—54:4538; სურ 197, 198). ქ ო თ ა ნ ი მოშავო-ლეგად გამომ-წვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; პირფართო, დაწახნაგებული ბაკოთი, ძლი-ერ ყელდაბალი, სფერულმუცლიანი. მხარზე ოდნავ რელიეფური გრეხილური სარტყელი გადასდევს. ძირის წიბოს ირგვლივაც ასეთი სარტყელია. სიმაღ-ლე 18,0; დმ პირის 13,7; მუცლის 20,0; ძირის 8,0 სმ.

163 (12—54:4534; სურ. 203, 204). ჯ ა მ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ღრმა, სწორი აშვეტილი ნაპრიალები ხაზებით, რომლებიც თანდა-თან დაქანებული კალთებიდან წიბოთი გამოიყოფიან. სიმაღლე ჭურჭლის 6,5; დმ ყელის — 2,7; ძირის — 8,8 სმ.

164 (12—54:4537; სურ. 196). კ ო ჭ ო ბ ა ნ ა ღიანაცრისფრად გამომ-წვარი თიხისა; პაწია, რუხპრიალა; ყელ-პირი ვიწრო და აშვეტილი აქვს;

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIV—XIII (ძვ. წ. XIV—XIII სს. —რედ.).

ბიკონუსურმუცლიანი; ძირი ოდნავ გამოყოფილი. სიმაღლე 8,7; დმ პირის 5,6; მუცლის 10,5; ძირის 4,5 სმ.

165 (12—54:4535; სურ. 201). ჭ ურ ჭ ე ლ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა, შავპრიალა ზედაპირიანი; პაწია; ქვევრისებრი.

166 (12—54:4536; სურ. 199, 200, 202). ჭ ურ ჭ ე ლ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირიანი; პაწია; ქვევრისებური.

167 (12—54:4540; სურ. 205, 206). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე ტარშეურჩენელი; ძირითადად ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისა; მაღალი, სქელი ქედი აქვს, თავადაც სქელია, ფხა ალესილი, წვრილნახვრეტიანი მანჭვლებისათვის. პირი მცირედ დაჩენჩილი აქვს. კარგი ბრინჯაოსფერია. სიგრძე 13,6; უდ. სიგანე 4,3 სმ.

168 (12—54:4541; სურ. 207, 208). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; ღერო წვერისკენ მრგვალია; თავთან ახლოს დაწახნაგებული. სიგრძე 8,4; დმ ყუნწის 0,3; უდ. სიგანე 0,4 სმ.

169 (12—54:4542; სურ. 209). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მსხვილი მავთულისა; პირიპირზე შესული. საკანჭურად გამოყენებული. ოდნავ ოვალური. უდ. დმ 6,7; უდ. სიმსხო 0,4 სმ.

170 (12—54:4543; სურ. 209). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მსხვილი მავთულისა. პირიპირზე შესული. ოდნავ ოვალური. საკანჭურად გამოყენებული. უდ. დმ 7,5; უდ. სიმსხო — 0,35 სმ.

171 (12—54:4544). ღ ი ლ ი ანტიმონისა; მორკალურზურგიანი; პატარა მრგვალი ყუნწით, ნაპირები ჩამოტეხილ-ჩამოფცქვნილია. დმ 1,9 სმ.

172 (12—54:4545; სურ. 210). მ ძ ი ვ ე ბ ი ღია-წითელი სარდიონისა; დაბალცილინდრული. უხეშად ნაკვეთი.

173 (12—54:4546; სურ. 210). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი-წითელი, თითქმის ლუქისფერი სარდიონისა; დაბალცილინდრული მოყვანილობისა; უხეშად „ნაკვეთი“ (ნაპობი). უდ. ნიმუშის დმ 1,3; სიმაღლე 0,6; უმც. დმ 0,6; სიმაღლე 0,4 სმ.

174 (12—54:4547; სურ. 211). კ ო ჭ ი მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა; გაპრიალებული და ერთგან, ნაპირთან, გახვრეტილი.

ორმოსამარხი 171 (1940, N; სურ. 212—217).

როგორც გვქონდა ნათქვამი (იხ. ზემოთ), ეს სამარხი 170-ე სამარხს ქვეშ იყო, რომელიც თავის მხრივ ძირს ეგო 166-ე სამარხს. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს ჩვენთვის, ეს ზემოთ, სამარხთა სტრატიგრაფიის განხილვის დროს, ვნახეთ.

სამარხი მიწის ზედაპირიდან 3,10 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, მოიცავდა 1,50×0,65 მ ფართობს. მასში მარჯვენა გვერდზე ესვენა საშუალო სიმაღლის და საკმაოდ ძვალმსხვილი ადამიანის (აშკარად მამაკაცის), შედარებით კარგად დაცული ჩონჩხი, თავით ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთისკენ დამ-

ხრობილი, მკვეთრად მოხრილი ფეხებით და ზეაპყრობილი ხელებით. მოკუნტვა იმდენად საგრძნობი იყო, რომ იდაყვები მუხლის თავებს ეხებოდა. გვამის გახრწნის შემდეგ ჩონჩხი საფლავში მოპირქვავებული იყო ისე, რომ მალების მორჩები ზემოთ ამოქცეულიყო.

მიცვალებულისთვის ჭირისუფალს ჩაუტანებია ცხვრის თავი, კურდღლის (?) ნაწილები და შემდეგი ნივთები: შავად გამომწვარი თიხის მაღალი ჯამი სახის წინ ედო, მაღალი დოქი და ზედაპირდაღარული ქოთანი ფერხთით ედგა; გვერდის არეში ბრინჯაოს ზამბარისებრი ხვია, ხოლო მუხლთა გასწვრივ ბრინჯაოსავე შუბისპირი იყო*.

175 (12—54:4746; სურ. 214). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; პირსწორი, მაღალი, ღრმა, ძირვიწრო, ნაპრიალები გადასულია.

176 (12—54:4747; სურ. 213). ქ ო თ ა ნ ი მურა-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მაღალი; ყელის ძირში და მხარზე ფრჩხილისებური ჭდეების სარტყელი გადასდევს, შემდეგ უდიდეს წრეხაზამდე 5—6 ერთიმეორეზე მიჭრილი ღარებია, ხოლო აქედან ძირამდე 16—17 მკრთალი ღარი მიუყვება ჭურჭელს ქვედა ტანზე; ღართა შორის ზედაპირი უწვრილესი ვერტიკალური ხაზებით არის შევსებული, რაც ნაფოტის ბოჭკოთა ნაკვალევს მიაგავს. ჭურჭელს დაკეკნილი აქვს ძირის წიბო და თვით ძირიც სპირალური ხაზით აქვს დაფარული. ნამდვილი კახური ჭურჭელია.

177 (12—54:4748). ქ ი ლ ა ან დ ე რ გ ი ღია-ნაცრისფრად გამომწვარი; პრიალა; დიდი განიერი მუცლით, ელიფსურმუცლიანი შეიძლება ეწოდოს. პირ-ყელი ჩამომტვრეული და დაკარგულია, მაგრამ დარჩენილი ყელის ნაშთის მიხედვით საკმაოდ ფართო პირი უნდა ჰქონოდა. ცალ მხარზე შემორჩენილა ნაყურალი. ჰაბიტუსის მიხედვით, საპირისპიროდ თითქოს მეორე ყურიც უნდა ჰქონოდა და მაშინ ორყურა ქილა გამოდის. ყელსა და ყურის ძირში 4—4 ღრმა კონცენტრული ღარი დასდევს ირგვლივ. სიმაღლე (შემორჩენილი) 25,0: დმ მუცლის 31,5; ძირის 10,0 სმ.

178 (12—54:4749; სურ. 215). ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მასრაგახსნილი, რომელიც თითქმის წვერამდე ქედივით გასდევს. პირი უფრო ფოთლისებრია. მასრაზე საპირისპიროდ წყვილი ნაჩვრეტია, ტარსამაგრი. მასრისპირი დეფორმირებულია. სიგრძე 12,8; აქედან პირზე 5,7 სმ მოდის; უდ. სიგანე 2,9; დმ ნაჩვრეტის 0,8 სმ.

179 (12—54:4750; სურ. 216). ხ ვ ი ა ბრინჯაოსი; თხელ-ბრტყელი ღერო 9-ჯერ ცილინდრულად არის დახვეული. სიგრძე 2,2; დმ 0,5 სმ.

180 (12—54:4551; სურ. 217). ა ნ ა ტ კ ე ც ი შავი ბოლოვანი ობსიდია-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIV—XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს. —რედ.).

ნისა, ორფერდა; ცალ ზე ნახმარობის კვალი

ფერდს უსწორო კაჭრის ზედაპირი გამოჰყოლია. წვერ-ატყვია. სიგრძე 4,3; სისქე 2,7 სმ.

ორმოსამარხი 175 (1940, N; სურ. 218—231).

VII ფართობზე, მიწის ზედაპირიდან 2,75 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, ეჭირა 1,25×1,0 მ მოედანი. სამარხში მარჯვენა გვერდზე სვენა საკმაოდ მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცის ჩონჩხი, თავით აღმოსავლეთისკენ დამხრობილი, სახით ჩრდილოეთისაკენ მიბრუნებული, სწორკუთხოვნად მოკეცილი ხელ-ფეხით. თავი რიყის ქვაზე ჰქონდა მიყრდნობილი, მეორე ქვაზე კი მარჯვენა ხელის კერტი ედო. ორი მოზრდილი ქვა მენჯ-ბარძაყის არეში იყო. ხერხემალი ძალუმად მოხრილი ჰქონდა. ბარძაყის ძვლის სიგანე 0,47 მ უდრიდა. ჩონჩხის მამაკაცისადმი მიკუთვნება დადასტურდა კრანიომეტრიული შესწავლით.

მიცვალებულს თან ახლდა: შავად გამომწვარი თიხის ლანგარი — მუცლის არეში; დიდი ქვევრისებრი მოყვანილობის ქილა მუხლის თავზე იყო მიდგმული; დაბალი ქოთანი მარჯვენა იდაყვთან, ხოლო დოქი მარჯვენაკე მკლავთან იდგა. ირმის რქის ძირი, ტოტებწაკვეთილი და განივად დახვრეტილი, ლახტის თავი, ზურგს უკან იდო. ბრინჯაოს თავხვია საკინძი თავქვეშ აღმოჩნდა, ხოლო ბრინჯაოსივე მოკლე, ფოთლისებრი სატევრისპირი ჩვეულებრივ წელში ჰქონდა გარჭობილი*.

181 (12—54:4803; სურ. 224, 229). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ღრმა, სწორბაკოიანი, მომაღლო ნაპირიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. სიმაღლე 7,5; დმ პირის 2,5; ქუსლის 9,3 სმ.

182 (12—54:4801; სურ. 218, 220). დ ე რ გ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; დიდი, პირფართო და გადმოშლილი, დაბალყელიანი, კვერცხისებრი ტანით. მხარზე (ყელთან ახლოს) ოთხი ღრმა ღარი არტყია გარშემო. შემდეგ დიდ მუცლამდე პარკეტულად არის დაღარული. ქვედა ტანი ნაპრიალებია. სიმაღლე 30,0; დმ პირის 18,1; მუცლის 33,0; ძირის 10,3 სმ.

183 (12—54:4802; სურ. 219, 221). ქ ო თ ა ნ ი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პირფართო, უყელო, მხრებგანიერი: მხარზე მკრთალი ღარი გადასდევს, რომლის ქვეშ ირიბად დაყენებული ხორბლისებრი ჭდეების სარტყელია; ამის ქვემოთ ტალღოვანი ხაზია, ხოლო შემდეგ — მკრთალი კონცენტრული ღარები. ზედაპირი კარგა მოზრდილ ნაწილზე აქერცლილია. სიმაღლე 13,9; დმ პირის 13.0; მუცლის 18,0; ძირის 7,7 სმ.

184 (12—54:4804; სურ. 222, 223). დ ო ქ ი შავად გამომწვარი თიხისა; გაპრიალებულ, ძაბრისებრ ყელპირიანი, რომლის ქობა გარედან კონცენტრული ღარით არის გამოყოფილი; ყელზე რელიეფური ბეჭი არტყია; მრგვალ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია: გბ 1, XIV—XIII (გეიანბრინჯაო I, ძვ. წ XIV—XIII სს.—რედ.).

განივკვეთიანი კოხტა ყური, რომელიც პირს მხართან აერთებს, განივი ღარებით შექმნილი ასეთივე ლილვაკებით არის შემკული. ასეთივე ბექებით არის შემკული ჭურჭლის მხარ-მუცელი: წყვილი ყური მარჯვნივ, სამი ყურის მარჯვნივ, ხოლო სამ-სამი წინ. რელიეფები ირიბად არის დაყენებული, ყველა მარჯვნიდან მარცხნივ. ყურის ძირის დონეზე ჭურჭლის მხარს სამი ღარი არტყია, ხოლო ღარებსა და ყელს შორის ზედაპირზე წვრილად დაშტრიხული სამკუთხედებია, ზოგ მათგანს ასეთივე ნახელავი რომბები მიებმის წვერზე. ძალიან კარგი ნახელავია. სიმაღლე ჭურჭლის 19,5; ყელის 4,3; დმ პირის 6,5; მუცლის 19,5; ძირის 9,0 სმ.

185 (12—54:4805; სურ. 225, 230). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ფოთლისებრი, მოკლე, შუაზე მკვეთრქედიანი, რომელიც წვერამდე ჩასდევს; თხელი, ფეხებალესილი, ორმანჭვლიანი (შემორჩენილია ერთი მანჭვალი). სიგრძე 14,3; უდ. სიგანე 5,5 სმ.

186 (12—54:4806; სურ. 226, 231). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; თავისკენ ოთხწახნაგოვანი, რომელზედაც თევზისებური სახეების კვალი შეინიშნება. სიგრძე 10,0; უდ. სიგანე 0,3 სმ.

187 (12—54:4807; სურ. 227, 228). ი რ მ ი ს რ ქ ი ს ძ ი რ ი, ტოტებწაკვეთილი და ძირში განივად გახვრეტილი. სამტოტა ყოფილა, ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი იქნებოდა. საფუძველის სიგრძე-სიგანე 8,5×7,5 სმ; ნახვრეტების დმ 2,6 სმ.

ორმოსამარხი 179 (1940, N; სურ. 410—424 *a*).

გაითხარა VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოჩენილი იყო 3,45 მ სიღრმეზე. საფლავის სწორკუთხოვანი ორმო მსხვილმარცვლოვან, ფხვიერ მოწაბლისფრო მიწაში იყო გაჭრილი. მისი ფსკერის ზომა 1,35×0,80 მ უდრიდა. გასუფთავების შემდეგ შიგ აღმოჩნდა თითქმის უნაკლოდ შენახული ჩონჩხი საკმაოდ მაღალი და ძვალწვრილი ინდივიდისა. ქალის ჩონჩხი იწვა მარცხენა გვერდზე. თავით დასავლეთისკენ დამხრობილი, თავისუფლად მოკეცილი ფეხებით, ხელებიც ასევე მოხრილი და ზეაპყრობილი ჰქონდა.

მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ წვრილფეხა რქიანი პირუტყვის ცალკეული ნაწილები და შემდეგი ინვენტარი: შავად გამომწვარი თიხის ჯამი— სახის წინ; მუცელგანიერი კოჭები— იქვე; პირგანიერი ქილა — მენჯთან; ორყურა ქილა — ფეხთით. სარდიონის, პასტისა და ტალკის მძივები (240 ც.) — ყელის, გულმკერდისა და მაჯების არეში (რაც გვაფიქრებინებდა, რომ მძივთა ნაწილი სამაჯურად უნდა ყოფილიყო ასხმული); ბრინჯაოს მახათი თავით ედო; ბრინჯაოს ყურსაკიდი რგოლი — თავქვეშ, მარცხენა ყურის ადგილას; ბრინჯაოს ოთხი თავხვია საკინძი — ყელის არეში, ბრინჯაოს ორი რგოლი — სახის წინ და სხვ.*.

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მოუწერია ფანქრით: გბ I, XIV—XIII (გვიანბრინჯაო I, XIV—XIII სს.—რედ.).

188 (12—54:4849; სურ. 412, 422). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი, გადანატეხში მოწაბლისფრო თიხისა; შავპრიალა; მაღალი, ღრმა, სწორი, შემაღლებულპირიანი, ნაპირი კალთებისგან გამოიყოფა. სიმაღლე 7,0; დმ პირის 5,5; მუცლის 9,0; ძირის 4,0 სმ.

189 (12—54:4849$_1$;). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა: პატარა; წახნაგმუცლიანი, რომლის ირგვლივ 2 ღარი მოუყვება. სიმაღლე ჭურჭლის 7,0; პირის 2,5; დმ მუცლის 19,1; ძირის 7,3 სმ.

190 (12—54:4849$_2$). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; მქისე ზედაპირიანი; ყელს ქვემოთ ირგვლივ ღარები და ფრჩხილისეული ნაჭდევების წრე არტყია, ძირის წიბოც ფრჩხილისეული ნაჭდევებით არის დაკეჭნილი. სიმაღლე 14,5; დმ მუცლის 17,0; ძირის 7,0 სმ.

191 (12—54:4850; სურ. 411, 423). ქ ი ლ ა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირით; მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელმაღალი, კვერცხისებრი მუცლით, ორყურა (ორივე მოტეხილი და დაკარგული); ყურები ბრტყელი, ოთხკუთხგანივკვეთიანი ყოფილა. მხარზე სამი ღარი გადასდევს. სიმაღლე 37,7; დმ მუცლის 24,0; ძირის 6,5 სმ.

192 (12—54:4851; სურ. 414, 419 ა). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი, ყუნწგადმოკეცილი, სიგრძე 10,0 სმ.

193 (12—54:4852; სურ. 413, 419). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; რამდენადმე დეფორმირებული. სიგრძე 10,0 სმ.

194 (12—54:4853; სურ. 413, 419). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; დეფორმირებული. სიგრძე 7,6 სმ.

195 (12—54:1854; სურ. 413, 419). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; მცირედგაღუნული. სიგრძე 8,1 სმ.

196 12—54:1855; სურ. 413, 419). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია; წვერგაღუნული. სიგრძე 7,8 სმ.

197 (12—54:4856; სურ. 415, 418). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მავთულისა; თავებწაწვეტებული და ერთიმეორეზე შესული, დეფორმირებული; საფეთქლის სამკაულად ყოფილა გამოყენებული დმ 4,7 სმ.

198 (12—54:4857; სურ. 415, 418). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი; წინამავლის ცალი. ანალიზის დროს დაიხარჯა.

199 (12—54:4858). ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოს მომსხო მავთულისა; პირიპირზე შესული; დეფორმირებული, დმ 4,8 — 5,1 სმ.

200 (12—54:4864, 4865; სურ 416, 417). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი-წითელი, ზოგჯერ ლექისფერი სარდიონისა; ზოგადად დაბალცილინდრული, ტლანქად ნაკვეთი, 197 ც. 0,5; დმ 0,9 სმ.

201 (12—54:4866; სურ. 424). მ ძ ი ვ ე ბ ი თეთრი, ყვითელი, ყავისფერი, მოშავო პასტისა; დაბალცილინდრული მოყვანილობისა, პაწია. 33 ცალი.

202 (12—54:4859—62; სურ. 420). ნატეხები ანტიმონის მ ძ ი ვ ს ა კ ი-
დ ე ბ ი ს ა; ბრტყელ-მრგვალი აჟურული მედალიონების მსგავსი უნდა ყო-
ფილიყო.

203 (12—54:4863; სურ. 421). მ ძ ი ვ ე ბ ი ტალკისა; თეთრი, მოგრძო
სწორკუთხედის მოყვანილობისა, ზურგიანი, რომელსაც წყვილი განივი ნახვ-
რეტი აქვს. 2 ცალი. სიგრძე 2,0; სისქე 0,6 სმ.

ორმოსამარხი 288 (1947, N; სურ. 232—254). აღმოჩნდა VIII ფართობის შუა ნაწილში 1,90 მ სი-
ღრმეზე, NW—SO მიმართულების ოვალურ ორმოში, რომლის მოედანი 1,10×0,85 მ უდრიდა. სამარხში
იყო დაბალი ტანის ქალის ჩონჩხი, მარცხენა გვერდზე, ფეხებმოხრილი, ხელები სახის წინ ეწყო. თან ახლდა
თიხის 5 ჭურჭელი: ლანგარი, ჯამი, ქილა, დერგი, ორყურა ქილა, სარდიონი-
სა და ანტიმონის მძივები; ბრინჯაოს მახათი, ოთხი თავხვია საკინძი, მასიუ-
რი მძივები, ხვიები და, რაც მთავარია, მოკლე სატევრისპირი. ეს ერთი იმ
გამონაკლისთაგანია, როდესაც ქალს იარაღი აქვს ჩატანებული*.

204 (12—54:7520; სურ. 236, 246). ლ ა ნ გ ა რ ი შავ-რუხად გამომწვარი
თიხისა; შავპრიალა; ღრმა, მორგვალებული ბაკოთი, მაღალნაპირიანი; ძი-
რის ნაწილში აქერცლილი. გარედან ნაპირს ორღაროვანი ტალღისებრი სარ-
ტყელი გადასდევს. სიმაღლე ჭურჭლის 8,0; ნაპირის 2,3; დმ პირის 25,1; ძი-
რის 8,5 სმ.

205 (12—54:7518; სურ. 237, 247). ჯ ა მ ი მოშავოდ გამომწვარი თიხი-
სა; შავპრიალა; ღრმა, მომრგვალებული ბაკოთი, ნაპირი მაღალი და შიგნით
შეწეული აქვს ისე, რომ ნაპირი კალთებისაგან მკვეთრი წიბოთი გამოიყოფა.
სიმაღლე ჭურჭლის 6,6; ნაპირის 2,3; დმ პირის 19,5; ძირის 8,1 სმ.

206 (12—54:7519; სურ. 233, 248). ქ ი ლ ა რუხ-შავად გამომწვარი თი-
ხისა; ნაპრიალები (თითქოს გადასულია); მაღალი, მომრგვალებული ბაკო-
თი (პირი რამდენადმე დეფორმირებული აქვს; დაბალი, დადგმული ყელით,
კვერცხისებრი მუცლით. ორყურა (ბრტყელი, ოთხკუთხა განივკვეთიანი ყუ-
რეები). ყურთა დონეზე ღრმა კონცენტრული ღარი არტყია. სიმაღლე 32,0;
დმ პირის 11,6; მუცლის 28,0; ძირის 10;0 სმ.

207 (12—54:7516; სურ. 234, 245). დ ე რ გ ი შავ-მურად გამომწვარი
თიხისა; ნაპრიალები (გადასულია); მსხვილი მომრგვალებული ბაკოთი, და-
ბალყელიანი, განიერმუცლიანი (კვერცხისებური ეთქმის). მხარზე მთელი
წყება (10—11) წვრილი, კონცენტრული ღარები გადასდევს. სიმაღლე 28;
დმ პირის 12,6; მუცლის 28,0; ძირის 8,1 სმ.

208 (12—54:7517; სურ. 235, 244). ქ ი ლ ა ლეგა-მონაკრისფროდ გა-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით: XIV—XIII (ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

შომწვარი თიხის; პირფართო, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მხრებგანიერი, ყელის ძირში ტეხილტალღოვანი ხაზის სარტყელია, ხოლო მხარზე, ირგვლივ, დამრეცი ჭდეების წყება შემოუყვება. პირი ნაწილობრივ ჩამოტეხილია, ზედაპირი ალაგ-ალაგ აქერცლილია. სიმაღლე ჭურჭლის 21,7; ყელის 3,0; დმ პირის 16,4; მუცლის 23,5; ძირის 8,1 სმ.

209 (12—54; სურ. 238, 254). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ვიწრო, ფოთლისებრი (მაგრამ სათანადო ადგილას შესქელებული), წყვილი სამანჭვლით. ტარსაგები ნაწილი ტოლფერდა და სამკუთხედისებრია; ფხაალესილი. სიგრძე 16,3; სიგანე მხრებში 3,7 სმ.

210 (12—54:7522; სურ. 239, 252). მ ა ხ ა თ ი, ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; გადმოკეცილი ყუნწით. სიგრძე 11,1; უდ. სიმსხო 0,2 სმ.

211 (12—54:7526; სურ. 240, 253). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს მსხვილი მავთულისა: თავხვია, ოდნავ დეფორმირებული. სიგრძე 6,5; უდ. სიმსხო 0,25 სმ.

212 (12—54:7523; სურ. 240, 253). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს, თავხვია. სიგრძე 6,4; სიმსხო 0,15 სმ.

213 (12—54:7525; სურ. 240, 253). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, თავხვია ღერო დეფორმირებულია. სიგრძე 6,1 სმ.

214 (12—54:7524; სურ. 240, 253). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; მოკლე თავხვია. სიგრძე 4,7 სმ.

215 (12—54:7527). მ ძ ი ვ ი ბრინჯაოსი; ხოჭოსებრი, დაბალი განივი ნახვრეტით .სიგრძე 1,8; სიგანე 1,8; ნახვრეტის უდ. დმ 0,6 სმ.

216 (12—54:7528; სურ. 243, 249). მ ძ ი ვ ი ბრინჯაოსი; ხოჭოსებური, წინამავლის მსგავსი. დმ. 1,8; სიგანე 1,8; ნახვრეტის უდ. დმ 0,7 სმ.

217 (12—54:7529; სურ. 241, 251) ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი ბრინჯაოს ხვიისა; სათმეული სამკაულისა უნდა იყოს.

218 (12—54:1732) მ ძ ი ვ ე ბ ი ანტიმონისა (?)), დაბალი, დაკუთხული.

219 (12—54:1731; სურ. 250). მ ძ ი ვ ე ბ ი ანტიმონისა (4); ხოჭოსებრი; პასტისა (?), წვრილი. 9 ც.

220 (12—54:7530; სურ. 242). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისფერი სარდიონისა; დაბალცილინდრული; სიმაღლე. უდ. ნიმუშის 0,9; უმც. ნიმუშის 0,25 სმ.

ორმოსამარხი 239 (1940, s; სურ. 255—258). აღმოჩნდა თხრილში. იგი ძალიან დაზიანებული იყო შემდეგ აქ გამართული ქვისსამარხების ჩადგმის დროს. მიუხედავად ამისა, გაირკვა, რომ აქ დაკრძალული ყოფილა გოგონას გვამი, ჩვეულებრივ ხელფეხმოხრილი მარჯვენა გვერდზე, თავით N მიქცეული. მოიკრიბა შემდეგი ინვენტარი:*

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გვ. I, XIV—XIII (ეგიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

221 (12—54:11612). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ქილის ფრაგმენტები; ჩვეულებრივი.

222 (12—54:11614; სურ. 256). ს ა მ ა ჯ ი ს ა თ ა ფრაგმენტები მავთულოვანი ბრინჯაოსი; დაახლ. 2 სამაჯური იქნებოდა.

223 (12—54:11616; სურ. 258). მ ძ ი ვ ი თუ მ ძ ი ვ ს ა კ ი დ ი ანტიმონისა, მუხლუხა რგოლის სახით წარმოდგენილი; ორგან, საპირისწორო მხარეზე გახვრეტილი. დმ. 1,9 სმ.

224 (12—54:11615; სურ. 257). მ ძ ი ვ ე ბ ი მოწითალო, მოვარდისფრო, მეტწილად ლუქისფერი სარდიონისა, „დახეთქილი"; დაბალცილინდრული; ტლანქი ნამუშევარი. 18 ც.

ორმოსამარხი 146 (ექსკავაციები 1939 წ. S; სურ. 259—270).

აღმოჩნდა 120-ე კვადრატში 1,20 მ სიღრმეზე. გადახურული იყო 2 საშუალო ზომის მჭადა ფილაქვით, რასაც ზემოდან რიყის ქვები ეყარა. ქვაყრილისა და ფილაქვების ახლოს 0,88×0,75 მეტრის მომცველ მოედანზე, განლაგებული იყო შავი თიხის 9 სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი, ერთიმეორესთან მჭიდროდ მიდგმული. ზოგი პაწია ჭურჭელიც დიდზე იყო შედგმული. როგორც გამთხრელი მ. ივაშჩენკო აღნიშნავს, ადამიანის ჩონჩხის არავითარი კვალი ამ გროვასთან არ ყოფილა. მხოლოდ ერთ-ერთ დიდ ჭურჭელში იყო შინაური ცხოველის რამდენიმე ძვალი*.

225 (12—54:10293; სურ. 260, 261). ქ ი ლ ა-დ ე რ გ ი რუხფრად გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; მომაღლო, პირფართო, პირქობიანი, ყელდაბალი, მხრებგანიერი, კვერცხისებური ტანით, ძირჩავიწროებული. ყელის ძირსა და მხარზე ფრჩხილისებური ორნამენტისმაგვარი წყვილადი ჭდეების წყვილი სარტყელია, რომელთა შორის ხშირი კონცენტრული ღარებია, ოდნავ გამოყოფილი ძირის წიბო დაკეკნილია. სქელკედლიანი ჭურჭელი ყოფილა შუადან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი ხანისა. სიმაღლე ჭურჭლის 27,3; ყელის 2,3; დმ მუცლის 28,0; ძირის 9,0; პირის ქობის 1.

226 (12—54:10294; სურ. 264, 265). ქ ი ლ ა-დ ე რ გ ი რუხ-მომწაკრისფროდ გამომწვარი თიხის; ნაპრილები, მომაღლო, პირგადაშლილი, მსხვილქობიანი, ყელდაბალი, კვერცხისებრტანიანი. მხარზე გადასდევს მკრთალი ღარი, რომელსაც ოთხი ტალღისებრი ღარი მიჰყვება, ამის ქვემოთ წყვილი მკრთალი ღარია, ისევ ტალღოვანი ხაზები, რის ქვემოთ ერთი შედარებით ფართო და ღრმა ღარია. სიმაღლე 26,9 დმ პირის 15,3; მუცლის 29,0; ძირის 8,1 სმ.

227 (12—54:10295; სურ. 266, 267). ქ ი ლ ა (იქნებ სადღვებელი იყო)

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIV—XIII (ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.)

შავლეგად გამომწვარი თიხისა; თხელკეციანი, ნაპრიალები. პირგადმოშლილი, კვერცხისებრტანიანი. მხარზე სარტყელია, რომელიც ღარებისა და მათ შორის მოთავსებული ტალღოვანი ხაზებისგან შედგება. სიმაღლე 26,5; დმ მუცლის 31,0; ძირის 9, 0 სმ.

228 (12—54:10292; სურ. 262, 263). ქ ი ლ ა შავლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია); ყელმომაღლო, ოდნავ პირგადმოწეული, სფერულმუცლიანი. ყელის ძირსა და მხარზე ღარები არტყია და 8 დაშტრიხული სამკუთხედია წვერით ზემოთ (უნდილად დატანილი). სიმაღლე 23,3; დმ პირის 19,9; მუცლის 23,3; ძირის 7,5 სმ.

229 (12—5410291; სურ. 270). ჯ ა მ ი შავლეგად გამომწვარი თიხისა; თხელკეციანი, ნაპრიალები; პირგადმოწეული, ღრმა, თითქოს ბიკონუსურმუცლიანი. გარედან, პირს ქვემოთ, 7—8 ხშირი ღარი გადასდევს. სიმაღლე 9,8; დმ პირის 15,0; მუცლის 77,0; ძირის 7,0 სმ.

230 (12—54:10296). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი ყელმაღალი კოპობისა; შავპრიალა ზედაპირით, პატარა, მწყემსის საფლავში (26) აღმოჩენილ პატარა სურისმაგვარ ჭურჭელს მოგვაგონებს და ალბათ იმავდროულიცაა — ძვ. წ. XII ს.

231 (12—54:10297; სურ. 268). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა (მხოლოდ პირის მახლობლად გადასულია ნაპრიალები); დაბალი, პირწოყრილი; გარედან პირის გარშემო ხშირი მკრთალი ღარებია. სიმაღლე 4,5; დმ პირის 10,9; პირის 4,1 სმ.

232 (12—54:10298; სურ. 269). ს ა მ ა რ ი ლ ე ჭურჭელი ლეგაფრად გამომწვარი თიხისა; პაწია; ოდნავ პირგადმოწეული, ბიკონუსურტანიანი; წიბოს ზემოთ მკრთალი ღარები და გონქით ნაკეკნი სახეებია. ძირის წიბო ირიბად დაკეკნილი აქვს. სიმაღლე 4,2; დმ პირის 10,9; ძირის 3,0 სმ.

ორმოსამარხი 145 (1939, S; სურ. 271—287). აღმოჩენილი იყო 120-ე კვადრატში, წვრილი რიყის ქვის ქვაფენილს ქვეშ 1,50+0,15=1,65 მეტრის სიღრმეზე. სამარხში ესვენა ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი ხელფეხმოკუნტული, თავით ჩრდილოეთისკენ მიქცეული. აღსანიშნავია, რომ აქვე ყოფილა სხვა ორმოსამარხი, სადაც ჩონჩხისგან მხოლოდ წვივის ძვლები დარჩენილა. ალბათ ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა ბრინჯაოს ცალი სამაჯური. სამარხის თხრისას აღმოჩენილი ძვლები მსხვილფეხა (ხარის) და წვრილფეხა რქოსანი საქონლისა ორივე მიცვალებულს ეკუთვნოდა და თხრისას მათი გაცალკევება შეუძლებელი იყო. ძირითად ჩონჩხთან შავი თიხის ჭურჭელი და უხეშად ნამუშევარი სარდიონის 102 ცალი მძივი აღმოჩნდა*.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ 1, XIV—XIII (გეიანბრინჯაო 1, ძვ. წ. XIV—XIII სს.—რედ.).

233 (12—54:10211; სურ. 272, 273). ქ ი ლ ა (დერგიც ეთქმის) რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირგადმოშლილი, ოდნავ ყელგამოყოფილი, მხრებდაქანებული, კვერკხისებრმუცლიანი; წყვილი, ლილვაკისებრი საცერულიანი ყური აქვს ცალი თითის გასაყრელად. ყურთა შორის მათ დონეზე აგრეთვე წყვილი უნაგირისებრი საცერულია დაძერწილი. ყელის ძირზე ერთი, მხარზე ოთხი ტალღოვანი მკრთალი ღარია. მხრის უდიდესი ნაწილი წყვილ ღარს შორის მოთავსებული პარკეტული სახეებით აქვს შემკული. მუცლის უგანიერეს ნაწილზე გადასდევს წყვილი ღარი, რომელთა შორის არე შევსებულია ვერტიკალურად დაყენებული სავარცხლისებრი ორნამენტებით. სიმაღლე ჭურჭლის 31,0; ყელის 1,5; დმ პირის 15,3; მუცლის 31,5: ძირის 10,0 სმ.

234 (12—54; 10209; სურ. 276, 277). ქ ი ლ ა რუხ-ლეგად გამომწვარი მქისე თიხისა; პირფართო; იგი ოდნავ გადმოშლილია და ქობიანი; სფერულ-მუცლიანი და ოდნავ ამობურცული ძირი აქვს. ყელის ძირზე სამი ტალღოვანი ღარია. წყვილი წყვილტალღოვანი ღარები მხარ-მუცლის საზღვარზე გადასდევს სარტყლად, ღართა შორის კი საკმაოდ მაღალი რელიეფური ზოლი (ბექი) არის მოთავსებული. ამის ქვემოთ ხუთი მკრთალი ღარია. ყელის და მხრის ტალღოვანი ღარი ალაგ-ალაგ (6 ადგილას) წყვილი, ვერტიკალური კლაკნილი ხაზებით არის შეერთებული.

235 (12—54:10210; სურ. 274 275). ქ ი ლ ა (თუ ქვაბქოთანა) რუხ-ლეგად გამომწვარი; პირფართო, ოდნავ ყელგამოყოფილი, ბიკონუსურმუცლიანი, ძირჩავიწროებული. მხარ-მუცელი ხშირი ღრმა ღარებით აქვს დაფარული, რის გამოც ჭურჭლის ეს ნაწილი გოფრირებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიმაღლე 20,5; დმ პირის 22,5; მუცლის 28,5; ძირის 9,0 სმ.

236 (12—54: 10207; სურ. 278, 279). ბ ა დ ი ა შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; თხელკედლიანი; პირმოყრილი, მხარგანიერი, ძირვიწრო. სწორად მოკვეთილი პირი რამდენადმე შიგნით არის ჩაბრუნებული და წყვილი ტალღოვანი ხაზით შემკული. პირს გარედან ხუთი, მხარზე სამი ღარია, რომელთა შორის სამი ტალღოვანი ღარის სარტყელია. სიმაღლე 13,3 დმ პირის 21,7; მხრებში 24,5; ძირის 9,0 სმ.

237 (12—54:10212; სურ. 280). ჯ ა მ ი რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირმოყრილი, ბიკონუსურტანიანი, რომლის ზედა ნაწილი რამდენიმე სწორი და ერთი ტალღური ღარებით არის შემკული. სიმაღლე 7,0; დმ პირის 12,0; ძირის 5,0 სმ.

238 (12—54:10208; სურ. 281, 282). ქ ი ლ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; პირფართო, გადმოშლილი. კოხტად გამოყვანილი ქობა აქვს. დაბალყელიანია, მხრებგანიერი, თითქოს სფერულმუცლიანი. მხარზე ფრჩხილისებური ჭდეების წყვილი სარტყელია, რომელთა შორის არე კონცენტრული ღარებით არის დაფარული, ძირდაკეჭნილია. ტიპიური კახუ-

ური ჭურჭელია ეს და მისი შომდევნოც. სიმაღლე 19,5; დმ პირის 17,2; მუცლის 25,0; ძირის 7,5 სმ.

239 (12—54:1013; სურ. 283, 284). ქ ო თ ა ნ ი რუხ-ლეგად გამომწვარი მქისე თიხისა; ზედაპირხაოიანი; დაბალი, პირფართო, პირგადმოშლილი, ქობიანი, თითქოს ბიკონუსურმუცლიანი. მხარი ფრჩხილისებური ორნამენტითა და კონცენტრული ღარებით არის შემკული. წვრილი, გონგისეული ხაზები ქვედა მუცელზეც ეტყობა. ძირი დაკეჭნილია. სიმაღლე 11,7; დმ პირის 13,5; მუცლის 17,5; ძირის 6,0 სმ.

240 (12—54: 10214; სურ. 285. ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი; მომსხო მავთულის უწესო რგოლია, პირიპირზე შესული. დმ 5,9; სიმსხო 0,25 სმ.

241 (12—54:10215; სურ. 287). მ ა ნ ჭ ვ ა ლ ი პაწია, თავგრეხილი ბრინჯაოსი, სიმაღლე 0,7 სმ.

242 (12—54:10216; სურ. 286). მ ძ ი ვ ე ბ ი მოვარდისფრო, ზოგიც ლუქისფერი სარდიონისა; წვრილი, დაბალცილინდრული, ზოგიც მომრგვალებული; ტლანქი ნამუშევარია. 101 ცალი.

ორმოსამარხი 21 (1939, N; სურ. 288—301). აღმოჩნდა V და VI ფართობების საზღვარზე. 1,60 მ სიღრმეზე; ეჭირა 10 ც 1,0 მ. 14—15 წლის ბავშვის (გოგონას?) ჩონჩხი რიყის ოთხ ქვას შორის იყო ჩაჭედილი, თავით აღმოსავლეთისკენ მიქცეული; იწვა მარცხენა გვერდზე, ძალზე მოხრილი. თავის ქალა გადაადგილებულა და ყირამალა ეგდო. ნეკნები გაშლილი, წვივები ქვებს გარეთ მოხვედრილა. მიცვალებულს თან ჩატანებული ჰქონდა თიხის ხუთი ჭურჭელი, ბრინჯაოს საყურეები და სარდიონის, ცისფერი და თეთრი პასტის მძივები*.

243 (12—54: 1116; სურ. 288, 289). ქ ი ლ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; პირფართო, ბაკოგადმოწეული, განიერმუცლიანი; შავპრიალა (ნაპრიალები თითქმის გადასულა). ყელის ძირში, მხარზე, ორი წყვილი კონცენტრული ღარი გადასდევს. სიმაღლე 21,6; დმ პირის 20,7; მუცლის 27,0; ძირის 10,8 სმ.

244 (12—54:1119; სურ. 294, 295). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა მონაცრისფროდ გამომწვარი; პირფართო, თითქმის სწორბაკოიანი; მუცელგანიერი, რუხპრიალა. მხარი ყელიდან მუცლამდე შვიდი ფართო ღარით აქვს დაფარული (თითქოს გოფრირებულია). სიმაღლე 18,5; დმ პირის 18,5; მუცლის 2,4; ძირის 9,0 სმ.

245 (12—45:1118; სურ. 296, 297). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა, ოდნავ პირგადმოშლილი, ცილინდრულყელიანი, კვერცხ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I—II, XIII (გეიანბრინჯაო I—II, XIII ს. —რედ.).

ხისებრტანიანი; ორყურა (ზონრისათვის). მხარზე (ყელის ძირსა და ყურების ზემოთ) კონცენტრული ღარები გადასდევს (წყვილ-წყვილად. ღართა შორის მოქცეული ნაწილი მხრისა პრიალა ბადური სახეებით არის დაფარული. ძირი ოდნავ ამობურცული აქვს. სიმაღლე 25,0; დმ პირის 9,5; მუცლის 20,0; ძირის 7,0.

246 (12—54:1117; სურ. 290, 291). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; პირფართო, დაბალყელიანი, ცალყურა (ადრევე მოტეხილ-დაკარგულია); ზომიერად მუცელგანიერი, ფსკერფართო; ზედაპირხაოიანი. მხარსა და ძირის წიბოზე ფრჩხილისებური ორნამენტი შემოსდევს. ჩარხზე ტრიალის ნაკვალევი შეინიშნება მთელ ტანზე. სიმაღლე 11,3; დმ პირის 10,5; მუცლის 13,0; ძირის 6,0; კეცის სისქე 0,5 სმ.

247 (12—54:1120; სურ. 292, 293). ს ა მ ა რ ი ლ ე (?) ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მაღალშვეული ნაპირით, რომელიც მკვეთრად გადადის კალთებში; ბრტყელძირა. სიმაღლე 3,5; ნაპირის 2,0; დმ პირის 10,0; ძირის 5,0.

248 (12—54:1121; სურ. 301). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა (საყურე ?) პირშეუკვრელი, ბოლოებში გაწვრილებული. დმ 3,0; სიმსხო 0,3.

249 (12—54:1122; სურ. 300). მ ძ ი ვ ე ბ ი მინისა თუ მინისებური პასტისა; მანდარინისებური; ფართონახვრეტიანი; გამოხუნებულია (ადრე ცისფერი ყოფილა); 2 ც. სიმაღლე 0,5; ნახვრეტის დმ 0,3 სმ.

250 (12—54:1123; სურ. 299). მ ძ ი ვ ე ბ ი თეთრი პასტისა; წვრილი, დაბალი ცილინდრების სახით ნაკვეთი; ვიწრონახვრეტიანი. 167 ც.

251 (12—54:1124; სურ. 298). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა; ნაწილი მუქი იასპისებრია; დაბალცილინდრული; ზოგიც ღია ვარდისფერია, მრგვალბრტყელი, მანდარინისებრი, დაბალცილინდრული და სხვ., ორი ცალიც ოვალური მოყვანილობისაა. ბრტყელი, ექვსწახნაგა. უდიდესი სიმაღლე 0,5; დმ 1,1; ექვსწახნაგა მძივის სიმაღლე 1,0; სიფართე 0,8; სისქე 0,3 სმ.

ორმოსამარხი 54 (139, N; სურ. 302—313). აღმოჩნდა VI თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, დედამიწის ზედაპირიდან 2,30 მ სიღრმეზე. სამარხს ეჭირა ფართობი 1,35×0,90 მეტრი. იქ ესვენა საკმაოდ მაღალი ტანის ადამიანის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით, თავისუფლად მოხრილი, ქვედა კიდურებით. ხელები იდაყვში მოხრილი და კერტებით სახის წინ ჰქონდა მიტანილი, თითქოს ზეაპყრობილი ჰქონდაო. ქუსლის ძვლები მოზრდილ რიყის ქვაზე ედო. წყრთებთან ედგა თიხის ლანგარი, რომლის ასწვრივ და

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარხცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით, გბ I, XIII (გეოანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

თვით ლანგარზე წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის თავ-ფეხისა და ნეკნების ძვლები ელაგა. მარცხენა ხელის იდაყვთან თიხის ტოლჩა იყო მიდგმული, ხოლო მარცხენავე ფეხის მუხლთან — მოზრდილი სამყურა ქილა. გარდა ამისა, მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ბრინჯაოს თხელი, ნესტარისებრი (4 ც.) და მოკლე ტარშეურჩენელი სატევრისპირი, რომელიც წელში ქამრის ქვეშ უნდა ჰქონოდა გაჩრილი. როგორც ვხედავთ, მამაკაცის საფლავთან გვაქვს საქმე, რაც შემდგომ იქ დაკრძალული მიცვალებულის თავის ქალის კრანიომეტრიულმა შესწავლამ დაადასტურა.

252 (12—54:1609; სურ. 303, 304). ტ ო ლ ჩ ა (სასმისი) მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები თიხისა; ძირითადად ცილინდრული მოყვანილობის, ზელზნექილი, ძირჩავიწროებული; ცალყურა (ბიბილოიანი). ფართო და ხშირი ღარების მორიგეობა გოფრირებული ტანის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიმაღლე 11,2; დმ პირის 10,7; შეზნექილი წელის 9,5; ტანის ძირში გარდამავალ წიბოსთან 10,0; ძირის 5,2 სმ.

253 (12—54:1610; სურ. 305, 306). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავოდ გამომწვარი. ზედაპირნაპრიალები თიხისა; სწორბაკოიანი, დაქანებულნაპირიანი, დამრეცკალთებიანი, რომელიც ოდნავ გამოყოფილ ქუსლს ერწყმის. ჭურჭელი რამდენადმე დეფორმირებულია. სიმაღლე 7,3; დმ მუცლის 27,5; ძირის 8,3 სმ.

254 (12—54:1611; სურ. 307, 309). ქ ი ლ ა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები თიხისა; მაღალი, სწორბაკოიანი პირი გადმოშლილი აქვს, მხრებგანიერი, მკვეთრად ძირჩავიწროებული, კარგად გამოყოფილი ქუსლით. მხარზე სამი მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს მიძერწილი, რომელთა გასწვრივ გადასდევს წყვილ ღართა სარტყელი — ხორბლისებრი ნაჭდევებით შევსებული. სიმაღლე 29,0; ბაკოს სისქე 1,8; დმ პირის 19,5; მუცლის 33,5; ძირის 13,1 სმ.

255 (12—54:1612; სურ. 310, 311). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ფოთლისებრი; შემაღლებულქედიანი, ფხაალესილი და რამდენადმე დაჩენჩილი. ორნახვრეტიანი (ტარის დასამაგრებლად). სიგრძე 16,5; სიფართე მხრებთან 6,0; ნახვრეტის დმ 0.3 სმ.

256 (12—54:1614; სურ. 312, 313). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელი, ფირფიტოვანი; ქუსლამოღარული ნახევარწრიულად; შუაზე მცირე ნახვრეტი აქვს ზროზე დასამაგრებლად. სიგრძე 3,9; სიგანე (ფრთების გასწვრივ) 2,6 სმ.

257 (12—54:1615; სურ. 312, 313). ი ს რ ი ს პ ი რ ი, ზუსტად ზემოაღწერილის მსგავსი, ოღონდ მომცრო. სიგრძე 2,7; სიგანე 1,8 სმ.

258 (12—54:1613; სურ. 312, 313). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხე-

ლი, ნესტარისებრი; ქუსლამოღარული ისრულად (ამიტომ ფრთებდაშვებული). პაწია ნახვრეტი წვერთან ახლოსაა. სიგრძე 3,3; სიგანე 1,1 სმ.

ორმოსამარხი 58 (1939, N; სურ. 314—328). გაითხარა VI ფართობის აღმოსავლეთ კიდეზე; აღმოჩნდა საკმაოდ ღრმად, 2,80 მ სიღრმეზე; ეჭირა 1,20×1,10 მ ფართობი. სამარხში ესვენა თავისუფლად (სწორი კუთხით) ფეხებმოხრილი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ დამხრობილი; ხელები პირთან ჰქონდა მიტანილი ისე, რომ თითის პირველი ფალანგები პირში ჰქონდა ჩადებული. მიცვალებულის პოზის უცნაურება გამოიხატებოდა აგრეთვე წელში გადაზნექილობისა და თავის უკან საგრძნობლად გადაქანებაში. ჩონჩხი საშუალო ტანის მამაკაცს ეკუთვნოდა (ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,45 მ უდრიდა). გულმკერდის არეში მიცვალებულს აღმოაჩნდა ბრინჯაოს მოკლე ტარშეურჩენელი, ქედიანი სატევრისპირი და ორიოდე სარდიონის მძივი; კისერს უკან ბრინჯაოს სადგისი იყო, სახის წინ — თიხის მოზრდილი ჯამი, ხოლო მუხლის თავთან და უკანა ტანთან თითო ქილა ედგა. ზურგს უკან კი, წელის მიდამოში, აღმოჩნდა ირმის რქის ძირი, ტოტებწაკვეთილი და განივად მრგვალად გახვრეტილი. ჩვენი ვარაუდით იგი ლახტისთავს წარმოადგენდა*.

259 (12—54:1670; სურ. 315, 318). ქ ი ლ ა (იქნებ დერგი) მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები თიხისა; პირვიწრო, ყელდაბალი, მუცელგანიერი, ბრტყელძირიანი. მხარზე გადასდევს სარტყელი — ორი ღარისა და მათ შორის მოთავსებული რომბულძელურად ნაკაწრი სახეებისგან შედგენილი სიმაღლე 28,1; ყელის 3,5; დმ პირის 13,1; მუცლის 30,0; ძირის 8,5 სმ.

260 (12—54:1671; სურ. 319, 320). ლ ა ნ გ ა რ ი მუქნაცრისფრად გამოწვარი თიხისა; შიდაპირი მოშავოდაა ნაპრიალები, გარეპირი — ალაგ შავად, ალაგ კი ნაცრისფრად, დაბალი სწორნაპირიანი, დამრეცკალთებიანი და ოდნავ ქუსლგამოყოფილი. სიმაღლე 7,5; ნაპირის 25,2; ქუსლის დმ 10,2 სმ.

261 (12—54:1672; სურ. 316, 317). ქ ი ლ ა რუხ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირფართო, სწორბაკოიანი, დაბალყელიანი, კვერცხისებრმუცლიანი, სწორძირიანი, მხარზე გადასდევს დამრეცად ნაკაწრი წყვილი ხაზის სარტყელი, ბაკოს ზედაპირი დაღარულია წერტილებით. ძირის წიბოს ფრჩხილისებრი ორნამენტის სარტყელი შემოუყვება. სიმაღლე 21,5; ბაკოს სიგანე 1,0; დმ პირის 15,7; მუცლის 22,0; ძირის 7,5 სმ.

262 (12—54:1673; სურ. 321, 322). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი;

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით:გბ I, XIIE (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII სს.—რედ.).

ფოთლისებრი, შუაში შემოვლებული ქედი გადასდევს. ტარსაგები ნაწილიც ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა; ორი ნახვრეტი აქვს, რომელშიც ერთი მანჭვალია შემორჩენილი. იარაღი ჩამოსხმის შემდეგ გამოკვერილი და ფხაალესილია. სიგრძე 14,6; მანჭვლის 1,4; სიგანე 4,7 სმ.

263 (12—54:1674; სურ. 323, 324). ს ა დ გ ი ს ი ბრინჯაოსი; ტარში საშუალო ნაწილი მრგვლად არის ჩავიწროებული, ხოლო ოთხწახნაგა სამუშაო პირი გაბრტყელებული და ალესილია. სიგრძე 8,1; სამუშაო პირის 3,3; სიგანე 0,2 სმ.

264 (12—54:1675; სურ 326). მ ძ ი ვ ე ბ ი ღია-ვარდისფერი სარდიონისა; მაღალცილინდრული (1); დაბალცილინდრული, წვრილი (2); ბიკონუსური ფორმისა (1). სულ 4 ც. უდიდესი სიმაღლე 1,3; დმ 1,2 სმ.

265 (12—54:1676; სურ. 327, 328). ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი (?) ირმის რქის ძირისგან გამოჭრილი, ორტოტა ყოფილა; სწორად გადაკვეთილი. შუაში მრგვალნახვრეტიანი. დმ 3,0 სმ.

ორმოსამარხი 100 (1989, N; სურ. 329—343).

გაითხარა VI ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მეტ-ნაკლებად ოთხკუთხი მოყვანილობის ორმო გაჭრილი იყო მუქი მოწაბლისფრო ფხვიერი მიწის ფენაში. ორმო დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ — დასავლეთი-საკენ. ვიდრე ამ ფხვიერი მიწის ფენამდე დავიდოდით, მიწის ზედაპირიდან ჯერ კიდევ 2,85 მეტრის სიღრმეზე რიყის დიდი ლოდებისა და რბილი ქვიშაქვის ტლანქად ნაგლეჯი ქვების ერთპირი წყობა გამოჩნდა. მას კუთხური ფორმა ჰქონდა და, როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი საფლავის ორმოს ორ ნაპირს სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მისდევდა. სამხრეთ-დასავლეთი მხარის წყობის სიგრძე 1,20 მ, სიგანე 0,60 მ, ხოლო სისქე — 0,25 მეტრს უდრიდა, ჩრდილო-დასავლეთი მხარის წყობისა კი შესაბამისად — 1,05×0,35×0,25 მ არ აღემატებოდა. კუთხის შიგა ფართობზე მიმობნეული იყო ცხვრის ძვლები, რომლებიც ალაგ-ალაგ რიყის ქვებში იყო არეული. თვით ჩონჩხი ადამიანისა აღმოჩნდა ქვის ამ ერთპირა წყობის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. იგი საშუალოზე დაბალი ტანის დედაკაცისა უნდა ყოფილიყო. ჩონჩხი იწვა მარცხენა გვერდზე, თავისუფლად მოხრილი ფეხებით, ხელებიც თავისუფლად მოხრილი და სახის წინ თითქოს ზეაპყრობილი ჰქონდა. მიცვალებული თავით ჩრდილოეთ — ჩრდილო-დასავლეთისკენ იყო დამხრობილი. ძვლები, მეტადრე თავის ქალა, ცუდად იყო დაცული. მიცვალებულს ახლდა თიხის სამი ჭურჭელი, რომელთაგან პაწია კოჭობი თავით ედგა, მოზრდილი ცალყურა ქილა (დალეწილი) მუცელ-ბოქვნის არეში იყო, ხოლო მომცრო სადღეველი (კარაქისა) მუხლების გასწვრივ იდგა; ბრინჯაოს მრგვალი მავთულის პირგახსნილი ყურსაკიდი რგოლები ყელ-გულის მიდამოში აღმოჩნდა; ბრინჯაოს წვრილი, ყუნწიანი ნემსი

ქვედა ყბაზე მიბჯენილი იყო, ხოლო ამავე ლითონისაგან ნაკეთები სამი ცალი თავხვია საკინძი, ისევე როგორც სარდიონისა და პასტის 338 ცალი მძიკი, ყელ-გულ-მკერდის არეში აღმოაჩნდა მიცვალებულს.

როგორც ვხედავთ, ამ სამარხის თავისებურება იმაშია, რომ მას ახლდა ზემოთ აღწერილი ერთპირა წყობა ქვისა. ადვილად სავარაუდებელია, რომ იგი სამარხის გარშემო სწორკუთხოვნად შემორაგული ქვის წყობის ნაშთს წარმოადგენს. ასევე სავარაუდებელია, ან უფრო სწორად, საგულისხმოცაა, რომ ეს წყობა წარმოადგენდა საყრდენს ხის ძვლებისათვის, რომლებითაც უნდა ყოფილიყო საფლავი თავის დროზე გადახურული. როგორ ზოგიერთი სხვა სამარხის აღწერისას (მაგ., იხ სამარხი № 113) დავრწმუნდებით, ასეთივე ვარაუდი სრულიადაც არ არის გამორიცხული.

გარდა ამისა, ეს სამარხი (რომელიც მიწის ზედაპირიდან 3,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა) ეკუთვნის სამარხთა იმ ჯგუფს, რომელიც სამთავროს სამაროვანის ყველაზე ღრმა ფენაში მდებარეობს*.

266 (12—54:2190; სურ .332, 333). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ქილა მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირით, მაღალი, პირვიწრო, ბაკოდანავ გადმოშლილი აქვს, ყელდაბალი, კვერცხისებური ტანით. მხარზე ორი წვრილი ღარეული ხაზი გადასდევს. ამავე დონეზეა სასულე ჭიპი, რომლის ნახვრეტის დმ 0,7; სიმაღლე 31,5; დმ პირის 11,5; მუცლის 28,0; ძირის 7,1 სმ.

267 (12—54:2191; სურ. 334, 335.) ქ ი ლ ა მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; პირფართო, სწორად კვეთილი და საერთოდ დაწახნაგებულბაკოიანი; მხარ-მუცელზე მინაძერწი მრგვალგანივკვეთიანი ყური ამჟამად მოტეხილი და დაკარგულია. მხარზე და ძირის წიბოს ირგვლივ ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 21,5; დმ პირის 15,0; მუცლის 21,5; ძირის 7,1 სმ.

268 (12—54:2189; სურ. 330, 331). კ ო ჭ ო ბ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, თხელკედლიანი, პირგანიერი, დაბალყელიანი, კვერცხისებრტანიანი; ცალყურა, მხარსა და პირის წიბოზე დამრეცად ხაზების სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 10,0; დმ პირის 8,5; მუცლის 11,0; ძირის 5;0 სმ.

269 (12—54:2192; სურ. 340, 341). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი, რომლის ყუნწი შექმნილია ცალი ბოლოს გაწვრილებით, გადმოკეცვით და ტანზე მიკერვით. სიგრძე 9,9; უდ სიმსხო 0,25 სმ.

270 (12—54:2195; სურ. 336, 337). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, რომლის ღეროს მრგვალგანივკვეთიანია, თავხვია. სიგრძე 6,5; სიმსხო 0,25; ყუნწის დმ 0,3 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

271 (12—54:2193; სურ. 336, 337). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, რომლის ღერო მრგვალგანივკვეთიანია, თავხვია. სიგრძე 6,5; სიმსხო 0,25; ყუნწის დმ 0,3 სმ.

272 (12—54:2194: სურ. 336, 337). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. სიგრძე 5,8; სიმსხო 0,15; ყუნწის დმ 0,4 სმ.

273 (12—54:2196; სურ. 342, 343). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, პირიპირზე შესული, ყურსაკიდად ყოფილა გამოყენებული, დმ 3,1; სიმსხო 0,25 სმ.

274 (12—54:2197; სურ. 342, 345). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, პირიპირთან მიტანილი, ყურსაკიდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. დმ 3,1; სიმსხო 1,15 სმ.

275 (12—54:2198). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისფერი, მოვარდისფრო, მოთეთრო სარდიონისა; დაბალციილინდრული; სხვადასხვა ზომის; ტლანქი ნაკეთები. უდ. ნიმუშის სიმაღლე 0,6; დმ 1,3 სმ. 304 ცალი.

276 (12—54:2199; სურ. 338, 339). მ ძ ი ვ ე ბ ი მოყავისფრო პასტისა, დაბალციილინდრული; წვრილი. 4 ც.

ორმოსამარხი 161 (1939, s; სურ. 861). აღმოჩნდა 123-ე კვადრატში 1,85 მ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ქვაფენილით, აგრეთვე ქვიშაქვის უსწორმასწორო ფილაქვით. დაშლილ-დაზიანებული სამარხის ჩრდილო ნაწილში შემონახული იყო მოზარდის ჩონჩხის ნაწილები: თავის ქალა, მალები და ზოგიც სხვა. ამათ მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, შოკუნტული, თავით ჩრდილოეთით მიჭცეული. ცხოველის ძვლებს გარდა სამარხში აღმოჩნდა ორი თიხის ჭურჭელი, რომლებიც თავს უკან ერთიმეორეზე იყო მიდგმული*.

277 (12—54:10257; სურ. 862). ქ ი ლ ა რუხფრად გამომწვარი მქისე თიხისა, პირფართო, დაბალყელიანი, მხრებგანიერი, კვერცხისებრი ტანის მქონე. მხარი შემკულია ერთიმეორეზე მჭიდროდ მიჯრილი ღრმად დამრეცი ღარებით, თევზიფხურად. მხარ-მუცელი კონცენტრული ღარებით აქვს დაფარული. ქვედა მუცელზეც შეინიშნება ნაფოტისეული გარდიგარდმოდ დატანილი სახეები. აღდგენილია. სიმაღლე 21,0; დმ პირის 17,7; მუცლის 25,0; ძირის 11,1; ყელის სიმაღლე 2,0 სმ.

278 (12—54:10258; სურ. 863). ქ ი ლ ა რუხ-ლეგად გამომწვარი მქისე თიხისა, ზედაპირხაოიანი, ფართოდ პირგადმოშლილი, ბრტყელბაკოიანი, ოდნავ ყელგამოყოფილი, მხრებგანიერი, ძირითადად კვერცხისებრი მოყვანილობისა; მხარზე ფართო ფრჩხილისეული დამრეცი ორნამენტის სარტყელია.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.)

თითქოს მთელი ზედაპირი ამასაც წვრილი კონცენტრული ღარებით აქვს დაფარული. ძირი ღრმა ჭდეებით აქვს დაკეკნილი. ორივე ჭურჭელი ერთნაირი ტექნოლოგიური თვისებისაა და ადრეული ეტაპებისათვის არის დამახასიათებელი. სიმაღლე 21,0; დმ პირის 19,7; მუცლის 26,0; ძირის 0,7; ბაკის სისქე 1,8; კეცის სისქე 0,7 სმ.

ორმოსამარხი 378 (1941, s; სურ.864). აღმოჩენილი იყო 374-ე და 375-ე სამარხებთან გვერდიგვერდ, 310-ე კვადრატში, 1,30 მ სიღრმეზე; ეჭირა 1,30×1,20 მ ფართობი. შიგ ესვენა საკმაოდ ძვალმსხვილი, ხანდაზმული, მაღალი ინდივიდის ჩონჩხი, თავით აღმოსავლეთით დამხრობილი, მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად ფეხებშემოკვეცილი, სახის წინ დაწყობილი ხელებით (ქვედა ყბაზე ერთადერთი კბილი შემორჩენოდა, რაც ხანდაზმულობაზე მეტყველებს). მიცვალებულს ახლდა 8 თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს თხელი ისრისპირები, სადგისი, ძვლის ჭვალთი და ყაწიმის რგოლი*.

279 (ს. წ. 2960—2967). ქ ი ლ ა პირმოყრილი, ორყურა და ორსაცერულიანი, მუცელგანიერი; დ ო ქ ი პირჩამოტეხილი; ხ ე ლ ა დ ა (სიმაღლე 16,5; დმ პირის 8,0; ძირის 5,5 სმ): ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ქ ი ლ ა (სიმაღლე 26,5; დმ პირის 10,0; ძირის 8,5 სმ), ლ ა ნ გ ა რ ი დიდი, ფართო; ს ა ს მ ი ს ი ცალყურა, საცერულიანი (სიმაღლე 12,5; დმ. პირის 9,3; ძირის 5,0 სმ): კ ო ჭ ო ბ ი პირფართო (დმ პირის 10,0; ძირის 5,5 სმ); პაწია კ ა თ ხ ა სასმისი, ცალყურა, წელში გამოყვანილი (სიმაღლე 7,5; დმ პირის 7,0: ძირის 4,0 სმ).

280 (12—54:12297; სურ. 865). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი, სამკუთხა, ქუსლმოღარული, ნახვრეტიანი. სიმაღლე 2,3; სიგანე (ფრთებთან) 1,2 სმ.

281 (12—54:12298; სურ. 866). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, წინამავლის მსგავსი, ოღონდ ამას ნახვრეტი წვერთან ახლოს აქვს. ფრთები მოტეხილი აქვს.

282 (12—54:12300; სურ. 867). ბრინჯაოს პაწია, ოთხკუთხა სადგისისმაგვარი ნივთი, რომელსაც ცალი თავი წაწვეტებული, მეორე ფრიად გათხელებული აქვს. შეიძლება ისრისპირი ყოფილიყო. სიგრძე 3,1; წახნაგის უდ. სისქე 0,3 სმ.

283 (12—54:12299; სურ. 868). ი ს რ ი ს პ ი რ ი (ან იქნებ ჭვილთი) ძვლისა; ორად დაღილული ყუნწი აქვს, რომლის ბოლო წატეხილი და დაკარგულია. სიგრძე (შემორჩენილი ნაწილისა) 8,9 სმ თავდაპირველი სიგრძე 10,0 სმ, ნაკლები არ იქნებოდა. უდ. სისქე 9,9 სმ.

284 (12—54:12301; სურ. 869). ყ ა წ ი მ ი ს (?) რგოლი ძვლისა, ოთხ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მოუწერია ფანქრით: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

წახნაგა ბრინჯაოს რგოლებივით დამუშავებული. დმ 3,4; შიდა დმ 1,5; წახნაგის სისქე 1,1 სმ. გამოსაჩენ წახნაგზე 13 კონცენტრული წრეა შიგ წერტილ ჩასმული. საპირისპირო მხარზე განივი ნახვრეტი აქვს ალბათ წვრილი თასმისათვის.

ორმოსამარხი 374 (1948, s). აღმოჩენილი და გათხრილი იყო 310-ე კვადრატში 373-ე და 375-ე სამარხთა გვერდით, 1,30 მ სიღრმეზე. ჩონჩხი იწვა მარცხენა გვერდზე, ფეხებმოხრილად, თავით აღმოსავლეთით დამხრობილი, წინ და სამხრეთ მხარზე ედგა 5 თიხის ჭურჭელი და ედო თხის თავი*.

285 ს. წ. 2951—2955 ქ ი ლ ა დიდი (პირის დმ 14,0 სმ); ორყურა ქ ი ლ ა, დიდი (დმ პირის 12,5 სმ); ქ ი ლ ა დაბზარული (სიმაღლე 12,7; დმ პირის 6,0 სმ); კ ო ჭ ო ბ ი (სიმაღლე 9,0 სმ; დმ პირის 7,5; ძირის 4,5 სმ), ფრაგმენტები დიდი ქ ი ლ ი ს ა.

286 (12—54:12302). ს ა ყ უ რ ე (თუ საფეთქლის საშვენისი) ბრინჯაოსი მრგვალ-ოვალური, პირგახსნილი, ცალთვალშეწვრილებული. ოვალის სიგრძე 2,2; სიგანე 1,7; სიმსხო 0,25 სმ.

287 (12—54:12303). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისფერი სარდიონისა, დიდ-პატარა, დაბალცილინდრული. უდ. სიმაღლე 0,5; დმ 1,0 სმ; უმცირესი სიმაღლე 0,25; დმ 0,4 სმ. 13 ც.

288 (12—54:12304;). მ ძ ი ვ ე ბ ი მინისებრი მოთეთრო პასტისა (თუ სულაც მინისა არაა), დაბალცილინდრული. სიმაღლე 0,3 დმ; 0,5 სმ. 3 ც.

ორმოსამარხი 5 (1938, N; სურ. 870—871). იგი მიწის ზედაპირიდან 2,10 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. მოედანი, რომელიც საფლავს უჭირავს, 1,20×0,60 მეტრს უდრიდა. სამარხშია ესვენა უკვე ზრდასრული, საკმაოდ ძვალმსხვილი ადამიანის (თითქოს, მამაკაცის) ჩონჩხი, რომლის ბარძაყის სიგრძე 0,45 მ უდრიდა. მიცვალებული თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ — დასავლეთისაკენ იყო მიქცეული. ფრაგმენტებად ქცეული, მაგრამ მასში ჩასმული მიწის წყალობით ფორმაშენარჩუნებული თავი აგრეთვე მარჯვენა გვერდზე იდო, პირისახით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მიბრუნებული. ამ სამარხში მიცვალებული კიდევ უფრო მეტად მოპირქვავებული ჩანდა, ვიდრე ზემოთ აღწერილ სამარხში, რასაც მენჯისა და ხერხემლის მალების განლაგება მოწმობდა. მაგრამ ყველაზე უჩვეულო ის იყო, რომ აქ ჩონჩხი ძალიან მოკუნტული ჩანდა, იმდენად, რომ, მაგ., მარცხენა წვივ-ბარძაყი მუხლის თავით შესაბამის მხრის ძვლებზე ეყრდნობოდა. ხელებიც მკვეთრად მოხრილი და ყელ-გულის არეში ჰქონდა ჩაკეცილი**.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

** სამარხის აღწერილობის გვერდით (მარცხნივ) ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

289 (12—54:110; სურ. 872). ქ ი ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი, თიხისა პირ-და მხრებგანიერი, დაბალყელიანი; სწორბაკოიანი პირი ოდნავ გადმოწეული აქვს. მხარზე ხუთი კონცენტრული ღარი გადასდევს. სიმაღლე 26,0; დმ პირის 19,5; მუცლის 29,0; ძირის 11,5 სმ.

290 (12—54:112; სურ. 873, 874). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, ფოთლისებური, უკოტო, ორნაჩვრეტიანი. შუაზე სიგრძივ გაუყვება შემაღლებული ქედი (სიმაგრისათვის). კარგად ეტყობა ტარის ნაკვალევი. ფხა კარგად არის ალესილი, ოღონდ ერთ მხარეს ოდნავ ამოჭმულია კოროზიის შედეგად. სიგრძე 16,5; სიგანე (მხრებთან) 5,7; სამანჭვლე ნახვრეტის დმ 0,3 სმ.

291 (12—54:111; სურ. 875 ,876). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი სამკუთხოვნად; ალისებრი მოყვანილობის პირი საკმაოდ გაფხიანებულია. მაღალი ქედი წვერამდე გასდევს. მასრის ბოლოზე ტარის დასამაგრებელი წყვილი ნაჩვრეტი აქვს. სიგრძე 28,0; პირის 13,4; მასრის 14,6; მასრის უდ. დმ 2,5 სმ.

292 (სავ. წიგნ. 519). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ფართო, ბრტყელთავიანი. სიგრძე 9,5; თავის დმ 1,0 სმ.

293 (სავ. წიგნ. 520). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა, მანდარინისებური; 65 ც. იგი აღმოჩნდა თხრილში, რომელიც საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ იყო გაყვანილი. ფართობი, რომელსაც მოიცავდა ამ სამარხში აღმოჩენილი ცხოველთა ძვლები და სამარხეული ინვენტარი, უდრიდა 1,05×1,15 მეტრს. ჯერ კიდევ 1,75 მ სიღრმეზე აღმოჩნდა რამდენიმე ნაგლეჯი ქვიშაქვა, რომლებიც ერთგან (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) ჩრდილოეთისაკენ სწორკუთხოვნად არის მობრუნებული. ამ ნაწილში გამოყენებულია უმთავრესად ფილაქვები, რომელთაგან სანიმუშოდ აღებულის საშუალო ზომა 0,50×0,35×0,25 მ უდრიდა. ამ ფილაქვების ზედაპირიდან 0,60 მეტრის, მაშასადამე მიწის ზედაპირიდან 2,35 მ სიღრმეზე, მთელ მოედანზე სამარხეული ინვენტარი იყო მოფენილი, ხოლო ადამიანის ჩონჩხი არ ჩანდა. დაწვრილებითი პრეპარაციის შემდეგ გამოირკვა, რომ აქ ძვალთაგან ორი ცხვრის თავ-ფეხის ძვლები იყო მხოლოდ. საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვაქვს სამახსოვრო საფლავთან ე. წ. კენოტაფთან*. ინვენტარი:

ორმოსამარხი 26 (კენოტაფი 1938, N; სურ. 877).

294 (12—54:320; სურ. 878). დ ო ქ ი თიხისა, მოზრდილი, შავპრიალა ზედაპირიანი; მოყავისფრო კეციანი (გადანატეხში), მუცელგანიერი, ფართოყელიანი (გადამტვრეულია), ცალყურა. ღრმა და დამრეცკანელურებიანი ყური მსხვილდაგრეხილი თოკის შთაბეჭდილებას ქმნის. იგი მხრიდანაა ამოზ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ 1, XIII (გეიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს. —რედ.).

ნექილი და პირს ოდნავ ქვემოთ ყელს ებჯინება. მასზე განივრად დაძერწილია კოჭისმაგვარი ლილვაკი (ბიბილო). ღრმა კანელურების ნაკვალევი ყელის აქერცლილ ზედაპირს ქვეშაც შეინიშნება. ყელის ძირს გარსშემოუყვება სამი ღრმა ღარი. ჭურჭლის მხარი და მუცელი შუამდე პარკეტულად დამრეცი ღრმა და მეტ-ნაკლებად ფართო კანელურებით არის შემკული. დარჩენილი ნაწილი ზედაპირისა ძირამდე გლუვია, შავადნაპრიალები. სიმაღლე 29,0; დმ. მუცლის 30,0; ძირის 11,0; ყელის ძირის 10,5 სმ; ყურის ოვალის სიგრძე 7,5; კეცის სისქე 0,6 სმ.

295 (12—54:316; სურ. 879). ხ ე ლ ა დ ა თიხისა, მოზრდილი შავპრიალა-ზედაპირიანი, ოვალურმუცლიანი, ოდნავ პირგადმოშლილი, ცალყურა. ბაკო წესიერად მომრგვალებულია. ყელის გარშემო ფართო ღარები არტყია, თითქოს გოფრირებულიაო. გრძელგანივკვეთიან ყურზე, რომელიც ყელსა და მხარს აერთებს, დაწერძილია რკოსებრი ლილვაკი (ბიბილო). მხარზე ორი ღრმა კანელური არტყია. აქედან შუა მუცლამდე ჭურჭელი ირიბი მკრთალი კანელურებით არის შემკული. სიმაღლე 27; დმ პირის 10; მუცლის 19; ძირის 6,8; ყურის ოვალის სიგრძე 6,5 სმ. ყელის ღარის 1,0 სმ.

296 (12—54:318; სურ. 880). ჭ ი ჭ ლ ა შავპრიალა თიხისა, მოყვანილობითა და დამუშავებით ზუსტად იმეორებს ზემოაღწერილ ხელადას, ოღონდ ეს პატარაა. ყელზე ხუთი ღარი გადასდევს და ერთი თითის გასაყარი ყური თოკგრეხილს მიუგავს. უკანელურო ქვედა მუცლის ნაპრიალები გადასულია და კეცი მონაცრისფროდ გამოიყურება. სიმაღლე 12,8; დმ პირის 5,3; მუცლის 9,0; ძირის 3,9; ყურის ჭრილის სიგრძე 2,9 სმ. სამთავე ეს ჭურჭელი თავისი დროის მეთუნეობის შედეგრებად შეიძლება ჩაითვალოს.

297 (12—54:319; სურ. 881). ქ ი ლ ა მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, მაღალცილინდრულყელიანი, ოდნავ გადმოშლილ მრგვალბაკოიანი, მუცელგანიერი. მხარზე რვა ღრმა კონცენტრული ღარი გადასდევს. დანარჩენ ნაწილს ზედაპირისა ნაპრიალები გადასვლია და ალაგ-ალაგ აქერცლილია, ჭურჭელი დიდ საყვავილე ვაზას მოგვაგონებს. სიმაღლე 27,5; დმ პირის 12,5; მუცლის 27,0; ძირის 9,0; კეცის სისქე 0,7 სმ.

298 (21—54:317; სურ. 882). კ ო ჭ ო ბ ი შავადგამომწვარი თიხისა, პაწია, ოდნავ პირგადმოწეული; ყელ-მხარზე ოთხი კონცენტრული ღარი გადასდევს. მხარზე ერთიმეორის საპირისპიროდ ყურისმაგვარი წყვილი შვერილი აქვს, მრგვალი ჩხირით გახვრეტილი, ზონრისათვის. შავი ნაპრიალები გადასულია და მქრქალად გამოიყურება. სიმაღლე 10,0; დმ პირის 8; მუცლის 12,5; ძირის 5,7; ყურის 0,7 სმ.

299 (სავ. წიგნ. 856). ქ ო თ ა ნ ი შავადგამომწვარი თიხისა.

300 (სავ. წიგნ. 857). დ ო ქ ი შავადგამომწვარი თიხისა.

301 (12—54:323; სურ. 883, 884). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, ფოთლისებური, მხრებდაქანებული. ტარის დასამაგრებელ ნაწილში სამკუთ-

ზად გაწყობილი სამი სამანქვლე ნახვრეტი აქვს, რომელთაგან ერთში (გვერდითში) მანქვალი გაპექილად შემონახულა. კარგად ეტყობა ფხების ნალესობა. სიგრძე 16,5; სიგანე (მხრებში) 4,8; ნაჩვრეტის დმ 0,4; მანქვლის სიგრძე 0,8 სმ.

302 (12—54:324; სურ. 885, 886). ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, ფოთლისებური, მასრგახსნილი, ფხაალესილი. მასრა შემაღლებული ქედის სახით წვერამდე გასდევს. მასრას აქეთ-იქით, საპირისპირო გვერდებზე, თითო სამანქვლე ნახვრეტი აქვს ტარის დასამაგრებლად. სიგრძე 10,0; მასრის სიგრძე 4,5: მასრის დმ 1,7 სმ; მასრის ყბებს შორის (ნაპრალის სიფართე) 1,4 სმ.

303 (12—54:322; სურ. 887, 888). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, სამკუთხედის მოყვანილობის, თხელ-ბრტყელი, ფუძეამოღარული და ამის გამო ფრთებიანი. ფუძის ცოტა ზემოთ, შუაში, პაწია ნახვრეტი აქვს ზროში ჩასამაგრებლად. საკმაოდ ფხაალესილია. სიგრძე 4,7; სიგანე (ფრთებში) 3,1; ამოღარულობის სიმაღალე 1,1 სმ.

304 (12—54:325; სურ. 889, 890). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯოსი, სამკუთხედის მოყვანილობის (გველის ნესტარისებრი), თხელ-ბრტყელი, ფუძეამოღარული, ნახვრეტიანი (წვერთან ახლოს). სიგრძე 3;0: სიგანე (ფრთებში) 2,0; ნახვრეტის დმ 0,3; ამოღარულობის სიმაღლე 1 სმ.

305 (12—54:329). ი ს რ ი ს პ ი რ ი ს ფრაგმენტი, ძვლისა, არაწესიერად დაწახნაგებული ყოფილა. სიგრძე 4,1; სისქე 0,6 სმ.

306 (12—54:326; სურ. 891, 892). ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი ბრინჯაოსი, მსხლისებრი; გახედებული სატარე ხვრელით, რომელიც მილისებრ ბოლოში წრიულია, ხოლო ბურთისებრ ნაწილში ოთხკუთხა, კვადრატული, ბურთისებრი ნაწილის პერიმეტრზე ხუთი კოპია განლაგებული. სიგრძე 5,0; უდ. სიფართე 5,0; მასრის შიდა დმ 1,8; მასრის სისქე 0,3; ხვრელის კვადრატული პირის სიგრძე 1,7; კოპის დმ 2,0 სმ.

307 (12—54:321; სურ. 893, 894). ს ა დ გ ი ს ი, ოთხწახნაგა, ოთხ (თითქმის რომბული) განივკვეთიანი, წვერწაწვეტილი და ყუნწგაბრტყელებული. სიგრძე 11,8; წახნაგის უდ. სიფართე 0,5; ყუნწის სიგრძე 2,5 სმ.

308 (12—54:327; სურ. 895, 896). ს ა კ ი ნ ძ ე ბრინჯაოსი, კოხტად თავჩახვეული, თავის ნაწილში მცირედზე ოთხწახნაგა, დანარჩენ უდიდეს ნაწილში მრგვალგანივკვეთიანი და წაწვეტებული. სიგრძე 10,2; წახნაგის უდ. სიფართე 0,4 სმ.

309 (12—54:330; სურ. 897, 898). ირმის რ ქ ი ს ძ ი რ ი, ცალმხარე ჩამოტეხილი. ძირთან განივად გახვრეტილი, ტოტებგადაჭრილი. ლახტისთავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სატარე ნახვრეტის დმ 3,4 სმ.

310 (12—54:331; სურ. 899). კ ო ჭ ი მსხვილფეხა საქონლისა, გახეხილ-

ბაპრიალებული და ერთგან კიდეზე გახვრეტილი (ალბათ ჩამოსაკიდად). სიგრძე 6,3; სიფართე 3,0: სიმაღლე 3,5; ნახვრეტის დმ 0,4 სმ.

311 (სავ. წიგნ. 845). მძივები სარდიონისა, 8 ცალი.

ორმოსამარხი 27 (1938; N; სურ. 900). იმყოფებოდა № 26 ორმოსამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ორი მეტრის დაშორებით; იგი მიწის ზედაპირიდან 1,80 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. პირველად გამოჩნდა დიდი მსხვილფეხა საქონლის (ხარის) კეჩხო რამდენადმე ჩაქცეული და ფორმადაკარგული (სიგრძე ცხვირიდან კეფამდე—0,55 მ; სიგანე — 0,28 მ). რქის შვილები კარგად არის დაცული. თავის ქალის ფორმის აღდგენა სავსებით შესაძლებელი ჩანდა. ცხოველის ამ ნაშთის ჩრდილოეთით 0,80 მეტრის მანძილზე გამოჩნდა ერთი წყება რიყის ქვების ქვაფენილი, რომლის ფართობი დაახლ. 1,25×0,92 მეტრს უდრიდა. ქვაფენილის მოხსნის შემდეგ აღმოჩნდა აღნიშნული ცხოველის კიდურთა ლულოვანი ძვლები (ამათ შორის უდიდესი სიგანე 0,18 მეტრს არ აღემატებოდა). რამდენადმე უფრო ღრმად აღმოჩნდა მოზარდის, დაახლ. 13—14 წლის ყრმისა, ჩონჩხი, თავით დასავლეთისკენ მიქცეული, მარჯვენა გვერდზე მწოლარე, თავისუფლად ფეხებმოხრილი. ნატეხებად ქცეული თავის ქალაც მარჯვენა მხარეზე ძევს. ხელები იდაყვში მოხრილი და კერტებით პირისახესთან მიტანილი ჰქონია. მარცხენა მკლავის ძვალი უკან ჰქონდა გადმოვარდნილი, ხოლო ბეჭი წინ გადაცურებული. ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,29 მეტრს უდრიდა. საფლავის მიერ მოკავებული ფართობი 1,60×1,20 მ აღწევდა. მიცვალებულის ფეხებს უკან ზემოხსენებული საქონლის კოჭები, ცხვრის თავისა და კიდურთა ძვლები იყო მოთავსებული. კეჩხოს, ნეკნებისა და ხელების ძვალთა ნაწილები იქვე ახლოს ლანგარში იყო*. ინვენტარი:

312 (12—54:332; სურ. 901). ს უ რ ა შავადგამომწვარი თიხისა, შავადნაპრიალები ზედაპირი აქვს; მაღალყელიანი, მომრგვალებულ ბაკოიანი, ცალყურა, რომელზედაც კოჭისებრი ლილვაკი (ბიბილო) არის დაძერწილი; ირიბი კანელურებით დაღარული ყური თოკგრეხილს მიაგავს. მხრებსა და მუცლის ზედა ნაწილს ირიბად დატანილი ვიწრო კანელურები ფარავს; ფართო ღარები ყელზედაც გადასდევს. მუცლის დანარჩენი ნაწილი გლუვია, შავადნაპრიალები. სიმაღლე 21,5; დმ პირის 9,0: მუცლის 16,0: ძირის 5,5 სმ.

313 (12—54:333; სურ. 902, 903). ქ ი ლ ა თიხისა, რუხპრიალა ზედაპირიანი, მაღალცილინდრულ ყელიანი (პირი ადრევე გადამტვრეული და დაკარგულია), მუცელგანიერია; მხარ-მუცელზე საპირისპიროდ ცალი თითის გასაყრელი წყვილი ყური აქვს დაძერწილი, ჩვეულებრივ, კოჭისებური ლილ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

ვაკით შემკული (ერთ მათგანს ცალი ბიბილო ჩამოტეხილი აქვს). ყელის ძირსა და მხარს (ყურს ზემოთ) სათითაოდ გარს უვლის რელიეფური ზოლი წიბოსებური. მხარსა და ყელზე შეინიშნება წნევით დატანილი მკრთალი ზოლები. შემონახული ნაწილის სიმაღლე 22,0; დმ ყელის 9,5; მუცლის 7,5; ძირის 9,0; სისქე გადანატეხში 0,5 სმ.

314 (12—54:334: სურ. 904). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი და ნაპრიალები თიხისა, მომრგვალებულბაკოიანი, ყელ-მუცლის საზღვარზე, ირგვლივ, მკვეთრად გამოყოფილი წიბო დასდევს. საკმაოდ ღრმაა. ძირი საგრძნობლად აქერცლილი აქვს. ყელის სიმაღლე 2,5; დმ პირის 25,0; ძირის 11,0 სმ. სიღრმე 7,5 სმ.

315 (სავ. წიგნ. 805). ქ ო თ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა (ძალიან დამტვრეული იყო), მოზრდილი (სურასთან ერთად იდო).

316 (12—54:337; სურ. 905,906). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, ფოთლისებური, მხრებდაქანებული; ტარსაგებ ნაწილში რამდენადმე გამოყოფილი აქვს ბრტყელი და მოკლე ყუნწი. შუაზე წვერამდე გასდევს მკვეთრად მაღალი ქედი. სამ ნაჩვრეტთაგან ორში შემორჩენილია მანჭვალი. ფხა მძაფრად ალესილი ჰქონდა, მაგრამ ახლა რამდენადმე დაჩენჩილია, სიგრძე 16,5; უდ. სიფართე (მხრებთან) 4,6; ყუნწის სიგრძე 0,7; ყუნწის სიგანე 1,8; სამანჭვლე ნახვრეტის დმ 0,3; მანჭვლის სიგრძე 1,7; მანჭვლის დმ 0,27; ქედის სიმაღლე 0,4 სმ.

317 (12—54:336; სურ. 907). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, გრძელი, მასრაგაძსნილი, ფოთლისებრპირიანი, რამდენადმე წვერმომრგვალებული. მასრის ქედი თითქმის წვერამდე გასდევს. ქედსა და ლოყებს შორის, ორთავ მხარზე, იქმნება ღარები (სასისხლე?). მასრის ლოყებზე სათითაოდ ტარსამაგარი ნახვრეტია მანჭვლებისათვის. სიგრძე 26,9; პირის 12,5; სიგანე (ფრთებთან) — 4,5; მასრის დმ 2,5; ნახვრეტის 0,4; ნაპრალის სიფართე (მასრის გახსნილობა) 1,7 სმ.

318 (12—54:339; სურ. 908). ი ს რ ი ს პ ი რ ი ძვლისა, გრძელყუნწიანი, რომელიც მსხვილია და რამდენადმე დაწახნაგებული, ზროში ჩასაგები ბოლო კი მრგვალად არის წამახვილებული. საჩხვლეტი პირი სამკუთხა მოყვანილობისაა, ფრთებიანი, გულდასმით ნახეხ-ნაპრიალები. სიგრძე 8,3; ყუნწის სიგრძე 6,3; ყუნწის სისქე 0,7; პირის სიგანე (მხრებთან) 1,6 სმ.

319 (12—54:339; სურ. 909). ი ს რ ი ს პ ი რ ი ძვლისა, ზემოაღწერილის ზუსტი ანალოგი, ოღონდ ამას მრგვალად წამახვილებული ნაწილი ყუნწისა მოტეხილი და დაკარგული აქვს. სიგრძე 6,0; ყუნწის სიგრძე 4,0; პირის სიგანე (ფრთებთან) 1,7 სმ.

320 (12—54:338; სურ. 910). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია, თავის ნაწილში ოთხწახნაგა, კოხტად თავჩახვეული; წვერისაკენ თანაბრად ჩა-

მრგვალებულ-წაწვეტებული. სიგრძე 9,0; წახნაგის უდ. სიფართე 0,4; ყუნწის დმ 0,5 სმ.

321 (12—54:335; სურ. 911). რგოლი მავთულოვანი ბრინჯაოსი, მცირე თავის ქვეშ ჰქონდა. იქნებ საყურე იყო? დმ 1,7; სისქე 0,25 სმ.

322 (12—54:341; სურ 912). სალამური გედის ძვლისაგან გამოჭრილი, უენო, გახედებული, სამთვლიანი, სანაქებოდ ნაპრიალები, სიგრძე 20,0; დმ პირის 11; ძირის 17 სმ.

323 (12—54:340; სურ. 913). საყბეური (?) ლაგვისა, ირმის რქის ტოტისაგან გამოჭრილი, შუაზე განივად გახვრეტილი და ზედაპირ დაჭრელებული თავიდან ბოლომდე ოთხმწკრივად ჩაყოლებული პაწია წრეებით (ცენტრში წერტილით) და ამ მწკრივებს შორის მოთავსებული, ერთიმეორეზე წაბმული, რომბული სახეებით. რკალის სიგრძე 10,8; ქორდა 9,0; უდ დმ 1,7; ნახვრეტის 0,6 სმ.

324 (12—54:343; სურ. 914). ეშვი ტახისა (სიგრძე ორად გატეხილი). რკალის სიგრძე 20,7; ქორდა 11,0 სმ.).

325 (12—54:341). ღილი ანტიმონის, ნახევარსფერული (გატეხილია) დმ. 1,9 სმ.

326 (12—54:342; სურ. 915). მძივები სარდიონისა, ჭქისედ დამუშავებული, ნაპობი, უმთავრესად დაბალცილინდრული მოყვანილობის; ზოგი ლუქისფერია, ზოგი ღია, ზოგსაც თეთრი ძარღვები ახლავს. 84 ც. უდიდესი ნიმუშის დმ 1,5; სიმაღლე 1,0; უმცირესი დმ 0,7, სიმაღლე 0,4 სმ.

ორმოსამარხი 10 (1930, N; სურ. 916—917). აღმოჩნდა V ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 2,65 მ სიღრმეზე, აღნიშნული სიმძლავრის მიწის ფენიდან, რომელიც ჩონჩხის ზემოდან აწვა, 0,15—0,20 მ თანამედროვე მოშავო ნიადაგზე მოდიოდა; იმის გამო, რომ ამ ფენაში ფესვები აქვს გადგმული ერთწლიან მცენარეულს (ბალახს), მას მცენარეულ ან კორდოვან ფენას ვუწოდებთ. ამ ფენაზე უფრო ღრმად დამარხულია მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის მოწაბლისფრო მიწის ფენა 1,40—1,45 მ სისქისა, რომელშიაც საკმაოდ ბლომად ურევია დელუვიონური ნარიყი. გავიხსენოთ, რომ ძირითადად ამ ფენაშია მოთავსებული ქვისსამარხები და ნაწილი სხვა ხასიათის სამარხებისაც. ამაზე უფრო ღრმად კი მეტ-ნაკლებად სუფთა შედგენილობის წვრილმარცვლოვანი თიხნარია 0,90—1,00 მ სისქისა, რომელშიაც მოთავსებულია ამჟამად განსახილველი სამარხი და საერთოდ ორმოსამარხთა უმრავლესობა. ორმოსამარხის ფსკერი ახალ ალუვიონურ ნარიყზე მოდიოდა და ჩონჩხიც სწორედ ამ ღორღზე დასვენებული აღმოჩნდა.

მიცვალებული მიმართული იყო ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. თავი ჩრდილო-დასავლეთით იყო მიქცეული. ამ უბნის ორმოსამარხთათვის ეს რამდენადმე უჩვეულო დამხრობა იყო. იგი

იწვა მარცხენა გვერდზე, თავისუფლად ფეხებმოხრილი; ხერხემლის სვეტიც ოდნავ მოხრილი იყო. მარცხენა ხელი თავქვეშ ჰქონია ამოდებული. თითქოს მარჯვენაც ასევე უნდა ყოფილიყო, მაგრამ გვამის ჩახავსების შედეგად მკლავის ძვლები გადაადგილებულა: მკლავის დიდი ძვალი წინ გადმოყურებულა, ხოლო მაჯასხივის ძვლები კიდევ უფრო შორს გადავარდნილა. ჩონჩხის პოზა არ ყოფილა დარღვეული, ხოლო თვით ძვალი იმდენად მყიფე გამხდარიყო (რიყიან საფუძველზე მოთავსების გამო), რომ ადვილად იფხვნებოდა. ძვლებზე დაკვირვება და გატანებული ინვენტარის ხასიათი გვაფიქრებინებდა, რომ ჩონჩხი საშუალო სიმაღლის ქალს უნდა ჰკუთვნებოდა. მისი ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,43 მეტრს უდრიდა.

327 (12—54:1026; სურ. 918). სადღვებელი მოშავოდ გამომწვარი თიხისა, კვერცხისებური; ლილვაკისებრ-ბაკოიანი პირი ოდნავ გადმოშლილია, დაბალყელიანი. მხარ-მუცლის საზღვარზე სასულე ჭიპი აქვს, ნახვრეტიანი. ყელზე და ნაწილობრივ მხარზე წნევით დატანილი მკრთალი პრიალა ზოლები ჩამოსდევს. მხარზევე (ჭიპის ზემოთ) ოთხი უწესო ღარისა და ერთი ტეხილი ხაზის სარტყელი გასდევს. სიმაღლე 32 სმ; დმ პირის 12,0, მუცლის 27,5; ძირის 8; ჭიპის ნახვრეტის 0,8; მუცლის გარშემოწერილობა 88,0 სმ.

328 (12—54:1028; სურ. 919). ქილა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, რუხპრიალა ზედაპირიანი; პირმოყრილი, უყელო, მუცელგანიერი, დამჯდარი, ოთხყურა (ოთხივე ადრევე მოტეხილა და დაკარგულა). სწორადკვეთილ პირს გარშემო 0,8 სმ სიფართის ღარი შემოუყვება. მხარი და მუცელი შუამდე 0,7—0,9 სმ სიფართის ღრმა ღარებით არის დაფარული „პარკეტულად". ფრიად ლაზათიანი და შთამბეჭდავი ჭურჭელია. სიმაღლე 16,5; დმ პირის 12,0; მუცლის 31,0; ძირის 10,7; მუცლის გარშემოწერილობა 98,0.

329 (12—54:1030; სურ. 920, 922). ქილა შავადგამომწვარი თიხისა, თითქმის უყელო, ოდნავ პირგადმოწეული, მუცელგანიერი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ზედაპირხაოიანი. მხარზე ერთმწკრივი ხორბლისებრი ნაჭდევების სარტყელი გადასდევს. ძირის წიბოს დამრეცად ნაჭდევი ხაზების სარტყელი შემოუყვება. ძირს კარგად ეტყობა მორგვზე ტრიალის კვალი. ნამდვილი კახური ტიპის ჭურჭელი ჩანს. სიმაღლე 15,0; პირის დმ 13,5; მუცლის 19,5; ძირის 7,0 სმ.

330 (12—54:1027; სურ. 923—925). კოჭობი თიხისა, პაწია ოდნავ პირგადმოწეული, უყურო, ბიკონუსური კორპუსით. კეცი გადანატეხში მოწაბლისფროა. რუხპრიალა ზედაპირი ახლა გამქრქალებულია. სიმაღლე 8,0; პირის დმ 6,3; მუცლის 11,1; ძირის 4,3 სმ.

331 (12—54:1029; სურ. 926, 928) კათხა თიხისა, შავპრიალა, პირგანიერი, ცილინდრულკორპუსიანი, წელში ოდნავ გამოყვანილი. ცალყურა (ყური ძველადვე მოტეხილა და დაკარგულა). პირს ქვემოთ კორპუსზე სამი ღარი არტყია ირგვლივ; ერთი ყურს ზემოთ, მეორე ყურის სიგანეზე, მესამე

თითის გასაყრელში გადის. სიმაღლე 11,0; პირის დმ 11,8; მუცლის (წელთან) 10,0 ძირის 10,5 სმ.

332 (12—54: 103; სურ. 929). რ გ ო ლ ე ბ ი ბრინჯაოსი, მავთულისა, სამბეული („სასაფეთქლე"), სადა, არა წესიერწრიული: ცალი პირიპირზე შესული. ერთის დმ 4,7; მეორის 4,5; სისქე 0,25 სმ.

333 (12—54:1032; სურ. 930). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი, ოვალურყუნწიანი, რომელიც გაწვრილებული თავის გადმოკეცვით და კორპუსზე მიკვერვით არის მიღებული. სიგრძე 12,9; სისქე 0,25 სმ.

334 (12—54:1035; სურ. 931). მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონისა ძირითადად მუქი წითელი, ლუქისფერი, ზოგიც ღია ვარდისფერი, მოთეთრო, თაფლისფერი; ზოგი თეთრძარღვიანი; ფორმით უმთავრესად დაბალცილინდრული; მქისედ დამუშავებული, „ნაპობი". 296 ც. უდიდესი ნიმუშის დმ 1,1; სიმაღლე 0,8 სმ; უმცირესის დმ 0,6; სიმაღლე 0,2 სმ.

335 (12—54:1033; სურ. 932). მ ძ ი ვ ე ბ ი მინისებრი პასტისა, მოთეთრო, ერთი ცისფერი, ერთიც მუქი ყავისფერი; ყველა დაბალცილინდრული მოყვანილობის, 34 ც. უდიდესი დმ 0,5; სიმაღლე 0,3 სმ.

336 (12—54:1034; სურ. 933). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო პასტისა (?) სწორკუთხედის, უფრო სწორად პარალელოგრამის მოყვანილობისა, მაგრამ შემაღლებულზურგიანი, რომელსაც წყვილი ნახვრეტი მსჭვალავს. განივი, ვიწრო გვერდები დაკბილულია. „დომინოს" ტიპის მძივებს მიაგავს. ძირითადად თანაბარი ზომის. 12 ც. ერთი ნიმუშის სიგრძე 2,1; სიგანე 0,7 სმ.

337 (სავ, წიგნ. 241, 1939, N). ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ბრინჯაოსი, თავხვია, ყელსა და გულმკერდის არეში იყო. სიგრძე 7,5 სმ.

ორმოსამარხი 13 (1939, N; სურ. 934).

აღმოჩნდა V თხრილის ჩრდილო კიდესთან 1,0 მეტრის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,40 მ სიღრმეზე. ერთი იმ სამარხთაგანი იყო, რომელთათვის დიდი სიღრმე არ არის დამახასიათებელი. სამარხის მოედანი 1,35×0,75 მ უდრიდა. სამარხში მარცხენა გვერდზე დასვენებული იყო ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი. მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. ქვემო კიდურები თავისუფლად მოხრილი ჰქონდა. თუმცა მკლავ-ხელის ძვლები გათხრის მომენტში გადაადგილებული იყო, მაგრამ, ჩანდა, რომ დასაფლავებისას ისინი პირისახესთან მიტანილი ჰქონდა. თავის ქალა (საკუთრივ კეჩხო) და ქვედა ყბა ერთიანად დაქუცმაცებული იყო. მალები ერთიმეორეს დაშორებული და გაბნეული იყო საფლავის მოედანზე, ძვლები ცუდად შენახული. მიცვალებულს მენჯთან, მუხლის თავთან და კისერს უკან თითო დიდი სიპი ქვა ედო. თითქოს ამ ქვებს შორის იყო მოთავსებული. თიხის ჭოთანში, რომელიც მენჯის ძვლებს ქვემოდან იყო, ეყარა ცხვრის კიდურთა ძვლები. გარ-

და ამისა, რომელიღაც წვრილი ცხოველის (მღრღნელის ?) ძვლები აღმოჩნდა დოქში, რომელიც მიცვალებულს თავთან ედგა*.

ძვლებზე დაკვირვებამ და ინვენტარის გათვალისწინებამ აქაც დედაკაცის სამარხი გვავარაუდებინა. თანჩატანებული ინვენტარი შედგებოდა შემდეგი ნივთებისაგან.

338 (12—54:1053; სურ. 935). ლ ა ნ გ ა რ ი შავადგამომწვარი თიხისა, ბრტყელ-ფართო ბაკოიანი, რომელიც რამდენადმე შიგნით არის დაქანებული; პირი გადმოშლილი აქვს (ძირი ადრე გავარდნია და დაკარგულა). ნაპრიალები არ ეტყობა ან სულ გადასულა. სიმაღლე 7,0; ნაპირის 3,0; დმ პირის 28,0 სმ.

339 (12—54:1056; სურ. 936, 937). ქ ი ლ ა ლეგა-მორუხოდ გამომწვარი თიხისა; სადა, ნაპრიალები, მუცელგანიერი, ძირჩავიწროებული; პირმოყრილია, უყელო. სწორდაკვეთილ პირზე გავლებულია სამი ღარი, მათ შორის ოთხი რელიეფური ქედის სარტყელს ქმნის. მეოთხე, უკანასკნელი, ქედის ზედაპირი ირგვლივ დაწერტილებულია. მხარზე დაძერწილია ოთხი ყური, მათგან ერთი წყვილი (ერთიმეორის საპირისპიროდ) ბრტყელია, გრეხილურნაპირებიანი, მეორე წყვილი (ასევე ერთიმეორის საპირისპიროდ) მრგვალგანივკვეთიანი. მასზე ირიბად დატანილი ღარების გამო გრეხილურის შთაბეჭდილებას ქმნის. ერთგან, პირთან ახლოს, ორ ყურს შორის თავბრტყელი საცერული კოპია დაძერწილი. ჭურჭელს მხარზე, ყურთა ქვედა ბოლოს გასწვრივ, წვრილღარული სარტყელი არტყია. ეს ჭურჭელი ეპოქის მეთუნეობის საუკეთესო ნაწარმოებია. სიმაღლე 21,5; დმ პირის 10,5; მუცლის 27,0; ძირის 9,0 სმ.

340 (12—54:1057; სურ. 938). ჯ ა მ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ღრმა, ბიკონუსურმუცლიანი, პირგადმოშლილი, ზედაპირნაპრიალები; მუცლის წიბოს ზემოთ ოთხი კონცენტრული ღარი გასდევს. წიბოდან ძირამდე, ხანგამოშვებით, ნაპრიალები ზოლები ჩასდევს. სიმაღლე 7,2; დმ პირის 13,3; მუცლის 15,0; ძირის 6,0 სმ.

341 (12—54:1055). ქ ო თ ა ნ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადმოშლილი, მრგვალმუცლიანი. ჭურჭლის მხარი, ყელიდან მოკიდებული უდიდეს დიამეტრამდე, კონცენტრული ღარებით არის დაღარული. ყელის ძირთან ახლოს ფრჩხილისეული სარტყელიც არტყია. ოდნავ გამოყვანილი ძირი ირიბი ხაზებით არის დაკეჭნილი, მთელ ზედაპირზე (ძირისაც) კარგად შეინიშნება მორგვის კვალი. სიმაღლე 14,0; დმ პირის 12,1; მუცლის 17,0; ძირის 6,8 სმ.

342 (12—54:1054; სურ. 939, 940). კოჭობი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პაწია, ოდნავ პირგადმოწეული. მხარზე, ორ ღარს

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ I, XIII (გვიანბრინ. ჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

შორის, ხორბლისებრი ორნამენტი გადასდევს ერთმწკრივად. ოთხწახნაგა ყურა მუცელს უშუალოდ პირთან აერთებს, სადაც იგი წიწვოვანი ნაჭდევი ხაზებით არის შემკული. ძირის წიბო ამასაც ირიბი ნაჭდევი ხაზებით აქვს შემკული. მთელი ზედაპირი მორგვზე ტრიალის ნაკვალევს ატარებს. სიმაღლე 9,5; დმ პირის 8,2; მუცლის 11,5; ძირის 4,5 სმ.

343 (12—54:1058; სურ. 941). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია, შუას ზემოთ ოთხკუთხგანივკვეთიანი; წვერისაკენ მრგვალგანივკვეთიანი. ზემო ნაწილში, წახნაგებზე, თევზისფხური სახეების კვალი შეინიშნება. სიგრძე 11,5; წახნაგის უდ. სიფართე 0,35; ყუნწის დმ 0,35 სმ.

344 (12—54:1059; სურ. 942). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია (დიდი ნაწილი მოტეხილი და დაკარგულია), ზემოაღწერილის ანალოგიური, ოღონდ მომცრო, სიგრძე 6,7; სისქე 0,3 სმ.

345 (12—54:1060; სურ. 943). რ გ ო ლ ი არათანაბარი სიმსხოს ბრინჯაოს მავთულისა. გაწვრილებული, ბოლო გაბრტყელებული და მცირედ გარეთ გადმოკეცილი აქვს. შესაძლოა, საყურე იყოს ან სათმეული საკიდი (საფეთქელთან). დიამეტრი 4,0: სისქე 0,3 სმ.

346 (12—54:1061; სურ. 944). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისფერი სარდიონისა, დაბალცილინდრული, დიდ-პატარა, ღია-მოვარდისფრო სარდიონისა, ძირითადად მანდარინის მოყვანილობის. 115 ც.

347 (სავ. წიგნ. № 255, 1939, N) დ ო ქ ი შავადგამომწვარი თიხისა, მაღალი, მუცელგანიერი (ნატეხებად არის ქცეული). ჩონჩხს თავთით ედგა.

ორმოსამარხი 19 (1939, N; სურ. 945).

აღმოჩნდა V თხრილში, მიწის ზედაპირიდან 1,90 მ სიღრმეზე, სამარხში აღმოჩენილ ზრდადასრულებული ადამიანის (როგორც ჩანს, მამაკაცის) ჩონჩხს თანმხლები ინვენტარითურთ ეჭირა ფართობი 1,30×0,80 მეტრი. შიგ ესვენა მეტ-ნაკლებად კარგად დაცული ჩონჩხი, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ მიქცეული, ხელფეხმოხრილი. ხელები სახის წინ ეწყო. მოხრილობა მენჯში ნაკლებია (ბლაგვი), მუხლებში კი მკვეთრი (მახვილი კუთხით). სანამ ჩონჩხი გამოჩნდებოდა, 30-ოდე სმ მაღლა, თეძოების ასწვრივ, ღორის კეჩხო აღმოჩნდა. ღორის გარდა მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები, თავრიელი. ზურგს უკან თიხის ფრიალა ლანგარი ედო; მუცლის წინ — ჯამი; ფეხთით წაწვენილი იყო ორყურა ქილა; მასთანვე ახლოს იდგა ქოთანი. წელის არეში ტახის ოთხი ცალი ეშვი აღმოჩნდა, ხოლო გულმკერდის არეში გაბნეული იყო სარდიონის ტლანქად ნაკვეთი მძივები*. ინვენტარი:

348 (12—54:1101; სურ 946). ლ ა ნ გ ა რ ი შავადგამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები, ფრიალა; სწორადკვეთილი პირის ბაკოზე 3—4 ხაზისაგან შედგენილი ტალღური ორნამენტია ამოკაწრული. მკრთალად ნაკაწრი

* სამარხის აღწერილობის გვერდით ავტორს ფანქრით მიუწერია: გბ 1, XIII (გვიანბრინჯაო II, ძვ. წ. XIII ს. —რედ.).

ღარები (2—3) პირს ქვემოთ შიდაპირზედაც გადასდევს ჭურჭლის კალთებს. ერთობ ლაზათიანი ჭურჭელია, თუმცა ამჟამად პაწია ნატეხებისაგან არის შეკოწიწებული. სიმაღლე 5,3; დმ პირის 27,5; ძირის 6,0; ბაკოს სიგანე 1,3; კეცის სისქე 0,6 სმ.

340 (12—54:1104; სურ. 947). ჯამი-საწური შავადგამომწვარი თიხისა, ნაპირშემაღლებული, თანაბრად დაქანებულკალთიანი, რომელიც დაცხრილულ ძირში გადადის. ფსკერში სულ 26 გამჭოლი ნახვრეტია. ზედაპირნაპრიალები. კეცი გადანატეხში მუქი წაბლისფერია. სიმაღლე 6,0; ნაპირის 1,4; დ პირის 20,5; ძირის 7,1; კეცის სისქე 0,5 სმ.

350 (12—54:1103; სურ. 948, 949). ქილა ღიანაცრისფრად გამომწვარი თიხისა, მაღალი; კვერცხისებური ტანი აქვს, პირგადმოშლილი, ყელმაღალი. ორყურა უნდა ყოფილიყო. ცალი ყურის ნაკვალევზე ეტყობა, რომ ფართო, სქელი ყური უნდა ჰქონოდა მხარ-მუცელზე. მეორე ყურის ადგილი ამოტეხილი და დაკარგულია. ყელის ძირში ორი ნაკაწრი ხაზი გადასდევს, მხარზე კი ორი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ნაკაწრი ტალღური ხაზისაგან შემდგარი სარტყელი. ერთი მკრთალი ღარიც ყურის ზედაგულის გასწვრივ არტყია ჭურჭელს. სიმაღლე 32,5; დმ პირის 11,5; მუცლის 26,0; ძირის 7,5; კეცის სისქე 0,7 სმ.

351 (12—54:1102; სურ. 950, 951). ქოთანი შავად გამომწვარი თიხისა, პირგადმოშლილი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი. მხარზე ირიბად დატანილი ნაჭდევი ხორბლისებრი ორნამენტული სარტყელია. ოდნავ გამოყოფილი ძირის წიბოც ირიბად ნაჭდევი ხაზებით არის დასერილი. ზედაპირს კარგად ეტყობა ჩარხის ტრიალის ნაკვალევი. კახური ტიპის ჭურჭელია. სიმაღლე 12,5; დმ პირის 11,5; მუცლის 15,0; ძირის 6,7 სმ.

352 (12—54:1105; სურ. 952). მძივები ლუქისფერი სარდიონისა (ურევია მოვარდისფროც), დაბალცილინდრული; სადად, მჭისედ დამუშავებული დიდ-პატარა. 45 ც. უდ. სიმაღლე 0,8; დმ 0,6; პატარის სიმაღლე 0,2; დმ 0,4 სმ.

353 (12—54:1106; სურ. 853). ეშვები ტახისა, დიდ-პატარა, უდიდესს შუაზე ნახვრეტი აქვს 0,5 სმ დიამეტრისა, უდიდესის სიგრძე 15,0; სიფართე (ძირთან) 2,0 სმ. 4 ც.

ორმოსამარხი № 80 (1030, N; სურ. 844—365).

აღმოჩნდა VI თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 2,40 მეტრის სიღრმეზე, სამარხი გაჭრილი იყო მოყვითალო თიხნარიანი მიწის ფენაში. სამარხის ზომა 1,60×1,05 მეტრს უდრიდა. სამარხში ესვენა საკმაოდ მაღალი ფამაკაცის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით მიქცეული. ქვედა კიდურები მკვეთრად ჰქონდა მოხრილი. მარცხენა ფეხის წვივი და ტერფი სიპ ქვაზე ჰქონდა მოთავსებული. მეორე ასეთი ქვა ცოტა მოშორებით იდო. ორი

რიყის ქვაც სათითაოდ გულმკერდის არეში და მარჯვენა ბეჭს უკან ჰქონდა შემოდებული. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მიცვალებული გულმკერდის ნაწილით ამ წყვილ ქვაზე მიუსვენებიათ. ამასადამე, მიცვალებული აქაც ოთხ ქვას შორის მოთავსებული ყოფილა. ხელები იდაყვში მკვეთრად მოხრილი და სახის წინ მიტანილი ჰქონდა ისე, რომ ისინი წყრთის ძვლებით ერთ-ერთ ქვაზე იყო გადადებული. თავის ქალა და წყრთის ძვლები ძალიან დაზიანებულა. თვით ჩონჩხის განლაგება კარგად იყო დაცული. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა შავად გამომწვარი თიხის 7 ცალი ჭურჭელი, რომელთაგან ერთი, სახელდობრ ღრმა ლანგარი, სახის წინ ედო და მასში საგზლად გატანებული ხორცეულის ნაშთიღა შემონახულიყო ცხვრის კანჭის ძვლების სახით; დანარჩენი 6 კი, სახელდობრ დალეწილი ქილები (2 ც.), აგრეთვე დალეწილი გოზაური და მეტ-ნაკლებად კარგად დაცული ყურიანი ქოთანი, ჯამი და პაწია, ყელმაღალი, ყურიანი კოპობი საფლავის დასავლეთ ნაწილში, ერთიმეორეზე კოხტად იყო მიჯრილ-მიწყობილი, რამდენიმე რკალად. წელის არეში ბრინჯაოს მოკლე, უტარო სატევრის პირი იდო, ზურგს უკან ბრინჯაოსივე შუბისპირი და ირმის რქისგან გაკეთებული ლახტისთავი, ხოლო წყრთის ძვლებთან, ოდნავ მოშორებით, რომელიღაც ცხოველის ლულოვანი ძვლისგან ნაკვეთი 8 მძივი გაბნეულიყო*.

354 (12—54:1933, სურ. 356, 357). ქ ი ლ ა მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები; დერგს წააგავს. პირფართო, პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მუცელგანიერი. მხარზე გადავლებული შვიდი ღრმა და ფართო კონცენტრული ღარი ჭურჭლის მხარს გოფრირებულის იერს ანიჭებს. მუცელს ძირამდე ალაგ-ალაგ ნაწნევ-ნაპრიალები ზოლები ჩასდევს. სიმაღლე 25,0 სმ; დმ პირის 19,1 სმ; მუცლის 29,5 სმ; (აღდგენილი); ძირის 10,0 სმ.

355 (12—54:1937; სურ. 354, 355). ქ ი ლ ა მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადმოშლილი, ყელდაბალი, მხრებდაშვებული, მუცელგანიერი; მხარზე სამი, ხოლო მუცელზე, უდიდესი დიამეტრის გასწვრივ, ერთი კონცენტრული ღარი გადასდევს. ყელიდან მუცლის უგანივრეს ნაწილამდე ხანგამოშვებით ჩასდევს ექვსი ნაწნევ-ნაპრიალები ზოლი (დაახლ. 5,5 სმ სიფართისა), რომელიც თავის მხრივ 4—5 ვიწრო ზოლისაგან შედგება. სიმაღლე 22,0 სმ; დმ პირის 12,5 სმ; მუცლის 25,0; ძირის 9,0 სმ.

356 (12—54:1931; სურ. 344. 345). ქ ი ლ ა ლეგაფრად გამომწვარი თიხისა, დაბალი, სწორი, თითქმის ცილინდრულყელიანი, სწორად კვეთილი ბაკოთი; კვერცხისებრი მოყვანილობისაა. ყელის ძირსა და მუცელზე სათითაოდ გადასდევს რელიეფური ხერხკბილოვანი სარტყელი, რომლებიც ერთგან (სადაც თითქოს ყური უნდა ყოფილიყო, ხოლო ახლა მცირე რამ ნაძერწის ნაშთია) ასეთივე ორნამენტითაა შეერთებული. ჭურჭელი ხელით

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I—II, XIII (?) (გვიანბრინჯაო I—II, ძვ. წ. XIII ს (?)—რედ.).

ნაძერწია, უმორგვოდ. სიმაღლე 15,0 სმ; დმ პირის 11,0; მუცლის 14 სმ; ძირის 7,0; სისქე (პირთან) 0,5 სმ.

357 (12—54:1935; სურ. 346, 347). დ ო ქ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები; ცალყურა (მოტეხილ-დაკარგულია); ყელზე გარედან (ბაკის ძირში) ზვირთულ-ლენტისებრი ღარი გადასდევს. ყელის ძირში სამი ღარია, პირველ ორს შორის ხორბლისებრი ორნამენტია; ამ ღარებსა და მუცელზე გავლებულ ღარს შორის ზედაპირი (ჭურჭლის მხარი) შევსებულია დამრეკი ნაწნევ-ნაპრიალები ხაზებისაგან შედგენილი ტოლფერდა სამკუთხედებით, რომლებიც ფუძით მუცლის ღარს ეყრდნობიან. სიმაღლე 25,0 სმ; დმ პირის 10,9 სმ; მუცლის 20,0 სმ; ძირის 8,1 სმ.

358 (12—54:1932; სურ 352, 353). ქ ო თ ა ნ ი ალაგ-ალაგ შავად, ალაგ-ალაგ ნაცრისფრად და მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები; ცალყურა, მხარ-მუცელზე დაძერწილი ყური მომტვრეულა და დაკარგულა. პირფართო და გადმოშლილი, თითქოს ცილინდრულყელიანი, რომელსაც გარედან 17 ვერტიკალური ღარი (ჯანელურისებრი) ამკობს. ყელის ძირსა და მუცლის ირგვლივ სათითაოდ გადასდევს კონცენტრული ღარი. უფრო სითხის ამოსაღები ჭურჭელი უნდა იყოს. სიმაღლე 12,7 სმ; დმ პირის 11,1 მუცლის 14,0 სმ; ძირის 7,0 სმ.

359 (12—54:1936; სურ. 348, 349). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები; ღრმა, სწორად კვეთილი ბაკოიანი თანაბრად დაქანებული კალთებით, რაც ოდნავ გამოყოფილ ქუსლში გადადის. გარედან ნაპირზე ორი ღრმა ღარი, ხოლო კალთაზე ხუთი კონცენტრული ღარული ხაზი გადასდევს. საერთოდ გარეპირი ხაოიანი აქვს. ძირის წიბოს ირგვლივ ხერხისებრი ორნამენტი, ხოლო საკუთრივ ძირს 5—6 კონცენტრული ღარი ამკობს. სიმაღლე 7,0; დმ პირის 27,0; ძირის 12,0; ბაკოს სამ. სიფართე 0,9 სმ.

360 (12—54;1934; სურ. 350—351). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; მაღალი, ღრმა; ოდნავ პირგადმოშლილი; დაწახნაგებული მუცლით; გადმოშლილ ბაკოს გარედან თითქოს მკრთალი ღარი გადასდევს. სიმაღლე 7,5; დმ პირის 16,1; ძირის 8,9 სმ.

361 (12—54:1938; სურ. 360, 361). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე, უტარო; თითქოს ალისებრი, საგრძნობლად ჩავიწროებული წვერისაკენ, შუაში მკვეთრქედიანი, რომელიც წვერთან ქრება, ხოლო სატარე ნაწილისაკენ გრძელი ყუნწის ზურგად იქცევა. აქეთ-იქით წყვილი ნახვრეტია, პირის დმ 0,3 სმ; სიგრძე 19,0 სმ; უდ. სიგანე (ვადაში) 5,1 სმ.

362 (12—54:1939; სურ. 362, 363). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თითქოს ფოთლისებრი; დახურულმასრიანი; პატარა, კოხტა, მასრაზე წყვილი რელიეფური განივი ზოლი გადასდევს, მათ შორის კი იქით-აქეთ, თითო ნაჩვრეტია ტარის დასამაგრებლად. ერთი მცირე ნახვრეტი მასრის ბოლოშიცაა. მასრა წვერამდე გასდევს. სიგრძე 15,3; უდ. სიფართე 3,3 სმ.

363 (12—54:1940; სურ. 364, 365). მ ძ ი ვ ე ბ ი, რომელიღაც ცხოველის გაპრიალებული ლულოვანი ძვალია განივად ნაკვეთი, ისე რომ მძივები პაწია, დაბალ ცილინდრებს მოჰგვანან. სიმაღლე 1,2 სმ; 1,4 სმ; შიდა დმ 0,9 სმ.

364 (12—54:1941; სურ. 358, 359). ირმის რქის ძირი, ტოტებწაკვეთილი. ძირთან განივად გახვრეტილი, რომლის დმ 2,8 სმ; სისქე 4,2 სმ; ალბათ ლახტისთავად იხმარებოდა.

ორმოსამარხი 158 (1940, N; სურ. 366—379).

როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. ზემოთ), წარმოადგენდა N ყორღანში ჩაშვებულ სამარხს. მოთავსებული იყო ყორღანის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში; ყორღანისეული ქვისსამარხის სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ და ყორღანის ქვაყრილს შიგნიდან შეიდროდ ეკვროდა. მხოლოდ ნაწილობრივ გადიოდა იგი ჩრდილო-დასავლეთ სექტორში. მიწის დღევანდელი ზედაპირიდან იგი 2,60 სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხის ფსკერის მოედანი 1,15×0,80 მ უდრიდა. შიგ ესვენა ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთით დამხრობილი. ჩონჩხი მოთავსებული ჩანდა ოთხ სიპ ქვას შორის: ორთა შორის თავის ქალა ედო. მესამეზე მენჯით იყო მიყრდნობილი, ხოლო მეოთხეზე წვივები ელაგა, ხერხემლის სვეტი საერთოდ კარგად იყო დაცული, მაგრამ წელის რამდენიმე მალა, აგრეთვე კისრისა, რამდენადმე წინ გადაცურებულა და ნეკნები დაფანტულა. მარცხენა მხარიც წინ გადაშვებული ჩანდა. ხელები მოხრილი და სახის წინ აშვერილი ჰქონია. ბარძაყის ძვლის სიგანე 0,43 მ. მუხლისთავთან ღორის (?) ზედაყბის ერთი პატარა ნატეხი ეგდო. მენჯს უკან ლეგა ფერის ორყურა ქოთანი იყო, დამტვრეული; მარცხენა მუხლისთავთან კოჭობი იდგა, ხოლო სახის წინ, — მოზრდილი ღრმა ჯამი. ბრინჯაოს ორი თავხვია საკინძიდან ერთი სახის წინ, მეორე ლავიწის ძვალზე იდო. იქვე იყო ბრინჯაოს ოვალური რგოლი, რომელიც, ალბათ, ყურსაკიდად იყო გამოყენებული; მარჯვენა მკლავთან ნახევარსფერული მოყვანილობის მძივი, ანტიმონის სამი ბრტყელი მძივი, მოშავო პატარა რვა და სარდიონისა და ზოლოვანი იასპის 51 მძივი თავ-ყელის არეში იყო მიმობნეული*.

365 (12—54:4554; სურ. 367, 368). ქ ი ლ ა ლეგა-მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხისა, პრიალა ზედაპირიანი, მომრგვალებული ბაკოთი, მხრებ და მუცელგანიერი, ძირჩავიწროებული; ორყურა, ყურები ნახევარწრიული განივკვეთიანია და მხრებზეა დაძერწილი (ჭრილში ცალი თითი ძლივს გადის) ისინი ორ კონცენტრულ ღარს შორისაა მოთავსებული; შეკოწიწებულია. სიმაღლე 20,1; დმ პირის 19,4; მუცლის 24,5; ძირის 8,5 სმ.

366 (12—54:4555; სურ. 369, 370). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხი-

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

სა, პაწია, დაბალი; ოდნავ პირგადმოშლილი; მუცელგანიერი; მხრებდაქანებული. მხრისა და მუცლის შეერთებაზე წყვილი მკრთალი კონცენტრული ღარია. ღართა შორის კი კლაკნილი, ტალღური ხაზი; პირი ალაგ-ალაგ ჩამოტეხილი აქვს; ძირი და ქვედა ტანი დაკენკილ-აქერცლილია. სიმაღლე 7,0; დმ პირის 7,1; მუცლის 11,0; ძირის 5,3 სმ.

367 (12—54:4556; სურ. 371, 372). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; მაღალი.

368 (12—54:4557; სურ. 377). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; წვრილღეროიანი; თავხვია; რამდენადმე დეფორმირებული. სიგრძე 5,8 სმ.

369 (12—54:4558; სურ. 377). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; თავხვია; დეფორმირებული. სიგრძე 5,3 სმ.

370 (12—54:4559; სურ. 378, 379). ს ა ყ უ რ ე ბრინჯაოსი; თავითავზე შესული, ცალი თავი გაწვრილებული აქვს (ყურის ბოლოში გასაყრელად); ოვალური მოყვანილობისა. ოვალის დმ 1,8 სმ.

371 (12—54:4560; სურ. 378, 379). ს ა ყ უ რ ე ბრინჯაოს მავთულისა; არაწესიერი წრიული; ზედ აცმულია ბრინჯაოსივე ბრტყელი ყურსაკიდი რგოლი. დეფორმირებული. უდ დმ 2,6 სმ; სიმსხო 0,25 სმ.

372 (12—54:4561; სურ. 373, 374). მ ძ ი ვ ე ბ ი ანტიმონისა, მქრქალი ნაცრისფერი, მოყვითალო ირიზებული; ბრტყელი, სწორკუთხედის მოყვანილობისა; ცალმხარეზე პარკეტული სახეებითაა შემკული (რელიეფურად). თითოეულს სამი წვრილი, განივი ნახვრეტი აქვს ბაკოს გასაყრელად.

373 (12—54:4561). მ ძ ი ვ ი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული მოყვანილობისა; სიმაღლე 0,2 სმ; დმ 0,5—0,6 სმ.

374 (12—54:4562, სურ. 375, 376). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი წითელი სარდიონისა; დაბალცილინდრული, ტლანქად ნათალი („ნაპობი"). ცალი მხრიდან ნახვრეტი, სადაც საამისო კრატერია. სიმაღლე 0,7 სმ; დმ 1,1 სმ. 49 ც.

375 (12—54: 4563). მ ძ ი ვ ე ბ ი მოშავო პასტისა; დაბალცილინდრული.

ორმოსამარხი 160 (1940, N; სურ. 380—392).

IV თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, ზედაპირიდან 2,70 მ სიღრმეზე. რიყის ოთხ ქვას შორის მოთავსებული სამარხი საუკეთესო მაგალითს იძლეოდა. სამარხში სიპ ქვებს გარდა, რომლებიც ზოგი მუცლის, ზოგიც გულმკერდის არეში იყო, აღმოჩნდა აგრეთვე პატარა ფილაქვა მენჯს უკან ვერტიკალურად ჩაშვებული. სამარხის ფართობი უდრიდა 1,65×1,08 მ. სამარხში ესვენა საშუალო სიმაღლის მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ — აღმოსავლეთისკენ მიქცეული. ქვედა კიდურები თავისუფლად ჰქონდა მოხრილი იმგვარად, რომ ბარძაყის ძვლები ხერხემალთან სწორი კუთხით მიიმართებოდნენ, თავის ქალა ძალიან ცუდად იყო დაცული.

მიცვალებულის ფეხთით ესვენა თხის მთელი ჩონჩხი. ეს ერთი ხშირ შემთხვევათაგანია მიცვალებულისთვის მთელი ცხოველის ჩატანებისა. გარდა ამისა, სამარხში იყო შემდეგი ინვენტარი: მოზრდილი ლანგარი სახის წინ, ჯამი გულმკერდთან, უფრო სწორად, წყრთის ძვლებთან; კოჭობი მუცლის არეში; მოზრდილი ქილა პრიალაზედაპირიანი — თავს გადაღმა; მონაკრისფრო ქილა და მეორე დიდი ქილა, ორყურიანი, ფერხთით ედგა. ზურგს უკან იდო ირმის რქისგან გაკეთებული ლახტისთავი, ბრინჯაოს ფირფიტებით ინკრუსტირებული. წელში გარჭობილი ჰქონია ბრინჯაოს მოკლე ფოთლისებრი ქედიანი სატევრისპირი. ბრინჯაოსავე მასრაგახსნილი შუბისპირი წყრთის ძვლების გასწვრივ იყო, მასრით კოჭობზე მიყრდნობილი. ბრინჯაოს თავხვია საკინძი მუცლის არეში აღმოჩნდა. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა. ობსიდიანის ანატკეცი*.

376 (12—54:4567). ლ ა ნ გ ა რ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირგადაშლილი, დამრეცი ნაპირით; თანაბრად დაქანებული კალთები უსწორო ძირში გადადის; გაუპრიალებელი ზედაპირი ერთგან შავად არის შეფერილი, შიდაპირი კი ბადურად ნაპრიალები ხაზებით არის დაქსელილი. პირი ერთგან მცირედაა ჩამოტეხილი. სიმაღლე 6,9 სმ; დმ პირის 27,5 სმ; ძირის 9,5 სმ.

377 (12—54:4567$_1$; სურ. 383, 384). ლ ა ნ გ ა რ ი შავი თიხისა; მომცრო, მაღალი, თხელკეციანი.

378 (12—54:4571; სურ. 388, 389). დ ე რ გ ი შავად გამომწვარი თიხისა, შავპრიალა; პირმოყრილი, იდეალურად პირსწორი (ე. ი. უყელო), მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული. პირი ქობისაგან ღრმა ღარით არის გამოყოფილი, რომელსაც გარშემო უვლის ორი ღარი და მათ შორის მოთავსებული თევზისებური ორნამენტის სარტყელი. პირის დონეზე ჭურჭელს საპირისპიროდ დაძერწილი აქვს წყვილი მრგვალ-ბრტყელი კოპი (ალბათ საცერული), რომლის ჩავიწროებული კუდი მხარ-მუცლის საზღვარზე შემოვლებულ ღარამდე ჩასდევს, საცერულის ზედაპირი შემკულია ურთიერთმკვეთი, წნევით ნაპრიალები ხაზებით. ცალი კოპი ადრევე მოტეხილა და დაკარგულა. მისგან მხოლოდ რელიეფური კუდიღა შემორჩენილა. პირსა და მუცლის ღარს შორის მოთავსებული არე (ჭურჭლის მხარი) წნევით ნაპრიალები ხაზების სახეებით არის დაფარული. შეკოწიწებულია. სიმაღლე 23,3; დმ პირის ჭრილის 11; მუცლის 32,0; ძირის 10,5; საცერულის 4,1; პირის სიგანე 2,9 სმ. ესა და მომდევნო ჭურჭლები ეპოქის მეთუნეობის მაღალი დონის მაჩვენებელია.

379 (12—54:4572; სურ. 381, 382). დ ე რ გ ი ღია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პირმოყრილი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი, ბიკონუ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს. —რედ.).

სური მოყვანილობისა, მხრებზე აქეთ-იქით წყვილი მრგვალგანივკვეთიანი ყურია მიძერწილი, ხოლო მათ შორის, პირის ქობაზე საპირისპიროდ წყვილი ბაცერული კოპია, რომელთა შორის ერთია რელიეფური; კუდი მოკლეა და დამრეცად არის დაყენებული, მეორისა სწორია, გრძელი და მუცლის კონცენტრულ ღარამდე აღწევს, როგორც ეს წინამავალ ჭურჭელზე გვქონდა. ამიტომ გვგონია, რომ ეს ჭურჭლები ერთი ხელოსნის ნახელავია. პირთან ახლოს, კოპების დონეზე, კონცენტრული ღარია ამოკვეთილი. მასა და მუცლის ღარს შორისი არე ხშირ-ხშირი, წნევითი, ნაპრიალები ვერტიკალური ხაზებით არის შემკული. ასეთივე ხაზები ჭურჭელს ძირამდე ჩასდევს. სიმაღლე 22,2 სმ; დმ ჭრილის 11,7; კოპის 3,1; მუცლის 31,0; ძირის 9; პირის სიგ. 2,7 სმ.

380 (12—54: 4568). ნ ა ტ ე ხ ე ბ ი შავად გამომწვარი, შავპრიალა ზედაპირიანი, თხელკედლიანი თიხის ჭურჭლისა (პაწია სასმისი უნდა ყოფილიყო); კეცის გადანატეხში მოყავისფროა. პირსწორი ჭურჭელი ყოფილა, რომელსაც პირთან ახლოს, გარედან, ღარი შემოუყვება. კეცის სისქე 0,4 სმ.

381 (12—54:5569). ნ ა ტ ე ხ ე ბ ი რუხზედაპირიანი თიხის ჭურჭლისა; ორ-ყურა ქილა უნდა ყოფილიყო. ყური მრგვალგანივკვეთიანია (ერთი თითის გასაყრელი). ძირის დმ 8,0 სმ; კეცის სისქე 0,5 სმ; ყურის ოვალის 3,3 სმ.

382 (12—54:4570). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი ღია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; საკმაოდ სქელკეციანი ყოფილა (სისქე 0,7 სმ). როგორც ჩანს, მხრის ნაწილია. მასზე შემორჩენილია ორი ღარი, რომელთა შორის დატვიფრულია კბილანებისგან შემდგარი დამრეცი ხაზები.

383 (12—54:4573; სურ. 385, 386). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე, ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისა, შუაზე ვიწრო და მაღალქედიანი, ბასრფხიანი, წყვილი ნახვრეტით (ტარის დასამაგრებლად). ტარსაგები ნაწილი ოვალურად არის წამოზრდილი. სიგრძე 15,2 სმ; უდ. სიგანე 5,6 სმ.

384 (12—54:4574; სურ. 387). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, გრძელი, მასრაგახსნილი, ალისებრპირიანი, მასრის ღრუ თითქმის წვერამდე გასდევს. მას წყვილი ნახვრეტი აქვს. სიგრძე 26,3 სმ; ძირის სიგრძე 14,3 სმ; მასრის დმ 2,0 სმ; ახლავს წყვილი მანჭვალი.

385 (12—54:4577; სურ. 391). ს ა კ ი ნ ძ ი თავ-ბოლო გადატეხილი, ბრინჯაოსი; თავის ნაწილში ოთხწახნაგა ყოფილა და, ალბათ, თავხვია იქნებოდა სიგრძე 6,0 სმ.

386 (12—54:4575; სურ. 392); ობსიდიანის ა ნ ა მ ტ ვ რ ე ვ ი ნაპირებშემოჩეჩქვილი, ამორფული.

387 (12—54:4576; სურ. 390). ირმის რქის ძირი — ტოტებწაკვეთილი და განივად გახვრეტილი, ლახტისთავად გამოყენებული. სამსავე გადახერ-

ხილ ნატოტარში ბრინჯაოს თხელი ფირფიტები ყოფილა ინკრუსტირებული. ტარსაგები ნახვრეტის სიღრმე 5,5 სმ; დმ 2,5 სმ.

ორმოსამარხი 178 (1940, N; სურ. 393—400). მდებარეობდა VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 3,15 სიღრმეზე. ეჭირა ფართობი 1,10×0,85 მ. შიგ ესვენა 6—7 წლის გოგონას ჩონჩხი, თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი, მარცხენა გვერდზე; თავისუფლად მოხრილი ფეხებით. ბარძაყის ძვლები და ხერხემლის სვეტი ბლაგვ კუთხეს ქმნიდნენ. ხელები ზეაპყრობილი ჰქონდა. მალები დაშლილი, თავისქალა დამტვრეული იყო.

მიცვალებულს ახლდა შემდეგი ნივთები: შავი თიხის ღრმა ჯამი თავთან. ედო; პაწია ფიალა — სახის წინ; კოჭობი — მუხლთა წინ; ყელდაღარული, ორყურა ქილა — ფეხთით; ძლიერ პატარა ქვეკრისებრი კოჭობი თუ ქოცუკა — ქილაში იდო. ყელ-გულის არეში იყო სარდიონისა და პასტის მძივები (83 ც.): ძვლის კვირისტავი (ადამიანის ბარძაყის ტაბუხისგან გაკეთებული) — მკერდის არეში; ბრინჯაოს ბეჭედი მკლავთან იყო; ბრინჯაოს სამაჯური — თავის ადგილზე; ბრინჯაოს წყვილი საკანჭური სათითაოდ წვივებზე ჰქონდა წამოცმული. თავ-ყბის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი სასაფეთქლე რგოლი*.

388 (12—54:4835; სურ. 394, 395). ჯ ა მ ი თიხისა; ძირზე შავად, ნაპირზე მოწითალოდ, შიდაპირზე მურაფრად გამომწვარი; ღრმა, ნაპირშემაღლებული, მომრგვალებულბაკოიანი; ნაპირისა და კალთის გამყოფ წიბოზე კონცენტრული ღარი გადასდევს. ნაპრიალები თითქმის გადასულა.

389 (12—54:4836; სურ. 396, 397). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; პაწია, კოხტა ნაპირებშემაღლებული, ზედაპირი შავად ნაპრიალები, შიდაპირი კი მქისეა, თითქოს ხაოიანი (შესაძლებელია ხმარებისაგან). პირი მცირედზე ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე 3,50; ნაპირის სიმაღლე 1,3 სმ; პირის დმ 9,2 სმ; ძირის სიმაღლე 3,7 სმ.

390 (12—54:4837; სურ. 398, 399). კ ო ჭ ო ბ ა ნ ა შავად გამომწვარი თიხისა; პაწია, ოდნავ პირგადმოშლილი; ყელიანი, რომელიც რამდენადმე ასიმეტრიულად ედგმის კონუსურ ტანს. მხარზე კონცენტრული ღარი გასდევს; მკრთალი ღარები ყელზედაც ეტყობა. ერთგან მხარზე ჰურჭელს ჭიპისებრი საწოვი მილი აქვს დატანებული (სამარხი ხომ ბავშვისა იყო). პირის ქობა საგრძნობ ნაწილზე ჩამომტვრეულია, შავპრიალა. სიმაღლე 9,0; დმ მუცლის 9,5; ძირის 4,0 სმ.

391 (12—54:4837). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; პირფართო, ორყურა, მრგვალმუცლიანი, უსწოროძირიანი; მხარზე 5 ღარი არტყია. ცალი ყური ადრე მოტეხილი და დაკარგულია. სიმაღლე 17,0; დმ პირის 12,5; მუცლის 17,0 სმ; ძირის 9,0 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.)

392 (12—54:4838; სურ. 400, 401). ქვევრისებრი ჭურჭელი შავ-ლეშად გამომწვარი თიხისა; ძალიან პატარა და კოხტა; პრიალაზედაპირიანი; თხელკედლიანი, პირმოყრილი, რომლის გარშემო გარედან მკრთალი ღარი არტყია. ძირი კონუსურია (სათამაშოა?). სიმაღლე 9,5; დმ პირის 5,7 სმ; შუცლის 7,5 სმ.

393 (12—54:4843; სურ. 402). რ გ ო ლ ი (საფეთქლის სამკაული) ბრინჯაოს მავთულისა, რომლის ცალი მილი დაოთხწახნაგებული და ხშირადკლაკნილი, ქორდულად არის გახიდული წრეში. რგოლის უდ. 6,0 სმ; მავთულის სიმსხო 0,2 სმ; კლაკნილი ქორდას სიგრძე 5,2 სმ.

394 (12—54:4844; სურ. 402). რ გ ო ლ ი (საფეთქლის სამკაული) ბრინჯაოსი; წინამავლის მსგავსი, ოღონდ ამ ცალზე კლაკნილი მილი უკვე დიამეტრია, რადგან რგოლის ცენტრში გადის.

395 (12—54:4840; სურ. 404). ს ა მ ა ჯ ო ბ რ ი ბრინჯაოს ოთხკუთხა განივკვეთიანი მავთულისა, თავი თავზე შესული, დეფორმირებული. უდ. დმ 5,5 სმ: წახნაგის დმ 0,25 სმ.

396 (12—54:4841, 4842; სურ. 403). რ გ ო ლ ე ბ ი (ს ა კ ა ნ ჭ ო ბ ი) ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, პირისპირზე მისული. საესებით მსგავსნი. დმ 4,9 სმ; სიმსხო 0,2 სმ.

397 (12—54:4845; სურ. 405). რ გ ო ლ ი (სათითე უნდა იყოს) ბრინჯაოს მავთულისა; პირიპირზე გადატანილი. დმ 2,4 სმ; სიმსხო 0,3 სმ.

398 (12—54:4839; სურ. 406). კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ი ტაბუხის ძვლის წანაკვეთისგან დამზადებული; ნახევარსფერული მოყვანილობის სიმაღლე 1,5 სმ; დმ 3,5 სმ.

399 (12—54:4846; სურ. 407). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი წითელი სარდიონისა, დაბალცილინდრული; უხეშად ნაკეთები (ტლანქად „ნაპობი“). საშ. ნიმუშის სიმაღლე 0,5 სმ; დმ. 0,7 სმ.

400 (12—54:4847; სურ. 408). მ ძ ი ვ ე ბ ი ღია-ვარდისფერი და მოთეთრო სარდიონისა; დაბალცილინდრული; ტლანქი ნამუშევარი. საშ. ნიმუშის სიმაღლე 0,3 სმ; დმ 0,6 სმ.

401 (12—54: 4848; სურ. 409). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა; ზოგი მოთეთრო, ზოგი მოშავო ფერის; ზოგი დაბალცილინდრული, ზოგი მანდარინისებრი; წვნიკი 11 ც.

ორმოსამარხი 160 (1940, N; სურ. 425—453). აღმოჩენილი იყო VII ფართობზე, მიწის ზედაპირიდან, 3,00 მ სიღრმეზე. ეს სამარხი მოქცეული იყო 177-ე. სამარხის ქვეშ, რომელიც 2,10 მ სიღრმეზე მდებარეობდა. საფლავის ზომა 1,45×1,10 მ უდრიდა. ეპოქისათვის მეტად დამახასიათებელი ტიპიური სამარხი იყო. შიგ დაკრძალული ჩანდა საშუალოზე უფრო მაღალი ტანის მამაკაცის ცხედარი, მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, ხელებაპყრობილი და

თავით აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. მიცვალებულის ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,47 მ უდრიდა. ჩონჩხი მოთავსებული იყო რიყის ოთხ ქვას შორის, რომელთა განლაგება ჩვეულებრივი იყო: ორი თავთან, აქეთ-იქით, დანარჩენი ორიც მენჯთან და მუხლებთან სათითაოდ (თუმცა მუხლებთან კიდევ რიყის წყვილი მომცრო ქვა იდო). მიცვალებულს თან ახლდა შემდეგი ნივთები: მოწითალო თიხის კოჭობი, ბიბილოიანი ყურით — ხელებთან (შიგ ეყარა წვრილფეხა რქიანი საქონლის კიდურთა ძვლები); ასეთივე თიხის პატარა, თხელკეციანი ჯამი იქვე მახლობლად იდო; უფრო მოზრდილი ჯამი— მარცხენა წვივთან; შავად გამომწვარი თიხის მოზრდილი, უყურო ქილა — ფეხრთით; აქვე იყო მეორე ქილა, ოღონდ უფრო დიდი, განიერმუცლიანი; ხოლო ტერფებთან იდგა ქვევრისებრი მოყვანილობის ორყურა დერგი. ირმის რქისგან გაკეთებული ლახტისთავი ზურგის უკან იდო, მისკენ წვერმიშვერილად კი ბრინჯაოს შუბისპირი, გრძელი. შუბისპირის მსრასთან ბრტყელი, განიერყუნწიანი ისრისპირი იდო.

აქვე აღმოჩნდა ლაგმის ცალი საყბეური; მუცლის არეში — მოკლე უტარო სატევრისპირი (ცხადია, წელში იქნებოდა გარჭობილი). მარჯვენა მკლავის ქვეშ მრგვალთავა საკინძი იყო. ყელის მიდამოში აღმოჩნდა ხარის გამომსახველი პაწია ქანდაკება ბეჭებთან განივად გახვრეტილი, ჩამოსხმული, საკიდად გამოყენებული, ხოლო გულმკერდის არეში გაბნეული იყო სარდიონისა (56) და თეთრი პასტის (4) მძივები*.

402 (12—54:4872; სურ. 428, 429). დ ე რ გ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა, მაღალი მომრგვალებული ბაკოთი, ყელდაბალი, კვერხისებრმუცლიანი; ორყურა; ყურები ბრტყელგანივკვეთიანი ყოფილა და მხარს ქვემოთ, მუცელზე, ჰქონია მიძერწილი (ორივე მოტეხილი და დაკარგულია). ყელის ძირში ერთი კლაკნილი ღარი, ხოლო მხარმუცლის საზღვარზე სამი ღარი არტყია, სიმაღლე —39,0, ყელის სიმაღლე 3,5 სმ; დმ პირის 11,5 სმ; მუცლის 32,0 სმ; ძირის 10,0 სმ.

403 (12—54:4871; სურ. 434, 435). ქ ი ლ ა მოშავოდ გამომწვარი; შავპრიალა; პირფართო და გადმოშლილი, მხრებდაშვებული, მუცელგანიერი; მხარზე წყვილი ფართო ღარი არტყია, რომლის ქვეშ 4,5 სმ სიფართის თევზიფხური ორნამენტის სარტყელია, ამის ქვეშ კი (მუცლის უდ. დიამეტრის გასწვრივ) 2,5—3,0 სმ სიფართის ნაპრიალები ზოლი არტყია ირგვლივ, რომლიდანაც ძირისკენ ხანგამოშვებით ამავე საფარის ზოლები ეშვება. სიმაღლე 22,5; პირის დმ 19,5; მუცლის 28,0; ძირის 11,0 სმ.

404 (12—54:4870; სურ. 430, 431). ქ ი ლ ა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირიანი; ოდნავ პირგადმოშლილი, უყელო; მხრებდაშვებული, მუცელგანიერი; მხარმუცელზე გასდევს 5 ფართო, ღრმა

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I—II, XIII (გვიანბრინჯაო I—II, ძვ. წ. XIII ს.—რედ.)

კონცენტრული ღარი, მათ შორის წარმოქმნილი გლუვზედაპირიანი 6 ბეჭი ჭურჭლის ზედატანს გოფრირებულ იერს აძლევს. სიმაღლე 21,0; დმ პირის 20,5; მუცლის 30,3; ძირის 11,5 სმ.

405 (12—54:4867 ;სურ. 426, 427). ქ ო თ ა ნ ი ღია მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; თხელკედლიანი, პირფართო, სწორბაკოიანი, ოდნავ მხრებგანიერი; კოხტა პროპორციებისა; ყალეყურა, ბრტყელი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი; თავზე ბიბილოსებრი ნაძერწი აქვს, რომელიც მხარ-მუცლის შემაერთებელია. პირჩამოტეხილი. სიმაღლე 15,5 დმ. მუცლის 14,0 სმ; ძირის 7,5 სმ.

406 (12—54:4869; სურ. 432, 433). ჯ ა მ ი აგურისფრად გამომწვარი მქისე თიხისა; სადაზედაპირიანი; მაღალნაპირიანი, თითქმის უკალთებო და ამიტომ ფართო ძირიანი; უმორგვოდ ნაძერწი უნდა იყოს. სიმაღლე 5,3; დმ პირის 20,5; ძირის 15,3 სმ.

407 (12—54:4868; სურ. 436, 437). ჯ ა მ ი შავადგამომწვარი თიხისა; პირმოყრილი და ოდნავ ქუსლგამოყოფილი ყოფილა: პირ-ყელ-ყურის კარგა მოზრდილი ნაწილი ჩამომტვრეული აქვს. ძირის დმ 6,0 სმ.

408 (12—54:4873; სურ. 438, 439). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისა, შუაზე წვრილქედიანი; წყვილი ნაჩვრეტით ტარის დასამაგრებლად, რომლის ნაკვალევი კარგად ეტყობა; თან ახლავს წყვილივე მანჭვალი. ფხაალესილი ყოფილა. სიგრძე — 14,9; უდ. სიგანე (ვადასთან) 5,9; მანჭვლის სიგრძე 1,3; სიმსხო 0,3 სმ.

409 (12—54:4875; სურ. 450). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოს სქელი ფურცლისაგან გამოჭრილი; ბრტყელი, ზოგადად სამკუთხა მოყვანილობისა; ბრტყელი, სწორკუთხა ყუნწის აქეთ-იქით წვეტიანი ფრთებია. წვერი მცირედ წატეხილი აქვს. სიგრძე 6,4; სიგანე (ფრთებში) 3,1; ყუნწის სიგრძე 2,7; სიფართე 0,5 სმ.

410 (12—54:4874; სურ. 443, 444). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; გრძელი; ალისებრპირიანი; მასრაგახსნილი. მასრის ღიობი მცირედ პირზედაც გადადის. მასრის გაგრძელება პირის მკვეთრ ქედში გადადის, რომელიც თითქმის წვერამდე გასდევს. მასრაზე ორი წყვილი ნაჩვრეტია (ტარსამაგრი), ერთიმეორისგან 8,3 სმ დაშორებული. სიგრძე 32,5; აქედან 19,5; მასრაზე მოდის: დმ 2,3 სმ.

411 (12—54:4877; სურ. 447, 448). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ნახევარსფერული თავით; ყელზე წყვილღარიანი, ოვალურნახვრეტიანი, სიგრძე 7,9; უდ. სიმსხო 0,4 სმ.

412 (12—54:4876; სურ. 445, 446). ს ა ყ ბ ე უ რ ი (ტრენზელი) ბრინჯაოს ლაგმისა; ოდნავ მორკალური მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ღეროა, წნული ორნამენტით ზედაპირდაფარული და შუაში ოვალურად გახვრეტილი

ლაგმის (მუნდშტუკის) გასაყრელად. სიგრძე 9,0; ღეროს დმ 0,8; ოვალური ნახვრეტის სიგრძე 1,0 სმ.

413 (12—54:4878; სურ. 448, 453). მ ძ ი ვ ე ბ ი ვარდისფერი სარდიონისა; ზოგადად მანდარინისებური მოყვანილობისაა), ზოგი ბრტყელ-მრგვალი, ერთიც ცილინდრული; უხეშად ნახეხ-ნაკეთები, 55 ც. უმც. სიმაღლე —0,4; დმ 0,6; უდიდესის სიმაღლე 0,6; დმ 1,0; ცილინდრულის სიგრძე 1,4; დმ 0,6 სმ.

414 (12—54:4879). მ ძ ი ვ ე ბ ი თეთრი პასტისა; წვნიკი: 4 ც.

415 (12—54:4880; სურ. 440, 442). ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა ხარისა; ბრინჯაოსი, პაწია.

416 (12—54:4881; სურ. 451, 452). ირმის რქის ძირი, ლ ა ხ ტ ი ს თ ა ვ ი; ცალი ტოტი გრძლად აქვს წაკვეთილ-წამახვილებული. ფუძესთან გახვრეტილი. რქის საფუძვლის სიგრძე-სიგანე 5,3×4,9; ტარსაგები ნახვრეტის სიღრმე 3,5; 2,5 სმ.

ორმოსამარხი 182 (1940, N; სურ. 454—459). VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, 3.40 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა ღია ყვითელ თიხნარში; ზომა — 1,00×0,60 მ. სამარხში დაახლოებით 3—5 წლის ბავშვის ჩონჩხი იყო მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, პირით სამხრეთისაკენ მიბრუნებული, ფეხები თავისუფლად მოხრილი, ხელები სახის წინ აშვერილი. მიცვალებულს სახის წინ თიხის ღრმა ჯამი ედგა, წვივებთან — მოზრდილი, პირვიწრო ქილა, მენჯს უკან, მოშორებით — პაწია ქვაბქოთანა; წვივებზე — სათითაოდ ბრინჯაოს საწვივე რგოლი იყო წამოცმული, გულმკერდის არეში— სარდიონისა და პასტის 203 მძივი*.

417 (12—54:4906; სურ. 455). ჯ ა მ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; პაწია, მაგრამ ღრმა, ოდნავ პირგადმოშლილი, თითქოს ყელგამოყოფილიც, რომლის ქვემოთ ირგვლივ ზვირთული ღარი არტყია. სიმაღლე 7,5; დმ პირი 15,6; მუცლის 15,7; ძირის 16,3; გარედან კალთებზე ძირამდე რადიალურად ჩასდევს ნაპრიალები ზოლები.

418 (12—54:4907; სურ. 454). ქ ი ლ ა ღია-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მოზრდილი (თითქმის დერგიც ეთქმის), რუხპრიალა, პირვიწრო, ოდნავ პირგადმოშლილი, თითქმის ცილინდრულყელიანი, მუცელგანიერი, ძირვიწრო. ყელის ძირში, მხარზე, ორი კონცენტრული ღარისა და მათ შორის მოთავსებული ირიბი თხელი ნაჭდევებისგან შემდგარი ორნამენტის სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 25,0; ყელის სიმაღლე 4,0; დმ პირის 11,7; მუცლის 30,0 სმ; ძრის 9,5 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიეწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

419 (12—54:4908; სურ. 456). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირიანი; თხელი ოდნავ გადმოშლილპირიანი, ბიკონუსურ-მუცლიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. მხარზე არტყია მკრთალი კონცენტრული ღარი, რომლის ქვეშ ოთხი ტალღოვანი ხაზის სარტყელია. ძალიან კოხტა ჭურჭელია. სიმაღლე 12,5 სმ; დმ. პირის 10,5; მუცლის 11,5; ძირის 5,7 სმ.

420 (12—54:4910; სურ. 457). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს მავთულისა, პირიპირზე შესული; საკანჭურად გამოყენებული. დმ 5,0 სმ; სიმსხო 0,3 სმ.

421 (12—54:4909; სურ. 457). რ გ ო ლ ი ბრინჯაოსი; ზუსტად ისეთივე, ოღონდ რამდენადმე დეფორმირებული. დმ 5,1 სმ; სიმსხო 0,25 სმ.

422 (12—54:4912; სურ. 458). მ ძ ი ვ ე ბ ი უხეშად ნაკეთები, მუქწითელი სარდიონისა; დაბალცილინდრული; 48 ც.

423 (12—54:4911; სურ. 459). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო, ზოგი მოყავისფრო, ზოგიც მოშავო პასტისა; ნაწილი დაბალცილინდრული, ნაწილი მრგვალბრტყელი. 52 ც.

ორმოსამარხი 102 (1940, N; სურ. 460—463). VII ფართობის ცენტრალურ ნაწილში 3,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ორმო მსხვილსტრუქტურიან თიხის ფენაში იყო გაჭრილი. მისი ზომა 1,25×1,15 მ უდრიდა. მიცვალებული ქალი იწვა მარცხენა გვერდზე, თავით NW მიქცეული; ფეხები მენჯში ბლაგვი, მუხლებში კი მახვილი კუთხით ჰქონდა მოხრილი. ხელების პოზიცია მთლად გარკვეული არ არის, ისევე როგორც ნეკნებისა და ზოგი სხვა ძვლებისა. შარჯვენა მაჯასთან შავი თიხის ჯამი ქუსლიანი კოჭობი იყო. მარცხენა მუხლის წინ მოზრდილი პირფართო ქილა იდგა. ბრინჯაოს 6 თავხვია საკინძიდან 2 გულმკერდის არეში იყო, ხოლო სათითაოდ: მუხლის წინ, მარცხენა იდაყვზე; თავს უკან და ჯამში. ჯამის ნაპირზე მიყუდებული იყო ბრინჯაოს მახათი, ხოლო გულმკერდის არეში მოიკრიბა პასტის 4 და მუქი სარდიონის 249 მძივი*.

424 (12—54:5024; სურ. 460a). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა: პრიალა ზედაპირით, სწორნაპირიანი, ღრმა; ნაპირისა და კალთების საზღვარზე გამოიყოფა გლუვზედაპირიანი წიბო. სიმაღლე 6,5 სმ; დმ. პირის 20,1; ძირის 8,5 სმ.

425 (12—54:5025; სურ. 460). ქ ი ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მაღალი, მომრგვალებულ ბაკოიანი, დაბალყელიანი, მხრებგანიერი, კვერცხისებრმუცლიანი. ზედაპირი დაფარულია მეტ-ნაკლები სიღრმის კონცენტრული ღარებით. მხარზე ჭურჭელს ჯერ ტალღოვანი კონცენტრული ღა-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

რის, ხოლო მის ქვემოთ გრძელი სარტყელი არტყია. ძირის წიბო ოდნავ დაკეკნილია, თვით ძირი კი სპირალურად დაღარული. სიმაღლე 23,0; პირის დმ 17,5; მუცლის 25,0; ძირის 9,3 სმ. „კახური" ჭურჭელია.

426 (12—54:5025₁). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; პაწია; წიბოიანი მუცელი აქვს და პატარა ქუსლი. პირჩამოტეხილია. სიმაღლე 7,5 სმ; მუცლის დმ 10,5; ძირის 4,2; ქუსლის სიმაღლე 0,6 სმ.

427 (12—54:5026; სურ. 462). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი; გადმოკეცილყუნწიანი; სიგრძე 10,6 სმ.

428 (12—54:5028; სურ. 461). ს ა კ ი ნ ძ ე ბრინჯაოსი; თავხვია, დეფორმირებული, ორგზის გაღუნული. სიგრძე 7,5 სმ.

429 (12—54:5030; სურ. 461). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; თავხვია; კოროზირებული. სიგრძე 6,2 სმ.

430 (12—54:5031; სურ. 461). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, თავხვია; გაღუნული. სიგრძე 5,8 სმ.

431 (12—54:5027; სურ. 461). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია, წვერმოტეხილი, სიგრძე 5,6 სმ.

432 (12—54:5032; სურ. 461). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია, კოროზირებული. სიგრძე 5,1 სმ.

433 (12—54:3029). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა, თავხვია, გაღუნული და ჟანგისგან შეჭმული. სიგრძე 4,6 სმ.

434 (12—54:5033; სურ. 463). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქიწითელი სარდიონისა; ტლანქად ნაკვეთი (ნაპობი); ზოგადად დაბალცილინდრული, დიდ-პატარა. 249 ცალი. სიმაღლე უდიდესი ნიმუშის სიმაღლე 0,8; დმ 1,2; უმცირესი ნიმუშის სიმაღლე 0,3; დმ 0,6 სმ.

435 (12—54:5034). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო-მოყვითალო პასტისა; პაწია, დაბალცილინდრული. 4 ც.

ორმოსამარხი 198 (1940 წ. N; სურ. 464—473).

გაითხარა VII ფართობის შუა ნაწილში, აღმოჩენილი იყო 2,80 მ სიღრმეზე ღია წაბლისფერი მიწის ფენაში. როგორც ჩანდა, მიცვალებულისათვის მეტ-ნაკლებად ოთხკუთხა მოყვანილობის ორმო გაუჭრიათ. ამ ორმოს ზომა უდრიდა 1,50×1,0 (N—W) მეტრს. ჩონჩხს თავისი ინვენტარით ეჭირა 1,30×0,90 მეტრი ფართობი. სამარხში ესვენა საკმაოდ მაღალი ტანის ქალის ჩონჩხი, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ დამხრობილი და თავისუფლად ფეხებმოკუნტული (ბარძაყის ძვლები ხერხემლის სვეტთან სწორკუთხეს ქმნიდა). მარცხენა ხელი იდაყვში მოხრილი ჰქონდა და სახის წინ ედო, მარჯვენა კი ესვენა შესატყვის გვერდზე. ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,4 მ, წვივისა 0,39 მ, ხოლო მხრის 0,30 მ.

მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა შემდეგი ინვენტარი: შავად გამომწვარი თიხის ჯამი სახის წინ ედო: მომცრო ფიალა — ამის ცოტა ქვემოთ;

ორყურიანი ქილა მუხლების წინ იდგა. საფეთქელთ მოსაკაზმავი ბრინჯაოს რგოლები — თავისქალასთან იყო; ყელ-ყურისა და მარჯვენა მაჯის არეში ბლომად აღმოჩნდა სარდიონისა (136) და მოყვითალო-მოთეთრო პასტის (164) მძივები და აგრეთვე მორუხო პასტის სამი საკინძი.

სამარხის წმენდისას, გარდა ამისა, გვხვდებოდა ხის ნახშირის ნამცეცები*.

486 (12—54:5099; სურ. 464). ჯ ა მ ი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, მომცრო; მაღალნაპირიანი და ღრმა, ნაპირი კალთებისგან გამოიყოფა წიბოთი. ზედაპირი კარგა მოზრდილ ნაწილზე შავად შებოლილია. ძირი მთლიანად და პირ-კალთის ნაწილი ძველადვე გამოტეხილა და დაკარგულა. სიმაღლე 6,0 ნაპირის სიმაღლე 3,0; დმ. პირის 18,5; სისქე (გადანატეხში 0,6 სმ.

487 (12—54:5100; სურ. 465). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; პირმოვიწროებული, წაკვეთილი ბიკონუსის მოყვანილობისა. პირს გარედან და წიბოს ცოტა ზემოთ სათითაოდ შეკრული კონცენტრული ღარი ფადასდევს ნაპრიალები თითქმის გადასულია. სიმაღლე 5,5; პირის დმ 9,5; მუცლის 10,5; ძირის 5,3 სმ.

488 (12—54:5101; სურ. 466). ქ ი ლ ა ან დ ე რ გ ი მოშავოდ და ლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (თითქმის გადასულია); მაღალი, ორყურა (ბრტყელი, ოთხკუთხა განივკვეთიანი), რომელთაგან ერთი მოტეხილია, ისევე როგორც პირ-ყელი მთლიანად. ჭურჭელს მხარზე (ყურთა ზემოთ) გადასდევს ორნამენტული სარტყელი, რომელიც ორი წყვილი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ტეხილხაზოვანი ზოლისაგან შედგება. შემონახული ნაწილის სიმაღლე 30,5; დმ მუცლის 31,0 სმ; ძირის 9,1; ყურის უმც. 2,7; სისქე 1,1 სმ.

439 (12—54:5102; სურ. 467, 471: რ გ ო ლ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; პირიპირზე შესული დეფორმირებული. საფეთქლის მოსაკაზმავად ყოფილა გამოყენებული. დმ 6,1: სიმსხო 0,25 სმ.

440 (12—54:5103; სურ. 467, 471). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; პირიპირზე შესული; წესიერწრიული; იმავე დანიშნულებისა. კოროზირებული. დმ 5,9; სიმსხო 0.2 სმ.

441 (12—54:5106; სურ. 472, 473). ს ა კ ი დ ე ბ ი ანტიმონისა (?); ბრტყელი, სწორკუთხედის მოყვანილობისა; სიგანეზე სამ-სამი ნახვრეტი აქვს. სიგრძე 1,9; სიგრძე 1,3; სისქე 0,3 სმ.

442 (12—54:5104; სურ. 469). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი წითელი სარდიონისა; წვრილი; დაბალცილინდრული. 138 ცალი.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I—II, XIII (გვიანბრინჯაო I—II, ძვ. წ. XIII ს. —რედ.).

443 (12—54:5105; სურ. 468, 470). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო, მოყავთალო, მოყავისფრო და მოშავო პასტისა; ირიზებული; დაბალკილინდრული. 144 ცალი.

444 (12—54:5107). ფერფლის (?) ნიმუში, ხისა (?), ცოტაოდენი:

445 (12—54:5108). ხის ნახშირის ნამცეცები.

ორმოსამარხი 232 (1946 წ., N; სურ. 474—496). მოთავსებული იყო VII ფართობის დასავლეთ ნაწილში, 2,00 მეტრის სიღრმეზე, ფართობის სამხრეთი ჭრილიდან 2,00 მეტრის დაშორებით. ეს სამარხი არსებით მასალას გვაწვდის სამთავრის სამაროვნის სტრატიგრაფიის დასადგენად. მას ზემოდან აწვა ორი ორმოსამარხი (№№ 224 და 227) და ერთიც ქვასამარხი (№ 570). ამათგან 570-ე ქვასამარხი აღმოჩენილი იყო 1,35 მ სიღრმეზე, 224-ე ორმოსამარხი 1,45 მ, ხოლო 227-ე — 1,65 მ სიღრმეზე. ამათ ქვემოთ კი, როგორც ვთქვით, 2,00 მ სიღრმეზე უკვე ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სამარხი იყო აღმოჩენილი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ გახაზავს საგრძნობ „სივიწროვეს“ და განსაკუთრებულისათვის „ბრძოლას“ სამთავროს უძველეს ნეკროპოლზე. სამარხის ფსკერი მოიკავდა 1,20×1,0 მ.

სამარხში საკმაოდ ძვალმსხვილი და მაღალი, თანაც ხანშიშესული მამაკაცის მარჯვენა გვერდზე მისვენებული ჩონჩხი იყო, თავით აღმოსავლეთისკენ მიქცეული; ზომიერად ფეხებმოხრილი. ხელები სახის წინ ეწყო. სიგრძივ შუაზე გაპობილი თავი რიყის ქვაზე ჰქონდა მისვენებული. მენჯს ქვემოდან, მარცხენა წვივთან, ისევე როგორც ბეჭს ქვემოთ და გულის გასწვრივ, რიყის თითო ქვა ჰქონდა ამოდებული ისე, რომ მიცვალებული ამ ოთხ ქვათა შორის ჩაჭედილს ჰგავდა. ორი გრძელი და ბრტყელი რიყის ქვა სამარხის ჩრდილო ნაწილში იყო ჭურჭლებს ზემოდან მოთავსებული.

მიცვალებულისათვის ჭირისუფალთ ბატკნის ხორცი ჩაუტანებიათ, რასაც აქა-იქ გაბნეული ძვლები მოწმობდა. გარდა ამისა, ჩონჩხთან აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი: გულმკერდის არეში — შავად გამომწვარი თიხის პაწია კოჭობი; სახის წინ ერთიმეორის მიყოლებით, უმორგვოდ ტლანქად ნაძერწი ქოთანი; ცალყურა, პირფართო, მაღალი ფინჯანი, ასევე ტლანქად ნაძერწი; ცალყურა სასმისი (ფინჯანი, თუ ტოლჩა); აქედან მოყოლებული დასავლეთისკენ — ცალყურა დაბალი ქოთანი (ყურზე ბიბილოები აქვს); პირფართო, უყელო ქილა, სამფეხზე შედგმული და მხრებზე მეჭეჭებით შემკული; ბოლოს მოზრდილი ქილა, რომელსაც გულსა და მხარზე ირგვლივ კონცენტრული ღარები გასდევს. დანარჩენი ორი ჭურჭლის აღდგენა ვერ მოხერხდა. ბრინჯაოს მოკლე, ფოთლისებრი სატევრისპირი და შუბისპირი ერთიმეორესთან გვერდიგვერდ გულმკერდის არეში იყო. ქვედაკბის ქვეშ ბრინჯაოსივე თავმრგვა-

ლი საკინძი აღმოჩნდა, ხოლო ობსიდიანის ხუთი უფორმო ნატეხი გულმუცლის მიდამოებში მიმოფანტულიყო*.

446 (12—54:6219; სურ. 475). ქ ი ლ ა მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, რუხპრიალა; მაღალი, პირვიწრო, პირქობიანი, დაბალყელიანი, კვერცხისებრტანიანი, ორყურა. ბრტყელი, ოთხგანივკვეთიანი ყური მუცელზეა მიძერწილი (ცალი ყურის ნაწილი მოტეხილი და დაკარგულია). ყელის ძირსა და მხარს ირგვლივ წყვილ-წყვილი ღარი არტყია. პირი ნაწილობრივ ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე 28,5; დმ პირის 11,1; მუცლის 25,3; ძირის 11,4 სმ.

447 (12—54:6220; სურ. 476, 577). ქ ი ლ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, პირფართო და გადმოშლილი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი. ჭურჭელს მხარზე (მუცლის უდიდესი დიამეტრის დონემდე) გავლებული 7 კონცენტრული ღრმა, ფართო ღარი და მათ შორის წარმოქმნილი პრიალა და გლუვზედაპირიანი ქედების ერთობლიობა ჭურჭელს გოფრირებულის იერს აძლევს. ქვედა ტანი ძირამდე შემკულია ფართო რადიალური, ნაწნევ-ნაპრიალები ზოლებით. სიმაღლე 21,1; დმ პირის 17,1; მუცლის 25,7; ძირის 8,6 სმ.

448 (12—54:6218: სურ. 478, 479). ქ ი ლ ა (საწვნე) რუხად გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა, პირმოყრილი, მხრებგანიერი, დამჯდარი (ზოგადად ელიფსური მოყავნილობისა), სამფეხა. პირზე სამი, მუცლის წიბოს ირგვლივ ერთი კონცენტრული ღარი არტყია. მუცელზე ხუთგან ერთიმეორისგან თანაბრად დაშორებული, ზემოდან ქვემოთ მიმართული სამ-სამი მეჭეჭია (ლურსმნის თავის ღარი) დაძერწილი. ფეხები ბრტყელი, ოთხკუთხა განივკვეთიანი. გვერდების სიგრძე-სიგანე — 2,7×2,0; სიმაღლე 17,5; დმ პირის 19,3; მუცლის 26,0; ძირის 10,3; ერთ-ერთი ფეხის სიმაღლე 4,1; სისქე 0,7 სმ.

449 (12—54:6211; სურ. 480, 481). ქ ი ლ ა მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირიანი; პირფართო, ოდნავ პირგადმოწეული, მომრგვალებულბაკოიანი, ოდნავ ყელგამოყოფილი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი (ბიკონუსური ტანიც ეთქმის), მცირედ ქუსლგამოყოფილი, ცალყურა. მრგვალგანივკვეთიანი და ბიბილოებიანი, კოხტა ყური მხრებზეა დაძერწილი. ყურის საერთო იერი წელში ძალუმად მოხრილ და ყურდაცქვეტილ მტაცებელ ცხოველს მოგვაგონებს, დაახლოებით სწორედ ისეთის, შემდეგ ძვ. წ. VIII—VII სს. ბრინჯაოს სარტყლებს რომ შეამკობენ ხოლმე. ყელის ძირსა და მხარზე გადავლებულ დართა შორის მიჯრით მოწყობილია ტოლფერდა სამკუთხედები, რომლებიც ერთი (მარჯვენა) გვერდის პარალელური წყვილი ხაზებით არის დაშტრიხული. ეტყობა, დიდი საწყაულიდან ამოსაღებ-დასასხმელი ჭურჭელია, თავისებური გამანაწილებელი. კარგი ნახელავია. სიმაღლე 15,0; დმ. პირის 10,4; მუცლის 17,3; ძირის სიმაღლე 0,6; ძირის დმ 7,5 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ I—II, XIII (გვიანბრინჯაო I—II, ძვ. წ. XIII ს. რედ.).

450 (12—54:6215; სურ. 487, 488). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; მოზრდილი; თხელბაკიანი, დამრეცნაპირიანი, მცირედ ქუსლგამოყოფილი. სიმაღლე 8,0; ნაპირის სიმაღლე 2,5; ძირის სიმაღლე 10,5; დმ პირის 28,0.

451 (12—54:6212; სურ. 484, 485). ტ ო ლ ჩ ა რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა; წელში გამოყვანილი, ძირვიწრო. ქვედატანი დაწახნაგებული აქვს. მრგვალგანივკვეთიანი ყური პირს აერთებს მუცელთან, პირი გარედან ღარით არის გამოყოფილი. სიმაღლე 11,9; დმ პირის 11,7; მუცლის 5,6 სმ.

452 (12—54:6213; სურ. 489). კ ო ჭ ო ბ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირით; პირგადაშლილი, მხრებდაქანებული, ბიკონუსურ-მუცლიანი მხარზე ზვირთული კონცენტრული ღარი არტყია, რომლის ქვეშ ზედაპირი მუცლის უდიდეს სიგანემდე ნაწნევი პრიალა ზოლებისაგან შემდგარი პარკეტული სახეებით არის დაფარული. სიმაღლე 10,6; დმ პირის 8,5; მუცლის 12,6; ძირის 5,5 სმ.

453 (12—54:6214; სურ. 486). ფ ი ნ ჯ ა ნ ი მურა-ლეგად გამომწვარი თიხისა; მქისე; უმორგვოდ ნაძერწი; პირსწორი და ფართო; ვიწროძირიანი; მრგვალგანივკვეთიანი პაწია ყური (ცალი თითისთვის) პირს ცოტა ქვემოთ ებმის, პირი და ძირი ოდნავ გამოყოფილია. სიმაღლე 10,5 სმ; პირის უდ. დმ 11,5 სმ; მუცლის დმ 12,0 სმ; ძირის დმ 6,3 სმ.

454 (12—54:6216). ფ ი ნ ჯ ა ნ ი ლეგა-რუხად გამომწვარი მქისე თიხისა; უმორგვოდ ნაძერწი; რამდენადმე პირმოყრილი, პაწია; დამტვრეულია და ყურიც აკლია.

455 (12—54:6217; სურ. 482, 483). ქ ი ლ ა (ან ქოთანი) მოშავოდ და მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; უმორგვოდ ნაძერწი; პირსწორი (სწორად ნაკვეთი ბაკო აქვს); კვერცხისებრმუცლიანი. პირისა და მუცლის უდ. წიბოს გარშემო საკმაოდ ღრმა ფოსოების სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 14,6 სმ; დმ. პირის 11,4 სმ; მუცლის 5,5 სმ; ძირის 5,5 სმ. ბაკოს 0,7 სმ.

456 (12—54:6222; სურ. 490, 491). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე; ფოთლისებრი; ზოგადად ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისა; ასეთივე ფორმისაა (ოღონდ გაცილებით დაბალი) სატარე ნაწილიც. შუაზე მკვეთრი ქედი გასდევს. პირგამოკვერილი და ფხაალესილია, იქით-აქეთ წყვილი ტარსამაგრი ნაჩვრეტია მანჭვალთათვის, რომელთაგან ერთია შემორჩენილი. სიგრძე 17,8 სმ; უდ. 6,0 სმ; მანჭვლის სიგრძეა 1,4 სმ.

457 (12—54:6221; სურ. 492, 493). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; გრძელი და ალისებრი პირით, გრეხილი და გახსნილი მასრა აქვს წვრილი ნახვრეტით (ტარზე დასამაგრებლად). პირი ძალიან წაწვეტებული აქვს. სიგრძე 26,2 სმ; აქედან 14,7 სმ. მარტო მასრაზე მოდის. უდ. დმ 3,4 სმ; მასრის დმ 1,7 სმ.

458 (12—54:6223: სურ. 494, 495). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, პატარა,

სფერულთავიანი, ყელდაღარული და ოვალურნაჩვრეტიანი. ორნატეხად სიგრძე 7,4 სმ.

459 (12—54: 6224; სურ. 496). ანატკეც-ანამტვრევები მოშავო კვამლა ობსიადიანისა, ამორფული; დაუმუშავებელი. 6 ცალი. უდიდესი ზომა 5,3×3,3 სმ; უმც. 3,1×1,1 სმ.

ორმოსამარხი 264 (1940 წ., N; სურ. 497—500). გაითხარა VIII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, 1,80 მ სიღრმეზე. ეჭირა 1,50×0,90 მ ფართობი. სამარხი გაჭრილი იყო თიხნარი მიწის ფენაში. შიგ იდო საშუალო ტანის ქალის ჩონჩხი, მარჯხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ დამხრობილი და სახის წინ ხელებდაწყობილი. ქვედა კიდურები თეძოს სახსარში თითქმის სწორკუთხოვნად, მუხლის სახსარში კი საკმაოდ მკვეთრად ჰქონდა მოხრილი. თავისქალის (ს. წ. 5496, №) შესწავლამ (ინდექსი 82,18) დაადასტურა, რომ აქ, მართლაც, ქალის სამარხთან გვქონდა საქმე.

მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ციკნის თავის ნაწილები (ქვედა ყბის ძვლები იყო მხოლოდ აღმოჩენილი) და შემდეგი ინვენტარი: სახის წინ მოშორებით შავად გამომწვარი თიხის ღრმა ჯამი თუ ლანგარი იდგა; თავს უკან — ყელიანი კოჭობი; მუხლის წინ — ქოთანი; ამის აღმოსავლეთით ყელვიწრო კოკა, ხოლო ტერფებს უკან — მომცრო ქილა. ყელ-გულის არეში ბრინჯაოს ოთხი თავხვია საკინძი და ერთიც გრძელი მახათი იყო. აქვე იყო ბრინჯაოსივე რგოლი, იქნებ ბეჭედი; დიდ-პატარა რგოლისგან შემდგარი (ერთიმეორეში გაყრილი) საყურე, უფრო კი, ყურსაკიდი; ბრინჯაოს უცნობი დანიშნულების ნივთი, რომელიც თმის კავის სამკაული უნდა იყოს; გულის მოყვანილობის წყვილი მძივსაკიდი პასტისა, ობსიდიანის უფორმო ანამტვრევები და მძივები ანტიმონისა (17 ც.), გიშრისა (1 ც.), წვრილი მორუხო-მოთეთრო პასტისა (16 ც.) და უხეშად „ნაკვეთი“ სარდიონისა (63 ც.), სულ 264 ც*.

460 (12—54:6609; სურ. 501), ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თხელკედლიანი თიხისა; ნაპრიალები; ღრმა, შვეული ნაპირი ოდნავ შიგნით არის შეწეული, სიმაღლე 7,0 სმ; დმ. პირის 21,7; ძირის 8,9 სმ.

461 (12—54:6610; სურ. 496). კ ო ჭ ო ბ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; თხელკედლიანი, პირგადმოშლილი, სწორი ბაკო აქვს და კოხტად გამოკვეთილი ყელი, რომელიც მკვეთრად გადადის მხრებში. გადასვლის ადგილას ჭურჭელს ერთიმეორეზე მიჯრილი ფრჩხილისებური ჭდეების სარტყელი გადასდევს. ძირი საგრძნობლად ჩავიწროებულია. სიმაღლე 10,0 სმ; დმ. პირის 8,5 სმ; მუცლის 12,0 სმ; ძირის 5,0 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

462 (12—54:6611; სურ. 499). ჭ ო ო ბ ე ლ ი შავად გამომწვარი თიხისა; თხელკედლიანი; შემორჩენილი ნაწილის მიხედვით მომაღლო ყელი და შეიძლება ყური ჰქონოდა. მხრებდაშვებულია და მუცელგანიერი. მხარი პარკეტულად ორნამენტით აქვს დაფარული. ამის ქვეშ სამი ღარის სარტყელია, ხოლო ღართა შორის თითო ტეხილხაზოვანი სახეებია ამოღარული. გარდანატეხში მოყავისფრო კეცი ფენობრივად იფცქვნება. ყელისა და გვერდის დიდი ნაწილი აკლია. სიმაღლე (შემონახული ნაწილისა) 19,0 სმ; დმ. მუცლის 22,1 სმ; ძირის 7,9 სმ; კეცის სისქე 0,4 სმ.

463 (12—54:6612; სურ. 500). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; დიდი, სქელკედლიანი, ვიწროყელიანი, რომელიც ძველადვე მოტეხილი და დაკარგულია, მხრებდაქანებული და მუცელგანიერი. მხარ-მუცლის საზღვარზე ერთიმეორისგან 3,5 სმ დაშორებული წყვილი კონცენტრული ბეჭია. ბეჭებს შორის ოთხ ადგილას, ერთიმეორის საპირისპიროდ, თევზიფხური ნაჭდევი სახეებია გამოყვანილი, რომელიც ორსავ მხრიდან სწორი ნაჭდევი ხაზებით არის შემოსაზღვრული. ჭურჭელი ძალიან მძიმეა. სიმაღლე 30,0 სმ; დმ ყელის 10,5 სმ; მუცლის 31,5 სმ; ძირის 10,5 სმ; კეცის სისქე 1,1 სმ.

464 (12—54:6613; სურ. 502). ქ ი ლ ა მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირგადმოშლილი სწორადკვეთილი ბაკო და კოხტად გადმოკეცილი ქობა აქვს. მხრებგანიერი. ყელზე დიდ-პატარა ტალღისებრი ღარები გასდევს ორ რიგად. მათ ქვეშ დამრეცი ნატვიფრი ხაზების სარტყელია, ამათ ქვეშ ოთხღარიანი კონცენტრული სარტყელი, რომელსაც ქვემოთ დამრეცად ნატვიფრი ხაზები მოსდევს (ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით დაყენებული). ძირი ოდნავ გამოყოფილი და ირგვლივ დამრეცი ჭდით აქვს შემკული. აშკარად კახური ჭურჭელია. სიმაღლე 20,0 სმ; დმ. პირის 15,0 სმ. მუცლის 22,0 სმ; ძირის 8,5 სმ.

465 (12—54:6619). ს ა კ ი ნ ძ ი, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი; თავგაბრტყელებული და დახვეული (თავხვია). სიგრძე 9,1 სმ; ყუნწის 0,4 სმ.

466 (12—54:6618; სურ. 503). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მომსხო ღეროსი; თავგაბრტყელებული და დახვეული (თავხვია). სიგრძე — 7,2 სმ; ყუნწის გაბრტყ. ნაწილის სიფართე. 0,4 სმ.

467 (12—54:6617; სურ. 503). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი წვრილი ღეროსი; თავგაბრტყელებული და დახვეული (თავხვია). ღერო ჟანგისგან არის დაჭმული და დაწვრილებული. სიგრძე 6,9 სმ; ყუნწის გაბრტყელებული ნაწილის სიფართე 0,35 სმ.

468 (12—54:6616; 503). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მომსხო ღეროსი; ყუნწის ნაწილში გაბრტყელებული და დახვეული (თავ-

ხვია), ოდნავ გაღუნული, კარგად დაცული. სიგრძე 6,2 სმ; ყუნწის გასახედის დმ 0,4 სმ; ყუნწის ნაწილის 0,35 სმ.

469 (12—54:6614; სურ 504). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი; გადმოკეცილყუნწიანი; წვერწატეხილი. ყუნწშიც გატეხილია და ორნაწილადაა ნაპოვნი. სიგრძე 11,7 სმ.

470 (12—54:6615; სურ. 507). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს ბრტყელ-წვრილი ღეროსი; პირიპირზე შესული. შესაძლოა, სათითე ბეჭედი ყოფილიყო. დმ 2,0 სმ; ღეროს 0,3 სმ; ღეროს სისქე 0,15 სმ.

471 (12—54:6625; სურ. 505). ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროს დიდ-პატარა რ გ ო ლ ი, ერთიმეორეზე აცმული. დიდ რგოლს ცალი თავი ერთობ გაწვრილებული და მოგრძო-ოვალურად მოხრილი აქვს. დიდი რგოლის ზომებია: 3,8×3,1 სმ; სიმსხო 0,25 სმ; პატარა რგოლისა 1,9×1,6 სმ; სიმსხო 0,2 სმ.

472 (12—54:6623; სურ. 506). მ ძ ი ვ ე ბ ი ანტიმონისა; ხოჭოს, უფრო კი კუს მოყვანილობისა; პატარა, სიგრძივ გახვრეტილი. 9 ცალი (5 დიდი, 4 პატარა). დიდი კუს ზომა 0,9×0,9×0,6 სმ; დიდ-პატარასი 0,6 სმ× 0,6×0,6.

473 (12—54:6624). მ ძ ი ვ ს ა კ ი დ ე ბ ი ანტიმონისა: გულის მოყვანილობის: ბვირული, ყუნწიანი, წყვილი, ცალი ძალიან დამტვრეულია. სიმაღლე 1,7 სმ; სიგანე 1,6 სმ.

474 (12—54:6620; სურ. 508). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისფერი სარდიონისა; ძირითადად დაბალცილინდრული; წვრილი; უხეშად ნაკვეთი, 62 ცალი. დიდისა დმ — 1,0 სმ; სიმაღლე 0,5 სმ; პატარისა სიმაღლე 0,4 სმ; დმ 0.6 სმ.

475 (12—54:6621). მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა; მოთეთრო (3 ც.). უმთავრესად შავი და ლეგა ფერისა; წვრილი, დაბალცილინდრული; ერთიც გიშრისა. 143 ც.

476 (12—54:6626; სურ. 509). ა ნ ა ტ კ ე ც ი. გამჭვირვალე ობსიდიანისა; ზურგზე მცოცავი რეტუში აქვს. წვრილი რეტუში მუცლის მხარეზეც შეინიშნება, ნაპირის გასწვრივ. ზომა — 4,7×3,6×1,0 სმ. აქვე არის კვამლა ობსიდიანის სამკუთხედის მოყვანილობის ანამტვრევი, დაუმუშავებელი.

ორმოსამარხი 267 (1947 წ., N; სურ. 510—520). აღმოჩნდა VIII ფართობის ჭრილთან ახლოს, 2,55 მ სიღრმეზე, თიხნარში: ეჭირა ფართობი 1,6×1,0 მ. სამარხში მარჯვენა გვერდზე ესვენა საკმაოდ მაღალი ტანის მამაკაცის ჩონჩხი, თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ დამხრობილი, მკვეთრად მოხრილი ფეხებით. ხელები სახის წინ უნდა სჭეროდა, მაგრამ გათხრის მომენტში გადაადგილებული იყო სამარხის ჩაქცევის ან მღრღნელთა მოქმედების შედეგად. საერთოდ, მიცვალებულს პოზა მძინარე ადამიანისას მიუგავდა. ძვლები ცუდად შემონახულიყო. მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ ცხვრის

ოავრიელი და შემდეგი ინვენტარი: თავის არეში — შავი თიხის ჯამი და კოჭობი, ხოლო ფეხებთან, მოშორებით, მუცელგანიერი, მაგრამ პირვიწრო დერგი და შავად შებოლილი ქოთანი: ტერფებთან მოშორებით ირმის რქისაგან ნაკეთები ლახტისთავი იყო; მუხლის თავთან ბრინჯაოს თავხვია საკინძი, ხოლო სახის წინ ბრინჯაოსივე მასრაგახსნილი შუბისპირი და მოკლე, ფოთლისებრი ფართოქედიანი სატევრისპირი; ამათ მახლობლად მოიკრიბა ბრინჯაოს 23 ცალი თავკომბალა ლურსმანი, რომლითაც სატევრის ტარ-ქარქაში იქნებოდა შემკული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სამარხი მოთავსებული .იყო მე-3 ყორღანული სამარხის ქვაყრილზე; იგი ყორღანში შემდეგ ჩაშვებული ჩანს და ამდენად არსებით მასალას გვაწვდის სამთავროს ორმოსამარხთა სტრატიგრაფიული დანაწევრებისათვის*.

477 (12—54:7211; სურ. 510, 511). დ ე რ გ ი მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; მომაღლო, შედარებით პირვიწრო, ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მხრებ და მუცელგანიერი; მხარ-მუცლის საზღვარზე ღრმა ღარები. არტყია. სიმაღლე 30,0 დმ. პირის 14,1; მუცლის 31,0; ძირის 11,0 სმ.

478 (12—54:7212; სურ. 513). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; მომაღლო; სწორად კვეთილი ბაკოთი; სწორნაპირიანი. ბაკოზე ზემოდან წყვილი ტალღისებრი ხაზი გადასდევს .პირს გარედან ღარი არტყია, ხოლო ნაპირისა და კალთის საზღვარზე — კოხტა ტალღისებრი ღარი. გარეპირზე ძირიდან ნაპირამდე რადიალურად გამოდის 14 სხვადასხვა სიფართის შავად ნაპრიალები ზოლი. სიმაღლე 6,0 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,5 სმ; დმ პირის 16,5; ძირის 6,1 სმ.

479 (12—54:7210). სურ. 512). კ ო ჭ ო ბ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია); პირვიწრო, ოდნავ პირგადმოშლილი, ბიკონუსურმუცლიანი, მხარზე 6 მკრთალი ღარი არტყია. სიმაღლე 7,7 სმ; დმ. პირის 6,5 სმ; მუცლის 11,0 სმ; ძირის 5,0 სმ.

480 (12—547213). ქ ი ლ ა მოშავო-ლეგად გამომწვარი თიხისა: ზედაპირხაოიანი; მომცრო, მომრგვალებული ბაკოთი, ოდნავ პირგადმოშლილი, მომაღლო ყელიანი, მუცელგანიერი. მხარზე ხუთი ღარი და ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყელი არტყია, ქვედა მუცელზე კი შვიდი კონცენტრული ღარი გასდევს; ძირი ირგვლივ დაკეპნილია. კახური ტიპის ჭურჭელია. სიმაღლე 16,0 სმ; დმ. პირის 14,0 სმ; მუცლის 19,0 სმ.

481 (12—54:7214; სურ. 514, 515). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ალის მოყვანილობისა, ფართო ქედიანი, რომელიც ზუსტად იმეორებს იარაღის მოხაზულობას. კარგი ბრინჯაოსია, ლაპლაპებს. სატარე ნაწი-

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

ლი დაბალი ტოლფერდა სამკუთხედისებრია. ორი ნახვრეტი აქვს მანჭვალთათვის. სიგრძე 17,5; სიგანე (ვადასთან) 5,0 სმ; ქედის უდ. სიგანე 2,4 სმ;

482 (12—54:7216; სურ. 518). ლ ო რ ს მ ნ ე ბ ი ბრინჯაოსი; თავკომბალა, სოკოსებურიც ეთქმის, პაწია, 23 ც. საფიქრებელია, ამ ლურსმნებით იყო შემკული იარაღის ქარქაში. ნიმუშის სიგრძე 1,0 სმ; თავის (სოკოს) დმ 0,7 სმ.

483 (12—54:7215; სურ. 516, 517). შ უ ბ ი ს პ ი რ ი (ხელშუბისპირიც ეთქმის) ბრინჯაოსი; ფოთლისებრპირიანი; ფართოდ გახსნილი მასრა აქვს, ორი ნაჩვრეტით ტარზე დასამაგრებლად, სიგრძე 13,2 სმ; პირის სიგრძე 5,5 სმ; მასრის დმ 1,9 სმ.

484 (12—54:7217; სურ. 519). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავზვია, ზემო ნაწილში ოთხწახნაგა და შემსხვილებული, წვერის ნაწილში მრგვალგანივკვეთიანი. დაწახნაგებული თავი კოხტად აქვს დახვეული. წახნაგებზე თევზიფხური სახე ჩანს ამოკაწრული. სიგრძე 7,4 სმ; წახნაგის სიგანე 0,4 სმ.

485 (12—54:7218; სურ. 520). ირმის რ ქ ი ს ძ ი რ ი (ტოტებწაკვეთილი), განივად გახვრეტილი ტარის დასაგებად, ლახტისთავი უნდა ყოფილიყო. ძირის მოედნის ზომები 7,1×6,0 სმ. ნახვრეტის სიგრძე 3,1 სმ.

ორმოსამარხი 280 (1947 წ., N; სურ. 521—538).

გაითხარა VIII ფართობის ცენტრალურ ნაწილში, ფართობის ჩრდილო ჭრილიდან 3,0 მეტრის დაშორებით და მიწის ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე; მოკავებული ჰქონდა 1,10×1,10 მ ფართობი. სამარხში მარჯვენა გვერდზე ესვენა მაღალი ტანის მამაკაცის ჩონჩხი თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული; გულმკერდის არეში და ზურგს უკან რიყის წყვილი დიდ-პატარა ქვა იდო. ხელები სახის წინ ეწყო. მარცხენა ფეხი სწორკუთხოვნად, მარჯვენა მკვეთრად ჰქონდა მოხრილი. სხეულის წელსზევითა ნაწილი საფლავში გახრწნის შემდეგ მოპირქვავებულა. ბარძაყის სიგრძე 0,47 მ, წვივისა 0,39 მ უდრიდა. მიცვალებულს თან ახლდა შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ლანგარი — სახის წინ; ჯამი — ბოქვენის არეში; ქილა — წვივებთან, ხოლო პატარა ჭიქა ქილაში იდო. ბრინჯაოს მოკლე, ფოთლისებრი სატევრისპირი წელში გარჭობილი ექნებოდა, მაგრამ გათხრის მომენტში ჯამში აღმოჩნდა; ბრინჯაოსივე თხელი, ნაცრისფერი 5 ისრისპირიდან ორი მუხლისთავთან, ორი იდაყვთან, ხოლო მეხუთე სატევრისპირთან ერთად ჯამში იყო. თავს უკან — ბრინჯაოს სადგისი; მარჯვენა წვივთან, შიგნით, ძვლის უცნობი ინსტრუმენტი აღმოჩნდა, რომელიც პენგელს მივამსგავსეთ. ზურგს უკან აღმოჩნდა, ძვლის (ეპიფიზი) აგრეთვე უცნობი ნივთი, რომელსაც კიდეებზე ნაჩვრეტები აქვს*.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIIII (ძვ. წ. XIIII ს.—რედ.).

486 (12—54:7432; სურ. 523, 524). ლ ა ნ გ ა რ ი ნაცრისფრად გამოწვარი თიხისა; პირ-ქობა გადმოშლილი; ფართო, ღრმა, დაბალცილინდრიანი. ალაგ-ალაგ შავად არის შებოლილი. სიმაღლე 7,7 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,8 სმ; დმ პირის 27,5; დმ ქუსლის 7,7 სმ.

487 (12—54:7431; სურ. 525, 526). ჯ ა მ ი შავად გამოწვარი თიხისა; შავპრიალა; ღრმა, პირმოყრილი; ტანი ბიკონუსური მოყვანილობისაა. პირს გარშემო (გარედან ღარი არტყია. ალაგ-ალაგ შებოლილია; სიმაღლე 7,5; დმ. 18,0; მუცლის 19,5 სმ.

488 (12—54:7433; სურ. 527, 528). ს ა ს ა ბ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია); მოგრძო ცილინდრს წააგავს, ჭიქისებრი. გარედან, პირთან ახლოს, ორი ღარია, რომელთა შორის მოთავსებული ნაწილი რელიეფურად გამოიყურება. სიმაღლე 13,3 სმ; დმ. პირის 6,7 სმ; მუცლის 7,1 სმ; ძირის 5,2 სმ.

489 (12—54:7434; სურ. 521, 522). დ ე რ გ ი — შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა (ქვედა მუცელზე აქერცლილია); მომრგვალებულბაკოიანი, ოდნავ პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მუცელგანიერი (სფერულმუცლიანიც ეთქმის). მხარზე ორი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ტალღოვანი ხაზისგან შემდგარი სარტყელი გასდევს. სიმაღლე 25,5 სმ; დმ. პირის 17,5 სმ. მუცლის 28,7 სმ; ძირის 8,0 სმ.

490 (12—54:7435; სურ. 531, 532). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე, ენის მოყვანილობისა; შუაზე ქედი გასდევს; სატარე ნაწილი ტოლფერდა მოყვანილობისაა; წყვილი სამანჭველე ნახვრეტი აქვს. ფხა მძაფრად ალესილია. სიგრძე 14,3 სმ; სიგანე 5,4 სმ.

491 (12—54:7436; სურ. 535, 536). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი, ნესტარისებრი, სამკუთხა; ფუძეამოღარული, ცალნახვრეტიანი ზროში ჩასამაგრებლად. ცალი ფრთა მცირე ჩამოტეხილა. სიგრძე 2,2 სმ; სიგანე 1,2 სმ.

492 (12—54:7437; სურ. 535, 536). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელი, წინამავლის ზუსტი ანალოგიაა. სიგრძე 2,7 სმ; სიგანე 1,4 სმ.

493 (12—54:7438; სურ. 535, 536). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ძალიან მოკლე, ფართო; ფუძეამოღარული; უნახვრეტო. სიგრძე 1,9 სმ; სიგანე 1,6 სმ.

494 (12—54:7439; სურ. 535, 536). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელი, ნესტარისებრი; წვერწატეხილი.

495 (12—54:7440; სურ. 535; 536). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, თხელი წინამავლის მსგავსი, წვერი და ფრთები მოტეხილი აქვს.

496 (12—54:7441; სურ. 537, 538). ს ა დ გ ი ს ი ბრინჯაოსი: მოკლე, ძირითადად ოთხწახნაგა, მაგრამ წვერი მრგვალგანივკვეთიანია; ტარსაგები ნაწილი ბრტყელი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი. სიგრძე 7,6 სმ; უდ. წახნაგის სიგანე 0,4 სმ.

497 (12—54:7442; სურ. 529, 530). ს ა კ ი ნ ძ ი ძვლისა, მრგვალგანივ-

კვეთიანი; გაპრიალებული. ყუნწის ნაწილში ზომიერად ფართო და ბრტყელი, გახვრეტილი. სიგრძე 7,6 სმ; უდ. სიგანე 0,8 სმ.

498 (12—54:7443; სურ. 533, 534). ფრაგმენტი ძვლის ტაბუხისა; ნახევრადსფერული მოყვანილობის; კიდეზე ერთგან წყვილი, მოპირდაპირე მხარეზე ცალი ნახვრეტი აქვს. დანიშნულება უცნობია. სიმაღლე 1,9 სმ; დმ 4,0 სმ.

ორმოსამარხი 283 (1947 წ., N; სურ. 539—552).

მიკვლეული იყო VIII ფართობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზედაპირიდან 1.68 მ. სიღრმეზე. საფლავი გაჭრილი იყო ლიოსისებრ თიხნარში. საშუალო სიმაღლის მამაკაცის ჩონჩხი, რომელიც რიყის ოთხ ქვას შორის მარჯვენა გვერდზე ესვენა, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო მიქცეული; მარჯვენა ფეხი საგრძნობლად მოხრილი ჰქონდა, მარცხენა კი ხერხემალთან სწორკუთხეს ქმნიდა. ხელები სახის წინ ეწყო. თავის ქალა დამსხვრეული იყო.

სამარხში აღმოჩნდა ცხვრის კანქვები და შემდეგი ინვენტარი: მოშავო-რუხზედაპირიანი თიხის ექვსი ჭურჭლიდან ფრიალა ლანგარი და მოზრდილი ჯამი სახის წინ ედო; ბეჭს უკან ყურიანი ქოთანი, ზურგთ უკან ქილის ძირი იდო; ტერფებთან მოშორებით პირფართო ქილა, ხოლო მარცხენა მუხლის თავთან ორყურა, პირვიწრო ქილა იდგა. წელში გარეშე ჰქონდა ბრინჯაოს მოკლე სატევრისპირი, ბრინჯაოს თხელი სამი ისრისპირისგან ერთი მარჯვენა წვივთან ეგდო, ხოლო ორიც თავს უკან. გულმკერდის არეში მიცვალებულს აღმოაჩნდა ბრინჯაოს თავხვია საკინძი*.

499 (12—54:7479; სურ. 547, 548). თ ე ფ შ ი (პაწია ლანგარი) ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალნაპირიანი, თანაბრად დაქანებული კალთებით... სიმაღლე — 5,5 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,3 სმ; დმ. პირის 20,4 სმ; ძირის 9,0 სმ.

500 (12—54: 7481; სურ. 546); თ ე ფ შ ი შავადგამომწვარი თიხისა; შავპრიალა, ფრიალა: ნაპირი ძალიან დაბალი აქვს, იგი გამოიყოფა მხოლოდ გარედან შემოვლებული ღარის მეოხებით. ძალიან მძიმე კონსისტენციის თიხისაგან არის ნაკეთები. სიმაღლე 4,4 სმ; დმ. პირის 21,4 სმ; ძირის 8,0 სმ.

501 (12—54:7483: სურ. 542, 543). თ ე ფ შ ი შავად გამომწვარი თიხისა; ზემოაღწერილის ანალოგიური, ოღონდ საგრძნობლად მომცრო და პირმოტეხილი. ძირის დმ 7,1 სმ.

502 (12—54:7480; სურ. 540, 541). ქ ი ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; ყელიანი, კვერცხისებრტანიანი, ორყურა (ისინი წარმოადგენენ ჭურჭლის მხარ-მუცელზე ნაძერწი თიხის მასას განივად, მრგვალად

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.)

გახვრეტილს საცალთითედ); ყელის ძირზე ხაზი, ყურთა დონეზე კი წყვილი ღარი გადასდევს. სიმაღლე ჭურჭლის 26,0; ყელის 4,5; დმ პირის 10,0; მუცლის 21,0; ძირის 7,5 სმ.

503 (12—54:7484; სურ. 544, 545). ქ ი ლ ა ღიანაცრისფრად გამომწვარი თიხისა; (ნაპრიალები გადასულია;) პირფართო, მრგვალბაკოიანი, მუცელგანიერი (ბიკონუსური მოყვანილობის მუცელიც ეთქმის). მხარზე ნაკაწრი ღარი, ხოლო ამათ ქვემოთ კლაკნილი ხაზის სარტყელი შემოსდევს. აქედან ეშვება (შუა მუცლამდე) წნევით ნაპრიალები ხშირი, ვიწრო ზოლები. სიმაღლე 20,5 სმ; დმ პირის 16,7 სმ; მუცლის 26,5 სმ; ძირის 9,5 სმ.

504 (12—54:7482). ქ ო თ ა ნ ი შავად გამომწვარი თიხისა; დამტვრეული; ცალყურა ყოფილა; ყური მრგვალგანივკვეთიანი, რომელზეც ყურაცქვეტილი ბიბილოა დაძერწილი. გარედან ტანი ერთიანად დასერილია კონცენტრული ღარებით (გონგის ნაკვალევი). გარდა ამისა, მხარზე ირიბად ნაქდევი ხაზების წყვილი სარტყელი შემოსდევს. ძირის წიბო გრეხილური სახით არის შემკული, კახური ტიპის ჭურჭელია: ძირის დმ 6,0 სმ.

505 (12—54:7485; სურ. 549, 550). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ფოთლისებრი, საკმაოდ მაღალქედიანი, ორმაჭვლიანი (თან ახლავს), ფხაალესილი. სატარე ნაწილი ტოლფერდაა. სიგრძე 16,2 სმ; სიგანე (მხრებში) 6,0 სმ; მანჭვლის სიგრძე 1,5 სმ.

506 (12—54:7486; სურ. 551). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელი, ნესტარისებრი, მოკლე, სამკუთხა, ფუძეამოღარული; წვერთან ახლოს ნახვრეტი აქვს ზროში დასამაგრებლად. სიგრძე 2,4 სმ; სიგანე 1,5 სმ.

507 (12—54:7487; სურ. 551). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ზემოთ აღწერილის მსგავსი, ოღონდ ამას წვერი და ფალი ფრთა მცირედ ჩამოტეხილი აქვს; გაუწმენდავია.

508 (12—54:7488; სურ. 552). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, ყუნწის ნაწილი ჩვეულებრივ ოთხწახნაგა ყოფილა, მაგრამ ლითონის კოროზიის გამო კარგად ვერ გაირჩევა. სიგრძე 7,7 სმ.

ორმოსამარხი 284 (1947 წ., N; სურ. 553—561).

აღმოჩენილი იყო № 2 გორასამარხის რიყის ქვის წყობაზე. იგი ისევე, როგორც 267-ე სამარხი. ამ გორასამარხების ყრილშია ჩაშვებული. 284-ე სამარხის ორმო უშუალოდ გორასამარხისეული ქვიშასამარხის აღმოსავლეთ კედელთან მოხვედრილა. ამიტომ დაგვებადა ეჭვი, ხსენებული ქვასამარხი — 284-ე სამარხის გამართვის დროს ხომ არ გაიძარცვა? იგი გამოვლინდა სუფთა თიხნარში 2,68 მ სიღრმეზე; ეჭირა ფართობი 1,80×0,70 მ. შიგ აღმოჩნდა 7—8 წლის ბავშვის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოზრდილი კიდურებით დასვენებული, თავით N მიქცეული. ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,27 მ. მარცხენა იდაყვთან გოჭის კიდურთა ძვლები იყო. სახის წინ — ლანგარი, ფეხებთან ორყურა ქილა და ტახის ეშვი.

გარდა ამისა, აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს თავდახვეული სამაჯური, ფირფიტოვანი ბეჭედი, თავხვია საკინძი, მძივები და სხვ*.

509 (12—54:7490; სურ. 554) ლანგარი შავადგამომწვარი თიხისა; შავპრიალა, დიდი; მომრგვალებული ბაკოთი, ფართო დაბალნაპირიანი და თანდათან დაქანებული კალთებით. სიმაღლე ჭურჭლის 6,7: ნაპირის 2,3; დმ პირის 28,7; ძირის 11,0 სმ.

510 (12—54:7489; სურ. 553). ქილა — ღიანაცრისფერი თიხისა; ნაპრიალები; ოდნავ პირგადმოშლილი, მომაღლო ყელით, კვერცხისებრტანიანი, ორყურა; ჭურჭელს მხარზე, ყურთა ზემოთ, წყვილი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ტალღოვანი ხაზებისგან შემდგარი სარტყელი გადასდევს. სიმაღლე ჭურჭლის 28,0; ყელის 4,7 დმ მუცლის 24,0; ძირის 8,0 სმ.

511 (12—54:7491; სურ. 555). საკინძი ბრინჯაოსი; თავხვია; მრგვალგანივკვეთიანი. სიგრძე 7,0 სმ; ყუნწის დმ 0,5 სმ.

512 (12—54:7492); სურ. 556). საკინძის თავი ბრინჯაოსი; სოკოსებრი, ნახვრეტზე გადატეხილი.

513 (12—54:7493; სურ. 557). ბრინჯაოს ზოდის (?) მცირედი ნატეხი. 2,0×1,7 სმ.

514 (12—54:7494; სურ. 558). ბეჭედი თხელფურცლოვანი ბრინჯაოსი; თავითავზე შესული, უსახო. დმ 1,8 სმ, ფირფიტის სიგანე 0,6 სმ.

515 (12—54:7495; სურ. 559). სამაჯური ბრინჯაოსი: თხელფურცლოვანი; ცალთავდახვეული, უსახო, დეფორმირებული. უდ. სიგანე 0,9 სმ.

516 (12—54:7497). მძივი მოწითალო სარდიონის, მცირე.

517 (12—54:7498, სურ. 560). მძივები მოთეთრო პასტისა; წვნიკი; დაბალცილინდრული. 18 ც.

518 (12—54:7496; სურ. 561). ეშვი ტახისა; შუაზე განივად გახვრეტილი.

ორმოსამარხის ნაშთი 39 (1947, N; სურ. 563).

VIII ფართობის აღმ. ნაწილში, 1,9 მ სიღრმეზე, გაიწმინდა ერთი მოზრდილი ადამიანის ნაკლული ჩონჩხი, რომლის ცალკეული ძვლები მიმოფანტული იყო რიყის ქვებს შორის. მიუხედავად ამისა, ბარძაყისა და წელის მალების განლაგების მიხედვით გამოირკვა, რომ მიცვალებული წოლილა მარჯვენა გვერდზე თავით სამხრ. მიქცეული, თავისუფლად მოხრილი ქვედა კიდურებით. ჩონჩხის არეულობის მიზეზი იყო ამ სამარხის ზემოდან სხვა სამარხის გამართვა. ინვენტარიდან გადარჩენილია მხოლოდ**:

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII (ძვ. წ. XII ს.—რედ.).

** სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

519 (12—54:741; სურ. 562). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, ალისებრ-პირიანი; მასრაგახსნილი; წელში გაღუნულია (თხრისას წერაქვის მოხვედრის გამო). სიგრძე 23,0 სმ. პირის სიგრძე 6,5 სმ; მასრის დმ 2,2 სმ; მასრის განი 1,9 სმ.

ორმოსამარხის ნაშთი 40 (1947).

აღმოჩნდა 2,20 მ სიღრმეზე, № 261 სამარხის თითქმის ქვეშ, რომლის გამართვის დროს იგი დაზიანებულა და დანაკლულებულა. რიყის ორ ქვას შორის მოთავსებულ ცალკეულ ძვალთა განლაგებაში არავითარი წესი არ შეინიშნებოდა. ამ სამარხიდან გადარჩენილია მხოლოდ*.

520 (12—54:7642). ჯ ა მ ი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ფრიალა, სწორბაკოიანი, დაბალნაპირიანი, შეკოწიწებულია ორი ნატეხისაგან. სიმაღლე 4,5 სმ; ბაკოს სიგანე 0,7 სმ; დმ პირის 20,5; ძირის 6,5 სმ.

ორმოსამარხი 294 (1948 წ., N; სურ. 568—577).

გაიწმინდა VIII ფართობზე, 1,70 მ სიღრმეზე, ლიოსისებრ თიხნარში. სწორკუთხედად განლაგებულ 4 რიყის ქვას შორის იყო საკმაოდ მაღალი ტანის ადამიანის კარგად დაცული ჩონჩხი (მამაკაცისა), თავით მიმართული, მარჯვენა გვერდზე მწოლარე, ძლიერ მოხრილი ხელ-ფეხით. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ ციკნის თაურიელი და შემდეგი ინვენტარი**:

521 (12—54:7079: სურ. 568). დ ო ქ ი შავადგამომწვარი თიხისა; შავ-პრიალა, ოდნავ პირგადაშლილი, ყელმაღალი, სფერულმუცლიანი; გრეხილი ორნამენტით. ყური ზედნაძერწი ბიბილოთი ყელსა და მხარს აერთებს. ყელის ძირსა და მხარს ირგვლივ არტყია წყვილი სარტყელი, რომელიც ორი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ბადურსახოვანი სამკაულისაგან შედგება. სიმაღლე 25,0 სმ; დმ პირის 10,5; მუცლის 23,5; ძირის 10,0 სმ.

522 (12—54:8080; სურ. 569, 570). ჯ ა მ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შიდაპირი ნაპრიალები (გადასულია); სწორბაკოიანი, დაბალნაპირიანი, ღრმა, შეკოწიწებულია. სიმაღლე 6,5 სმ; პირის სიმაღლე 1,7 სმ; დმ პირის 20,9; ძირის 8,8 სმ.

523 (12—54:8081; სურ. 564, 565). დ ე რ გ ი ნაცრისფრადგამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; ოდნავ გადაშლილი, დაბალყელიანი, მუცელგანიერი; ყელის ძირს ორი ღრმა და ფართო ღარი უვლის ირგვლივ. მთელი მხარი შუა მუცლამდე ბადურსახოვანი სამკაულითაა დაფარული (წნევითი ნაპრიალები ხაზების მეშვეობით). სიმაღლე 26,1 სმ; დმ პირის 15,5; მუცლის 31,5; ძირის 10,1 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIIII? (ძვ. წ. XIII ს. —რედ.).

** სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

524 (12—54:8082; სურ. 566, 567). ქ ი ლ ა რუხ-შავად გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები, მომრგვალებული და გადმოწეული ბაკოთი, საშ. სიმაღლის ყელით, კვერცხისებრი ტანით. ორყურა (მრგვალგასახედიანი). ყელის ძირზე წყვილი მკრთალი, ხოლო მხარზე ასევე წყვილი, მაგრამ უფრო ღრმა, ღარი არტყია. მთელი ზედაპირი დაწნეევითი ხაზებით არის ნაპრიალები. სიმაღლე 25,5 სმ; დმ პირის 10,4; მუცლის 23,0; ძირის 9,0 სმ.

525 (12—54:8084; სურ. 571, 572). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ფოთლისებრი მაღალი და მკვეთრი ქედით, ორნახვრეტიანი, სატარე ნაწილი გვერდებჩაწეული ტოლფერდა სამკუთხედს მოაგავს. კარგად ეტყობა პირის გამოკვერილობა და ფხაალესილობა. კარგად დაცული ცალია. ზედაპირი ბრინჯაოსებრ ელვარებს. სიგრძე 17,8 სმ; სიგანე მხრებში 6,1 სმ; სატარე ნაწილის სიმაღლე 3,0 სმ.

526 (1254:8083; სურ. 573, 574). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; სამკუთხა თუ ალისებრი პირით; მასრაგახსნილი, რომელზედაც ორი წყვილი ნახვრეტია ტარზე დასამაგრებლად. მასრის გაგრძელება ქედის სახით პირს წვერამდე გასდევს. სიგრძე 24,8 სმ; პირის სიგრძე 11,9 სმ; მასრის დმ 2,5 სმ; მასრის ხსნილი 1,7 სმ.

527 (12—54:8085; სურ. 575, 576). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, ზედა ნაწილში ოთხწახნაგა და თევზიფხური სახეებით შემკული. სიგრძე 9,8 სმ; წახნაგის 0,3 სმ.

528 (12—54:8086; სურ. 577). ობსიდიანის ორი ამორფული ანამტვრევი, დიდ-პატარა, დიდს ერთგან ამოღარვითი რეტუშის კვალი ატყვია.

ორმოსამარხი 55 (1939, S; სურ. 578—579). აღმოჩენილი იყო 55-ე კვადრატში, ჩრდილო ნაწილში, დაახლ. 1 მ სიღრმეზე, ღია ყვითელი თიხის ფენაში, რიყის ქვაფენილის გარეთ; ჩაშლილი და ნაკლული ჩონჩხის ძვლები უწესრიგოდ ეყარა. სამარხში ბრინჯაოს თავხვია საკინძი, სხვადასხვა თიხის ჭურჭელი და მათი ფრაგმენტები აღმოჩნდა*.

529 (12—54:9858). ჭურჭელი თიხისა (ქილა უნდა იყოს); ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, შედარებით თხელკედლიანი, ოდნავ პირგადმოშლილი, მომრგვალებულბაკოიანი; ყელთან ახლოს სამი ირგვლივი ღარი ეტყობა, ხოლო მხარზე ტალღისებრი ღარი გადასდევს. სხვა ჭურჭლის ნატეხებიც ურევია. კედლის სისქე 9,5 სმ; ძირის დმ 7,6 სმ.

530 (12—54:9859). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი რუხფრად გამომწვარი მქისე თიხის ჭურჭლისა, რომელზედაც მრგვალგანივკვეთიანი ბიბილოიანი ყურია შე-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

მორჩენილი. ყურის გასახედი მრგვალია. ყურის სისქე 2 სმ; გასახედის დმ 1,9 სმ; (ცალი თითის გასაყრელია) ჭ. კედლის სისქე 0,8 სმ.

531 (12—54:9860). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა; ზედაპირგაპრიალებული; მხრებზე სამი მკრთალი ღარი გადასდევს. კეცის სისქე 0,8 სმ.

532 (12—54:9861). ლ ა ნ გ რ ი ს ფრაგმენტები, მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირგაპრიალებული, ლანგარს ჰქონია მომრგვალებული ბაკო და დაბალი ნაპირი, რომელიც გარედან ტალღური ღარით არის შემკული. ნაპირის სიმაღლე 2,2 სმ; კედლის სისქე 0,7 სმ.

533 (12—54: 9864). ლანგრის ფრაგმენტი, მოშავოდ გამომწვარი თიხისა; გაპრიალებული ზედაპირით, საგრძნობლად პირგადმოშლილი. კედლის სისქე 1,0 სმ.

534 (12—54:9867). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ძირისა.

535 (12—54: 9869). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდისა.

536 (12—54:9870). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი და გაპრიალებული თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდისა. მოზრდილი ძირის დმ 9,6 სმ.

537 12:54:9868). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი ნაცრისფრად გამომწვარი და ნაპრიალები თიხის ჭურჭლის (დოქის?) პირ-ყელისა. პირს გარედან ორი მკრთალი ღარი გადასდევს, შიგნიდან კი ერთი სახეებით შემკული სიმაღლე 10,0 სმ.

538 (12—54;8874, სურ. 579). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; წვერისკენ მრგვალი, ყუნწისკენ დაოთხწახნაგებული და თევზიფხური.

539 (12—54:9871). ქ ო თ ა ნ ი (თუ ქილა) მქისე თიხისა: გარედან შავად შებოლილი, შიგნიდან ღია, მოწითალო, პირმოყრილი, მხრებფართო, ძირჩავიწროებული; პირს გარედან წვრილი ღარი არტყია, ერთი ასე თიღარი ქვედა მუცელზე (ძირთან ახლოს) გადასდევს ჭურჭელს. უჩანს ოდნავ გამოყოფილი ქუსლი. ჭურჭელი ძალიან არქაული ჩანს.

540 (1254:9866). თ ე ფ შ ი ს ფრაგმენტები მქისე თიხისა; შიგნიდან შავი, გარედან ღია. ესეც თითქოს არქაული ჩანს.

541 (12—54:9862). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი ღიად გამომწვარი მქისე, ფორიანი თიხის ჭურჭლისა. არქაული იერის მქონე.

542 (12—54:9863). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი ღია-მონაცრისფროდ გამომწვარი მქისე თიხის სქელკედლიანი ჭურჭელია. გადანატეხში ჩანს, რომ თიხას ბევრი სხვა მინარევი აქვს.

543 (12—54:9865). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი ღია-მოყავისფროდ გამომწვარი თიხის თხელკედლიანი ჭურჭლისა (პირ-გვერდი). ჭურჭელი პირგადმოშლილი და მხარგანიერი უნდა ყოფილიყო.

544 (12—54:9873). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირიანი, პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი; მხარზე მკრთალი ღარი არტყია, რომლის ქვეშ თეთრად ინკრუსტირებული წერტილებით მეანტრის (?) მსგავსად ვოლუტებია გამოყვანილი. ამ სამკაულით იგი სამთავროსათვის უნიკალურია და სამხრეთ ა/კ კულტურული წრისაკენ მიილტვის. სიმაღლე 15,0 სმ; დმ მუცლის 18,8; ძირის 8,5 სმ.

545 (12—54:9872). ქ ი ლ ა (ფრაგმენტებად) შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია. დიდი ყოფილა. ამჟამად პირ-გვერდის ნაწილია შემორჩენილი. საკმაოდ მხარგანიერი ჩანს. პირი რამდენადმე გადმოშლილია. საპირისპირო მხარეზე შემორჩენილია თითო ბრტყელი შვერილი (თითის ამოსადებად), რომლის დასაწყისთან და წვერთან თითო კოპია დაძერწილი. შვერილი თითქოს საქონლის (ხარის?) შუბლს, ხოლო მისი აბექებული ნაპირები რქებს გამოხატავს. ზედა კოპის დონეზე ჭურჭელს ტალღის ღარი მხარ-მუცლის საზღვარში გადასდევს. დმ პირის 17,0 სმ; შვერილის სისქე 1,0 სმ, სიფართე (რქებთან) 5,0 სმ.

ნივთები: №№ 9862, 9863; 9865; 9866; 9871, 9873 — აშკარად განსხვავდებიან სამთავროს გვიან ბრინჯაოს ადრეული ეტაპის თიხის ჭურჭელთაგან და, 9873-ის გარდა, უფრო ადრეულად გამოიყურებიან (შუაბრინჯაოს ან აქედან გვიანზე გარდამავალი ხანა?). ასე რომ, იქნებ ამ სამარხს არც ეკუთვნოდნენ, მით უმეტეს, რომ, როგორც გამთხრელი მ. ივაშჩენკო აღნიშნავს, 55-ე სამარხი ქვაფენილს გარეთ იყო, ხოლო აქ აღწერილი მქისე თიხის ჭურჭელი უშუალოდ ქვაფენილს ქვეშ აღმოჩნდა.

ორმოსამარხი 75 (1989 წ., S; სურ. 580—585).

აღმოჩნდა 64-ე კვადრატში, 1,30 სიღრმეზე. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოხრილი, მასთან ახლდა 5 თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევარი, ისრისპირები და საკინძი.

546 (12—54:9950). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა (ქილისა); მომრგვალებული ბაკოთი, ყელდაბალი და მხარგანიერი ყოფილა; მხარზე წყვილი ღარი გასდევს.

547 (12—54:9951; სურ. 581). ფ ი ა ლ ა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პაწია, კოხტა, პირქობიანი, დაბალნაპირიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი; პირგვერდი ჩამომტვრეული და ნაკლულია. გარედან კალთაზე ნაპირიდან ქუსლამდე ჩამავალი შავი ზოლები ეტყობა. სიმაღლე 3,7 სმ; ნაპირის სიმაღლე 1,7 სმ; დმ პირის 13,7 სმ; ძირის 6,5 სმ.

548 (12—54:9953). ს ა ს მ ი ს ი (ჭიქა) ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ცილინდრული (თუ სიგარის) მოყვანილობისა; პირს გარედან სამი ღარი არტყია. სიმაღლე 10,8 სმ; დმ პირის 5,7 სმ; ძირის 3,9 სმ; მუცლის 6,3 სმ.

549 (12—54:9952; სურ. 582). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი მორუხოდ გამომწვა-

რი თიხის ჭურჭლისა, რომელსაც ძირის წიბოს ირგვლივ დამრეცი ნაჭდევები აქვს. ამ ნომრით სხვა ორი ჭურჭლის თითო ნატეხია გატარებული.

550 (12—54:9954; სურ. 583). სატევრისპირი ბრინჯაოსი; მოკლე, ფოთლისებრი, მკვეთრქედიანი, წვრილნახვრეტიანი, ფხაალესილი, კარგი ბრინჯაოს ფერი აქვს. სიგრძე 14,2 სმ; სიგანე (მხრებში) 5,4 სმ.

551 (12—54:9955; სურ. 584). ისრისპირი ბრინჯაოსი; ნესტარისებრი, სამკუთხა, მოკლე, ნახვრეტიანი წვერით; თითქოს ფუძეამოღარულია. სიგრძე 1,9 სმ; სიგანე 1,4 სმ.

552 (12—54:9956; სურ. 584). ისრისპირი ისეთივე, ოღონდ მოდიდო; ფრთებშემორჩენილი. სიგრძე 2,6; სიგანე 1,3 სმ.

553 (12—54:9957; სურ. 585). საკინძი ბრინჯაოსი; მრგვალღეროიანი, თავხვია (უმეტესი ნაწილი მოტეხილი და დაკარგულია). სიგრძე 6,7 სმ; უდ. სიმსხო 0,4 სმ.

ორმოსამარხი 128 (1930, s; სურ. 586—594). აღმოჩენილი იყო 98-ე კვადრატში. სამარხში დაახლოებით 7 წლის ბავშვის არეული და უწესრიგოდ გაფანტული ძვლები იყო შავი თიხის სხვადასხვა ჭურჭელთან, ბრინჯაოს სატევართან და მძივებთან ერთად*.

554 (12—54:10141; სურ. 590). ლანგარი (თეფშიც ეთქმის) ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; სწორად კვეთილი, ფართო ბაკო აქვს; დაბალნაპირიანი, საშუალო სიღრმისა. სიმაღლე 4,7 სმ: პირის დმ 11; ბაკოს სისქე 1 სმ; ნაპირისა 1,7 სმ; ძირის დმ 7,7 სმ.

555 (12—54:10137; სურ. 591). კათხა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირიანი; პირსწორი, წელში გამოყვანილი; ქვედა მუცელი წიბოთია გამოყოფილი; ცალყურა, რომელიც განივკვეთში მრგვალია და ზედნაძერწი მეჭეჭით არის შემკული. პირის ქობა გარედან ღარით არის გამოყოფილი. სიმაღლე 13,4 სმ; დმ პირის 14,0; წელის 11,8; ძირის 7,0; დმ წიბოზე 13,1 სმ.

556 (12—54:10138; სურ. 586). სადღვებელი ქილა რუხ-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; მომცრო, კოხტა, ოდნავ პირგადაშლილი, მომაღლოყელიანი, კვერცხისებრტანიანი; ცალყურა, რომელიც ჭურჭლის მხრებზე განივად არის დაძერწილი. ყურთან მარცხნივ სასულე ჭიპია, რომელსაც პირი მოსტეხია. ყელის ძირში ჭურჭელს ხუთი კონცენტრული ღარი, ხოლო ყურ-ჭიპის დონეზე ტეხილი ტალღოვანი ხაზია ამოკაწრული. ნაპრიალები გადასულია. სიმაღლე 30,5 სმ; ყელის სიმაღლე 4,3 სმ; დმ პირის 11,0; მუცლის 25,0: ძირის 7,3; ყურის გასახედის ოვალის სიგრძე 3 სმ (ერთი თითისათვის); სასულეს დმ 0,5 სმ;

557 (12—54:10139; სურ. 587). ქვაბქოთანა მუქ ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პირფართო, ოდნავ პირგადაშლილი, მუცელგანიერი ელიფსური მოყვანილობისა). მხარზე ორი ფართო, ღრმა ღარი არტყია;

მკრთალი ღარი მუცელზე ეტყობა. სიმაღლე 16,7 სმ; დმ პირის 20,1; მუცლის 26,7; ძირის 7,5 სმ.

558 (12—54:10142; სურ. 588). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა მორუხოდ გამომწვარი თიხისა; პირფართო, რომელიც ოდნავ გადმოშლილი აქვს; ბიკონუსურმუცლიანი. ზედა მუცელზე სამი ფართო ღარი არტყია. სიმაღლე 10,6 სმ; დმ. პირის 17,1; მუცლის 19; ძირის 8,1 სმ.

559 (12—54:10140; სურ. 589). ქ ო თ ა ნ ი (თუ ღრმა ბადია) ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირმოყრილი, პირფართო, მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული; პირზე, გარედან მკრთალი ღარი არტყია. არქაული იერი აქვს. სიმაღლე 11,0; დმ. პირის 14,5: მუცლის 16,8; ძირის 8,3 სმ.

560 (12—54:10143; სურ. 594). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი, მოკლე, სამკუთხედისებრი; შუაზე ძალიან ქედიანი, ორი ნახვრეტით (ტარისათვის); ფხაალესილი. კარგი ბრინჯაოა. სიგრძე 13,2; სიგანე მხრებში 4,8 სმ.

561 (12—54:10145; სურ. 593). მ ძ ი ვ ი კარგი ხარისხის ბრინჯაოსი; დაბალი, ბიკონუსური იდეალურად წესიერი მოყვანილობისა. სისქე 0,9; დმ. 1,60 სმ.

562 (12—54:10144; სურ. 592). მ ძ ი ვ ე ბ ი ვარდისფერი სარდიონისა (6 ც.). ერთი დაბალცილინდრული, დანარჩენი დიდ-პატარა, მანდარინის მოვანილობისა. უდიდესი სისქე 1,2; დმ. 1,4 სმ.

ორმოსამარხი 129 (1939 ს; სურ. 595—612).

აღმოჩნდა 103-ე კვადრატში, მიწის ზედაპირიდან 1,90 მეტრის სიღრმეზე; საფლავი გაჭრილი იყო ღიაყვითელ თიხნარში; ეჭირა 1,75×1,30 მეტრის შემკველი ფართობი. მიცვალებული მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო რიყის ოთხ მოზრდილ ქვას შორის. თითო ასეთი ქვა იდო ფეხთან, მოშორებით და წელის მიდამოში. მიცვალებული დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იგი იწვა მარჯვენა გვერდზე თავისუფლად მოხრილი ფეხებით. ამასთან მარჯვენა ფეხი სწორკუთხოვნად ჰქონდა მოხრილი, მარცხენა კი ხერხემალთან მიმართებით ბლაგვ კუთხეს ქმნიდა. აგრეთვე თავისუფლად მოხრილი ხელები ზეაპყრობილს უგავდა. მარჯვენა მკლავის ძვალი ბეჭის სახსრიდან ამოვარდნილიყო და რამდენადმე წინ სახისკენ გადაადგილებულიყო. ჩონჩხის ძვლების მიხედვით, ადამიანი საკმაოდ ნაზი აგებულებისა უნდა ყოფილიყო, თუმცა კრანიომეტრიულმა შესწავლამ დაადასტურა მისი მამრობითი სქესი.

სამარხის წმენდისას ჩონჩხთან ნაპოვნი იყო ერთიანად დამპალი ხის (შესაძლო ძელის) ნაშთები. მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ ცხვრის ხორცი, რის დამადასტურებელი იყო ამ ცხოველის ძვლების აღმოჩენა ნაწილობრივ თიხის ჭურჭლებში და ნაწილობრივ სამარხის მთელ მოედანზე მიმოფანტულად. გარდა ამისა, საფლავში აღმოჩნდა თიხის შვიდი სხვადასხვა ზომამოყვანილობის შავი ჭურჭელი, რომელთაგან ქოთანი, ცალყურა, ფინჯანი და

ყურიანი კოჭობი თავს გადაღმა იყო: სადღვებელი, ქოთათური და ერთი ქილათაგანი გულ-მუცლის არეში იდგა, ხოლო ერთი მოზრდილი ქილა თუ დერგი მარცხენა მუხლის თავთან, ცოტა მოშორებით, იყო. მარჯვენა ბარძაყის ძვალზე დაყრდნობილიყო ბრინჯაოს მოკლე ფოთლისებრი უტარო სატევრის პირი. ბრინჯაოსივე ექვს თხელ ფირფიტოვან ისრისპირთაგან ერთი თავს გადაღმა ეგდო, მეორე წვივთა შორის, მესამე და მეოთხე წელის მიდამოში, ხოლო დანარჩენი ორიც სამარხის სხვადასხვა ადგილზე. ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთის ნატეხი ერთ-ერთ წინავხრის ძვალთან იყო. ბეჭს უკან იდო ლახტისთავად გამოყენებული ირმის ტოტებწაკვეთილი რქის დაშლილი ძირი, რომლის შორიახლოს ობსიდიანის ანატკეცი ეგდო*.

563 (1254:10146; სურ. 596, 598). დ ე რ გ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირფართო, დაბალყელიანი, მნრეგბანიერი, თითქმის სფერულმუცლიანი; ყელის ძირში და მხარზე სამი ფართო და ღრმა ღარი არტყია; მთელი მხარის წნევითი ზოლების მეოხებით პარკეტულად არის შემკული. ჭურჭლის ქვედა მუცელიც შემკულია 9 ფართო ნაპრიალები ზოლით, რომლებიც ძირითადად რადიალურად ვრცელდებიან. სიმაღლე 25,9 სმ. დმ. პირის — 15,7; მუცლის 29,2; ძირის 9,7 სმ.

564 (12—54:10147; სურ. 604, 605). ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პირფართო, მომრგვალებულბაკოიანი, დაბალყელიანი, ბიკონუსურმუცლიანი; მხარზე (ყელთან ახლოს) ფართო ღრმა ღარი არტყია. ერთი წვრილი ღარი მუცელს გარშემო უვლის. სიმაღლე 17,3 სმ; დმ. პირის 16,8; მუცლის 23,0 სმ; ძირის 8,5.

565 (12—54:10148; სურ. 597, 599). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ქ ი ლ ა რუხ-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა; პირ-ყელმოტეხილი, კვერცხისებრმუცლიანი, ცალი განივი ყურით, რომლის მარცხნივ სასულე ჭიპია გამოყვანილი. ყელის ძირში მკრთალი ტალღისებრი კონცენტრული ღარია; ყურ-ჭიპს ზემოთ ჭურჭელს მხარზე სამი კონცენტრული ღარი გადასდევს. მხარ-მუცელი ხშირი, წვრილი, ვერტიკალური წნევითი ხაზებით არის დაფარული. შემონახული ნაწილის სიმაღლე 30,5 სმ; დმ. მუცლის 27,5 სმ; ძირის 9,7 სმ; სასულეს 1,2 სმ, ამისივე ნაწილი უნდა იყოს 12—54:10149 ნომრით აღნიშნული ფრაგმენტები.

566 (1—54:10150; სურ. 606, 607). ქ ო თ ა ნ ი ღია-ვარდისფრად და მოშავოდ გამომწვარი თიხისა (ეს სიშავე ცეცხლის კვალი უნდა იყოს); ოდნავ პირგადმოშლილი, შემაღლებულყელიანი, მხრებგანიერი (კვერცხისებრი მუცელიც ეთქმის); ცალყურა, იგი მრგვალგანივკვეთიანია, მხარ-მუცელს აერთებს და შემკულია ლილვაკისებრი ბიბილოთი. მხარზე და ძირის წიბოს ირ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ,ს.—რედ.).

გვლივ მოკლე დამრეცი ჭდეების სარტყელი უვლის. ძალიან კოხტა ჭურჭელია. სიმაღლე 14,2 სმ; დმ პირის 10,4 სმ; მუცლის 14,5 სმ; ძირის 6,0 სმ.

567 (12—54:10151; სურ. 609, 809). კ ა თ ხ ა (ამოსაღებ-დასასხმელი ჭურჭელი) მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალა ზედაპირიანი, მაღალრ, ცილინდრული ყელით, ბიკონუსურმუცლიანი. ბრტყელი, ოთხკუთხგანივკვეთიანი და ოვალური გასახედიანი ყური მხარ-მუცელს აერთებს. ყელზე (პირის ახლოს) სამი, ბიკონუსის წიბოზე ერთი კონცენტრული ღარი არტყია. მხარი ბადურად წვრილი პრიალა ხაზებით არის დაქსელილი. სიმაღლე 14,5; დმ. პირის 10,0; მუცლის 15,5; ძირის 4,5.

568 (12—54: 10152; სურ. 602, 603). ფ ი ნ ჯ ა ნ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; წინამავლის მსგავსი, ოღონდ პატარა; დაბალი ცილინდრული ყელით; მუცელი ელიფსური მოყვანილობისა აქვს. ცალყურა, რომელიც მრგვალგანივკვეთიანია, მხარ-მუცელს აერთიანებს და ზემოდან შემკულია მრგვალ-ბრტყელი პაწია საცერულით. მხარ-მუცელი წვრილად ნაკაწრი ხაზებისგან შემდგარი პარკეტული სახეებით აქვს შემკული. ძალიან კოხტა ჭურჭელია. სიმაღლე 8,5 სმ; დმ. პირის 5,7 სმ; ყელის სიმაღლე 1,9 სმ; მუცლის დმ. 9,5 სმ, ძირის დმ. 4,0 სმ.

569 (12—54: 10153; სურ; 600, 601). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ფოთლისებრი; შუაზე მაღალქედიანი, ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის სატარე ნაწილი ჰქონია, მაგრამ ახლა იგი ძალიან დაზიანებულია. წვრილი ნახვრეტი უჩანს. ფხაკ ალესილი აქვს, სიგრძე 14,2 სმ; სიგანე 6,0 სმ; ქედის სისქე 0,8 სმ.

570 (12—54:10154; სურ. 610, 611). ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი ბრინჯაოსი; თხელი, ნესტარისებრი; ქუსლამოღარული; შუაში ნახვრეტიანი ზროში დასამაგრებლად. 3 ცალი. დაახლ. თანაბარი ზომისაა. 2,1 სმ; სიგანე 1,9 სმ.

571 (12—54:10157—59; სურ. 610, 611). ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი ბრინჯაოსი; წინამავალთა მსგავსი, ოღონდ მომცრონი, სიფრიფანა და ამის გამო ძალიან დაზიანებული. 3 ც.

572 (12—54:10160). ჩ ქ ი ფ ი ს (?) ფრაგმენტი ბრინჯაოსი; ფირფიტოვანი.

573 (12—54:10161, სურ. 612). ლ ა მ ე ლ ა ობსიდიანისა; სამწახნაგა, თავბოლო გადამტვრეული. ზურგის მხარეზე ერთგან ქერქი გამოჰყოლია.

ორმოსამარხი 131 (1989, სურ. 613—615).

აღმოჩენილი იყო 105-ე კვადრატში, 1,80 მ სიღრმეზე. საერთოდ ორიენტაცია მოზრდილი ადამიანის ჩონჩხის ძვლები სრულიად უწესრიგოდ იყო სამარხის მთელ მოედანზე მიმობნეული და დამტვრეული. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები*.

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს. —რედ.).

574 (12—54:10167; სურ. 614). ლ ა ნ გ ა რ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; მომცრო; პირსწორი ბაკოთი, დაბალნაპირიანი, დამტვრეულია. სიმაღლე 5,0 სმ; ნაპირის სიმაღლე 11,5 სმ. პირის დმ 23,5 სმ; ბაკოს სისქე 1,1 სმ.

575 (12—54:10166). ლ ა ნ გ რ ი ს ფრაგმენტები მურაფრად გამომწვარი თიხისა; დაბალნაპირიანი, პირსწორი ბაკოთი; ფრიალა ყოფილა.

576 (12—54:10168). დ ო ქ ი ს მოზრდილი ფრაგმენტი (ყელ-მუცლის ნაწილი) მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ზედაპირნაპრიალები. ყელის ძირში ირგვლივ 4 ღარი არტყია.

577 (12—54:10165). ქ ი ლ ი ს ფრაგმენტები; თხელკედლიანი, პრიალა ზედაპირიანი (ახლა გადასულია) ჭურჭელი ყოფილა, რომელსაც ყელის ძირზე სამი ღარი გადასდევს. ძირის დმ 9,3 სმ.

578 (12—54:10169; სურ. 615). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, წვერისკენ მრგვალი, ყუნწისკენ დაოთხწახნაგებულია; თუმცა ძლიერ კოროზირებულია მაინც ჩანს წახნაგებზე თევზიფხური სახეების კვალი. სიგრძე 8,4 სმ; სიგანე (წახნაგისა) 0,3 სმ.

ამავე სამარხში იყო ირმის რქის ძირი, გახვრეტილი და ლახტისთავად გამოყენებული.

ორმოსამარხი 151 (1939 წ., S; სურ. 616—625). გაითხარა 127-ე კვადრატში, მიწის ზედაპირიდან 1,70 მეტრის სიღრმეზე, იგი ნაწილობრივ (მიცვალებულის თავის ნაწილში) დანგრეული იყო იმის გამო, რომ აღმოსავლეთის მხარეზე ედგა 148-ე (კრამიტოვანი) სამარხი, რომლის გამართვისას უნებლიედ დაზიანებულა თავის ქალა, თიხის ჭურჭელი და ზოგიერთი სხვა ინვენტარიც. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადამიანის თავის ქალის და შავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აგრეთვე ამავე 151-ე ორმოსამარხის სარდიონის ორი მძივი 148-ე კრამიტსამარხზე მიყრილ მიწაში აღმოჩნდა. სამარხ ორმოს ეჭირა, 0,70×0,60 მ მომცველი ფართობი, რომელზედაც მარჯვენა გვერდზე თავისუფლად ხელ-ფეხ მოხრილი ესვენა ბავშვის (დაახლოებით 6—7 წლის ბიჭის) ერთობ ცუდად დაცული ჩონჩხი. ზეაპყრობილი ხელები ნაწილობრივ რიყის დიდ ქვაზე ჰქონდა მიცვალებულს დასვენებული. თავის ქალისგან მხოლოდ ქვედაყბის რამდენიმე ფრაგმენტი შემონახულიყო. ჩონჩხი ზუტად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. მიცვალებულს ახლდა შემდეგი ინვენტარი: შავად გამომწვარი თიხის დიდი სადღვებელი, რომელსაც ყური ძველთაგანვე მოტეხილი ჰქონდა — უკანატანთან ოდნავ დამრეცად იდგა. ბრინჯაოს მოკლე, უტარო ფოთლისებრი სატევრისპირი, რომელიც გათხრისას მარჯვენა ბარძაყის ძვალზე იდო, ცხადია, თავის დროზე წელში გარჭობილი ექნებოდა. მიცვალებულს წვივებზე სათითაოდ ეკეთა ბრინჯაოს საკანჭურები. აქვე იყო ლულოვანი ძვლის 7 მძი-

ვი; ნეკნებში — პასტის 22 მძივი იყო, ყელის არეში — სარდიონის 31 მძივი*.

579 (12—54:10217; სურ. 618, 619). სადღვებელი ქ ი ლ ა მუქ ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მომრგვალებული ბაკოთი, მომაღლო ყელიანი, კვერცხისებრტანიანი. განივრად მიძერწილი ყური ადრევე მოსტეხია და დაკარგულა. მის მარცხნივ სასულე ჭიპია. ნაპრიალები გადასულია. ჭურჭელს მხარზე ირგვლივ გადასდევს მკრთალად ნაკაწრი ტალღისებრი ხაზი და 4 ღარი. სიმაღლე 28,3 სმ; ყელის სიმაღლე 3,7 სმ; დმ პირის 10,4 სმ; მუცლის 25,0 სმ; ძირის 8,9 სმ.

580 (12—54:10218; სურ. 617). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი: მოკლე, ფოთლისებრი მოყვანილობისა, შუაზე მაღალქედიანი და ორნამენტიანი; ფხაალესილი: სატარე ნაწილი ტოლფერდა. სამკუთხედის ფორმისაა. სიგრძე 16,0 სმ; უდ. სისქე 5,0 სმ; ქედის სისქე 9,7 სმ.

581 (12—54:10219—20; სურ. 622). ს ა მ ა ჯ ო ო რ ე ბ ი ბრინჯაოსი, საკანჭურებად გამოყენებული; წყვილი პირგახსნილი რგოლია 3 მმ მავთულისა, რომელსაც ზედაპირი განივი ჭდეებით აქვს დაკეჭნილი მუხლებისებრად. დმ 5,3 სმ;

582 (12—54:10221; სურ. 620). მ ძ ი ვ ე ბ ი ვარდისფერი სარდიონისა; მრგვალი, სფერული, ძირითადად მანდარინისებური, დიდ-პატარა, 31 ც. უდ-დმ 1,5 სმ;

583 (12—54:10222; სურ. 621). მ ძ ი ვ ი მინისებრი პასტისა; მრგვალი; წვრილი.

584 (12—54:10223; სურ. 624, 625). მ ძ ი ვ ე ბ ი ანტიმონისა (ან მინისებრი პასტისა), იასპისმაგვარი (14) და წიწიბურისებრი (7). წვრილი.

585 (12—54:10224; სურ. 623). მ ძ ი ვ ე ბ ი კურდღლის (?) ლულოვანი ძვლისაგან ნაკეთები; 7 ცალი. უდ. სიგრძე 1,1 სმ; უდ. დმ. 0,6 სმ.

ორმოსამარხი 174 (1940 წ., s სურ. 626—640).

გაითხარა 141-ე კვადრატში; აღმოჩნდა 2,70 მ სიღრმეზე. ჩონჩხსა და ჩატანებულ ნივთებს ეჭირა 1,60×1,10 მ მომცველი ფართობი. ცუდად დაცული ჩონჩხი საშუალო სიმაღლის მამაკაცისა იწვა მარჯვენა გვერდზე. თავით აღმოსავლეთისკენ, დამხრობილი, თავისუფლად ფეხებმოკეცილი და ხელებაპყრობილი ისე, რომ ხელები სახის წინ მოდიოდა. ბევრი წვრილი ძვალი, მაგ., მალები, ნეკნები და ფალანგები გადაადგილებული იყო. მიცვალებულს „სასთუმალად" ედო დიდი რიყის ქვა, მეორე კი, შედარებით მომცრო, სახის წინ, წყვილიც ფეხების არეში ეწყო.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მოუწერია ფანქრით: გბ I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ წ. I, ს.—რედ.).

მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა შავად გამომწვარი თიხის ექვსი ჭურჭელი, რომელთაგან ჯანი, ლანგარი და სადღვებელი თავის მახლობლად ეწყო, ხოლო ქოთანი უკანა ტანთან და ორი მოზრდილი ქილა წვივთა მახლობლად იდგა. დიდი ქილის მახლობლად ირმის რქის ლახტისთავი იყო; მუცლის არეში ცხვრის ორი კოჭი, ბრინჯაოს მოკლე, უტარო სატევრისპირი და ორიც სამკუთხა ფირფიტოვანი ისრისპირი. უკან, წელის მიდამოში, აღმოჩნდა სპირალური სახეებით შემკული ბრინჯაოსივე ბალთა. გარდა ამისა, სამარხში მიმობნეული იყო წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები და მცირეოდენი ხის ნახშირის ფრაგმენტები*.

586 (12—54:11522; სურ. 630, 631). სადღვებელი ქილა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი (გადასულია); მომრგვალებული ბაკოთი, ყელმაღალი, კვერცხისებრტანიანი. მხარზე განივად მიძერწილი ყური ჰქონია (მოტეხილი და დაკარგულია), მის მარცხნივ — საკმაოდ ამოსული სასულე ჭიპი. ყელის ძირზე ტალღოვანი ღარია ამოკაწრული. მხარზე კი წყვილი ტალღოვანი ხაზი ორ ღარს შორის არის მოთავსებული. მთელს ტანზე ვერტიკალური წნევითი ზოლები ეტყობა, წვრილი (ალბათ კენჭით დატანილი. სიმაღლე 31,5 სმ; ყელის 4,3; დმ პირის 11,1; მუცლის 17,0; ძირის 11,1.

587 (12—54:11523; სურ. 627, 628). დერგი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია), პირფართო, მრგვალბაკოიანი, განიერმუცლიანი; ყურთა მაგიერ ბრტყელფართო (6,5 სმ) მორჩები აქვს ხელის ამოსადებად. მხარზე შემოვლებული ფართო, ღრმა ღარი და მათ შორის წარმოქმნილი ბეჭები ჭურჭლის ამ ნაწილს გოფრირებულ სახეს აძლევს. სიმაღლე 27,0 სმ; დმ პირის 24,3 სმ; მუცლის 33,0 სმ; ძირის 9,9 სმ.

588 (12—54:11524; სურ. 629). ქოთანი შავ-მურად გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; ოდნავ პირგადმოშლილი, მხრებდაქანებული. ქვედა მუცელზე 7 კონცენტრული ღარი უვლის, ძირის წიბოს დამრეცი ჭდეები, ხოლო თვით ძირს სპირალური ღარი. კახური ტიპის ჭურჭელია. მხარზე ხორბლისებრი ჭდეებია. სიმაღლე 15,8 სმ; დმ პირის 12,4 სმ; მუცლის 16,7 სმ; ძირის 8,5 სმ.

589 (12—54:11525; სურ. 632, 633). ლანგარი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირფართო მომრგვალებული ბაკოთი, დაბალნაპირიანი: დამტვრეული, ნაკლული. სიმაღლე 7,3 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,3 სმ; დმ პირის 30,9 სმ; ძირის 9,9 სმ.

590 (12—54:11526). ქილის ფრაგმენტები შავად გამომწვარი თიხი-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII (ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

სა; ნაპრიალები (გადასულია); ყელგამოყოფილი; ყელის ძირში ფართო ღრმა ღარი გადასდევს. მხარზე ბადურა (რომბული) სახეებია.

591 (12—54:11527; სურ. 634, 635). სატევრისპირი ბრინჯაოსი; მოკლე, ფოთლისებრი, შუაზე მკვეთრ და მაღალქედიანი; სატარე ნაწილი ძალიან დაბალ ტოლფერდა სამკუთხედს მიუგავს, სადაც წყვილი ნახვრეტია ტარზე დასამაგრებლად. ფხაალესილი პირი ძალიან აჩენჩილია. ახლავს ცალი მანჭვალი. სიგრძე 15,5 სმ; უდ. სიგანე 5,5 სმ; ქედის სისქე 0,8 სმ.

592 (12—54:11528—29; სურ. 638, 640). ისრისპირები ბრინჯაოსი, თხელი, ნესტარისებრი, ფუძეამოღარული სამკუთხედის მსგავსი; ცალ-ნახვრეტიანი; 2 ც. სიგრძე 3,7 სმ; სიგანე ფრთებში 1,7 სმ.

593 (12—54:11531; სურ. 636, 637). ბალთა სარტყლისათვის ბრინჯაოსი; ბრტყელი, ნახევარმთვარისებრი (თუ ნალისებრი): წინაპირზე ამოკაწრულია სამთავა ჩახვეული სპირალი, უკანა პირზე ერთ სწორ ხაზზე გამწკრივებული სამი ყუნწი, ხოლო ამათ საპირისპიროდ გამოსაყრელი კავია გამოყვანილი, რკალის სიმაღლე 4,0 სმ; ქორდის სიგრძე 4,9 სმ; სისქე 0,25 სმ.

594 (12—54:11534). ლახტისთავის ფრაგმენტები ირმის რქისაგან გამოჭრილი.

595 (12—54:11532—33; სურ. 638). კოჭები ცხვრისა, პაწია, 2 ც.

ორმოსამარხი 281 (1940, s სურ. 641—644).

ეს სამარხი აღმოჩნდა უბანზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ფიქრის გორას ეძახის, 0,85 მ სიღრმეზე გარშემორტყმული უნდა ყოფილიყო რიყის ქვებისაგან შემდგარი წრით, რომელიც ადგილ ალაგ დარღვეული იყო, ალბათ გვიან ხანაში ამ ფართობზე ქვასამარხების გამართვის გამო. ამ წრის მოზრდილი ნაშთი რკალის სახით შემორჩენილიყო მხოლოდ დასავლეთის მხარეზე. ამ სავარაუდო წრის ცენტრში (დაახლოებით) აღმოჩნდა ჩონჩხის ნაშთი, სახელდობრ, თავის ქალისა და კიდურთა ფრაგმენტები. ამათი განლაგების მიხედვით ჩანდა, აღნიშნავს საფლავის გამთხრელი მ. ივაშჩენკო, რომ ჩონჩხი თითქოს უნდა წოლილიყო მარცხენა გვერდზე, მოხრილად, თავით ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი. სამარხის ფართობი 1,10×0,90 მ უდრიდა.

მიცვალებულს თავის არეში მორუხო თიხის ფინჯანი და ჯამი ეწყო. მუხლების წინ კი ქოთანი. გულმკერდის მახლობლად ბრინჯაოს თავხვია საკინძი იდო; მენჯს უკან (წარმოსახვით) შუბისპირი იყო, ხოლო ბარძაყთა შორის მოკლე უტარო, ფართოქედიანი, ძირითადად ალისებრი მოყვანილობის სატევრისპირი*.

596 (12—54:11660; სურ. 641). ჯამი მონაცრისფროდ გამომწვარი თი-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I, XIII (გვიანბრინჯაო I, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

ხისა; გაპრიალებული ყოფილა (ახლა გადასულია); ღრმა, პირფართო, მომრგვალებული ბაკოთი, მაღალნაპირიანი, რომელიც ოდნავ შიგნით არის გადაწეული. ოდნავ ქუსლგამოყოფილია. პირ-გვერდის ნაწილი აკლია. სიმაღლე 7,5 სმ; ნაპირის სიმაღლე 6,3 სმ; პირის დმ 16,7 სმ; კეცის სისქე 0,7 სმ.

597 (12—54:11661). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი სამი სხვადასხვა თიხის ჭურჭლისა; მქისე თიხა ყოფილა, უმორგვოდ ნაძერწი, ზედაპირი ღიაფრად, შიგნით ბოშავოდ გამომწვარი ჩანს. თითქოს არქაული იერისაა.

598 (12—54:11662; სურ. 642); ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ალისებრი მოყვანილობისა; ფართო, სქელი, თავგადასწორებული ქედით, ისე რომ ეს უკანასკნელი ზუსტად იმეორებს პირის საერთო მოყვანილობას. მორკალულ სატარეზე წყვილი ტარსამაგრი მანჭვალი აქვს. შუაზე გატეხილია; ანალიზი გაკეთებული არის. სიგრძე 17,0 სმ; უდ. სიგანე (მხრებში) — 5,4 სმ; ქედის სისქე 0,6 სმ.

599 (12—54:11663; სურ. 643). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი მასრაგახსნილი; მოკლე ფოთლისებრი პირი აქვს. მასრაზე წყვილი ნახვრეტია ტარზე დასამაგრებლად. პირის ნაწილი ჩამოშლილია. სიგრძე 15,3 სმ; აქედან პირზე 5,7 სმ მოდის.

600 (12—54:11664; სურ. 644). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; მრგვალღეროიანი, თავხვია, სიგრძე 6,7 სმ.

ორმოსამარხი 160 (1939 s; სურ. 645—659).

აღმოჩენილი იყო 129-ე კვადრატში. სამარხის თავზე ბლომად იყო შეზვინული მსხვილი რიყის ქვა. ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი თუმცა ძალიან დაშლილ-დაფანტული იყო, მაგრამ თითქოს, ამბობს გამთხრელი, მიცვალებული მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისკენ დამხრობილი, ხელფეხმოხრილი ყოფილა დასვენებული. სამარხში აღმოჩნდა ხარის ძვლები, თითქმის მთელი ჩონჩხი ცხვრისა და აგრეთვე კუს ჯავშნის ფრაგმენტები. კუს ძვლების აღმოჩენა, შენიშნავს მ. ივაშჩენკო, არ შეიძლება შემთხვევით გარემოებას მიეწეროსო. ეს შენიშვნა მით უფრო სარწმუნოა, რაც ცნობილი გახდა სამარხში კუს ჩატანების ოთხი შემთხვევა მინგეჩაურის სამაროვანზე.

მიცვალებულს ახლდა 15 თიხის ჭურჭელი და უამრავი, უმთავრესად სადიაცო ინვენტარი*.

601 (12—54:10236; სურ. 645). გ ო ზ ა უ რ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; ოდნავ პირგადმოშლილი, მომაღლო, ცილინდრულყელიანი, მუცელგანიერი, ოდნავ ამობურცული ძირი აქვს, ცალყურა, მრგვალღერა ყური პირს მხართან აერთებს; მისი ზედაპირი თევზიფხური ჭდეებით არის შემკუ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით. მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I, XIII (გვიანბრინჯაო, ძვ. წ. XIII ს.—რედ.).

ლი. მხარზე ყურს ქვემოთ აბექებული ზოლი შემოსდევს. მხარზევე ცხრა სამკუთხედითაა გამოყვანილი სოლური ორნამენტი (სქემა: ზემოდან ქვემოთ 1—2—3—4 (5—6). სიმაღლე ჭურჭლის 29,5; ყელის 7,0; დმ პირის 11,7; მუცლის 29,1; ძირის 10,5 სმ.

602 (12—54:10245; სურ. 650). ქ ი ლ ა (დერგიც ეთქმის) შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალა, პირმოყრილი, ფართობაკოიანი, რომელიც თევზიფხური სახეებით არის შემკული. მუცელგანიერი (სფერულიც ეთქმის), ძირბრტყელი, ოდნავ ქუსლგამოყვანილი. მხარზე ოთხი ღრმა ღარია; პირველ ორ ღარს შორის ტალღური ორნამენტის სარტყელია. სიმაღლე 23,0 სმ; დმ პირის 20,5; მუცლის 32,1; ძირის 11,0 სმ.

603 (12—54:10237; სურ. 651). ქ ი ლ ა (დერგიც ეთქმის) შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალა; პირგადმოშლილი, მუცელგანიერი: ძირჩავიწროებული; მხარი ხშირი ღარებითა და ტალღური ხაზებით არის შემკული. სიმაღლე 25,5; დმ პირის 15,0; მუცლის 29,5; ძირის 9,0 სმ.

604 (12—54:10235; სურ. 648). ქ ი ლ ა (დერგიც ეთქმის) რუხფრად გამომწვარი მქისე თიხისა; პირფართო და ჩაჭრილი სახურავის მოსარგებად, ფართოქობიანი, ყელდაბალი, მხრებგანიერი (კვერცხისებრი ტანიც ეთქმის); ძირდაკეკნილი ირიბად. მხარი კონცენტრული ღარებითა და წყვეტილი ჭდეხაზებით არის შემკული. სიმაღლე 24,0; დმ პირის 20,1; მუცლის 29,0; ძირის 10,9 სმ. ქობის სისქე 1,2;.

605 (12—54:10238; სურ. 649). ქ ო თ ა ნ ი რუხფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მუცელგანიერი, ვიწრო და ბრტყელძირიანი. სიმაღლე 14,5; დმ პირის 9,9; მუცლის 17,5; ძირის 7,5 სმ.

606 (12—54:10239; სურ. 655). კ ო ჭ ო ბ ი რუხფრად გამომწვარი მქისე თიხისა; უმორგვოდ ნაძერწი, პირფართო და ქობიანი პირი აქვს; ყელგამოყოფილი, მხრებდაქანებული და მუცელგანიერია. მხარი კონცენტრული ღარებითა და ფრჩხილისეული ნაჭდევი სახეებით აქვს შემკული. უფრო წვრილი ღარები და მათ შორის ირიბად დატანილი ჭდეებით არის შემკული ქვედა ტანიც. ძირის წიბოც ირიბად არის დაკეკნილი. სიმაღლე 11,5; დმ პირის 10,7; მუცლის 13,1; ძირის 5,7 სმ, ქობის სისქე 0,9;

607 (12—54:10240; სურ. 652). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; პრიალა, ოდნავ პირგადაშლილი, მუცელგანიერი, ბრტყელძირიანი. მხარზე კონცენტრული მკრთალი ღარია. სიმაღლე 10,3; დმ პირის 8,5; მუცლის 12,5: ძირის 4,7 სმ.

608 (12—54:10241; სურ. 654). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირი თხელი და ოდნავ გადმოშლილი აქვს, მხრებდაქანებული, ბიკონუსურმუცლიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი; მხარ-მუცლის საზღვარზე

წყვილი მკრთალი ღარი არტყია. სიმაღლე 7,2; დმ პირის 6,2; მუცლის 10,0; ძირის 4,0 სმ.

609 (12—54:10242; სურ. 653). კ ო ჭ ო ბ ი (სამარილე უნდა ყოფილიყო) რუხფრად გამომწვარი თიხისა; უმორგვოდ, ხელით ნაძერწი; პაწია; პირფართო, ბიკონუსურმუცლიანი. ყელის გარშემო მცირე ირიბი ნაჭდევები, მხარზე სამი კონცენტრული ღარი, მუცლის წიბოს გარშემო — ნეკისეული პაწია ღრმულები აქვს. ძირის წიბო ირგვლივ დაკეჭნილია. სიმაღლე 5,5; დმ პირის 5,0; მუცლის 6,4; ძირის 2,6 სმ.

610 (12—54:10244; სურ. 646). ს უ რ ა (ჭიჭლა) შავად გამომწვარი თიხისა; საგულდაგულოდ შავად ნაპრიალები, ოდნავ პირგადმოშლილი, მსხალისებური ტანი აქვს. მხარზე ექვსი მკრთალი ღარი არტყია.

611 (12—54:10243; სურ. 647). ს უ რ ა (ჭიჭლა) ყოველმხრივ წინამავლის მსგავსი, ოღონდ მომცრო პროპორციებისა. სიმაღლე 8,5; ყელის სიმაღლე 3,9; დმ პირის 4,2; მუცლის 7,7; ძირის 4,1 სმ. ორივე ჩინებული ნახელავია. გვ. ბრინჯაოს ადრეულ ეტაპს ეკუთვნის.

612 (12—54:10246; სურ. 659). ს ა კ ი დ ი ზ ა ნ ზ ა ლ ა კ ი ბრინჯაოსი; მსხლისებრი მოყვანილობისა, მრგვალყუნწიანი და მხრებდაფანჯრული. გვერდგამომტვრეულია. სიმაღლე 3,7 სმ.

613 (12—54:10247; სურ. 657). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი, გრძელი, გადმოკეცილი ყუნწით, წვერმოკაული. სიგრძე 20,9; უდ. სიმსხო 0,4 სმ.

614 (12—54:10247). ბრინჯაოს თხელფურცლოვანი ს ა მ ა ჯ ო ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი. სისქე (ვარაუდით) 3,5 სმ.

615 (12—54:10249; სურ. 658). კ ი ლ ი ტ ე ბ ი ბრინჯაოსი, ნახევარსფეროული, გარდიგარდმო ყუნწიანი, 50 ც. ერთ-ერთი ნიმუშის სიმაღლე 0,6 სმ; დმ 0,8 სმ.

616 (12—54:10250). რ გ ო ლ ე ბ ი ბრინჯაოს ძეწკვისა; ოვალური მოყვანილობისა; 4 ფრაგმენტი. უდ. ფრაგმენტის დმ 1,3; სისქე 0,9 სმ.

617 (12—54:10251—52). ჩ ი ტ ი ს ქანდაკების ფრაგმენტები; ბრინჯაოსი; ძალიან დაშლილი. 9 ფრაგმენტია.

618 (12—54:10253). ფრაგმენტები ბრინჯაოს თხელფურცლოვანი განიეღერაკიანი ღილების (დაახლოებით სამისა). 9 ფრაგმენტი.

619 (12—54:10256). მ ძ ი ვ ე ბ ი ბრინჯაოსი; პაწია; კასრისებური: 3 ცალი. ნიმუშის სიგრძე 0,4; დმ 0,7 სმ.

620 (12—54:10254; სურ. 656). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი მოწითალო-მოთეთრო სარდიონისა, უმეტესად დაბალცილინდრული, ზოგიც მოგრგვალებული, წვრილი. ერთი დიდია, ბრტყელ-ოვალური, ექვსწახნაგა, ორივე მხრიდან ნახვრეტიანი მძივის სიგრძე 1,5; 1,2 სმ.

621 (12—54:10255). **მ ძ ი ვ ე ბ ი** მოთეთრო-მოყვითალო პასტისა; დაბალცილინდრული, წვრილი. 3 ცალი.

ორმოსამარხი 162 (1940, N; სურ. 660—663). გაითხარა VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედაპირიდან 2,12 მ სიღრმეზე. საფლავს ნაწილობრივ დიდი ფილაქვა ხურავდა; გარდა ამისა, მას შემოწყობილი ჰქონდა რიყის ქვები, რომელთაც საფუძვლად მასიური, ნაგლეჯი ქვები ეგო. აშკარაა, მიცვალებულს ირგვლივ ქვების ყორე ერტყა. საფლავის მოედანი უდრიდა 1,45×0,90 მეტრს. მიცვალებული ესვენა მოხრილად მარცხენა გვერდზე. თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მენჯის ძვლები გადაადგილებული, ხოლო მარცხენა ფეხი მარჯვენაზე ნაკლებ მოხრილი იყო, ხელები სახესთან ეწყო.

მიცვალებულს თან შემდეგი ინვენტარი ახლდა: შავი თიხის ჯამი სახის წინ, ცალყურა ფინჯანი თავის წინ, მის სამხრეთ-დასავლეთით, ცალყურა ჭვაბქოთანა — გულმკერდის არეში; ჭურჭლები მცირედ ორნამენტირებულია. ბრინჯაოს რომბულთავიანი მახათი — გულმკერდის არეში, ობსიდიანის ანატკეცები (2 ც.) — მუცლისა და კისრის არეში*.

622 (12—54:4593; სურ. 660). **დ ო ქ ი** მონაცრისფრო ლეგად გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა; ფართო ძაბრისებრპირიანი, მუცელგანიერი, ცალყურა. იგი მრგვალგანივკვეთიანია და მხარს პირთან აერთებს (ადრევე მოტეხილი და დაკარგულია); პირ-ყელზე გარედან ოთხი, მხარზე კი სამი ღარი გადასდევს სარტყელად. სიმაღლე 26,5; დმ პირის 10,5; მუცლის 26,0; ძირის 9,1 სმ.

623 (12—54:4594; სურ. 663). **ქ ო თ ა ნ ი** მურა ზედაპირიანი, ხელით ნაძერწი (უმორგვოდ), მომრგვალებული ბაკოთი, პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მხრებგანიერი. ცალყურა, იგი ბრტყელგანივკვეთიანია, აერთებს ჭურჭლის მხარ-მუცელს და ზედნაძერწი საცერული აქვს. მხარზე და ძირს ირგვლივ ხორბლისებური ჭდეების სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 14,3 სმ; დმ პირის 11,5 სმ; მუცლის 16,5 სმ; ძირის 7,1 სმ.

624 (12—54:4592; სურ. 661). **ს ა ს მ ი ს ი** ღია მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, დაბალი ტოლჩისმაგვარი, ოდნავ პირგაშლილი, წელში გამოყვანილი, ცალყურა, პირსა და მუცლის წიბოს შორის 10 მკრთალი ღარი შორიდან ჭურჭლის ტანს გოფრირებულის იერს ანიჭებს. შეკოწიწებულია. სიმაღლე 8,1 სმ; დმ პირის 9,0 სმ; ძირის 5,0 სმ.

625 (12—54:4591; სურ. 662). **ჯ ა მ ი** შავპრიალა თიხისა; მაღალნაპირიანი, ღრმა; თანაბრად კალთებდაქანებული და ოდნავ ქუსლგამოყოფილი.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I—II, XIII (გვიანბრინჯაო I—II. ძვ. წ XIII ს. —რედ.).

გარედან ნაპირის ღარზე მკრთალი ღარების ნაკვალევია. სიმაღლე 8,5 სმ; ნაპირის 2.3 სმ; ქუსლის 0,4 სმ; დმ პირის 24,0 სმ; ძირის 9.5 სმ.

626 (12—54:4595). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა. ეტყობა, ყუნწმოკეცილი ყოფილა. ყუნწიცა და წვერიც მცირედზე მოტეხილა. სიგრძე 13,1 სმ.

627 (12—54:4596). ა ნ ა ტ კ ე ც ი შავი კვამლა ობსიდიანისა; სამკუთხედის მსგავსი მოყვანილობისა; დაუმუშავებელი.

628 (12—54:4597). ანამტვრევი შავი ბულოვანი ობსიდიანისა, უფორმო; ატიპიური.

III. ბ ვ ი ა ნ ბ რ ი ნ ჯ ა ო II. ძვ. წ. XII—XI საუკუნეების სამარხეული კომპლექსები

ორმოსამარხი 140 (1939 წ., N; სურ. 664—668).

აღმოჩენილი იყო VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, 2,00 მ სიღრმეზე. იგი მოთავსებული იყო 133-ე სამარხის სამხრეთ მხარეზე, მხოლოდ უფრო ღრმა, ისე, რომ 140-ე სამარხის ნაწილი 133-ე ქვეშ მოდიოდა. საფლავის ორმო გაჭრილი იყო ღია-ყვითელი თიხნარის ფენაში. შიგ საშუალოზე მაღალი ტანის ადამიანის კარგად დაცული ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი; თავისუფლად ჰქონდა მოხრილი ფეხები (ბარძაყის ძვალთა მიმართება ხერხემალთან სწორ კუთხეს ქმნიდა), ხელები იდაყვში მოხრილი და ზეაპყრობილი ჰქონდა. თავთან ორი მოზრდილი რიყის ქვა ედო „სასთუმალისებრ". ორი მომცრო ქვაც ფეხებთან იდო აქეთ-იქით. თავის ქალა წინ გადმოგორებულა და ჯამში ჩამხობილა, გარკვევით ჩანდა გადმობრუნებული ზედაება, ქვედა ყბა კი ადგილზე დარჩენილიყო. საფიქრებელია, რომ იგი სასთუმალზე იყო შემაღლებით და სახურავის ჩაქცევისას გადმოგორდა. გარდა ამისა, ზედა (№ 113) სამარხის გამართვაც ქვემოთ მოთავსებულისთვის საბედისწერო გამოდგა. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა თიხის ორი ჭურჭელი; მათგან იდაყვთან იდო ღრმა ჯამი, რომელშიაც, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, თავის ქალა იყო. ტერფებთან იდგა მაღალი, ცალყურა სადღვებელი. მარჯვენა მაჯის ძვლებზე იდო ბრინჯაოს მოკლე სატევრისპირი. ბრინჯაოს ოთხ ბრტყელფირფიტოვან ისრისპირთაგან ერთი წყვილი ნეკნებზე, მეორე წყვილი კი ერთ-ერთი ლავიწის ძვალზე აღმოჩნდა. თავ-ყელის არეში დაფანტული იყო სარდიონის მოდიდო მრგვალი 24 ცალი მძივი. ზემოთ

აღნიშნულ რიყის ორ წყვილ ქვათა გარდა რამდენიმე ასეთი ქვა წვივთანაც, მოშორებით, ეყარა*.

629 (12—54:2723; სურ. 664). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი თიხისა; ღია ნაცრისფრად გამომწვარი; ნაპრიალები ზედაპირით, მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, კვერცხისებრტანიანი, ცალყურა. ყური მრგვალგანივკვეთიანია და განივად არის მიძერწილი მხარზე; აქვე ამავე დონეზეა დატანებული სასულე (ვიპი); ყელის ძირში ტალღისებრი ხაზის სარტყელია, მხარზე კი 7 მკრთალი ირგვლივი ღარი. სიმაღლე 34,5 სმ; დმ პირის 11 სმ; მუცლის 27,5 სმ; ძირის 11,0 სმ; სასულეს დმ 0,4 სმ.

630 (12—54:2722; სურ. 665). ჯ ა მ ი შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პირგადაშლილი, სწორბაკოიანი; მკვეთრად დაქანებული კალთები ვიწრო ძირში გადადის. სიმაღლე 5,5 სმ: დმ პირისა 20,3 სმ; ძირის 6,0 სმ; ბაკოს სისქე 0,8 სმ.

631 (12—54:2728; სურ. 666). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე; ტარშერჩენილი; ძირითადად ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისა, შუაზე მაღალქედიანი, ორმანჭვლიანი; ფხაალესილი. სიგრძე 18,1 სმ; უდ. სიგანე (ვადასთან) 6,2 სმ.

632 (12—54:2724). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელფირფიტოვანი; სამკუთხა; ამოღარული; წვერთან ახლოს ნახვრეტი აქვს ზროზე დასამაგრებლად; სიგრძე 3,0 სმ.

633 (12—54:2725). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელფირფიტოვანი; წვერი წატეხილი აქვს.

634 (12—54:2726; სურ. 668). ი ს რ ი ს პ ი რ ე ბ ი ბრინჯაოსი, ფირფიტოვანი; აღწერილთა მსგავსი, ოღონდ მომცრონი: წვერწატეხილი. 2 ცალი.

635 (12—54:2127; სურ. 667). მ ძ ი ვ ე ბ ი ღია-მოწითალო თუ ვარდისფერი სარდიონისა; მანდარინისებრი.

ორმოსამარხი 163 (1939, S; სურ. 669—678).

აღმოჩნდა 134-ე კვადრატში, 0,85 მ სიღრმეზე. ბავშვის ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით მიქცეული, ფეხებმოხრილი. იდაყვში მოხრილი ხელები კერტებით სახის წინ ეწყო. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაწილები, როგორც ჩანს, ცხვრისა. გარდა ამისა, მას თან ახლდა შავი თიხის 8 ჭურჭელი და ბრინჯაოს გრძელი გვერგვი*.

636 (12—54:10262: სურ. 671, 672). ბ ა დ ი ა-ს ა წ უ რ ა ვ ი შავ-ლე-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XIII—XII (გვიანბრინჯაო II, XIII—XII სს.—რედ.).

გად გამომწვარი თიხისა; დაბრტყელებულბაკოიანი, ოდნავ პირმოყრილი, მხარმუცლის საზღვარზე თითქოს წიბო იქმნება, ბრტყელძირიანი. პირის ქვემოთ, გარედან, სამი ტალღოვანი ღარი არტყია გარშემო. სიმაღლე 8,5; დმ პირის 22,5; ძირის 10 სმ.

637 (12—54:10268; სურ. 674). ქ ი ლ ა (საყვავილე?) შავ-რუხად გამომწვარი თიხისა; პირგადმოშლილი, ყელმაღალი, მხრებდაქანებული, სფერულ-მუცლიანი, რამდენადმე ამობურცულძირიანი. მხარზე 14 ღრმა კონცენტრული ღარი არტყია. სიმაღლე 23,3; დმ პირის 10,9; ყელის 21,5; ძირის 6,5 სმ.

638 (12—54:10269; სურ. 669). ქ ი ლ ა (სადღვებლის მოყვანილობისა) შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პირვიწრო და გადმოშლილი, მომაღლო ყელი, კვერცხისებრი ტანი და ოდნავ ამობურცული ძირი აქვს. მხარზე ერთი ტალღოვანი და ბევრი წვრილი კონცენტრული ღარი გადასდევს. სიმაღლე 28,5; დმ პირის 12,0; მუცლის 27; ძირის 8,5 სმ.

639 (12—54:10266; სურ. 673). ქ ი ლ ა რუხფრად გამომწვარი თიხისა; ხაოიანი ზედაპირით, პირფართო, შიგნით დაქანებული ბაკო ოდნავ ჩაღარულია (ალბათ, სახურავის მოსარგებად); კარგად გამოყოფილი ფართო ქობა აქვს; მხრებგანიერი, კვერცხისებრტანიანი და დაკეპნილძირიანი. ნახარი ხშირი წვრილი ღარებითა და წყვეტილი ჭდეებით არის შემკული. სიმაღლე 22,2; დმ პირის 16,1; მუცლის 25,5; ძირის 8,9 სმ.

640 (12—54:10264; სურ. 670). ქ ი ლ ა შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა, პირფართო და გადმოშლილი; მომაღლო ყელი, სფერული ტანი, პატარა ბრტყელი ძირი აქვს. მხარზე აქეთ-იქით პაწია ბრტყელი, მრგვალი საცერული ყური აქვს (ცალი თითიც არ გაეტევა). მხარზე კონცენტრული ღარები გადასდევს. სიმაღლე 17,3; დმ პირის 11,3; მუცლის 19,1; ძირის 5,7 სმ.

641 (12—54:10265; სურ. 676). ქ ო თ ა ნ ი რუხფრად გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; პირფართო (მოტეხილი და დაკარგულია). სფერულ-მუცლიანი, ბრტყელი დაკეპნილი ძირით; მხარზე ხშირ-ხშირი კონცენტრული ღარები და წყვეტილი ჭდეების სარტყელია. სიმაღლე 14,0; დმ მუცლის 19,0; ძირის 7,1 სმ.

642 (12—54:10263; სურ. 675). კ ო ჭ ო ბ ი რუხფრად გამომწვარი თიხისა; პირფართო, სწორბაკოიანი და ქობიანი, მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული; დაკეპნილი წიბოიანი ძირი აქვს. მხარზე ორგან ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყელია. ზედაპირი წვრილი ხშირი ხაზებით არის დასერილი. სიმაღლე 10,3; დმ პირის 10,3; მუცლის 13,7; ძირის 5,1 სმ.

643 (12—54:10267; სურ. 678). ბ ა დ ი ა (ღრმა ჯამი) მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია). პირფართო, ქობიანი; ვიწრო ძირი აქვს. პირს ქვემოთ სამი ფართო ღარი გადასდევს გარშემო. სიმაღლე 11,7; დმ პირის 17,5; დმ (მხრებში) 19,0; ძირის 6,8 სმ.

644 (12—54:10270; სურ. 677). გ ვ ე რ გ ვ ი ბრინჯაოსი; წარმოადგენს დაგრეხილი მსხვილი ღეროს რგოლს — თავებგაბრტყელებულსა და მოკაულს. უდ. დმ 16,6; სიმსხო 0,4; გაბრტყელებული თავის სიფართე 0,6 სმ.

ორმოსამარხი 273 (1940, s; სურ. 679—684). აღმოჩნდა 198-ე კვადრატში 1,25 მ სიღრმეზე. იგი ეკუთვნოდა ბავშვს (ბიჭს?) რომლის ჩონჩხი იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიქცეული, ფეხებმოკეცილი; მარჯვენა ხელი გამართული; მარცხენა კი იდაყვში ჰქონდა მოხრილი. თავთან სამი ჭურჭელი: ლანგარი, ხელადა და კათხა ეწყო, ფეხებთან კი ქილა და პატარა ჯამი იდგა, აქვე იყო ბრინჯაოს ღილი. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ცხვრისა თუ თხის ნეკნები და ფეხის ძვლები*.

645 (12—54:11637; სურ. 681). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირგაპრიალებული ფრიალა, პირფართო, გადმოშლილი, დაბალნაპირიანი. კალთები გარედან ხშირი კონცენტრული ღარებით არის დაფარული. ძირის წიბო დაკეკნილია, ზედაპირი კი სპირალური ღარით აქვს დაფარული. სიმაღლე 6,3; ნაპირის სიმაღლე 2,0; დმ პირის 25,7; ძირის 10,3 სმ.

646 (12—54:11634; სურ. 683). ფ ი ა ლ ა რუხფრად გამომწვარი მქისე თიხისა; ზედაპირხაოიანი, პაწია, სწორბაკოიანი, დაბალპირიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე 3,7; ნაპირის სიმაღლე 1,0; დმ პირის 14,0; ძირის 6,0 სმ.

647 (12—54:11635; სურ. 682). კ ა თ ხ ა რუხლეგად გამომწვარი თიხისა; თხელკედლიანი; პირფართო, კასრისებრი, მრგვალღერა ყური ჰქონია (მოტეხილ-დაკარგულია). გარედან პირს ირგვლის სამი ღარი უვლის. სიმაღლე 13,1; დმ პირის 12,3; მუცლის 12,5; ძირის 9,3 სმ.

648 (12—54:11636; სურ. 679). ხ ე ლ ა დ ა შავად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; პირგადმოშლილი, საშ. სიმაღლის ყელით, ხფერულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. ყელ-ჭხარის შემაერთებელი ყური მრგვალღერა ყოფილა (დაკარგულია). ყელის ძირში წყვილი მკრთალი ღარია. თვით ყელი ხუთი ფართო ვერტიკალურად ნაპრიალები ზოლით არის შემკული. სიმაღლე ჭურჭლის 18,5; ყელის 5,0; დმ პირის 8,8; მუცლის 1,6; ძირის 7,5 სმ.

649 (12—54:11633; სურ. 680). ქ ი ლ ა რუხფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირგადმოშლილი, მუცელგანიერი. მხრის დასაწყისში ტალღოვანი ხაზია ამოღარული, სიმაღლე 18,3; დმ პირის 12,0; მუცლის 21,5; ძირის 7,9 სმ.

650 (12—54:11638; სურ. 684). ღ ი ლ ი ბრინჯაოსი; ნახევარსფერული

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XIII—XII (გვიანბრინჯაო II, ძვ. წ. XIII—XII სს.—რედ.).

(ღრუ). მასიური. დამსკდარი. განივად მირჩილული ხიდ-ყუნწი მოტეხილა (თან ახლავს). სიმაღლე 1,0; დმ 2,0 სმ.

ორმოსამარხი 170 (1940 წ., N; სურ. 685—692). გაითხარა VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 2,50 მ სიღრმეზე; იგი 166-ე სამარხის ქვეშ იყო მოქცეული. მოიცავდა 1,50×0,90 მ ფართობს. ჩონჩხი, რომელიც დედაკაცისა გამოდგა, იწვა მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთ — აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, სწორკუთხოვნად ფეხებმოხრილი; ხელები მკვეთრად მოხრილი და სახესთან მიტანილი ჰქონდა. მთლიანად ჩონჩხი რიყის ოთხ ქვას შორის იყო გაჭედილი. ზედატანი საფლავში ოდნავ მოპირქვავებული ჩანდა. საერთოდ კი ძვალთა განლაგება კარგად იყო დაცული.

მიცვალებულს ახლდა ცხვრის ნაწილები და შემდეგი ინვენტარი: სახის წინ შავად გამომწვარი თიხის ლანგარი იდგა, რომელშიც იდო ქოთანი და ქუსლიანი კოჭობი, მუცლის მიდამოში — ქილა; მარცხენა მუხლის თავთან მოზრდილი ორყურა ქილა, ხოლო ტერფებთან დერგი იდგა. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ყელში გამოყვანილი მაღალი სასმისი. ყელის წინ ქვაზე იდო ბრინჯაოს გრძელი მახათი; აქვე, ოღონდ ყელთან უფრო ახლოს, ბრინჯაოს ოთხი ცალი თავხვია საკინძი იყო; ყელ-გულის მიდამოში სარდიონის 144 ცალი მძივი მოიკრიბა*.

ჩონჩხისა და სამარხეული ინვენტარის ალაგების შემდეგ უფრო ღრმად აღმოჩნდა სხვა სამარხი, რომლის შესახებ იხ. ქვემოთ.

651 (12—54:4733; სურ. 691). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; დიდი, დაწახნაგებული ბაკოთი; დაქანებული კალთები შეუმჩნევლად გადადის ძირში. ნაპირს გარედან ორი კონცენტრული ღარი არტყია. ღარს ფართო ნაპრიალები ზოლი შემოსდევს. აქედან ძირამდე კი ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები ჩასდევს. სიმაღლე 7,5 სმ, პირის დმ 30,7 სმ; ძირის დმ 12,0 სმ.

652 (12—54:4737; სურ. 688). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი, პირმოყრილი, ღრმა; პირს გარედან 4 ღრმა ღარი არტყია გარშემო. ზედაპირი ადრე ნაპრიალები ყოფილა, ამჟამად მჭრქალია. სიმაღლე 8,8 სმ; დმ პირის 2,5 სმ; უდ. დმ 24,0 სმ; ძირის 8,5 სმ.

653 (12—54: 4738; სურ. 686). ქ ი ლ ა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხის; რუხპრიალა, მაღალი, პირგადმოშლილი, კოხტაყელიანი, კვერცხისებრ-მუცლიანი, ორყურა; ოთხკუთხა განივკვეთიანი თოქმა ყურები მხარს ქვემოთ აქვს მიძერწილი. ყელის ძირში წვრილი, ხოლო მხარზე (ყურს ზემოთ) სამი

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII (?) (ძვ. წ. XII ს. (?)—რედ.)

კონცენტრული ღარი არტყია. ღარების ამ ორ სისტემას შორის ადგილგამოშვებით ვერტიკალური ნაპრიალები ზოლებია. სიმაღლე 33,0 სმ; დმ პირის 11,5 სმ; მუცლის 29,0 სმ; ყურის სისქე (უმცირესი) 1,2 სმ; ძირის 10,1 სმ.

654 (12—54:4736; სურ. 685). ქ ი ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; პირფართო, მომრგვალებული ბაკოთი, ყელდაბალი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი (კვერცხისებრი ეთქმის); მხარზე ორი მეტ-ნაკლებად ღრმა ღარი არტყია. სიმაღლე 24,0 სმ; დმ პირის 17,0 სმ; მუცლის 29,0 სმ; ძირის 9,0 სმ.

655 (12—54:4734; სურ. 690). ქ ო თ ა ნ ი მუქ ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, მქისე ზედაპირიანი; ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მხრებდაქანებული; მხარზე ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყელი არტყია. მთელი ზედაპირი ერთიმეორეზე მიჯრილი ღარებითაა დაფარული. ძირის წიბო დაკეჭნილი, ხოლო ზედაპირი სპირალური ღარითაა დაფარული. სიმაღლე 13,0 სმ; დმ პირის 12,3 სმ; მუცლის 16,0 სმ; ძირის 6,1 სმ.

656 (12—54:4735; სურ. 689). კ ო ჭ ო ბ ი (?) — ყურიანი, ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა, მომრგვალებული ბაკოთი, რამდენადმე ყელაშვეტილი; ცალყურა (მოტეხილი და დაკარგულია). სფერულმუცლიანი, ქუსლგამოყოფილი; ყელის ძირში 3—4 მკრთალი ღრი გადასდევს. სიმაღლე 13,0 სმ; დმ პირის 8,1 სმ; მუცლის დმ 14,3 სმ; ქუსლის სიმაღლე 0,5 სმ;

657 (12—54:4739; სურ. 687). ს ა ს ა მ ი ს ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა.

658 (12—54:4740). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროა; ყუნწგადმოკეცილი ყოფილა. ორად არის გატეხილი.

659 (12—54:4741; სურ. 692). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, თავხვია, თავისაკენ დაწახნაგებული, რომელზედაც თევზიფხური სახეებია გამოყვანილი; დეფორმირებულია. სიგრძე 9,0 სმ; წახნაგის სისქე 0,3 სმ.

660 (12—54:4742; სურ. 692). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, თავის ნაწილები ოთხწახნაგოვანი, თევზიფხური სახეებით შემკული; დეფორმირებული. სიგრძე 9,1 სმ; უდ. სისქე 0,4 სმ.

661 (12—54:4743; სურ. 692). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, თავის ნაწილში დაოთხწახნაგებული; რამდენადმე დეფორმირებული, თავის ხვიას ნაწილი მოტეხილი და დაკარგულია. სიგრძე 10,2 სმ. უდ. სიგანე 0,4 სმ.

662 (12—54:4744:4745). **მ ძ ი ვ ე ბ ი** სარდიონისა, სხვადასხვა ზომისა, ზოგადად მანდარინისებური. სიმაღლე 0,1—0,6 სმ; დმ 0,4—0,9 სმ.

ორმოსამარხი 228 (1946 წ., N; სურ. 693—704).

აღმოჩენილი იყო VII თხრილის დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 2,00 მეტრის სიღრმეზე, 572-ე ქვასამარხის ჩრდილოეთით, მასზე მჭიდროდ მიდგმული. სამარხს ეჭირა მოედანი 1,50×1,20 მ. შიგ იწვა საშუალო ტანის მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მძინარის პოზით, თავით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული. თავის ქალის ნატეხები 572-ე ქვასამარხის ჩრდილო კედლის ძირის გასამაგრებლად ჩაწყობილ ფიქალსა და რიყის ქვას შორის ჩაჩხირულიყო. ამიტომ იმ ადგილას, სადაც გათხრის დროს თიხის ღრმა თეფში აღმოჩნდა და სადაც თავის ქალა უნდა ყოფილიყო, მხოლოდ კბილის მალები შემორჩენილა. ფეხები ხერხემალთან მიმართებით სწორკუთხოვნად მოხრილი ჰქონდა, თუმცა წვივები საგრძნობლად შემოკეცილი. ხელები მიცვალებულისათვის სახის წინ დაეწყვიათ. გულმკერდის არეში, ისევე როგორც ფეხებთან, რიყის ბრტყელი ქვები ედო. ხერხემლის მალები დაშლილი, გადაადგილებული და დაფხვნილი იყო.

მიცვალებულს თან ახლდა შავად გამომწვარი თიხის სხვადასხვა ზომის, მოყვანილობისა და დანიშნულების ათი ჭურჭელი, მათ შორის: თავის არეში — ღრმა თეფში თუ ბადია; აქედან ჩრდილოეთით, ერთიმეორის მიყოლებით — კოჭობი, ქოთანი, ბიბილოსებრი ყურიანი სურა, ორი ქოთანი და ქილა: გულმკერდის არეში — ისევ ბადია, ხოლო მუხლთა წინ — დოქი და მოზრდილი ქილა. სახის წინ, რიყის ქვაზე, ბრინჯაოს ერთიანმასრიანი შუბისპირი იდო; წელში გაჩრილი ჰქონია ბრინჯაოსავე მოკლე, ფოთლისებრი სატევრისპირი, რომლის კოტას ფირფიტოვანი ბრინჯაოს ორნაწილედი გარსაკრავი ჰქონია. აქვე იყო თხელი ნესტარისებრი ისრისპირი, მეორე ასეთი ისრისპირი ზურგს უკან აღმოჩნდა. პირველად ხსენებულ ბადიაზე იდო თავბრტყელი ლურსმნის მაგვარი ბრინჯაოს საკინძი, ნახერეტიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მოყვანილობის, ისევე როგორც მრგვალი და კონუსურთავიანი საკინძები არქაული ფენის სამარხებში ძალიან იშვიათია, რის გამოც ისინი ამ ფენისეული ინვენტარის დასახასიათებლად ვერ გამოდგებიან*.

663 (12—54:6169; სურ. 695). **ქ ი ლ ა** ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, რუხპრიალა; მაღალი, პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მხრებდაქანებული, კვერცხისებრ მუცლიანი, ძირჩავიწროებული. ყელის ძირსა და მხარზე სამ-სამი კონცენტრული ღარი არტყია. სიმაღლე 27,5 სმ; დმ პირის 15,5 სმ; მუცლის 27,5 სმ.

664 (12—54:6171; სურ. 696). **ქ ი ლ ა** მუქნაცრისფრად, ალაგ-ალაგ მოშავოდ გამომწვარი თიხისა, რუხპრიალა, პირგადმოშლილი, დაბალყელიანი,

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I—II, XII (გვაინბრინჯაო I—II, ძვ. წ. XII ს. -რედ.).

მხრებდაქანებული, მუცელგანიერი. ყელის ძირთან ახლოს (მხარზე) ორი ღრმა და ფართო ღარი გადასდევს. ძირი აქერცლილი აქვს. სიმაღლე 22,7 სმ; დმ პირის 17,5 სმ; მუცლის 27,9 სმ; ძირის 8,5 სმ.

665 (12—54:6163; სურ. 699). ქ ი ლ ა ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები, პირფართო, ოდნავ გადაშლილი პირით, ძალიან დაბალყელიანი, მუცელგანიერი; მუცელს ბიკონუსურიც ეთქმის. ყელის ძირსა და მუცლის წიბოს ირგვლივ საკითხოდ კონცენტრული ღარი არტყია. სიმაღლე 12,7 სმ; დმ პირის 14,0 სმ; მუცლის 16,5 სმ; ძირის 7,7 სმ.

666 (12—54:6167; სურ. 698). ქ ი ლ ა (ქოთანიც ეთქმის) მურა-ლეგად გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადმოშლილი, ოდნავ ყელგამოყოფილი, მხრებდაქანებული, ზომიერმუცლიანი. ყელის ძირთან მოყოლებული ძირამდე დაფარულია კონცენტრული ღარებით (19 ღარი დაითვლება). დაკეპნილი აქვს ძირის წიბოც და თვით ძირიც სპირალურად აქვს დაფარული, როგორც თითქმის ყველა „კახურ“ ჭურჭელს. პირ-გვერდისა და ძირის 1/3 მეტი ამოტეხილი და დაკარგულია. სიმაღლე 15,0 სმ; დმ პირის 16,1 სმ; ძირის 5,9 სმ.

667 (12—54:6172). ქ ი ლ ი ს ა (თუ ქოთნის) ნატეხები მურა-ლეგად გამომწვარი თიხისა; გადანატეხში მოყავისფრო; შედარებით თხელკედლიანი ყოფილა.

668 (12—54:6164; სურ. 697). კ ო ჭ ო ბ ი (სასმისად გამოყენებული) მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; პირფართო, რომელიც მოვიწროებული აქვს (პირმოყრილიც ეთქმის), სფერულმუცლიანი. ძირის ნაწილი სქელკედლიანია. პირის გარშემო (გარედან) სამი ღარი არტყია. ქვედა ღარი უფრო ფართო და ღრმაა, რის გამოც პირი მუცლისგან წიბოთი გამოყოფილის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიმაღლე 8,5 სმ; პირის დმ 9,6 სმ; მუცლის დმ (მხრებში) 12,0 სმ; ძირის დმ 6,0 სმ.

669 (12—54:6168; სურ. 694). დ ო ქ ი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; პირფართო, ყელმაღალი, თითქმის სფერულმუცლიანი. პირიდან გადმოსული ბრტყელი, ოთხკუთგანივკვეთიანი ყური მხარს ეყრდნობა; ყელის ძირს სამი მკრთალი კონცენტრული ღარი ერტყმის, მხარს კი წნევითი ზოლებისაგან შემდგარი ბადურა სახე ამკობს. პირი მომტვრეული აქვს. სიმაღლე 26,5 სმ; მუცლის დმ 22,0 სმ; ძირის დმ 9,3 სმ.

670 (12—54:6165; სურ. 693). ხ ე ლ ა დ ა (თუ ლიტრა) ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; წვრილყელიანი, თითქმის ბიკონუსურმუცლიანი: ცალყურა, რომელიც მრგვალგანივკვეთიანია და ყელსა და მხარს აერთებს. ყურზე ბიბილოებია დაძერწილი უნაგირისებრად. ერთ-ერთი ბიბილო „ყურდაცქვეტილია“. ყელის ძირს ორი ღარი არტყია. პირი და ყელის ნაწილი ჩამომტვრეულია.

671 (12—54:6165; სურ. 693). ხ ე ლ ა დ ა (თუ ლიტრა) ნაცრისფრად გა-

მომწვარი თიხისა; წვრილყელიანი, თითქმის ბიკონუსურმუცლიანი, ცალყურა, რომელიც მრგვალგანივკვეთიანია და ყელსა და მხარს აერთებს. ყურზე ბიბილოებია დაძერწილი უნაგირისებრად. ერთ-ერთი ბიბილო „ყურდაცქვეტილია". ყელის ძირს ორი ღარი არტყია. პირი და ყელის ნაწილი ჩამომტვრეულია. სიმაღლე 20,7 სმ; მუცლის დმ 14,0 სმ; ძირის დმ 6,3 სმ; ყურის გასახედის სიგრძე 4,8 სმ; სისქე 0,7 სმ.

672 (12—54:6166; სურ. 701). ლ ა ნ გ ა რ ი (ბადიაკ ეთქმის) შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; ღრმა, თითქმის სწორბაკოიანი, დაბალნაპირიანი. სიმაღლე 6,8 სმ; დმ პირის 26,3; ძირის 8,5; ბაკოს სისქე 1,1 სმ.

673 (12—54:6170; სურ. 700). ლ ა ნ გ ა რ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, მომცრო, მაგრამ ღრმა, მომრგვალებული ბაკოთი, დაბალნაპირიანი. თითქოს ქუსლგამოყოფილი. სიმაღლე 6,3 სმ; დმ პირის 22,3 სმ; ძირის 7,5 სმ.

674 (12—54:6174; სურ. 703). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ალისებრი მოყვანილობისა, შუაზე მსხვილქედიანი, რომელიც წვერამდე გასდევს; ფხაალესილი და ალაგ-ალაგ გამოქმული. აქეთ-იქით წვრილი ნაჩვრეტი აქვს მანქვლებისათვის. სატარე ნაწილში პატარა ყუნწია გამოყოფილი. თან ახლავს ბრინჯაოს კირკიტოვანი სალტის სამი ნატეხი, რომელთაგან ერთს მანქვალიც ახლავს. სიგრძე 19,4 სმ; სისქე (ვადაში) 6,0 სმ.

675 (12—54:6175; სურ. 702). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ფოთლისებური, მთლიანმასრიანი, რომლის ღრუ პირს ქედი გასდევს წვერამდე. მასრას ირგვლივ შემოსდევს ორი ლილვაკისებრი ბეჭი, რომელთა შორის 0,5 დიამეტრის მქონე წყვილი ნახვრეტია ტარზე დასამაგრებლად. გაწმენდილია. ტანზე რვა ბურღი აქვს დარტყმული ლითონის სინჯის ასაღებად. საერთო სიგრძე 13,9 სმ; მასრის სიგრძე 5,4 სმ; დმ 1,7 სმ.

676 (12—54:6173). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელი, ნესტარისებრი, სამკუთხა, ქუსლამოღარული, წვერთან ახლოს ნახვრეტი აქვს ზროზე დასამაგრებლად. ცალი მხარე ჩამოტეხილი აქვს. სიგრძე 2,2 სმ.

677 (12—54:6176; სურ. 704). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი, ლურსმნისებრთავიანი; ყელდაღარული, რომლის ქვეშ ოვალური ნახვრეტი აქვს. სწორედ აქ არის გატეხილი. სიგრძე 8,3; თავის დმ 1,0 სმ.

678 (12—54:6177). ფრაგმენტები ბრინჯაოს ფირფიტისა (3 ც.). ერთს მანქვალი ახლავს.

ორმოსამარხი 261 (1946, N; სურ. 705—717).

აღმოჩენილი იყო VIII ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1,75 მ სიღრმეზე. აღსანიშნავია, რომ ამ სამარხს ზემოდან ადრეული რკინის ხანის ორი (№№ 259 და 260) სამარხი აწვა. ამათგან 259-ე სამარხი აღმოჩენილი იყო 1,20 მ სიღრმეზე. 260-ე ამის ქვეშ, უფრო სამხრეთით. 1,50 მ, ხოლო 261-ე კი უფრო

ჩრდილოეთით. როგორც აღვნიშნეთ, სამარხი 1,75 მ სიღრმეზე იყო და ამის გამოც უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნებოდა. სამარხის მიერ დაკავებული ფართობი 1,50×0,95 მ უდრიდა. იგი მოყვითალო თიხნარში იყო გაჭრილი.

სამარხში ესვენა უკვე ზრდადასრულებული ადამიანის (მამაკაცის) ჩონჩხი, თავით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული, მარჯვენა გვერდზე მწოლარე, მკვეთრად შემოკეცილი ფეხებით; მოხრილობა თეძოს სახსარში ნაკლებ საგრძნობია. ჩონჩხი რიყის ორ წყვილ ქვას შორის იყო მოქცეული, ამათგან წყვილი მოგრძო და ბრტყელი ქვა თავის აქეთ-იქეთ კოხტად, სასთუმლისებრ ჰქონდა შემოწყობილი, უფრო დამრგვალებული წყვილი ქვა ტერფებს აქეთ-იქეთ ეწყო. ხელები სახის წინ ჰქონდა ქვაზე დაწყობილი. თავის ქალა ადგილზე აღარ შემორჩენილა. ჩვენი ვარაუდით, იგი 260-ე სამარხის ორმოს გაჭრისას შეიძლებოდა დამტვრეულიყო და მისი ნატეხები მიწაში გაფანტულიყო. მიცვალებულს თავის არეში (წარმოსახვით) აღმოაჩნდა ცხვრის ქვედა ყბის ძვლები. გარდა ამისა, მას თან ახლდა შემდეგი სამარხეული ინვენტარი: წინ, თავიდან მოყოლებული ფეხებამდე ერთიმეორეზე მიჯრილი იყო შავად გამომწვარი თიხის ხუთი ჭურჭელი: ცალყურა ქოთანი (ყურბიბილოიანი), ღრმა ჯამი, სადღეგელი, პირფართო მოზრდილი ქილა და ორყურა, წყვილსაკერულიანი ქილა. წელში გარჭობილი ჰქონდა ბრინჯაოს მოკლე, უტარო ფოთლისებრი სატევრისპირი, ზურგს უკან ბრინჯაოს თავქუდა საკინძი იდო, ამის ქვემოთ — სარტყლის ნახევრადმგრვალი კავიანი ბალთა. თავს გადაღმა იყო ბრინჯაოსივე თხელი, ნესტარისებრი, სამკუთხა, ქუსლამოღარული ისრისპირი და ირმის რქისაგან გაკეთებული ლახტისთავი*.

679 (12—54:6565; სურ. 709). ბ ა დ ი ა (ღრმა ლანგარიც ეთქმის) ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი; კალთა მკვეთრად აქვს დაქანებული. ძირის წიბო დამრეცად ნაკეკნი ხაზებით აქვს შემკული. სიმაღლე 8,0 სმ; დმ პირის 25,5 სმ; ძირის 9,7 სმ.

680 (12—54:6564; სურ. 708). ქ ო თ ა ნ ი, მონაცრისფრო-ლეგად გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადმოშლილი, მუცელგანიერი, ცალყურა (რომელზედაც ბიბილოსებრი ნაჭერწი აქვს). მთელი ტანი კონცენტრული დიდ-პატარა ღარებით აქვს დაფარული. ძირი სპირალურად დახვეული ღარით, ხოლო მისი წიბო დამრეცად ნაკეკნი ხაზებით არის შემკული. ტიპიური კახური ჭურჭელია. სიმაღლე 14,5 სმ; დმ პირის 12,3 სმ; მუცლის 17,0 ძირის 7,5 სმ.

681 (12—54:6567; სურ. 707). ქ ი ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; პირფართო (ოდნავ გადმოშლილია) დაბალყელიანი, მაღალი, მუცელგანიერი, შავად ნაპრიალები: მხარზე ორ ღარს შორის მოთავსებული თევზიფხური ორ-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII (ძვ. წ. XII ს.—რედ.).

ნამენტის სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 22,5 სმ; დმ პირის 19,0 სმ; მუცლის 27,0 სმ; ძირის 10,0 სმ.

682 (12—54:6556; სურ. 706). ქ ი ლ ა-ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები, ყელმომაღლო, კვერცხისებრტანიანი, მხარზე განივად მოძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ყურითა და სასულე ჭიპით. ყელზე ოდნავ შესამჩნევი გლუვზედაპირიანი ღარებია. თითო ღარი, ოღონდ მკვეთრად გავლებული, ყელის ძირსა და მხარსაც გადასდევს. ამ ღართა შორის ზემოდან ქვემოთ ხანგამოშვებით გადასდევს შავპრიალა ზოლები. სიმაღლე 32,0 სმ; დმ პირის 10,0 სმ; მუცლის 26,0 სმ; ძირის 9,6 სმ; სასულეს 0,8 სმ.

683 (12—54:6568; სურ. 705). ქ ი ლ ა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირმოყრილი; პირს გარედან ღარი გადასდევს (ალბათ სახურავის მჭიდროდ მოსარგებად), ქობა დაშვებულია. მხარზე საპირისპიროდ მიძერწილი აქვს წყვილი, მრგვალგანივკვეთიანი ყური და წყვილი საცერული მრგვალბრტყელი ზედაპირით. მხარზე, საცერულების დონეზე, კლაკნილი, ტალღისებრი ღარი გადასდევს, რომელსაც ფუძით ეყრდნობა შავპრიალა სამკუთხედები. ნაპრიალები სამკუთხედების წვერები კი ეყრდნობა მხარ-მუცლის საზღვარზე გავლებულ ღარს. ესა და წინამორბედი კარგი სანახავი ჭურჭლებია. სიმაღლე 21,0 სმ; დმ პირის 15,5 სმ; მუცლის 27,5 სმ; ძირის 9,2 სმ.

684 (12—54:6569; სურ. 711). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი, მოკლე; ფოთლისებრი, შუაზე დაბალქედიანი; საქარე ნაწილი ოვალურია და ორი ნაჩვრეტი აქვს ტარის დასამაგრებლად. კარგად ეტყობა პირგამოკვერილობა. ცალი ფხა აჩენჩილია). სიმაღლე 16,0 სმ; სიგანე (მხრებში) 6,0 სმ.

685 (12—54:6570; სურ. 712). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი: სამკუთხა, პაწია, თხელი, გველის ნესტარისებრი; ქუსლამოღარული. წვერთა ახლოს ნახვრეტიანი ზროზე დასამაგრებლად. სიგრძე 2,20 სმ; სიგანე 1,6 სმ; სისქე 0,5 სმ.

686 (12—54:6571; სურ. 713). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავქუდა (ლურსმნისებური), ყელდალარული, ოვალურნახვრეტიანი (სწორედ ნახვრეტზეა გადატეხილი). სიგრძე 12,7 სმ; ქუდის დმ 1,1 სმ.

687 (12—54:6572; სურ. 714). ბ ა ლ თ ა სარტყლისა, ბრინჯაოსი, ნალისებრი მოყვანილობის, ბრტყელი, მაგრამ საკმაოდ სქელი (0,3 სმ) ფირფიტაა, რომელსაც უკუღმა მხარეზე სამი მრგვალი ყუნწი აქვს მირჩილული ქამრის ტყავზე დასამაგრებლად, ხოლო ამათ საპირისპიროდ წვეტიანი კავია გამოყვანილი. წაღმა, გამოსაჩენ მხარეზე, სამ თვალად დახვეული უწყვეტი სპირალია ამოკაწრული, ხოლო ბალთის კიდეები შემკულია ორწყვეტად ჩამწკრივებული სამკუთხა ჭდეებით. სიგრძე 4,8 სმ; სიგანე 6,1 სმ; კავის სიგრძე 2,5 სმ.

688 (12—54:6573; სურ. 710), ირმის რქისძირი, ტოტებწაკვეთილი და

ძირთან განივად გახვრეტილი. ლახტისთავად გამოყენებული უნდა ყოფილიყო. სიმაღლე 8,0 სმ; ძირის მოედანი 7,5×6,0 სმ; ნახვრეტის სიგრძე 2,5 სმ.

ორმოსამარხი 268 (1946, N; სურ. 715—722). მიკვლეული იყო VIII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1,90 მ სიღრმეზე. ამ სამარხის ზედა ჰორიზონტშიც სხვა (262-ე), ადრეული რკინის ხანის სამარხი, იყო მოთავსებული (იხ. ქვემოთ). სამარხს ეჭირა 1,55×0,95 მ. სამარხში რიყის ოთხ ქვას შორის მოთავსებული იყო საშუალო სიმაღლის მამაკაცის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, თავისუფლად ფეხებმოხრილი: ხელები სახის წინ მდებარე ლანგარში ეწყო. წვივის ძვლები ერთიანად დაჩეჩქვილიყო; წელს ზევითა მალები დასახსრულიყო და რამდენადმე არეულიყო. საფლავის ცენტრში და თავის მახლობლად ცხვრის უკანა კიდურთა ძვლები ეყარა. მიცვალებულს ახლდა შემდეგი ინვენტარი: თავთან, რიყის ერთ-ერთ ქვაზე, შავი თიხის მაღალი სასმისი (სათანადო ჭურჭელი) იყო მიყრდნობილი; სახის წინ ლანგარი ედგა; წვივ-მენჯთა გასწვრივ ერთიმეორეზე მიყოლებით გამწკრივებული იყო დიდი, პირვიწრო, ორყურა ქილა, შემდეგ მომცრო ქილა, რომელსაც ყელზე ორი მოპირდაპირე ნახვრეტი აქვს, ერთიც მოზრდილი პირფართო ქილა, რომელზედაც იდო ყურიანი სასმისი. ბრინჯაოს მოკლე, ფოთლისებრი სატევრისპირი მკერდ-მუცლის არეში იყო; ბეჭისა და ზურგის მიდამოში ბრინჯაოს წყვილი საკინძი აღმოჩნდა: ერთი თავხვია, მეორეც თავქუდა, ყელდაღარული და ნახვრეტიანი: სატევრის ქვეშ ბრინჯაოსივე პაწია ჩქიფი და თხელი, ნესტარისებრი ისრისპირი იყო; უკან, წელის მიდამოში, იდო ირმის რქისაგან გაკეთებული ლახტისთავი.

ეს ერთი იმ სამარხთაგანი იყო, რომელშიაც კარგად გამოირჩეოდა ახალი ელემენტები: თავმრგვალი საკინძი და, განსაკუთრებით, ჩქიფი. გარდა ამისა, ამავე სამარხმა მოგვცა ე. წ. სათანადო, გზაში სატარებელი და ჩამოსაკიდებელი ჭურჭელი*.

689 (12—54:6598; სურ. 718). ლ ა ნ გ ა რ ი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; სწორად კვეთილი პირი აქვს, ოდნავ გადმოშლილი. დაბალნაპირიანი. თანაბრად დაქანებულკალთებიანი. სიმაღლე 6,2 სმ; დმ პირის 25,5 სმ, ძირის 8.0 სმ; ბაკის სისქე 1,2 სმ.

690 (12—54:6600; 719). ქ ი ლ ა რუხ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები ყოფილა, მაგრამ გადასულა, მომრგვალებული ბაკითი, ყელდაბალი, რომელშიც საპირისპიროდ წვრილი ნახვრეტია დატანებული (0,9 სმ დიამეტრის ზონრისათვის). მუცელგანიერია. ყელის ძირს კლაკნილი ღარი

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII (ძვ. წ. XII ს.—რედ.)

გადასდევს. მხარზე კი ორ ფართო ღარს შორის მოთავსებული თევზიფხური სარტყელია. ერთიც ღრმა ღარი მხარ-მუცლის საზღვარზე არტყია. სიმაღლე 23,7 სმ; დმ პირის 12,0 სმ; მუცლის 26,0 სმ; ძირის 9,0 სმ.

691 (12—54:6599). ქ ი ლ ა რუხ-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები, მაღალი; პირგადმოშლილი, ყელმაღალი, კვერცხისებრმუცლიანი, ორყურა. ყური ბრტყელი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი (ცალი მოტეხილი და დაკარგულია). ყელის ძირზე მკრთალი ღარი არტყია. მის ქვემოთ ასევე მკრთალი, მაგრამ კლაკნილი ხაზია. ამ ხაზსა და მხარზე გავლებულ სამ ღარს შორის შავად ნაპრიალები ზოლები თუ ლენტებია მოთავსებული ადგილგამოშვებით. თითოეულ ზოლს შუაში ზემოდან ქვემოთ ჩამოსდევს კლაკნილი ხაზი, აგრეთვე ნაპრიალები. სიმაღლე 34,0 სმ; დმ პირის 11,3 სმ; მუცლის 28,5 სმ; ძირის 9,7 სმ.

692 (12—54:6601; სურ. 716). ქ ი ლ ა რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პირფართო, მომრგვალებულბაკოიანი, ოდნავ ყელგამოყოფილი, განიერმუცლიანი, ძირჩავიწროებული. მხარზე (ყელის ძირთან ახლოს) ორი ღრმა, ფართო ღარი არტყია. სიმაღლე 25,0 სმ; დმ პირის 15,5 სმ; მუცლის 28,5 სმ; ძირის 9,7 სმ.

693 (12—54:6602; სურ. 715). ქ ა თ ხ ა-ს ა ს ა მ ი ს ი რუხ-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; წელში გამოყვანილი ცილინდრის ტანი აქვს; პირს გარედან ღარი გადასდევს. ცალყურა; ყური გრძელგანივკვეთიანია და ზემოდან ბიბილო აქვს დაძერწილი. ძირი შემკული აქვს ნაპრიალები ზოლებით, პატარა ძირი აქვს გამოყოფილი. სიმაღლე 9,3 სმ; დმ პირის 9,2; მუცლის 8,0 სმ; ძირის 4,3 სმ.

694 (12—54:6597; სურ. 717). ქ ი ლ ა-ს ა ს ა მ ი ს ი რუხ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები. სიგარისებრტანიანი, ძირისკენ ოდნავ შევიწროებული (ბოლო ხანებში გავრცელებულ მაწვნის ჭილას ჰგავს). გარედან, პირის ირგვლივ, ღრმა ღარი გადასდევს. ძირზედაც (კიდესთან ახლოს) წყვილი ღარია. უშუალოდ პირთან და ძირთან სათითაოდ პაწია (ზონრის გასაყრელი) ყურებია გამოყვანილი, რომელთაც გასახედის დმ 0,9 სმ; სიმაღლე 2,0 სმ; დმ პირის 9,2 სმ; მუცლის 10,6 სმ; ძირის 6,4 სმ.

695 (12—54:6603. სურ. 721). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, ფოთლისებრი მოყვანილობისა, შუაზე სქელკედლიანი, წყვილნახვრეტიანი. ტარსაგები ნაწილი სამკუთხა მოყვანილობისაა. ფხა მძაფრად არის ალესილი. ახლავს ერთი მანჭვალი. სიგრძე 17,5 სმ; სიგანე (მხრებში) 5,5 სმ; ქედის სისქე 0,6 სმ.

696 (12—54:6604). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; სამკუთხა თხელი, ნესტარისებრი, ქუსლამოღარული, შუაში ნახვრეტიანი, ბალიან პატარა. სიგრძე 1,0 სმ; სიგანე (ფრთებში) 1,6 სმ; სისქე 0,3 სმ.

607 (12—54:6605: სურ. 722). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავხვია, ზედა ნაწილში ოთხწახნაგა; წვერისაგან ჩამრგვალებული, წახნაგებზე თევზიფხური სახეების ნაკვალევია. სიგრძე 9,6 სმ.

698 (12—54:6606; სურ. 722). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; თავქუდა (დაბალ-კონუსური მოყვანილობის); ყელი ირგვლივ სამღარიანი და ოვალურნახვრეტიანი, წვერწატეხილი. სიგრძე 9,0 სმ; ქედის დმ 0,8 სმ.

600 (12—54:6607). ჩ ქ ი ფ ი ბრინჯაოსი; თხელფირფიტოვანი უსახო, გატეხილი. სიგრძე 7,3 სმ; სიგანე (ყბისა) 1,3 სმ.

700 (12—54:6608; სურ. 720). ირმის რქისძირი, ტოტებწაკვეთილი (სამი ტოტი ყოფილა) ძირთან მრგვალად გადახვრეტილი, ლახტისთავად გამოყენებული. სიმაღლე 9,0 სმ; ძირის მოედანი 6,5×6,3 სმ; ნახვრეტის სიგრძე 4,7 სმ; სიგანე 2,9 სმ.

ორმოსამარხი 266 (1947, N; სურ. 723—731). გაითხარა VIII ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 2,20 მ სიღრმეზე, ეპირა 2,0×0,9 მ ფართობი.

ამ სამარხის თავისებურება იმაშია, რომ მას ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე ერთწყებად შემოწყობილი ჰქონდა მუდა ქვიშაქვის ფილაქვები. ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე სამი ასეთი და ერთიც რიყის ქვა ეწყო; სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე კი ერთი მოგრძო ნაგლეჯი ქვა იდო დამრეცად. ქვების ასეთი წყობა ქმნიდა კუთხეს, რომლის გვერდები, თუ შიგნიდან გავზომავთ, შესაბამისად 0,60 და 0,85 მ სიგრძისა იყო. აღსანიშნავია, რომ წყობის დონე ჩონჩხისა და ინვენტარის დონიდან 0,30 მ უფრო მაღლა იყო. ამ მხრივ ეს სამარხი ძალიან მიაგავდა 101-ე,113-ე, და ზოგიერთ სხვა სამარხს.

სამარხში აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი, ერთობ ცუდად დაცული; იგი მარცხენა გვერდზე იწვა და თავით ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ იყო მიქცეული. ფეხები თავისუფლად მოხრილი ჰქონდა, ხელები კი სახის წინ ეწყო. მიცვალებულის სიახლგაზრდავეს მოწმობდა ზოგიერთი ძვლის ზომაც. მაგ., ბარძაყის სიგრძე 0,35 მ, მხრისა 0,25 მ, ცალი მენჯის სიფართე 0,12 მ და სხვ. ძვალთა უმრავლესობას ეპიფიზები უკვე მოშორებული ჰქონდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი ადგილზე იყო. სიბრძნის კბილები ჯერ არ ამოსვლოდა. ძვლები, ხნოვანების შესაბამისად, წვრილი და ნაზი ჰქონდა. მიცვალებულისთვის ჩაეტანებინათ ცხვრის ხორცი, რის დამამტკიცებელი იყო ცხოველის კოჭის ძვლები, რომლებიც მუხლთან ეყარა. სამარხეული ინვენტარი შეიცავდა შავად და რუხად გამომწვარი თიხის ოთხ ჭურჭელს (ლანგარსა და ჯამს — სახის წინ, ქოთანსა და დერგს — ქვედა კიდურების არეში), ბრინჯაოს წვრილი მავთულის თავგახსნილ ყურსაკიდ რგოლებს, პარკეტულად

შემკულ ზედაპირიან ანტიმონის ბრტყელ სამნახვრეტა მძივებს, სარდიონ-სა, პასტისა და ძვლის მძივებს. ამათ შორის ძვლისა ერთია, ბრტყელი, მოხრილი, გაპრიალებული და ორი განივი ნახვრეტით აღჭურვილი. ყველა ესენი გულ-მკერდის არეში აღმოჩნდა*.

701 (12—54:7202; სურ. 723). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (თითქმის გადასულია); მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, მომაღლო ყელიანი, კვერცხისებრტანიანი. მხარზე სამი კონცენტრული ღარი არტყია, მათგან წყვილი ურთიერთთან უშუალოდ ახლოსაა, ერთი კი ქვემოთ, ძოშორებით. გვერდ-ძირის ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 30,3 სმ; დმ პირის 11,1 სმ; მუცლის 23,6 სმ; კედლის სისქე 0,7 სმ.

702 (12—54:7203; სურ. 724). ქ ი ლ ა მოშავო-ლეგად გამომწვარი თიხისა; პირგანივი ოდნავ პირგადაშლილი, ქობადაკეკნილი, დაბალყელიანი, მხრებგანიერი, კვერცხისებრტანიანი. ყელზე ტალღოვანი ღარი, ხოლო მხარზე დამრეცად წვრილი ჭდე-ხაზებისაგან შემდგარი სარტყელი არტყია. ძირის წიბოც დაკეკნილია კახურად. სიმაღლე 20,0 სმ; დმ პირის 14,8 სმ; მუცლის 20,5 სმ; ძირის 8,0 სმ.

703 (12—54:7205; სურ. 726). ბ ა დ ი ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; მოგრძო ბაკოიანი, მაღალნაპირიანი, რომელიც ოდნავ შიგნით არის შეწეული. კალთები გარედან ალაგ-ალაგ აქერცლილია. სიმაღლე 8,5 სმ; პირის დმ 24,5 სმ; ნაპირის 2,7 სმ; ძირის 10,0 სმ.

704 (12—54:7204; სურ. 725). ჯ ა მ ი (ფიალაც ეთქმის) შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები. ზემოთ აღწერილი ბადიის ზუსტი ანალოგი, ოღონდ პატარა. სიმაღლე 5,1 სმ; დმ პირის 13,3 სმ; ძირის 5,5 სმ.

705 (12—54:7206; სურ. 730). რ გ ო ლ ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; უწესო წრიული; პირი პირზე შესული. 2,8×3,0 სმ×0,25 სმ.

706 (12—54:7210; სურ. 728). მ ძ ი ვ ე ბ ი ანტიმონისა; სწორკუთხედის მოყვანილობისა, ბრტყელი, სამ-სამ ნახვრეტიანი. ზედაპირი თევზიფხურად, უფრო კი პარკეტულად არის დაკეკნილი. 2 ცალი ნიმუშის სიგრძე 2,1 სმ; სიგანე 1,4 სმ; სისქე 0,3 სმ.

707 (12—54:7207; სურ. 727). მ ძ ი ვ ე ბ ი სისხლისფერი სარდიონისა; დაბალციილინდრული; უხეშად ნაკვეთი; წვრილი. 81 ც.

708 (12—54:7208; სურ. 731). მ ძ ი ვ ე ბ ი თეთრი და მოშავო პასტისა; დაბალციილინდრული; წვრილი. 8 ც.

709 (12—54:7209; სურ. 729). მ ძ ი ვ ი შემაერთებელი ძვლისა, მოგრძო

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XII (გვიანბრინჯაო II, ძვ. წ. XII ს.—რედ.).

სწორკუთხედის ფორმისა, ზურგიანი, თავგადაშლილი; ზურგში ორი განივი ნახვრეტი აქვს. სიმაღლე 2,5; სიგანე 0,9 სმ; სისქე 0,3 სმ.

ორმოსამარხი 40 (1938, S; სურ. 732). აღმოჩნდა აღმოსავლეთ თხრილში. იგი წარმოდგენილი იყო ნაშთის სახით. ჩონჩხის ძვლებიდან აქ ნაპოვნია ადამიანის კეჩხის ერთადერთი ფრაგმენტი და ორი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სახელდობრ:*

710 (12—54:8924; სურ. 732). გ ო ზ ა უ რ ი შავლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; ოდნავ პირგადაშლილი, დაბალი ცილინდრული ყელით, მუცელგანიერი (კვერცხისებრი ტანიც ეთქმის), ოდნავ შესამჩნევად გამოყვანილი ქუსლი აქვს. გრძელგანივკვეთიანი ყური პირსა და მხარს აერთებს. ყელის ძირში ორ წვრილ ღარს შორის მოქცეული წვრილი ირიბი ხაზებით არის დასერილი. მხარს, ყურის ძირის დონეზე, წვრილი ღარი არტყია. ღართა შორის არე დაფარულია ირიბად განლაგებული წერტილოვანი მწკრივებით; წერტილებში თეთრად ინკრუსტირების ნაჭდევი ჩანს. ყელისა და მხრივ ღართა შორის ზედაპირი შევსებულია 13 ბადურად დაშტრიხული სამკუთხედით; მათგან 10 პატარაა, 3 დიდი კი ყელამდე სწვდება ჭურჭელს. დიდ სამკუთხედებში ბადურადვე ჩაშტრიხულია 8 სამკუთხედი (4—3—1). ყურის ორთავ მხარეს, ყელიდან მხრივ ღარამდე, სამ-სამი წვრილად ნაკაწრი ღარია, რომელთა შიგნითა არე წვრილი ხაზებით არის განივად დასერილი. სიმაღლე 27,3 სმ; ყელის 4,2; დმ პირის 10,7; მუცლის 27,0 სმ; ძირის10,1 სმ. აღდგენილია.

711 (12—54:8925). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადაშლილი, დაბალყელიანი, ზედაპირხაოიანი, ბრტყელძირიანი ქილა ყოფილა. ზედაპირი წვრილი ხაზებით ჰქონია დასერილი (როგორც ეს თანდართულ კახურ ჭურჭელს ჰქონდა). ძირის დმ 9,1 სმ; კედის სისქე 0,7 სმ.

ორმოსამარხი 33 (1939, N; სურ. 733—738). გაითხარა VI თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედაპირიდან 1,60 მ სიღრმეზე. ფაქტიურად იგი ორმოსამარხის ნაშთს წარმოადგენდა. დარჩენილი წვივების, ბარძაყისა და თეძოს ძვლის ნატეხების მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ ჩონჩხის მდებარეობის სურათი. მიცვალებული უნდა წოლილიყო მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ მიქცეული. მოხრილი ქვედა კიდურებით. დანარჩენი ძვლებისა და ალბათ ინვენტარის ნაწილი აქ ქვის სამარხის გამართვისას განადგურებულა. სამარხის თხრისას გამოვლინდა*:

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XII (გვიანბრინჯაო II, ძვ. წ. XII ს.—რედ.).

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XII—XI (გვიანბრინჯაო II, ძვ. წ. XII—XI სს.—რედ.).

712 (12—54:1265; სურ. 735). დ ე რ გ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, დიდი, მაღალი, პირფართო, ბაკოგადმოწეული, დაბალი ცილინდრული ყელით, მხრებგანიერი, კვერცხისებრტანიანი, ძირჩავიწროებული, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. მხარ-მუცელზე ბრტყელი წყვილი ყურია, რომელსაც ზემოდან ლილვაკისებრი ზედნაძერწი საცერული აქვს. ყელის ძირში წყვილი, მხარზე კი სამი ღარი არტყია ირგვლივ. ღართა შორის ზედაპირი შემკულია თხუთმეტი წვერდაშტრიხული ტოლფერდა სამკუთხედით. კარგი ნახელავია. სიმაღლე 29,5 სმ; ყელის სიმაღლე 2,7 სმ; დმ პირის 19,7 სმ; მუცლის 32,1 სმ; ძირის 9,1 სმ.

713 (12—54:1264; სურ. 734). ჭურჭლის (ვარაუდით დ ო ქ ი ს) დიდი ფრაგმენტი შავლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი ყოფილა; ყელის ძირში ღარები მიუყვებოდა. მხარზე წვრილ ღარს შორის თეკზიფხურად ნაჭდევი ორნამენტის სარტყელია. ძირის დმ 8,3 სმ; ჭ. სისქე 0,7 სმ.

714 (12—54:1266; სურ. 733). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა ზედაპირიანი; პირვიწრო და გადმოშლილი, კვერცხისებრმუცლიანი, ქუსლგამოყოფილი. სიმაღლე 7,3 სმ; დმ პირის 5,0 სმ; მუცლის 8,1 სმ; ძირის 4,1 სმ.

715 (12—54:1267; სურ. 738). შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მთლიანმასრიანი (რომელსაც წყვილი ნახვრეტი აქვს ტარზე გასამაგრებლად) პირი ალისებრი მოყვანილობისა აქვს. რამდენადმე პირდაჩენჩილია. სიგრძე 22,2 სმ; მასრის სიგრძე 10,0 სმ; პირის უდ. სიგანე 4,0 სმ.

716 (12—54:1268; სურ. 737). ნ ე მ ს ი ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; უუნწგაბრტყელებული და გახვრეტილი, ერთგან გაღუნული. სიგრძე 10,0 სმ.

717 (12—54:1269; სურ. 736). უცნობი დანიშნულების ნ ი ვ თ ი, ცხოველის ლულოვანი ძვლის სიგრძივ ჩამონატკეცზე გამოყვანილი; თავრგოლიანი ღეროა, გვერდებდაკეპნილი და ბოლოში გახვრეტილი. სიგრძე 7,8 სმ; ღეროს 6,0 სმ; რგოლის შიდა დმ 1,6 სმ; ღეროს ნახვრეტის 0,5 სმ.

ორმოსამარხი 64 (1939, N; სურ. 739—750)

მდებარეობდა VI თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში; აღმოჩნდა 2,50 მეტრის სიღრმეზე. იგი მოთავსებული იყო № 53 ორმოსამარხს ქვეშ, რომელიც რამდენადმე ახალგაზრდა ჩანს. სამარხის ფსკერის ფართობი 1,30×0,70 მ მოიცავდა. საფლავში საკმაოდ ძვალმსხვილი მამაკაცის ჩონჩხი ესვენა მარჯვენა გვერდზე, აღმოსავლეთით დამხრობილი; მიცვალებულს მარჯვენა ფეხი მეტად, მარცხენა კი ბლაგვი კუთხით ჰქონდა მოხრილი; ხელებიც მოხრილი და სახის წინ მიტანილი ჰქონდა. მთელი ჩონჩხი მოთავსებული იყო რიყის ოთხ ქვას შორის, რომელთაგან მოდიდონი მხარ-მკერდის ნაწილში, მომცრონი კი უკანა ტანის მიდამოში ეწყონიადაგის რიყიანობის გამო ძვლები ძალიან დაფხვნილიყო. იქნებ ამის გამო იყო, რომ თავის ქალა სამარხში არ აღმოჩენილა. მაგრამ როგორადაც არ უნ-

და დაზიანებულიყო მიცვალებული და ჩატანებული ინვენტარი, ჩვენი აზრით, თავის ქალის ნაშთები, თუნდაც მცირე ფრაგმენტების სახით, მაინც უნდა შემორჩენილიყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს რომ ამ მიცვალებულის თავი ან აქ სხვა სამარხის გამართვის დროს დაზიანდა, ან იგი ადამიანმა სადმე ბრძოლაში დაკარგა და ეს უკანასკნელი ჭირისუფალთა მიერ უთავოდ იქნა დაკრძალული, რაც, რა თქმა უნდა, ხშირი ომიანობისა და ტომთა იმდროინდელი შეხლა-შემოხლის ვითარებაში გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო. სახის წინ (წარმოსახვით) თიხის ჭურჭელთა გროვასთან ერთად ცხვრის თავრიელის ნაშთები აღმოჩნდა. ყელ-მკერდისა და მუცლის არეში მიცვალებულს ნაწილობრივ ერთმანეთზე დალაგებული, ნაწილობრივ ერთიმეორის გვერდიგვერდ გამწკრივებული ჰქონდა თიხის ცხრა ჭურჭელი: დიდი ორყურა ქილა, ცალყურა კოჭობი, პაწია კოჭობი, ქოთანი, კოთხო, ჯამი, ლანგარი და სხვ. ერთი მოზრდილი ქილა და ფართოდ პირგადმოშლილი სასმისი (?) კი ფეხის ტერფებთან ედგა. მუცლის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს თხელი, მოკლე, ქედიანი, ტარშეურჩენელი სატევრისპირი, რომელიც წელში უნდა ჰქონოდა გარჭობილი მიცვალებულს. თავის არეში ქვაზე ედო ბრინჯაოს მრგვალთავიანი საკინძი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საკინძები არქაული ფენის სამარხებში ერთობ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს*.

718 (12—54:1708; სურ. 749). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები თიხისა; სწორი, დაბალნაპირებიანი, თანაბრად კალთებდაქანებული, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. ძირის მხარეზე ნაპრიალები გადასულა, თიხაც აქერცლილა. სიმაღლე 4,5 სმ; ნაპირის 2,2 სმ; დმ პირის 20,1 სმ; ძირის 8.0 სმ.

719 (12—54:1710; სურ. 748). ჯ ა მ ი მუქნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები თიხისა; პაწია, დაბალი, ლილვაკისებრი ბაკოთი, დაბალი და სწორნაპირიანი; ოდნავ ქუსლგამოყოფილი. ჭურჭელი ადრე გასტეხიათ და შეკოწიწება უცდიათ, რისთვისაც ორ ადგილას, ძირში, ახლო-ახლო წყვილ-წყვილი ნახვრეტი გაუკეთებიათ თოკისათვის გატეხილი ნაწილების ერთი-მეორესთან დასაკავშირებლად. სიმაღლე 5,0 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,0 სმ; დმ ძირის 9,3 სმ.

720 (12—54:1712; სურ. 744). ბ ა დ ი ა მუქ-მონაცრისფროდ გამომწვარი, ნაპრიალები თიხისა, სწორი, მაღალი ნაპირები და სწრაფად დაქანებული კალთები აქვს. პირს გარშემო გარედან ერთი ღრმა და 2—3 მკრთალი ღარი გადასდევს. კალთის ზედაპირზე, ძირიდან ნაპირამდე, რადიალურად გაწყობილია 6 ნაპრიალები ზოლი. სიმაღლე 8,0 სმ; ნაპ. სიმაღლე 3,2 სმ; დმ პირის 18,2 სმ; ძირის 7,0 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I—II, XIII—XII (გეიანბრინჯაო I—II; ძვ. წ. XIII—XII სს.—რედ.).

721 (12—54:1715; სურ. 746). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი და ნაპრიალები თიხისა; ოდნავ პირგადმოწეული; შიგშეწეული ნაპირით. ნაპირის წიბოდან თანდათან დაქანებული კალთები შეუმჩნევლად გადადის ძირში. სიმაღლე 4,3 სმ; ნაპირის სიმაღლე 1,8 სმ; დმ პირის 13,0 სმ; ძირის 4,8 სმ.

722 (12—54: 1709; სურ. 740). ქ ი ლ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალებზედაპირიანი, ყელმომაღლო, პირგადმოშლილი, თითქმის სწორბაკოიანი, კვერცხისებრი მოყვანილობისა. ორყურა; ბრტყელი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყურები მხარს ქვემოთ აქვს მიძერწილი. ყელის ძირსა და მხარზე ირგვლივ წყვილ-წყვილი მკრთალი ღარები გადასდევს. სიმაღლე 33,3 სმ; დმ პირის 12,1 სმ; მუცლის 27,5 სმ; ძირის 9,0 სმ; ყურის სიგანე 3,0 სმ.

723 (12—54:1717; სურ. 747). ქ ი ლ ა ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; პირმომტვრეული; ტანი კვერცხისებრი მოყვანილობისა აქვს; ორყურა, მხარმუცელზე მიძერწილი აქვს ბრტყელი ოთხკუთხა განივკვეთიანი წყვილი ყურები. ყურის გასახედი მრგვალია. ყელის ძირში და მხარზე (ყურს ზემოთ) თითო მკრთალი ღარი გადასდევს. ღართა შორის სივრცე (მხრის ზედაპირი) შევსებულია დამრეცად დატანილი პრიალა ხაზებით. სიმაღლე შემონახული ნაწილისა — 22,0 სმ; დმ მუცლის — 20,0 სმ; ძირის — 7,0 სმ.

724 (12—54:1716; სურ. 742). დ ე რ გ ი ლეგა-მონაცრისფროდ, ალაგ-ალაგ შავად გამომწვარი თიხისა, ყელდაბალი, ოდნავ პირგადმოშლილი, კვერცხისებრტანიანი, მხრებგანიერი, ძირჩავიწროებული. ყელის ძირში, უფრო კი მხარზე, 4 მკრთალი ღარი არტყია. ხოლო ცოტა უფრო ქვემოთ 6—7 მკრთალი ხაზების სარტყელია. სარტყელს ზემოთ ტალღოვანი სახეა გამოყვანილი, შესაძლოა, ნაფოტის მოშველიებით. სიმაღლე 31,5 სმ; დმ პირის 13,0 სმ; მუცლის 29,0 სმ; ძირის 7,5 სმ.

725 (12—54:1713; სურ. 743). ქ ო თ ა ნ ი მურა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალყელიანი, მხრებდაშვებული, მუცელგანიერი, ცალყურა. ყური მრგვალგანივკვეთიანია და აერთებს მხარმუცელს. მასზე დაძერწილია ოვალურ-ბრტყელი მორჩივით რამ სხეული. მხარზე ჭედური ხაზების სარტყელია. ასევე დაკეჭნილია ძირის წიბო. საერთოდ ძირსა და მთელ ზედაპირზე კარგად შეინიშნება ჩარხის ტრიალის ნაკვალევი. სიმაღლე 13,7 სმ; დმ პირის 10,3 სმ; მუცლის 15,0 სმ; ძირის 6,3 სმ.

726 (12—54:1714; სურ. 745). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი და ნაპრიალები თიხისა; პაწია, დაბალი, თხელპირა, მხრებდაქანებული, ქვედა მუცელი განიერია. მხარზე ფართო ღარი გადასდევს. სიმაღლე 7,0 სმ; დმ პირის 5,3 სმ; მუცლის 9,0 სმ; ძირის 4,1 სმ.

727 (12—54:1714). ტ ო ლ ჩ ა (სასმისი პატარა კათხისებრი) ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები ყოფილა, მაგრამ გადასულია. წელში გამოყვანილი, ცალყურა, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. ყური, რომელიც პირს

მუცლის წიბოსთან აერთებს, რამდენადმე დამრეცად არის მიძერწილი. სიმაღლე 10,3 სმ; დმ პირის 10,6 სმ; ძირის 5,8 სმ.

728 (12—54:1719; სურ. 750). სატევრისპირი ბრინჯაოსი; ფოთლისებრი, ძირითადად ტოლფერდა სამკუთხოვანი; შუაში მაღალქედიანი, რომელიც წვერთან ახლოს ქრება. აქეთ-იქით ორი სამანჭველე ნაჩვრეტი აქვს. სიგრძე 15,4 სმ; სიგანე უდ. 5,6 სმ; სამანჭველე ნაჩვრეტის დმ 0,2 სმ; ქიმიური შედგენილობის დასადგენად 16 მოდიდო ნაჩვრეტი და 10 მომცრო ფოსო აქვს ამოღებული.

729 (12—54:1720). საკინძი ბრინჯაოსი, პაწია, ლურსმნისებრ თავიანი; თითქმის მრგვალი ღეროა თავთან ახლოს დაღარული. სიგრძე 5,1 სმ; დმ თავქუდის 0,6 სმ.

730 (12—54:1718; სურ. 739, 741). თასი თუ ვაზა თიხისა.

ორმოსამარხი 78 (1939, N; სურ. 751—759).

გაითხარა VI ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში. ჩონჩხი და სამარხეული ინვენტარი 3,10 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა. სამარხის ფსკერი მოთავსებული იყო მოწაბლისფრო თიხნარ ფენაში, რომლის ქვეშ უკვე სუფთა ხვინჭოვანი ფენა ჩანდა (მდ. არაგვის ძველი ალუვიონი?). სამარხის ფსკერის მოედანი 1,40×0,85 მეტრს მოიცავდა. სამარხში ესვენა საშუალო სიმაღლის ქალის კარგად დაცული ჩონჩხი (ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,45 მ); იგი იწვა მარცხენა გვერდზე, ოდნავ მოპირქვავებული, თავისუფლად (სწორი კუთხით) მოხრილი ფეხებით და თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ მიქცეული. ხელები სახის წინ ეწყო. სახისა და გულმკერდის წინ, აგრეთვე წვივთა შორის და მათ მახლობლად 8 ცალი შავად შებოლილი ჭურჭელი იყო გაწყობილი; მათ შორის ლანგარი, ფიალა, კოთხო, კოჭობი და სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ქილები; სწორედ ყურების ადგილას ბრინჯაოს მრგვალი მავთულის წყვილი საყურე რგოლი აღმოჩნდა. მარჯვენა ხელის მტევანთან ბრინჯაოს გრძელი, ყუნწმოტეხილი მახათი იდო: ორ თავხვია საკინძთაგან ერთი თავს უკან, მეორე კი მარჯვენა მკლავთან. ტლანქად „კვეთილი“ სარდიონის 59 მძივი გაბნეული იყო წყრთა-მენჯის ძვლებს შორის და მათ მახლობლად, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ მძივთა ორი ასხმულა სამაჯურებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული*.

731 (12—54:1852; სურ. 751). დერგი (მაღალი ქილა), ლეგა-მონაცრისფროდ, ალაგ-ალაგ მოშავოდ გამომწვარი თიხისა; მაღალი, კვერცხისებურტანიანი, ყელდაბალი, სქელპირიანი, ხშირი ვერტიკალური ხაზებით ნაპრიალები. ყელის ძირზე ორი ღარი გადასდევს. მხარზე არტყია სარტყელი, რომელიც შედგება წყვილი ბექისა და მათ შორს მოთავსებული ტალღოვანი

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII (ძვ. წ.—XII ს.—რედ.).

ხაზისაგან. სიმაღლე 40,0 სმ; დმ პირის 12,7 სმ; მუცლის 34,5 სმ; ძირის 9,0 სმ .

732 (12—54:1851; სურ. 753). ქ ი ლ ა მოყავისფრო-ყანგისფრად გამომწვარი თიხისა; მქისე ზედაპირიანი; პირფართო სწორადმოკეცილი და საერთოდ დაწახნაგებული ბაკოთი, ოდნავ ყელგამოყოფილი, რომლის ძირში ტალღისებრი ხაზი გადასდევს. ამის ქვემოთ კი, მხარზე, რელიეფური გრეხილის სარტყელია. მხრებგანიერი ჭურჭელია თანაბრად ჩავიწროებული ქვედატანით. ძირის წიბო დაკეკნილია. სიმაღლე 18,3 სმ; დმ პირის 15,1 სმ; მუცლის 20,0 სმ; ძირის 8,3 სმ.

733 (12—54:1849; სურ. 752). ქ ო თ ა ნ ი მორუხო-ლეგად გამომწვარი თიხისა; მქისე ზედაპირიანი; პირფართო; სწორად კვეთილი, ოდნავ ჩაღარული ბაკოთი; ჭურჭლის ტანს ძირითადად კვერცხის მოყვანილობა აქვს, მხარზე და ძირის წიბოს ირგვლივ ფრჩხილისებური, ნაკეკნი სარტყელი გადასდევს, მრგვალგანივკვეთიანი ბიბილოებიანი ყური მხარსა და მუცელს აერთებს (ყური ყურაცქვეტილ ცხოველს გამოხატავს ზოგადად). სიმაღლე 14,6 სმ; დმ პირის 10,7 სმ; მუცლის 14,0 სმ; ძირის 6,1 სმ.

734 (12—54:1853; სურ. 757). ლ ა ნ გ ა რ ი მუქ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები, სწორად მოჭრილბაკოიანი. ლანგარს ნაპირი შემაღლებული არა აქვს და კალთები ბაკოდან მოკიდებული თანდათანობით დაქანებულია ძირისკენ. გარედან შეინიშნება ოდნავ გამოყოფილი ქუსლი. სიმაღლე 6,3 სმ; დმ პირის 10,9 სმ; ბაკოს სიგანე 0,9 სმ.

735 (12—54:1847; სურ. 756). ფ ი ა ლ ა შავად გამომწვარი თიხისა; კარგად ნაპრიალები; მაღალნაპირიანი; კარგად მორკალული კალთებით. ძირზე ურთიერთმკვეთი ღაროვანი ზოლები ჯვრისმაგვარ სახეს ქმნის. სიგანე 4,8 სმ; დმ პირის 13,0 სმ; ძირის 5,9 სმ.

736 (12—54:1848; სურ. 754). ფ ი ა ლ ა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები. ფორმით ქვაბ-ქოთანსაც ჰგავს. ოდნავ პირგადმოშლილი; საკმაოდ მკვეთრად დაქანებული კალთები აქვს. კეცი გადანატეხში მუქი მონაცრისფროა. სიმაღლე 7,5 სმ; დმ პირის 13,7 სმ; მუცლის 14,5 სმ; ძირის 5,0 სმ.

737 (12—54:1850; სურ. 765). კ ო თ ბ ო (სასმისი) მორუხო-ლეგად გამომწვარი თიხისა; ზედაპირგაპრიალებული; პაწია, კოხტა. მოყვანილობით წელში ოდნავ გამოყვანილი ცილინდრია. გარედან პირს გარშემო ორი ღრმა ღარი გადასდევს. მთელი ზედაპირი ე. წ. პარკეტული სახეებით არის დაფარული. ყური ადრევე მოსტეხია. მონატეხი საგულდაგულოდ გადაუხეხავთ და ნახეხი ეტყობა. სიმაღლე 6,8 სმ; პირის დმ 9,5; ძირის 8,5 სმ; სიგანე წელში 8,0 სმ.

738 (12—54:1850). ქ ი ლ ა შავი თიხისა, ყურიანი, პაწია, დამტვრეული (კათხის მახლობლად იყო).

739 (12—54:1855). ს ა ყ უ რ ე ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; პირიპირ-ზე შესული; ოვალური მოყვანილობისა. უსახო. უდ. დმ 3,9 სმ; სიმსხო 0,15 სმ.

740 (12—54:1856). ს ა ყ უ რ ე ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა; ორად გატეხილი. დმ 3,3 სმ; სიმსხვ 0,2 სმ. ორივე თავის ქალას მიჰკროდა სწორედ ყურის ადგილას.

741 (12—54:1857; სურ. 759). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, რომელსაც ცალი თავი გაბრტყელებული და დახვეული, ხოლო მეორე თავი გაწვრილებული-დამრგვალებული აქვს. სიგრძე 5,7 სმ; სიმსხო 0,3 სმ.

742 (12—54:1858; სურ. 759). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოს ოთხწახნაგოვანი ღეროსი, რომელსაც ცალი თავი გაბრტყელებული და დახვეული, ხოლო მეორე წაწვეტებული აქვს. სიგრძე 5,4 სმ.

743 (12—54:1854). მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი; გადმოკეცილყუნწიანი; დაზიანებულია. სიგრძე 11,5 სმ; სიმსხო 0,3 სმ.

744 (12—54:1859; სურ. 758). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისებრი და ღიაფერის სარდიონისა; დაბალცილინდრული; დიდ-პატარა: ტლანქად ნაკეთები. 59 ცალი. უდიდესი სიმაღლე 1,2 სმ; დმ 1,4 სმ; უმცირესი სიმაღლე 0,4 სმ; დმ 0,5 სმ.

ორმოსამარხი 172 (1940, N; სურ. 760—764).

აღმოჩნდა VII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 3,30 მ სიღრმეზე, ეჭირა 1,50×0,80 მ ფართობი. შიგ ესვენა საშუალო ტანის ადამიანის ჩონჩხი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, თავის ქალისა უნდა ყოფილიყო, რაც შემდგომმა კრანიომეტრიულმა შესწავლამაც დაადასტურა. იგი მარცხენა გვერდზე იწვა ოდნავ მოხრილი ფეხებით მარჯვენა ფეხის ბარძაყი ხერხემლისადმი ბლაგვი კუთხით მიიმართებოდა). ხელები სახის წინ ზეაღმართული ჰქონდა, თუმცა სახსრებში მათი ანატომიური კავშირი დარღვეული და ძვლები რამდენადმე გადაადგილებული იყო. თავით მიცვალებული ჩრდილო-დასავლეთ — დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. სახის წინ მიტვალებულს ელაგა წვრილფეხა რქოსანი საქონლის ქვედა ყბა და თავის ძვლის სხვა ნაწილები, ხოლო ფეხებთან დადგმულ ქოთანში ცხვრის კანჭები ეწყო. გარდა იმისა, მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (სახელდობრ, მომცრო ჯამი — სახის წინ, პაწია ცალყურა კოჭობი — მუცლის არეში; ქვევრისებური ქოთანი და მოზრდილი დერგი — ტერფთან), ბრინჯაოს წყვილი ყურსაკიდი რგოლი— თავს ქვეშ და თეთრი პასტისა (4) და სარდიონის (126) მძივები, რომლებიც თავ-ყელის არეში და სახის წინ გაბნეულიყო*.

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII—XI (ძვ. წ. XII—XI სს.—რედ.).

745 (12—54:4752; სურ. 760). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავ-პრიალა გადანატეხში მოყავისფრო; სწორნაპირებიანი; სქელძირიანი, ნაპირებ-შემტვრეული. სიმაღლე 7,5 სმ; ნაპირის სიგრძე 1,3 სმ; ძირი სდმ 5,7 სმ.

746 (12—54:4753; სურ. 762). კ ო ჭ ო ბ ი (?) ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა (ყელ-პირი ჩამომტვრეული აქვს და ტიპის განსაზღვრა ჭირს); მხრებგანიერი ყოფილა; ქვედა ტანი კოხტად ჩავიწროებული და პაწია, ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს. მხარზე ერთი კონ-ცენტრული ღარი გადასდევდა, რომლის ქვეშ ირიბად ნაქდევი ხაზების სარტყელია. ქუსლის შემაღლებულ-მოსწორებული ზედაპირი ირიბი ხაზებით არის დაკეტნილი. სიმაღლე (შემორჩენილი ნაწილისა) 12,5 სმ; ქუსლის 0,3 სმ; მუცლის 14,0 სმ; ძირის 5,7 სმ.

747 (12—54:4753). კ ო ჭ ო ბ ი შავი თიხისა; პატარა; ცალყურა; რამდენადმე ქვევრისებრი მოყვანილობისა. სიმაღლე 8,0 სმ; დმ პირის 6,0 სმ; მუცლის 7,5 სმ; ძირის 3,3 სმ.

748 (12—54:4754; სურ. 761). ქ ი ლ ა ლეგა-ღიანაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ზედაპინაპრიალები; მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელდაბალი, კვერცხისებრმუცლიანი. მხარ-მუცლის საზღვარზე ორი კონ-ცენტრული ღარისა და მათ შორის მოთავსებული ტალღისებრი ხაზისაგან შემდგარი სარტყელი გადასდევს. სიმაღლე 28,5 სმ; დმ პირის 12,7 სმ; მუცლის დმ 27,0 სმ; ძირის 7,8 სმ.

749 (12—54:4755; სურ. 763). ს ა ყ უ რ ე ბრტყელგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღეროსი; თავებგაწვრილებული და ოდნავ გადმოღუნული; პირიპირდა-შორებული. დმ 31, სმ; სიგანე 0,3 სმ.

750 (12—54:4756; სურ. 763). ს ა ყ უ რ ე მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღეროსი; თავითავზე შესული. დმ 2,8 სმ; სიმსხო 0,15 სმ.

751 (12—54:4759; სურ. 764). მ ძ ი ვ ე ბ ი მუქი წითელი სარდიონისა; უმთავრესად დაბალცილინდრული მოყვანილობისა. დიდ-პატარა. 126 ცალი. საშუალო ნიმუშის სიმაღლე 0,7 სმ; დმ 0,9 სმ.

752 (12—54:4757). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო-მოყვითალო პასტისა; ოდნავ მორკალული და ზურგიანი. სწორკუთხედის მოყვანილობისა; ზურგი განივად წვრილნახვრეტიანი. 4 ცალი. ნიმუშის სიგრძე 2,2 სმ; სიგანე 0,6 სმ.

ორმოსამარხი 221 (1946, N; სურ. 765—773). ალმოჩნდა VII ფართობის ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთ ჭრილთან ახლოს, იყო 2,50 მ სიღრმეზე და საშუალოდ 218-ე სამარხის ქვეშ. ამ ორი სამარხის დონეთა შორის 0,15 მ განსხვავებაა. ორივე ეს სამარხი ღორღიან ფენაში იყო მოქცეული, რის გამოც ძვლები ძლიერ დაფხვნილიყო, მეტადრე ჩონჩხის ზემო ნაწილი და, რა თქმა უნდა, თავის ქალაც. სამარხის ფესკერი 1,30×1,05 მ მოიცავდა. ჩონჩხსა და თანმხლებ ინვენტარს ზემოდან ბევრი რიყის ქვა ეყარა, რაც, აშკარაა, სახურავის ჩაქ-

ცევის შედეგია. ერთი მოგრძო ქვა თავ-კისერს ზემოდან დასცემოდა. წყვილი ქვა ტერფებთან იყო. სამარხში მაღალი, ბრგე მამაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა, მარჯვენა გვერდზე მწოლარე, თავით აღმოსავლეთისკენ დამხრობილი და მკვეთრად ფეხებმოხრილი. ხელები მიცვალებულს სახის წინ ჰქონდა დაწყობილი. თავის ქალა რამდენადმე გადაადგილებული, ხოლო ქვედა ყბა ამობურცული იყო. ბარძაყის ძვლის სიგანე 0,4 მ.

მიცვალებულთან ცხვრის ძვლებს გარდა შემდეგი ინვენტარი აღმოჩნდა: სახის წინ იდგა პირფართო შავი თიხის ქვაბქოთანი, მქისე, თიხის ყურმოტეხილი ქოთანი და პარკეტული სახეებით შემკული ფინჯანი; ფეხთით კი ედგა ხელადა, პირვიწრო კოპობი და პარკეტულად შემკული ტოლჩა. გულმკერდის არეში ბრინჯაოს მოკლე, ფოთლისებრი სატევრისპირი, ზურგს უკან ფირფიტოვანი, ნესტრისებრი ისრისპირი, ხოლო თავქვეშ გრძელი ნახევარსფერულთავიანი, ყელდაღარული და ნახვრეტიანი საკინძი იყო.

ყურადღებას იქცევს მდებარეობა სატევრისპირისა, რომელიც მიცვალებულს თითქოს ხელში ეჭირა*.

753 (12—54:6086; სურ. 765). ქ ვ ა ბ-ქ ო თ ა ნ ა შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, მოზრდილი, პირსწორი, ბიკონუსურმუცლიანი (წვერკვეთილი კონუსი რომ წარმოვიდგინოთ), ქუსლიანი (ადრევე მოსტეხია და დაკარგულა). პირს გარედან წყვილი, ხოლო მუცლის წიბოს ირგვლივ ერთი ღრმა ღარი არტყია. ამ ღართა შორის (ე. ი. ჭურჭლის ზედატანის) ზედაპირი შევსებულია სამკუთხედებით, რომელთა შორის შევრონები (ე. ი. წვერით ქვემოთკენ მიმართული სამკუთხედები მკრჭალია, გაუპრიალებელი, ხოლო საწინააღმდეგოდ დაყენებული სამკუთხედები შავპრიალაა და დამატებით წნევითი ზოლებისგან შემდგარი პარკეტული სახეებით არის შემკული. ჭურჭლის ქვედატანიც შემკულია წიბოდან ქუსლამდე ხანგამოშვებით დაშვებული რადიალური პრიალა ზოლებით. პირ-გვერდის მესამედი ნაწილი და ქუსლი მთლიანად მომტვრეული და დაკარგულია. ზედაპირიც ბევრგან ფენობრივად აქერცლილ-ჩამომტვრეულია. მიუხედავად ამისა, მასში კარგად გამოსჩვივის მეთუნის ოსტატობა და მაღალი გემოვნება. სიმაღლე (უქუსლოდ) 18,3 სმ; დმ პირის 18,7 სმ; მუცლის 25,5 სმ; კეცის სისქე 0,7 სმ.

754 (12—54:6085; სურ. 768). ხ ე ლ ა დ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შავპრიალა; ყელმაღალი, სფერულმუცლიანი, ცალყურა (რომელიც ყელსა და მხარს აერთებს); იგი მრგვალგანივკვეთიანი ყოფილა (მოტეხილი და დაკარგულია). ჭურჭელს მხარზე, ყურისძირის დონეზე, გადასდევს წვრილი მკრთალი ღარისა და მათ შორის ირიბად ნაჭდევი ხაზებისგან შემდგარი სარტყელი. ყურს ქვემოთ მხარ-მუცელი წნევითი პრიალა ხაზებისგან შემდგარი ბა-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. I—II, XIII—XII (გვიანბრინჯაო I—II, ძვ. წ. XIII—XII სს.—რედ.).

დურა პარკეტული სახეებით არის შემკული. ქვედატანიც წვრილი და ხშირი კონცენტრული ღარებით აქვს დაფარული. სიგანე 23,0 სმ; დმ პირის 10,1 სმ; მუხლის 17,5 სმ; ძირის 8,5 სმ.

755 (12—54:6082; სურ. 769). ტ ო ლ ჩ ა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა; პირფართო, თითქოს ყელგამოყვანილი; ქვედა ტანი ბიკონუსური აქვს. ცალყურა, რომელიც ყელსა და მუცელს აერთებს (ადრევე მოტეხილა და დაკარგულა, თუმცა მის ზედაპირზე ახლაც არის შემორჩენილი ბიბილოსებრი ნაძერწი). პირს გარედან წვრილი ღარი არტყია, ხოლო ამის ქვემოთ მოთავსებული ფართო და გლუვი წყვილი ღარი ყელს გოფრირებულის იერს აძლევს. ზედაპირი მუცლის წიბომდე დაფარულია პარკეტული სახეებით. სიმაღლე 12,3 სმ; დმ პირის 10,7 სმ; მუცლის 13,0, ძირის 6,1 სმ.

756 (12—54:6084; სურ. 770). ფ ი ნ ჯ ა ნ ი რუხად გამომწვარი თიხისა; რუხპრიალა; პაწია, კოხტა, პირსწორი, ყელგამოყვანილი, ბიკონუსურმუცლიანი, ცალყურა, რომელიც მუცელს უშუალოდ პირთან აერთებს (ადრევე მოტეხილ-დაკარგულია); მთელი ზედაპირი ყელიდან ყურის ძირის დონემდე პარკეტული სახეებით არის შემკული. სიმაღლე 6,8 სმ; დმ პირის 6,1; მუცლის 7,9 სმ; ძირის 4,6 სმ.

757 (12—54:6087; სურ. 766). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, პაწია, პირვიწრო, პირგადმოშლილი, ყელდაბალი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი (ბიკონუსური მოყვანილობისაც ეთქმის) მხარზე კონცენტრული ღარი არტყია. შემორჩენილი ერთიმესამედის მიხედვით არის აღდგენილი ო. კიროვა-ბედუკაძის მიერ. სიმაღლე 9,9 სმ; დმ პირის 6,3 სმ; მუცლის 11,6 სმ; ძირის 5,3 სმ.

758 (12—54:6093; სურ. 767). კ ა თ ხ ა მურა-ლეგად გამომწვარი თიხისა; ხელით (უმორგვოდ) ნაძერწი; მქისე; უსწორო ზედაპირიანი; ალაგ-ალაგ შავად შებოლილი. სწორად კვეთილი პირი მოვიწროებული აქვს (პირმოყრილი მაინც არ ეთქმის). ტანი ზოგადად ბიკონუსურია. ყურის მაგივრად პირთან ახლოს ბრტყელი რამ მინაძერწი აქვს, ხვრეტილიანი (ალბათ ზონისათვის). ნამეტანი უხეში, უგემური ნახელავია. სიმაღლე 13,0 სმ; დმ პირის 9,1 სმ; მუცლის 13,1; ძირის 5,6 სმ.

759 (12—54:6088; სურ. 773). ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; მოკლე, სამკუთხა, წვეტიანი; შუაში მაგარქედიანი, რომელიც წვერამდე ჩასდევს; ფხაალესილი, პირი ალაგ-ალაგ დაკბილულია (ქანგისგან შეჭმული). ორნახვრეტიანი მანჭვლისათვის). სატარე ნაწილი დაბალი ტოლფერდა სამკუთხედისებრია. სიგრძე 15,1 სმ; უდ. სიგანე (ვადასთან) 5,0 სმ.

760 (12—54:6089; სურ. 772). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; ძლიერ თხელი, ნესტარისებური, სამკუთხა; წვერთან ახლოს ნახვრეტი აქვს ზროზე დასამაგრებლად. სიგრძე 1,9 სმ; სიგანე 1,1 სმ.

761 (12—54:6090; სურ. 771). საკინძი ბრინჯაოსი; ნახევარსფერულ-თავიანი, ყელდაღარული. ღარებს ქვემოთ ოვალური ნახვრეტი აქვს. სიგრძე 12,5 სმ.

ორმოსამარხი 268 (1947, N; სურ. 774—782). აღმოჩენილი იყო VIII ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში, 2,0 მ სიღრმეზე, თიხანარევ ფენაში, ჯერ კიდევ გასულ წელს, მაგრამ კამპანიის დასრულების გამო მისი გაწმენდა ვერ მოვასწარით. მიწა მივაყარეთ და ისე დავტოვეთ. წელს რომ მივბრუნდით, გამოირკვა, რომ წვიმა-თოვლის გამო მიყრილი მიწა გადასცლოდა, თავის ქალა გამოჩენილიყო და, ჩანს, ცნობისმოყვარეთ ამოეგდოთ. საბოლოოდ ასეთი სურათია: 1,40×1,0 მ მოედანზე ოთხ რიყის ქვას შორის მარცხენა გვერდზე იწვა ხანდაზმული ადამიანის (ჩანს, ქალის) ჩონჩხი, თავით ჩრდ. მიქცეული, სარგებლობლად მოხრილი ფეხებით. ხელები სახის წინ ედო. ძვლები ერთობ დაფხვნილია. მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ ბატკნისა თუ ციკნის კანჭი და 8 თიხის ჭურჭელი; საცერულიანი ქილა — მენჯთან, მოწითალო ქილა — იდაყვთან; ლანგარი — გულმკერდის წინ; აქვეა პაწია ჯამი; ქოთანი და ტოლჩა — 2 ც. — სახის წინ; ორყურა ქილა — ტერფის გასწვრივ, სარდიონისა და პასტის მძივები უკან, კისრის არეში, მოიკრიბა, აქვე იყო ლურსმანისებრთავიანი ბრინჯაოს საკინძი*.

762 (12—54:7224; სურ. 777). ლანგარი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, დაბალი, ფრიალა, დაბალნაპირიანი; პირის ქობა გადმოკეცილი აქვს. კეცი გადანატეხში ლეგა-მოყავისფროა. სიმაღლე 4,5 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,0 სმ; დმ პირის 22,5 სმ; ძირის 10, 1 სმ.

763 (12—54:7219; სურ. 776). ჯამი მუქნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია); პირფართო, მაღალნაპირიანი. ჩარხზე ნაპრიალები კვალი ეტყობა შიგნიდანაც და გარედანაც. სიმაღლე 11,5 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,0 სმ; დმ პირის 14,3 სმ; ძირის 5,9 სმ.

764 (12—54:7220). ჯამი შავად გამომწვარი თიხისა; შავპრიალა, ღრმა, ოდნავ პირგადმოშლილი; ტანი თითქოს ბიკონუსური აქვს. ყელს ქვემოთ ერთი ღრმა ღარი არტყია. სიმაღლე 8,0 სმ; დმ პირის 14,1 სმ; მუცლის (წიბოზე) 15,0 სმ; ძირის 7,0 სმ.

765 (12—54:7221; სურ. 775); კათხა ღიანაცრისფრად გამომწვარი თიხისა; თხელპირა; ცალყურა (ზედნაძერწით), წელში გამოყვანილი; ქვედა მუცელი ბიკონუსური მოყვანილობისაა (სიმაღლე 10,9 სმ. პირის დმ 10,5 სმ; მუცლის დმ 9,0 სმ; მუცლის დმ (წიბოზე) 10,5 სმ; ძირის დმ 5,3 სმ.

766 (12—54:7222; სურ. 774). კათხა ნაცრისფრად გამომწვარი თიხი-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XII (გეიანბრინჯაო II, ძვ. წ. № XII ს.—რედ.).

სა; ნაპრიალები. წინას მსგავსი, ოღონდ ამას გარედან 8 ღრმა ღარი არტყია, ისე რომ ზედაპირი გოფრირებული შთაბეჭდილებას ტოვებს. სიმაღლე 11,3 სმ; დმ პირის 9,0 სმ; მუცლის (წიბოზე) 10,5 სმ; ძირის 8,5 სმ.

767 (12—54:7223). ქ ი ლ ა მოშავო-ლეგად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასცლია); მხარზე საცერული ჰქონია; მის ქვეშ, მხარზე, ტალღისებრი ხაზი გადასდევს. დამტვრეულია. ძირის დმ 10,6 სმ.

768 (12—54:7225; სურ. 779). ქ ი ლ ა რუხად გამომწვარი თიხისა; პირვიწრო, ქობიანი, ყელმომაღლო, კვერცხისებრტანიანი, ორყურა; ყელის ძირში მკრთალი ღარი მიუყვება; წყვილი ასეთი და ერთიც ტალღური ღარი მხარზე, ყურს ზემოთ გადასდევს. სიმაღლე 26,3 სმ; ყელის 4,0; დმ პირის 10,6; მუცლის 28,0 სმ; ძირის 6,4 სმ.

769 (12—54:7226; სურ. 778). ქ ი ლ ა ლეგა-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი; პირვიწრო, ოდნავ პირგადაშლილი; მომრგვალებულქობიანი, მუცელგანიერი. მხარზე წყვილი ღარისა და მათ შორის მოთავსებული ტალღური ხაზის სარტყელია. ერთი ღრმა ღარი მუცლის ირგვლივაც გადასდევს. სიმაღლე 20,1 სმ; დმ პირის 12,6 სმ; მუცლის 23,0 სმ; ძირის 8,9 სმ.

770 (12—54:7227; სურ. 780). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; მოკლე, თავბრტყელი (ლურსმნის ქუდის მაგვარი), ყელდაღარული (ორი ღარია), რომლის ქვემოთ ოვალური ნახვრეტი აქვს. წვერწატეხილია.

771 (12—54:7228; სურ. 782). მ ძ ი ვ ე ბ ი ვარდისფერი, ზოგიც ღიაფერის სარდიონისა; ძირითადად მანდარინის მოყვანილობისა, დიდ-პატარა. 80 ც. უდიდესის სიმაღლე 0,4 სმ; დმ 1,2 სმ; უმცირესის სიმაღლე 0,35 სმ; დმ 1,1 სმ.

772 (12—54: 7229; სურ. 781). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო პასტისა; დაბალცილინდრული, ერთიც მილაკისებრი, წვრილი, ორიც თითქოს ბიკონუსური მოყვანილობისა. სულ 21 ცალი.

ორმოსამარხი 285 (1947, N; სურ. 783—788). აღმოჩენილი იყო VIII ფართობის ცენტრალურ ნაწილში, 2,70 მ სიღრმეზე; ეჭირა მოედანი 1,5×1,20 მ. შიგ აღმოჩნდა ხანდაზმული ადამიანის ცუდად დაცული ჩონჩხი (ქალი უნდა ყოფილიყო), მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო — ჩრდილო-აღმოსავლეთით მიქცეული, თავისუფლად ფეხებმოხრილი და სახის წინ ხელებდაწყობილი. თავი მისვენებული ჰქონდა ერთ-ერთ ქილაზე; სახის გასწვრივ სხვა ქილა იყო, ხოლო წვივებთან სადღვებელი იდგა. ყელის არეში წყვილი თავხვია საკინძი იდო, ხოლო გულმკერდის მიდამოში სარდიონის მძივები 384 ც*.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XIII — XI სს.

773 (12—54:7500; სურ. 783). **ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი** ქილა ღია-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; დიდი, მაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, ყელმომაღლო, კვერცხისებრტანიანი. ყელის ძირში წყვილი ღარისა და მათ შორის კლაკნილად ამოღარული ხაზისგან შემდგარი სარტყელი გადასდევს, ხოლო მხარზე აგრეთვე წყვილი, მაგრამ შორიშორ ამოღარული ხაზია, მათ შორის კი მკრთალად ამოღარული ხშირ-ხშირი ხაზებია. ამ ღართა შორისაა აგრეთვე შუშუტი — სასულე ჭიპი. სიმაღლე 36,3 სმ; ყელის 4,3; დმ პირის 12,3; მუცლის 32,5 სმ, ძირის 8,7 სმ.

774 (12—54:7499; სურ. 784). **ქ ი ლ ა** შავად გამომწვარი, მოყავისფრო კეციანი თიხისა; შავპრიალა; პირფართო, დაბალყელიანი. კვერცხისებრი ტანი უნდა ჰქონოდა (დამტვრეულია). ოდნავ ქუსლგამოყოფილი ყოფილა. ყელის ძირში წყვილი ღარია, მხარზე კი ორი ღარისა და მათ შორის მოთავსებული კლაკნილი ხაზებისგან შემდგარი სარტყელია. დმ პირის 15,5 სმ, ძირის 8,3 სმ.

775 (12—54:7501; სურ. 785). **ქ ი ლ ა-ქ ო თ ა ნ ი** შავად გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი; ოდნავ პირგადმოშლილი, სფერულმუცლიანი, ძირი და გვერდის მნიშვნელოვანი ნაწილი მომტვრეულ-დაკარგულია. ყელის ძირში ორი ღარისა და მათ შორის მოთავსებული წვრილი კლაკნილი ხაზებისგან შედგენილი სარტყელი არტყია. დმ პირის 14,5 სმ; მუცლის 20,1 სმ.

776 (12—54:7503; სურ. 788). **ს ა კ ი ნ ძ ი** ბრინჯაოსი; თავხვია; თავის ნაწილში ოთხწახნაგა და თეეზიფხური სახეებით შემკული. სიგრძე 7,11 სმ; წახნაგის სიგანე 0,3 სმ.

777 (12—54:7502; სურ. 788). **ს ა კ ი ნ ძ ი** ბრინჯაოსი; თავხვია; წინამავლის მსგავსი. ოღონდ მომცრო სიგრძე 6,5 სმ.

778 (12—54:7504; სურ. 786). **მ ძ ი ვ ე ბ ი** მოწითალო, მოყავისფრო სარდიონისა; ტლანქად ნაკვეთი; დიდ-პატარა. ერთი დიდი ცილინდრული მოყვანილობისაა; სხვები უმთავრესად გრძელ-ბრტყელი, დაბალცილინდრულია. ურევია ქალცედონის მოთეთრო მძივებიც (19). სულ 384 ცალი.

779 (12—54:7505; სურ. 787). **მ ძ ი ვ ე ბ ი** თეთრი პასტისა, პაწია, დაბალცილინდრული (?), მრგვალ-ბრტყელი, დიდნახვრეტიანი (3); 5 ცალი ანტიმონისაა, მილაკისებრი, რომელზეც ორთავ მხრიდან ერთმანეთს ებჯინებიან სამკუთხედის მოყვანილობის ჭედურზედაპირიანი შვერილები. ერთ-ერთი ამ უკანასკნელთაგანის სიგრძე 3,5 სმ; უდ. სიგანე 1,9 სმ.

ორმოსამარხის ნაშთი 48 (1947,N). ალმოჩნდა VIII ფართობის ნაწილში, 1,20 მ სიღრმეზე. შიგ იყო დაახლ. 1—2 წლის ბავშვის დაშლილი ძვლები და გაფანტული ინვენტარი. ეტყობა, ბავშვი მარჯვენა გვერდზე წოლილა, თავით W მიქცეული. ინვენტარიდან გადარჩა:*

780 (12—54:7661). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები, ღრმა, მაღალნაპირიანი. სიგანე 6,2 სმ; ნაპირის სიმაღლე 2,3 დმ პირის 19,2; ძირის 8,0 სმ.

781 (12—54:7662). ხ ე ლ ა დ ა შავად გამომწვარი თიხისა; თხელკედლიანი; შავპრიალა; დაბალი, პირგადაშლილი, მუცელგანიერი, ცალყურა, ქუსლგამოყოფილი. ყელის ირგვლივ ფართო ღარებით, ხოლო ტანი დამრეცი კანელურებით აქვს დაფარული. გრეხილოვანი ყური ბიბილოთი (ყურაცქვეტილი) აქვს შემკული. პირ-ყელისა და მუცელ-გვერდის დიდი ნაწილი ჩამომტვრეული და დაკარგული აქვს. ქუსლის დმ 7,0 სმ; სიმაღლე 0,4 სმ.

782 (12—54:7663; სურ. 789). მ ძ ი ვ ე ბ ი ლუქისფერი სარდიონისა; წვრილი, დაბალცილინდრული (25 ც.); ერთიც მოდიდო, ორი მოზრდილი, ღია ფერის; ხუთი ღია ფერის, მანდარინისებური (სულ 33 ც.).

783 (12—54:7664). მ ძ ი ვ ე ბ ი მოთეთრო პასტისა, ძალიან დაბალცილინდრული (4 ც.).

ორმოსამარხი 44 (1988, s; სურ. 798—807).

აღმოჩნდა 34-ე თხრილში. სწორკუთხა სამარხ ორმოს მკვეთრად გამოკვეთილი საზღვრები ჰქონდა; მისი ზომა 1,0×1,67 მ. ოთხ რიყის ქვას შორის მოთავსებული იყო ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ მიქცეული. ჩონჩხი რამდენადმე ჩაპირქვავებული ჩანდა. ფეხები თავისუფლად (სწორკუთხოვნად) ჰქონდა მოხრილი, ხელები სახის წინ ეწყო. მიცვალებულს ახლდა წვრიფლეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები და შემდეგი ინვენტარი: სამი ცალყურა კათხა და სამი ჯამფილა — თავის მიდამოში; ორყურა ქილა და სადღვებელი — ფეხებთან; ბრინჯაოს სატევარი — მარცხენა იდაყვთან; შუბისპირი ერთიერთ ჯამფილაში იყო. ბრინჯაოს ორი საკინძი — თავის მიდამოში; ბრინჯაოს გრძელ-ბრტყელი აბზინდა — წელის მიდამოში. სარდიონისა და ძვლის მძივები — ყელის არეში. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ფურცლოვანი ბრინჯაოს ისრისპირი (№ 429) და ობსიდიანის ანატკეცები*.

784 (12—54:8896; სურ. 798). კ ა თ ხ ა ლეგაფრად გამომწვარი თიხისა; პრიალა, წელში გამოყვანილი; ზედაპირდაღარული (გოფრირებული). მრგვალგანივკვეთიანი ყურს ბიბილოსებრი საცერული აქვს დაძერწილი; ძირი კონუსურად აქვს ჩავიწროებული. სიმაღლე 11,5 სმ; პირის დმ 12,2 სმ; მუცლის 13,5 სმ; ძირის 6,0 სმ.

785 (12—54:8897; სურ. 797). კ ა თ ხ ა შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალა; ბიკონუსურმუცლიანი; ცალყურა, რომელზედაც საცერულის ნაშთია. ქვედა მუცელი ფართო პრიალა ზოლებით აქვს შემკული. სიმაღლე 11,5 სმ; დმ პირის 12,2 სმ; მუცლის 13,5 სმ; ძირის 6,0 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მოუწერია ფანქრით: XIII—XII სს.

786 (12—54:8898; სურ. 794). კ ა თ ხ ა შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პირგადმოშლილი, ყელგამოყვანილი, კვერცხისებრმუცლიანი, ცალყურა, რომელსაც ბიბილოსებრი საცერული აქვს დაძერწილი. მხარზე წყვილი ღარი გადასდევს, რასაც ირიბი ჭდეების სარტყელი არტყია. ოდნავ გამოყვანილი ქუსლის ძირზე ნაფოტით დატანილი ჭდეებია. სიტულას ტიპის ჭურჭელია. სიმაღლე 15,7 სმ; დმ პირის 11,5 სმ; მუცლის 14,7 სმ; ძირის 6,5 სმ.

787 (12—54:8899; სურ. 799). ჯ ა მ ი შავად გამომწვარი თიხისა; შავ-პრიალა; ნაპირი მომაღლო, კალთები თანაბრად დაქანებული, ძირი ოდნავ გამოყოფილი აქვს. სიმაღლე 5,3 სმ; ნაპირის 2,2 სმ; დმ პირის 20,2 სმ; ძირის 7,8 სმ.

788 (12—54:8900; სურ. 800). ჯ ა მ ი (თეფშიც ეთქმის) შავად გამომწვარი თიხისა; პრიალა; დაბალი, ფრიალა. შიდაპირის ნაპრიალები ეტყობა, გარეპირი აქერცლილია. სიმაღლე 4,0 სმ; ნაპირის 1,8 სმ; დმ პირის 18,3 სმ; ძირის 7,5 სმ.

789 (12—54:8901). ჯ ა მ ფ ი ა ლ ა ლეგა-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა; შაღალნაპირიანი, რომელიც კალთებში გადასვლისას წიბოს ქმნის, ოდნავ ქუსლგამოყოფილია. სიმაღლე 4,5 სმ; ნაპირის 2,7 სმ; პირის დმ 14,7 სმ.

790 (12—54:8902; სურ. 795, 796). ქ ი ლ ა რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; პრიალა; პირმოყრილი, რომელსაც გარშემო ფართო ღარი და ირიბი ჭდეების სარტყელი გადასდევს. ორყურა, რომელსაც ყურცქვიტა საცერულები აძერწია. ყურთა შორის, მათ დონეზევე მრგვალ-ბრტყელი კუდიანი წყვილი საცერულია დაძერწილი. მხარსა და მუცელზე თითო ღარია. ამ ღართა შორის ზედაპირი ბადური პრიალა ზოლებით აქვს დაფარული, რაც რომბულ ქსელს ქმნის, სიმაღლე 20,0 სმ; დმ პირის 11,8 სმ; მუცლის 26,5 სმ; ძირის 8,0 სმ; საცერულის 2,7 სმ.

791 (სავ. წიგნ. 422; 1938,S). ს ა დ ღ ე ებ ე ლ ი ქილა შავად გამომწვარი თიხისა, ყელეიწრო, მხარზე სასულე ჭიპი (შუშუტი) აქვს. სიმაღლე 28 სმ; დმ პირის 12,0 სმ; მუცლის 26,0 სმ.

792 (12—54:8903; სურ. 807). ს ა ტ ე ვ ა რ ი ბრინჯაოსი; კახურის ტიპისა, მთლიანადსხმული, სწორი, ორგვერდა, მხრებიანი, მოკლე; პირი წაგრძელებული ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა, შუაში ოდნავ შესამჩნევი ქედი აქვს, ფხაალესილი. ორთავ მხარეზე სამ-სამი წყვილი „სასისხლე ღარები“ აქვს. სახელური წარმოადგენს სქელ და ბრტყელ ფირფიტას თუ ღეროს, გარედან, მთელ სიგრძეზე, თხელი ფირფიტით მკვრივად შემოსალტულს. იგი ბოლოვდება თავკვეთილი კონუსის ფორმის თავით, რომელიც სამკუთხოვნად არის დაფანჯრული. სახელურს ორთავ მხარეზე ეტყობა შემოგარსული ფირფიტის ნაწიბურები. სიგრძე 29,5 სმ; პირზე. მოდის 19,5 სმ; სიგანე. მხრებში (ვადასთან) 6,2 სმ.

793 (12—54:8904; სურ. 806). ხ ე ლ-შ უ ბ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; პაწია;

შოკლე, მასრაგახსნილი, წვრილნახვრეტიან მასრას, რომლის ქედი წვერამდე გასდევს იარაღს, ზედაპირზე სამი წიბო აქვს: ორი ფრთების, ხოლო ერთი ქედის ჩამოსწვრივ, ისე რომ მასრის ზედაპირი თითქოს დაწახნაგებულიაო. პირი წარგძელებული ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა და ფხაალესილია. სიგრძე 13,3 სმ; პირის 7,0 სმ.

794 (სავ. წიგნ. 429, 1938, S). ისრისპირი ბრინჯაოსი; თხელი ნესტარისებრი. დატეხილი.

795 (12—54:8905; სურ. 801). საკინძი ბრინჯაოსი; თავხვია; წვერის ნაწილში რამდენადმე დეფორმირებულია. სიგრძე 8,1 სმ.

796 (12—54:8906; სურ. 801). საკინძი ბრინჯაოსი; მომრგვალებულთავიანი (ჭრილში ელიფსური იქნება), სამგან ყელჩაღარული და ოვალურნახვრეტიანი, წარმოდგენილია ორ ფრაგმენტად; წვერწატეხილი. სიგრძე 9,9 სმ; თავის დმ 1,2 სმ;

797 (12—54:8907; სურ. 804). ბალთა სარტყლისა, ბრინჯაოსი; ჭვიარული; წარმოადგენს მრგვალ-ბრტყელ სქელ ფირფიტას, სამკუთხოვნად დაფანჯრულს (8 სამკუთხედია); ზედხედი წარმოგვიდგენს რვა სოლიან ბორბალს, ზედაპირდაკენკილს. უკუღმა მხარეზე აქვს წყვილი კავი (კაუჭი). დმ 4,6 სმ; სისქე 0,3 სმ.

798 (12—54:8908; სურ. 802). მძივები ვარდისფერი სარდიონისა; წვრილი, მანდარინისმაგვარი; 19 ცალი.

799 (12—54:8909; სურ. 803). მძივები ძვლისა; წარმოადგენს ლულოვანი ძვლის განივადნაკვეთ დაბალცილინდრულ სხეულებს; 3 ცალი (ერთი გატეხილია).

800 (12—54:8910; სურ. 805). ანატკეცები და ანამტვრევები ობსიდიანისა; დიდ-პატარა, რამდენიმე ცალს ეტყობა ხმარების კვალი. 30 ცალი.

ორმოსამარხი 166 (1939, S; სურ. 790—793). გათხრილი იყო 135-ე კვადრატში, მიწის ზედაპირიდან 2,55 მეტრის სიღრმეზე. როგორც პრეპარაციის დროს გამოირკვა, სამარხი ამოშენებული ყოფილა მსხვილი რიყის ქვების მშრალი წყობით და გადახურული ყოფილა ქვიშაქვის მჭიდა ფილაქვებით, რომელთაგან შუალა სამარხის შიგნით იყო დახრილი, ალბათ, საყრდენის გამოცლის გამო. მიცვალებულის ჩონჩხსა და ინვენტარს ფარავდა ფხვიერი მიწა, რომლის გადაცლის შემდეგ აღმოჩნდა საშუალო ტანის ადამიანის ჩონჩხი. იგი იწვა მარჯვენა გვერდზე ხელფეხმოხრილად, ხელები წინ ეწყო, თავით აღმოსავლეთისაკენ იყო მიქცეული. თავის ქალა კარგად იყო დაცული. მიცვალებულთან იყო თიხის სამი ჭურჭელი და ისრისპირები ბრინჯაოსი და ძვლისა.

თავის ქალა კრანიომეტრიულად შესწავლილია სპეციალისტის მიერ, რის

მიხედვით იგი თითქოს ქალს ეკუთვნის, მაგრამ დამარხვის წესისა და ინვენტარის მიხედვით იგი მამაკაცისა უნდა იყოს*.

801 (12—54:10278 (დერგიც ეთქმის) რუხნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (პირ-ყელმოყრილია); მხრებგანიერი, კვერცხისებრი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. აქეთ-იქეთ ოვალურგასახედიანი წყვილი ბრტყელი ყური აბია. სიმაღლე შემონახული ნაწილის 23,0; დმ შუცლის 27,9 სმ, ძირის 11,5 სმ.

802 (12—54:10279; სურ. 790). ლ ა ნ გ ა რ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; პირფართო, ნაპრიალები, პირქობიანი; ნაპირ-კალთის საზღვარზე წიბო გამოიყოფა. ოდნავ ქუსლგამოყოფილია. სიმაღლე 8,9; ნაპირის 2,7 სმ; დმ პირის 32,1; ძირის 9,9 სმ.

803 (12—54:10280; სურ. 791); კ ა თ ხ ა-ს ა ს მ ი ს ი რუხლეგად გამომწვარი მქისე თიხისა; ზედაპირხაოიანი; უმორგვოდ ნაძერწი კასრისებრტანიანი, პირის ახლოს აბია ოთხკუთხგანივკვეთიანი, ბრტყელი და მრგვალგასახედიანი ყური, რომელზედაც პატარა საცერულია დაძერწილი. სიმაღლე 8,7; დმ პირის 7,7; მუცლის 10,0; ძირის 5,7 სმ.

804 (12—54:10281; სურ. 792); ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელი, ძირითადად სამკუთხა მოყვანილობისა; ორფრთიანი და ბრტყელყუნწიანი ყოფილა (ეს უკანასკნელი და ცალი ფრთა დაკარგულია). სიგრძე 3,3; სიგანე 1,7 სმ.

805 (12—54:10281; სურ. 793). ი ს რ ი ს პ ი რ ი ძელისა; ქუსლამოღარული სამკუთხედის მსგავსი; წვერთან ახლოს პაწია მრგვალი ნახვრეტი აქვს ზროში ჩასამაგრებლად. გვერდის მოზრდილი ნაწილი ჩამოტეხილია. სიგანე 3,0 სმ.

ორმოსამარხი 178 (1040, s; სურ. 808—816).

აღმოჩნდა და გაითხარა 145-ე კვადრატში, 1,30 მეტრის სიღრმეზე; სამარხი საკვე იყო რიყის ქვებით. ცუდად დაცული ჩონჩხი (როგორც ჩანს, ქალისა) იწვა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისკენ მიქცეული; ქვედა კიდურები მკვეთრად მოხრილი ჰქონდა, ხელები კი სახის წინ ეწყო. გარდა ამისა, სამარხში იყო წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები, თიხის ხუთი ჭურჭელი, ზოგი მთელი და ზოგიც დაშლილ-დამტვრეული; ბრინჯაოს საკინძი, სპირალები, მძივები და სხვ**.

806 (12—54:11551; სურ. 808). კ ო ჭ ო ბ ი მოწითალოდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირხაოიანი, უმორგვოდ ნაძერწი; წინა მხარეს შებოლილ-შემურული (ალბათ, ცეცხლზე მიფიცხების გამო); ოდნავ პირგადმოწეულია, სფე-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII—XII სს.

** სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: XII — XI სს.—რედ.).

რულმუცლიანი. ოვალურღეროიანი ყური აქვს, ბრტყელძირიანია. სიმაღლე 9,0; პირის დმ 7,5 სმ.

807 (12—54:11542; სურ. 809). ქოთანი ღია-მოწითალოდ თუ მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; უმორგვოდ ნაძერწი; თხელი, ოდნავ გადმოშლილი პირი აქვს, ყელმომაღლო, მხრებგანიერი, ფართო ბრტყელი ძირით. სიმაღლე 12,0; დმ პირის 9,7 სმ; მუცლის 15,9; ძირის 9,5 სმ.

808 (12—54:11544; სურ. 810). ქილა რუხფრად გამომწვარი, მქისე, ქარსნარევი თიხისა; ზედაპირხაოიანი, პირფართო და გადმოშლილი, მხრებგანიერი, კვერცხისებრტანიანი, ბრტყელ დაკეკნილძირიანი. მხარზე ირიბად დაყენებული ფრჩხილისებური ორნამენტის სარტყელია. მთელი ზედაპირი დასერილია წვრილი გონგისეული ღარებით. სიმაღლე 15,5; დმ პირის 15,5; მუცლის 20,1; ძირის 10,3 სმ.

809 (12—54:11543). ფრაგმენტები შავზედაპირიანი და ღიასარჩულიანი თიხის ჭურჭლისა; მხარი შემკული ჰქონია დაშტრიხული სამკუთხედებით.

810 (12—54:11545). ფრაგმენტები შავპრიალა ზედაპირიანი თიხის ჭურჭლისა, რომელსაც ოდნავ გადმოშლილი პირი ჰქონია. ერთი ფრაგმენტი ზედაპირის გაპრიალებით და მოწითალო სარჩულით შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭლისას ჰგავს.

811 (12—54:11546; სურ. 812). საკინძი ბრინჯაოსი; პირამიდულთავიანი; ფართო ოვალურნახვრეტიანი; ღერო კოროდირებული და რამდენადმე დეფორმირებულია. სიგრძე 10,1 სმ; სიგანე 0,35; პირამიდის სიმაღლე 0,7; ფუძის სიგანე 0,7 სმ.

812 (12—54: 11547; სურ. 815). ხვია სპირალური ბრინჯაოს წვრილი მავთულისა; წყვილი. მათგან ერთი სრული ოთხად ნახვევია, მეორე ნაკლულია (სამხვიაა). უკეთესი ნიმუშის სიგრძე 2,2; სიგანე 1,1 სმ.

813 (12—54:11548—11549) ბრინჯაოს ხვიის ფრაგმენტები.

814 (12—54:11550—11553; სურ. 811, 813, 814). მძივები უმთავრესად მოვარდისფრო და მოწითალო სარდიონისა (18), აქატისა (6) — ზარისებრი და კასრისებრი მოყვანილობისა, და ერთიც მრგვალი ქალცედონისა. სულ 25 ცალი. უდიდესის სიგრძე 1,4 სმ; სიგანე 0,8 სმ.

815 (12—54:11554; სურ. 816). ანატკეცი გამკვირვალე ობსიდიანისა, გრძელ-ფართო მკრელნაპირებიანი. 3,9×3,6 სმ.

ორმოსამარხი 268 (1940, S; სურ. 817—823). აღმოჩენილი იყო 197-ე კვადრატში 1,50 მ სიღრმეზე. აქედან მოკიდებული 1,80 მეტრის სიღრმემდე მიწის ფენაში გვხვდებოდა ადამიანის ჩონჩხის ცალკეული ძვლები და შავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ბოლოს 1,80 მეტრზე კარგად გამოიკვეთა სამარხი ორმოს ძირი, რომელიც მოიცავდა მოედანს 1,30×1,08 მ. იგი დამხრობილი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის. აქაც ცალკეული ძვლები იყო

მიმოფანტული სხვადასხვა ადგილას. თავის ქალა დასავლეთ ნაწილში იყო, იქ, სადაც ჭურჭელთა უმრავლესობა იყო თავმოყრილი (დაახლოებით 5-ოდე ცალი). გარდა ამისა, სამარხში ბრინჯაოს სამი თხელი ისრისპირი და ორი-ოდე სარდიონის მძივი აღმოჩნდა*.

816 (12—54:11623; სურ. 817). ლ ა ნ გ ა რ ი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები; ფართო, სწორბაკოიანი; ნაპირ-კალთის საზღვარზე წიბო წარმოიქმნება. წარმოდგენილია ხუთი მოზრდილი შეკოწიწებული ფრაგმენტის სახით. თან ახლავს ნაპირ-კალთის საწურიანი ფრაგმენტი, რომელიც ამ ლანგარს არ ეკუთვნის.

817 (12—54:11625; სურ. 818). კ ა თ ხ ა შავად გამომწვარი თიხისა; თხელკედლიანი, ნაპრიალები, კასრისებრტანიანი; პირს გარედან ღარი არტყია. აქვს ოთხკუთხაღეროიანი, ოვალურგასახედიანი, საცერულიანი კოხტა ყური. შეკოწიწებულია. სიმაღლე 15,2; დმ პირის 13,5; მუცლის 13,8; ძირის 10,5 სმ.

818 (12—54:11626; სურ. 819). ქ ი ლ ა რუხფრად გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (პირმოტეხილი), კვერცხისებრტანიანი, წყვილი ბრტყელი ყურით; ყელის ძირში ტალღოვანი ხაზია; მხარზე (ყურთა ზემოთ) ორი მკრთალი ღარი და მათ შორის ხშირი ვერტიკალური ნაპრიალები ზოლებია. პირგვერდის ნაწილი აკლია. შემონახული ნაწილის სიმაღლე 30,5; დმ მუცლის 27,5; ძირის 8,5 სმ.

819 (12—54:11622; სურ. 820). ჯ ა მ ი ნაცრისფრად, ნაწილობრივ შავად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა; პრიალა ზედაპირიანი; პირგადმოშლილი, მხარმაღალი; მხარ-კალთის საზღვარზე წიბო იქმნება, მთავრდება კოხტა ქუსლით, რომელიც ნაწილობრივ მომტვრეული და დაკარგულია. კალთის ზედაპირი ქუსლიდან რადიალურად გამომავალი ხშირი პრიალა ზოლებით არის შემკული. სიმაღლე 9,1; ქუსლის სიმაღლე 1,0; დმ პირის 15,0; მუცლის (წიბოს დონეზე) 14,7; ძირის 6,7 სმ.

820 (12—54:11628; სურ. 821), ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა მოშავოდ, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები, პირგადმოშლილი, ბიკონუსურტანიანი. მხარი ფართო ღრმა ღარებით არის გოფრირებული, კალთის ზედაპირი თევზიფხური პრიალა ხაზებით არის შემკული. სიმაღლე 10,5; დმ პირის 14,6; მუცლის 17,0; ძირის 7,5 სმ.

821 (12—54:11624). ფრაგმენტები შავად გამომწვარი და ნაპრიალები, თხელკედლიანი თიხის ჭურჭლისა; წარმოდგენილია ქუსლიანი ძირისა და კალთის მოზრდილი ნაწილის სახით. სიმაღლე ქუსლის 0,6; ძირის დმ 6,5 სმ.

822 (12—54:11627). ქ ი ლ ი ს ნაწილი, წარმოდგენილი სამი შეკოწიწებული ფრაგმენტის სახით. შავლეგად გამომწვარი, ნაპრიალები თიხა ყოფი-

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II—XII (გეიანბრინჯაო II, ძვ. წ. XII ს. — რედ.).

ლა; ქილა პირმოყრილია, პირი წყვილი ღრმა ღარითაა შემკული და მისი კიდე დაკეკნილია; ორყურა იქნებოდა. შემორჩენილია ცალი, მრგვალღერა ბიბილოიანი ყური. მხრის გულზე ღრმა კონცენტრული ღარი არტყია ამ ღარსა და პირს შორისი არე პარკეტული სახის პრიალა ხაზებით არის შევსებული.

823 (12—54:11629: სურ. 823). ისრისპირი ბრინჯაოსი; თხელფირფიტოვანი, ვიწრო ფრთებიანი (ცალი მოტეხილ-დაკარგულია) და გრძელყუნწიანი, რომელსაც ბოლოში პაწია მრგვალი ნახვრეტი აქვს. სიგანე 6,7; ყუნწის სიგრძე 3,4; ყელის სიგანე 0,6 სმ.

824 (12—54:11630; სურ. 822). ისრისპირი ბრინჯაოსი, თხელი, ფუძეამოღარული სამკუთხედის მსგავსი. სიგრძე 2,3; სიგანე 1,5 სმ.

825 (12—54:11631; სურ. 822). ისრისპირი ბრინჯაოსი ზემოთ აღწერილის მსგავსი, ოღონდ მოგრძო და მცირენახვრეტიანი. სიგრძე 3,3; სიგანე 1,3 სმ.

826 (12—54:11632; სურ. 823 a). ირმის რქის ძირები, ტოტებწაკვეთილი და განივად გახვრეტილი. წარმოდგენილია ორი ძირის ფრაგმენტები. ლახტისთავებად გამოყენებული იქნებოდნენ.

ორმოსამარხი 282 (1940, s; სურ. 824—830). აღმოჩენილი იყო 203-ე კვადრატში. მიცვალებულს ზემოდან 2,20 მ სიღრმეზე რიყის ქვის ზვინული უნდა ყოფილიყო გამართული. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ აღმოსავლეთით დამხრობილი; მენჯში სწორად მოხრილი ქვედა კიდურებით, ხელები სახის წინ ეწყო. შემორჩენილი რიყის ქვების განლაგება გვავარაუდებინებს, რომ ისინი სამარხის ირგვლივ წრიულად უნდა ყოფილიყო შემორგებული, მაგრამ ახლა მათგან ცოტაა დარჩენილი. მიცვალებულს თან ახლდა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები, შავი, თიხის 11 სხვადასხვა ჭურჭელი, ბრინჯაოს შუბის (1) და ისრისპირები (2), საკინძი, ჩქიფი, ორი სადგისი, ტახის ეშვი, ცხვრის კოჭები და სხვ*.

827 (12—54:11670; სურ. 827). ლანგარი მოშავოდ გამომწვარი თიხისა; შიდაპირნაპრიალები; მაღალი, ღრმა, ოდნავ გამოწეული სწორი ბაკოთი; დაბალნაპირიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი, რამდენადმე დეფორმირებულია. სიგრძე 11,5; პირის უდ. დმ 33,7; ნაპირის სიმაღლე 9,9 სმ.

828 (12—54:11669; სურ. 828). ჯამი შავლეგად გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები (გადასულია); დაბალი, ოდნავ პირგადმოწეული, მაღალნაპირიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი. სიმაღლე 4,9; ნაპირის 2,7; ქუსლის 0,3; დმ პირის 18,0; ძირის 5,5 სმ.

---

* სამარხის აღწერილობის გვერდით, მარცხნივ, ავტორს მიუწერია ფანქრით: გბ. II, XII—XI (გეიანბრინჯაო II, ძვ. წ. XII—XI სს. —(რედ.).

829 (12—54:11666; სურ. 830). კ ა თ ხ ა მოშავოდ გამომწვარი თიხისა; ზედაპირნაპრიალები; კასრისებრტანიანი, ცალყურა. ბრტყელღერა ყურზე ნაძერწი საცერულის ნაშთია შემორჩენილი. გარედან პირის ირგვლივ ღრმა ღარი არტყია. სიმაღლე 13,3; დმ პირის 12,0; მუცლის 12,5; ძირის 10,1 სმ.

830 (12—54:11667; სურ. 826). ხ ე ლ ა დ ა რუხ-ლეგად გამომწვარი თიხისა; ზედაპირგაპრიალებული (რომელიც საგრძნობ ნაწილზე აქერცლილია); პირგადმოშლილი, ყელმაღალი, სფერულმუცლიანი, ბრტყელ-ფართო ძირიანი, ბრტყელღერა ყური ყელის მხართან აერთებს. პირისა და ყელის ძირის ირგვლივ მკრთალი ღარია. სიმაღლე 21,7; დმ პირის 10,7; მუცლის 16,0; ძირის 12,1 სმ.

831 (12—54:11668; სურ. 825). ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი ქ ი ლ ა მოშავოდ, ნაწილობრივ მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა; ნაპრიალები (გადასულია); პირგადმოშლილი, ყელდაბალი, კვერცხისებრტანიანი, მუცელზე განივად მინაძერწი მრგვალღერა ყურიანი (მოტეხილ-დაკარგულია), რომლის მარცხნივ სასულე მილია (შუშუტი) დატანებული. მხარზე ოთხი მკრთალი ღარი გასდევს. სიმაღლე 31,0 სმ; ყელის 2,7; დმ პირის 11,0; მუცლის 26,0; ძირის 9,0.

832 (12—54:11673; სურ. 829). ქ ი ლ ა რუხ-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; მხარს ზევით გადამტვრეული; მუცელგანიერი; მხარზე სამი ღარით შემკული ჭურჭელი ყოფილა. შემონახული ნაწილის სიმაღლე 22,7; დმ მუცლის 27,5; ძირის 11,1 სმ.

833 (12—54:11665; სურ. 824). ქ ი ლ ა ყავისფრად გამომწვარი თიხისა; პრიალაზედაპირიანი (ალაგ-ალაგ აქერცლილი); პირგადმოშლილი, დაბალ-ყელიანი, მხრებდაქანებული, მუცელგანიერი; ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს. მხარზე წყვილი ღრმა ღარი გადასდევს. სიმაღლე 15,7; ქუსლის 0,4; დმ პირის 14,3; მუცლის 21,0; ძირის დმ —7,0 სმ.

834 (12—54:11671; სურ. 831). კ ო ჭ ო ბ ი შავად გამომწვარი თიხისა. პაწია, ოდნავ პირგადმოშლილი, მხრებგანიერი, ბიკონუსური მოყვანილობის მუცელით; მთელი ზედაპირი წვრილი ხშირი ღარებით აქვს დაფარული. ძირთან ახლოს წყვილი ღარი, რომელთა შორის არე განივი ჭდეებით არის შევსებული. სიმაღლე 8,5; დმ პირის 8,9; მუცლის 11,0; ძირის 6,0 სმ.

835 (12—54:11672). კ ო ჭ ო ბ ი ცალყურა, რუხფრად გამომწვარი თიხისა; წარმოდგენილია რამდენიმე ფრაგმენტის სახით; ბრტყელღერა, თითქმის მრგვალგასახედიანი ყურით (საცერული), ირიბად დაკეკნილი ძირი ჰქონია. ყელის ძირში ფრჩხილისებური, ზედაპირზე ღარული ორნამენტი ჩანს.

836 (12—54:11674, სურ. 832). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინჯაოსი; თხელფირფიტოვანი, ფუძეამოღარული, სამკუთხედის მოყვანილობისა; წვერთა ახლოს გახვრეტილი სიგრძე 2,6; სიგანე 1,3 სმ.

837 (12—54:11675, სურ. 832). ი ს რ ი ს პ ი რ ი ბრინაჯოსი წინამორ-

ბედის მსგავსი, ოღონდ შედარებით მოკლე და ფართო. სიგრძე 2,3; სიგანე 1,5 სმ.

838 (12—54:11676; სურ. 833). ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი; მსხვილღეროიანი, დაბალი ნახევარსფერული თავით, განივად ყელდაღარული, სადაც წარმოიქმნება სამი ლილვაკი. მრგვალნახვრეტიანი. სიგრძე 16,6; თავის სიმაღლე 0,9; დმ 1,5 სმ.

839 (12—54:11677; სურ. 834). ს ა დ გ ი ს ი ბრინჯაოსი; ოთხწახნაგა; ძვლისტარიანი. სიგრძე 14,9 სმ.

840 (12—54:11678. ს ა დ გ ი ს ი ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა, მრგვალყუნწიანი, წვერი ჟანგისაგან აქვს შეჭმული. სიგრძე 6,7; წახნაგის უდ. სიგანე 0,5 სმ.

841 (12—54:11679; სურ. 835). მ ა შ ა (ჩქიფი) ბრინჯაოსი. სიგრძე 8,1; ლოყის სიგანე 1,2 სმ.

842 (12—54:11680; სურ. 837). მ ძ ი ვ ი ძვლისა, მომრგვალებული; ფართონახვრეტიანი, ზედაპირი შემკულია კონცენტრულ წრეთა წყებებით; ყოველ წრეს ცენტრში წერტილი უზის. სიგრძე (ანუ სიმაღლე 1,2), უდ. დმ 1,6; ნახვრეტის უდ. დმ 0,7 სმ.

843 (12—54:11681; სურ. 838). ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი ტახის ე შ ვ ი ს ა, სიგრძივი.

844 (12—54:11682—83; სურ. 836). კ ო ჭ ო ბ ი (ასტრალური) ცხვრისა; წყვილი.

845 (12—54:11684). ხარის კოჭის ფრაგმენტი.

846 (12—54:11685; სურ. 839). ლ ა მ ე ლ ა გამჭვირვალე ობსიდიანისა, რომელსაც ცალ ნაპირზე ხმარების კვალი ატყვია. სიგრძე 2,5; სიგანე 1,3.

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ДОАНТИЧНОЙ ЭПОХИ

Резюме

Публикуемая часть многолетних исследований автора посвящена археологическим памятникам доантичного периода истории Мцхета. В ней, естественно, в первую очередь речь идет об археологических материалах ранней и средней бронзы. Таковы: глиняные жертвенники или очажные подставки, медный топор, медные черепковые наконечники копий, обнаруженные в Багинети и Земо-Авчала; чернолощенная глиняная посуда из курганных погребений Земо Канда, а также из самого нижнего культурного слоя Самтаврского могильника. Подробно рассматривается красно-глиняный сосуд с черной росписью из Нареквави и погребальные комплексы, обнаруженные в разрушенных курганообразных погребениях Самтавро эпохи средней бронзы. При характеристике расписной керамики привлечены параллельные и синхронные памятники Закавказья, Кавказа и Передней Азии и показано культурно-хронологическое место и значение нареквавских, руставских и приневских находок в ряду подобных памятников Кавказа.

При рассмотрении памятников среднебронзовой культуры автор большое внимание уделяет вопросам о происхождении и распространении длинных рапировидных бронзовых мечей без рукоятки, один из лучших образцов которых был найден в курганном погребении № 243, на южном участке Самтаврского могильника.

Вслед за рассмотрением погребальных комплексов среднебронзовой культуры рассматриваются весьма разнообразные комплексы позднебронзовой культуры, обнаруженные в огромном количестве при раскопках Самтаврского могильника в 1938—1948 гг., с перерывами, под руководством А. Н. Каландадзе. Памятники Самтавро эпохи поздней бронзы автор рассматривает по трем хронологическим группам: а) Поздняя бронза I—XIV—XIII вв. до н. э., б) Поздняя бронза II—XII—XI вв. до н. э.; в) Поздняя бронза III (переходный этап от бронзы к железу) — XI—X вв. до н. э.

В предлагаемой книге публикуются погребальные комплексы Самтаврского могильника первых двух этапов эпохи поздней бронзы, т. е. памятники XIV—XIII вв. до н. э. и памятники XII—XI вв. до н. э.

В работе дана общая оценка изученности памятников позднебронзовых культур Кавказа; приводится хронологическое членение памятников исследуемого периода: поздняя бронза — XIV—XII вв. до н. э., переходный этап от бронзы к железу — XI—X вв. до н. э., раннее железо — IX—VI вв до н. э. Данная периодизация основывается на предложенном автором в 1948 году делении Самтаврских грунтовых погребений на раннюю, среднюю и позднюю группы.

Далее в работе дается перечень особо важных исторических явлений в экономической, социальной, культурной и военно-политической жизни племен, позже — народов сопредельных с Грузией стран и областей, общение с которыми во многом обусловило высокий уровень культуры в стране в изучаемый отрезок времени.

Подробно рассматривается вопрос об устройстве погребальных сооружений и способах захоронения покойников. С самого начала эпохи бронзы место захоронения строго разграничено от места поселения. На смену курганным погребениям средней бронзы с булыжными выкладками вокруг каменных ящиков в эпоху поздней бронзы приходят обыкновенные грунтовые ямы, достаточные для покойника в скорченном виде, перекрытые в свое время досками или жердями и засыпанные сверху крупным булыжником вперемешку с землей. Опознавательных знаков могил не засвидетельствовано. Ориентация покойников, уложенных на дно ямы между четырех камней, попарно у изголовья и у ног, весьма различна; преобладает все же ориентация головой на восток, северо-восток, юго-восток. Безраздельно господствует ингумация, случаев кремации не наблюдается, но имеются кенотафы. Вторичные захоронения единичны. В скорченности наблюдаются градации: бывает свободная, умеренная и сильная скорченность. Положение покойника на том или ином боку определяет пол погребенного: на левом боку клали женщин, на правом — мужчин. Исключений на Самтаврском могильнике нет.

Подавляющее большинство грунтовых погребений Самтаврского могильника представляет собой индивидуальные захоронения, коллективные или групповые погребения редки.

В данной книге публикуются погребальные комплексы эпохи ранней бронзы и двух первых этапов поздней бронзы, а именно: комплексы XIV—XI вв. до н. э.

Археологические материалы предлагаются читателям в следующей последовательности: в первую очередь дается описание погребального сооружения и способов захоронений; вслед за этим дано описание погребального инвентаря. Публикуемые комплексы обильно иллюстрированы.

მითითებული ლიტერატურა

1. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები (1937—1946 წწ. განთხარის მიხედვით). მცხეთა I, თბ., 1955.
2. ალ. კალანდაძე, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
3. ალ. კალანდაძე, გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში (საქართველოს არქეოლოგიის კურსისათვის, ხელნაწერი).
4. ალ. კალანდაძე. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი სამთავროს უძველეს სამაროვანზე. თეზისები, თბ., 1947.
5. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს დედაქალაქში, თბ., 1945.
6. გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში (საკანდიდატო დისერტაციის ნაბეჭდი თეზისები).
7. გ. ლომთათიძე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილოეთის ჯგუფის 1940 წლის ანგარიში (ხელნაწერი).
8. ტ. ჩუბინაშვილი, მიცვალებულის კვერზე დასაფლავება სამთავროში. სმამ, ტ. 12, № 1, თბ., 1951.
9. ტ. ჩუბინაშვილი, სამთავროს ყორღანული სამარხი № 243, მსკა, ტ. I, თბ., 1955.
10. ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავზე. ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ., 1937.
11. М. Г. Абдушелишвили, К полеантропологии Самтаврского могильника, Тб., 1952.
12. Г. М. Асланов, Р. М. Ваидов, Г. И. Ионе, Древний Мингечур. Баку, 1939.
13. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
14. Б. А. Куфтин, К вопросу о корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. Вестник Государственного музея Грузии, XIII—B, Тб., 1944.
15. М. М. Ивашенко, Предварительный отчет о работе южной группы Мцхетской археологической экспедиции за 1940 год (рукопись),
16. Г. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тб., 1955.
17. Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья. Л., 1949.
18. H. Bonnet, Die Waffen des Völker des Alten Orients, 1926, Leipzig.
19. G. Dechelette, Manuel d'archeologie, Paris. 1910.
20. Influences égeennes sur le Cauacase. D'Anthropologie, t. XX, Paris, 1910.
21. J. de Morgan, La Prehistoire Orientale, t. III, Paris, 1927.
22. St. Przeworski, Zagadnienie wplywow bliskogo Wschodu w Kulturze Tatjanowskiej Rosji Srodkowej (Das problem der vorderasiatischen Einflüssen in der Tatianowokultur Zentral-Russlands). Swiatowit, XV, 1933.

პირთა საძიებელი

აბდუშელიშვილი მ. 27
აბრამიშვილი ნ. 6
აბრამიშვილი რ. 20
ამბრიაშვილი ა. 6
ანტონოვიჩი ვ. 20
ასტახოვი ვ. 7
აფაქიძე ა. 20, 23
ბაიერნი ფ. 20
ბიბილური თ. 6
ბონე ჰ. 18
გიუნაშვილი გ. 6
გობეჯიშვილ გ. 20
დეშელტი დ. 18
ელიავა ე. 6
ვირხოვი რ. 20
ზახაროვი ა. 20
თაყაიშვილი ე. 20
თოფურიძე ნ. 7
იესენი ა. 20
ივანოვსკი ა. 20
ივაშჩენკო მ. 14, 18, 20, 29, 38, 42, 72
კალანდაძე ა. 5, 17, 20
კალანდაძე ზ. 6
კანდელაკი ვ. 7
კაჭკაჭიშვილი მ. 6
კვეესი კლ. 7
კრუპნოვი გ. 20
კუფტინი ბ. 9, 11, 12, 15, 18, 20
ლალაიანი გ. 20
ლომთათიძე გ. 15, 18, 20, 26
მაკალათია ს. 20
მარტიროსიანი ა. 20
მაკავარიანი ლ. 21
მეშჩანინოვი ი 12, 20
მილერი ა. 12, 20
მნაცაკანიანი ო. 20
მორგანი ჟ. 20
ნიორაძე გ. 20
პიოტროვსკი ბ. 12, 13, 20
პშეორსკი სტ. 11
პჩელინა ე. 20
რესლერი ე. 20
სურგულაძე თ. 6
ტალგრენი ა. 20
უვაროვა ა. 20
ფაკლენიშვილი ლ. 6
ფედოროვი მ. 6
ფილიმონოვი მ. 20
ქორიძე დ. 20
ყაზიევი ს. 20
შანტრი ე. 20
ჩარკოვსკი ს. 11, 12
ჩუბინიშვილი ტ. 15, 18, 20
ძნელაძე მ. 6
ჭანიშვილი თ. 6
ხოშტარია ნ. 20
ჯანაშია ს. 18
ჯაფარიძე ო. 20
ჰანჩარი ფ. 20
ჰუმელი ი. 20

გეოგრაფიული სახელები

ავკალა 8
ამიერკავკასია 13, 16
ანაუ 11
არავეი (მდ.) 17
არმაზისხევი 29
აფროევრაზია 9
ახტალა 26
ბაბილონი 21
ბაგინეთი 9, 16
ბაკურციხე 26
ბამბაკი 15, 17
ბეშთაშენი 26

ბოგჩა 26
გულგული 26
დვანი 26
დიდი მცხეთა 8, 16, 17
ეგეოსური სამყარო 28
ეგვიპტე 21
ელამი 11, 12, 13
ერევანი 12
ვორნაკი 26
ზანგი მდ. 11
ზემო ავჭალა 8, 16
თაზაკენი 11, 12
თბილისი 54
თრიალეთი 11, 14, 15, 16, 18, 29
თრიალეთის ზეგანი 10, 16
იყალთო 26
კავკასია 17, 18, 20, 26
კამარახევი 29
კარსანი 8
კარსნისხევი 29
კიროვაკანი 16
კრეტა-მიკენი 15
ლორე 15, 17, 18
მესოპოტამია 11
მილის სტეპი 12
მინგეჩაური 29
მოზდოკი 26
მტკვარი 17
მეხანათ-თეფე 12, 13
მეხრანი 8
მცხეთა 14, 18, 19, 20, 21, 23, 24, 27
მცირე აზია 16
ნარეკვავი 10
რედკინლაგერი 26
სამთავრო 14, 16, 17, 18, 21, 25, 26, 27, 29, 32, 56, 109, 115.
სანგრის ხევი 8
საქართველო 20, 21, 26, 28
სუზა 12
ტალიში 18, 26
ურარტუ 13, 21
ფიქრისგორა 14
ფლავისმანი 26
ფრინევი 14
ქართლი 21
ღები 26
ყალა-თეფე 12
ყალაქენდი 25
ყარაბულახი 26
ყიზილვანქი 11, 12, 14
ყობანი 26
შიდა ქართლი 17, 18
ჩრდ. ირანი 12
ძეგვი 8
წილკანი 8
წილკნის ველი 9
წინა აზია 17, 20, 29
წიწამური 29
ხმელთაშუა ზღვის აუზი 20
ხოვლე 26

ეთნიკური სახელები

აზერბაიჯანელი 19
ბერძენი 21
იბერიულ-კავკასიური ტომები 15, 21
კიმერიელები 21
პროტოხეთები 21
რუსი 19
სკვითები 21
ხომეხი 19
ქართველები 17, 19
ქართველური ტომი 21
ხეთები 21
ხური-ურარტები 21

საგანთა სახელები

აბზინდა ბრინჯაოსი 165
ამიერკავკასიური კერამიკა 11
ანატკეც-ანამტვრევი ობსიდიანისა 33, 37, 43, 50
ანატკეცი კაჟისა 36
ანატკეცი ობსიდიანისა 36, 50, 61, 63, 99, 100, 112
ალაპი 49, 52

ბადია 38, 45, 47, 74, 151, 154, 174
ბაზალტი 43
ბალთა სარტყლის ბრინჯაოსი 147, 167
ბატკანი 64, 109
ბეკედი ბრინჯაოსი 120
გარსაკრავი ოქროსი 18
გოზაური 152
გორასამარხი 10, 11, 14, 15, 23, 25, 30, 33, 35, 36, 119
დანა ქვისა 57
დელუვიური ნარიყი 60
დერგი 15, 31, 33, 34, 40, 44, 48, 66, 70, 78, 103, 115, 117, 121, 127, 150, 153, 155, 156, 168, 199
დოქი 66, 67
ეშვი გარეული ღორისა 62
ეშვი ტახისა 60, 119, 120, 171, 173
ზოდი ბრინჯაოსი 120
თ ა ს ი 54, 156
თეფში 118, 123, 166
თ ხ ა 28, 29, 49, 58, 83, 99
ირემი 28, 30, 31
ირმის რქა 54, 97, 99, 100, 105
ისრისპირი ბრინჯაოსი 42, 43, 77, 82, 103, 104, 116, 117, 118, 119, 125, 127, 128, 145, 147, 149, 160, 161, 165, 167, 168, 171, 172
ისრისპირი ძვლისა 82, 160, 168, 171
კათხა 42, 47, 52, 82, 128, 149, 161, 162, 165, 166, 168, 170, 172
კამეჩი 28
კევრი 31
კენოტაფი 15, 16, 25, 26, 36, 44, 49, 72
კერამიკა ელამური 17
კვირისტავი 102
კოთხო 154, 156, 157
კოკა 45
კოში 40, 65
კოპობანა 39, 64, 101
კოპობი 37, 40, 52, 60, 61, 73, 76, 79, 83, 97, 99, 103, 106, 107, 109, 111, 112, 115, 127, 153, 154, 155, 156, 158, 161, 168, 172, 173
კ ო ხ ი 31
კრამიტსამარხი 33
კრომლეხი 23, 33
კუ 28, 29
ლაგამი 104
ლამელა კაჟის 35
ლანგარი 23, 50, 54, 56, 60, 61, 62, 65, 66, 70, 77, 78, 99, 111, 112, 116, 117, 118, 119, 120, 125, 145, 148, 150, 154, 156, 157, 162, 168, 170, 171
ლახტისთავი ირმის რქის 54, 56, 57, 61, 68, 78, 97, 99, 100, 103, 105, 115, 116, 126, 148
ლურსმანი თაეკომბალა ბრინჯაოსი 115, 116
მანკვალი 84
მაშა (ჩქიფი) 173
მახათი ბრინჯაოსი 51, 59, 69, 71, 106, 107, 112, 114, 156, 158
მახვილი 9, 14, 15, 17, 18, 22, 33, 34
მოხატული ჭურჭელი 17
მძიეი: ანტიმონისა 53, 70, 71, 97, 98, 112, 114, 151
ბრინჯაოსი 71, 98
გიშრის 33, 35, 112
იასპის 97
კვარცის 33, 35
მინის 76
ოქროსი 33, 35
პასტის 40, 41, 44, 51, 68, 69, 75, 76, 81, 83, 102, 103, 105, 106, 109, 112, 114, 120, 151, 159, 162, 163, 164, 165
სარდიონის 33, 34, 43, 44, 51, 53, 56, 57, 59, 60 61, 63, 64, 65, 69, 71, 72, 73, 75, 76, 78 79, 81, 83, 97, 93, 103, 105, 106, 108, 126, 151, 156, 158, 162, 163, 164, 165, 167, 169, 170
ტალკის 65
ქალცედონის 48, 164, 169
ნამგალი 31
ნახშირი ხის 33, 37, 44, 52
ნემსი ბრინჯაოსი 79, 53
ნიკარა 40
ორმოსამარხი 22, 23, 24, 25, 27, 28, 32, 37, 38, 40, 41, 42, 43, 47, 48, 50, 51, 52, 53, 55, 57, 60, 63, 65, 70, 72, 73, 75, 76, 78, 82, 83, 101, 103, 105, 106, 107, 109, 110, 112, 116, 119, 148, 150, 153, 156, 158, 159, 162, 163, 164, 165, 168, 169, 171

ოფსიდიანი 41, 42, 43, 110, 114, 122, 128, 167, 173
პენგელი 116
რგოლი ბრინჯაოსი 53, 59, 60, 64, 65, 73, 79, 83, 102, 106, 108, 112, 114, 150, 151, 156
რიყის ქვის ქვაფენილი 73
რქის შეილი 55
რქის ძირი ირმის 54, 55, 60, 61, 62, 63, 68, 78, 116, 127, 147, 157, 171
საგდული 40
სადგისი ბრინჯაოსი 29, 54, 55, 79, 82, 171, 172
სადღეპელი 52, 56, 60, 61, 72, 79, 127, 162, 164, 165, 166, 172
საკიდები ანტიმონისა 108
საკიდი 29
საკინძი ბრინჯაოსი 14, 40, 41, 51, 54, 55, 56, 57, 59, 60, 62, 64, 65, 68, 69, 98, 99, 100, 106, 107, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118, 119, 120, 122, 123, 125, 145, 147, 156, 158, 162, 163, 164, 165, 166, 168, 169, 171, 173
საკურთხეველი 8
სალესი ქვა 56, 57
სამარილე თიხისა 73, 76
სამარხი ინჰუმაციური 25
კოლექტიური 24
ქვაფენილიანი 81
ყორღანული 17
სამაჯური ბრინჯაოსი 69, 73, 75, 102, 120, 151, 156
სამაჯური მძივის 59
სარკმელი ობსიდიანის 50
სარტყელი ბრინჯაოსი 99, 110
სასთუმალი 146
სასმისი 59, 82, 117
სატევარი 9, 109
სატევრისპირი ბრინჯაოსი 9, 14, 15, 27, 33, 39, 40, 41, 54, 55, 56, 57, 60, 62, 64, 65, 68, 71, 77, 78, 84, 99, 103, 104, 111, 115, 116, 117, 118, 122, 125, 126, 127, 128, 145, 147, 149, 165, 166
საყბეური ლაგმის ბრინჯაოსი 103, 104
საყურე ბრინჯაოსი 51, 75, 79, 83, 98, 112, 157, 158, 159
საცეცხლური 33
საწურაეი 37
საკრაქე 42
სახურავი ხის 50
სვასტიკა 10, 25, 36
სპირალები 168, 169
სურა 12, 47, 49
ტახი 28, 30, 31
ტოლჩა 37, 59, 77, 109, 155, 160, 161, 162
ურემი 15
ფიალა 47, 54, 60, 61, 62, 73, 101, 107, 108, 124, 153, 155, 156, 157
ფილაქვა 42
ფილაქვიანი სამარხი 23
ფილები ქვიშაქვის 35, 37, 79, 81, 150
ფინჯანი 109, 111, 126, 127, 160, 161
ფირფიტა ძვლის 56
ფირფიტები ბრინჯაოსი 101
ფოთლისებრი სატევარი 14
ფრინველი 28
ქანდაკება ვოტიეური 22
ქანდაკება ხარის 103, 105
ქვაბქოთანა 75, 125, 126, 127, 160, 170
ქვაფენილი რიყის 49
ქვაფენილიანი სამარხი 23
ქვაყრილი 15, 35, 47, 72
ქვაყრილი ყორღანული სამარხისა 115
ქვეერსამარხი 12
ქვეერისებური ჭურჭელი თიხისა 64
ქვის სამარხი 23, 24, 35, 93, 109, 119
ქილა 10, 30, 39, 40, 42, 43, 45, 46, 48, 49, 51, 53, 54, 55, 59, 61, 62, 66, 69, 70, 72, 73, 74, 77, 78, 79, 81, 82, 83, 84, 97, 99, 101, 103, 105, 106, 107, 108, 110, 112, 113, 115, 116, 118, 119, 120, 122, 123, 125, 146, 147, 148, 149, 151, 154, 155, 156, 157, 159, 162, 163, 164, 165, 169, 170, 172
ქოთანი 14, 36, 38, 43, 48, 50, 51, 56, 60, 61, 63, 64, 66, 67, 75, 97, 104, 109, 112, 115, 118, 119, 123, 126, 127, 146, 150, 154, 155, 157, 158, 160, 162, 164, 169
ღილი ანტიმონის 64, 65
ღორეჩო 29
ღორი 28, 30
ყაეარჯნის ჩამოსაცმელი 14
ყაწიმის რგოლი 82
ყელსაბამი მძივის 59
ყორღანი 97, 115

ყორღანული სამარხი 9
შუბისპირი 8, 9, 27, 29, 54, 56, 66, 99, 100, 103, 104, 109, 111, 114, 115, 116, 121, 122, 165, 166, 171
ჩუგლუგი 12
ციკანი 52, 112, 121
ცხენი 14, 28, 30, 61
ცხვარი 28, 29, 30, 33, 37, 49, 66, 79, 114, 115, 118, 146, 148, 150, 160, 162, 171
ცული 9, 14, 22, 27, 29
ძელი ხის 58
ძვლის ნივთი 57
ძროხა 28, 29
წერნაქი 10
ჭვალთი ძვლის 82
ჭიქა 116, 124
ჭურჭელი ქვევრისებრი 102
ჭურჭელი ძაბრისებრი 42
ხარი 8, 28, 29, 33, 49
ხელადა 82, 160, 165, 170, 172
ხელშუბისპირი ბრინჯაოსი 55, 57, 61, 63
ხვია ბრინჯაოსი 12, 66
ხოპო 53
ჯამი 10, 29, 37, 38, 40, 53, 54, 60, 61, 62, 63, 64, 66, 69, 70, 71, 78, 97, 98, 99, 103, 104, 105, 106, 107, 115, 116, 118, 121, 146, 150, 154, 158, 162, 165, 166, 170, 171
ჯვარი 18
„ჰერული“ კერამიკა 55

სურათების აღწერილობა

1, 2. სამარხი 243. 1940, s. პრეპარაციის შემდეგ. 3. ქილა თიხისა (11712). 4. დერგი თიხისა (11715). 5. დერგი თიხისა (12162). 6. მახვილი ბრინჯაოსი (11716). 7. სატევარი ბრინჯაოსი (11717). 8. მძივები სარდიონისა (11718). 9. მძივი გიშრისა (11719). 10. მძივები კვარცისა (11720). 11. მძივები ოქროსი (11721).

12. სამარხი 159. 1940, №. პრეპარაციის შემდგ.

13. ک ე ნ ო ტ ა ფ ი 1. ქილა თიხისა (6627). 14. ქოთანი თიხისა (6631). 15. ქილა თიხისა (6632). 16. ჯამი თიხისა (6629).

17. სამარხი 156. 1939, s. პრეპარაციის შემდეგ. 18. ქილა თიხისა (10226). 19. ქილა თიხისა (10226).20. ტოლჩა თიხისა (10228) 21.ტოლჩა თიხისა (10228). 22. ქოთანი თიხისა (10229). 23. ქოთანი თიხისა (10229). 24. ჯამი თიხისა (10227). 25. ჯამი თიხისა (10227).

26. სამარხი 198. 1940, s. პრეპარაციის შემდგ. 27. ქილა თიხისა (11564). 28. ქილა თიხისა (11565). 29. კოკობანა თიხისა (11566). 30. სატევრისპირი (11568). 31. სატევრისპირი ბრინჯაოსი (11568). 32. საგდული ნიჟარისა (11569). 33. კოკი საქონლისა (11570).

34. სამარხი 183 პრეპარაციის შემდეგ. 35. დერგი თიხისა (4913), 36. კოკობი თიხისა (4915). 37. კოკობი თიხისა (4915). 38. ჯამი თიხისა (4914). 39. დერგი თიხისა (4913). 40. საკინძი ბრინჯაოსი (4917). 41. საკინძი ბრინჯაოსი (4917). 42. სატევრისპირი ბრინჯაოსი (4916). 43. მძივები პასტისა (4918). 44. ანატკეცი ობსიდიანისა (4920).

45. სამარხი 92. 1939, s. პრეპარაციის შემდეგ. 46. ძაბრისებრი ჭურჭელი (10018). 47. ძაბრისებრი ჭურჭელი (10018). 48. კათხის ყელ-ყურის ფრაგმენტი (10017).

49. სამარხი 62[1]. 1938, s. 50. ქილა თიხისა (8934). 51. ქილა თიხისა (8934). 52. ქილა თიხისა (8935). 53. ქილა თიხისა (8935). 54. ქოთანი თიხისა (8936). 55. ქოთანი თიხისა (8936). 56. ისრისპირი ბრინჯაოსი (8937). 57. ანატკეცი ობსიდიანისა (8938).

58. სამარხი 62. ქილა თიხისა (8928). 59. მძივები სარდიონისა (8932).

60. სამარხი 153 (ک ენ ო ტ ა ფ ი). 1939, s. პრეპარაციის შემდეგ.

61. სამარხი 153 (ک ენ ო ტ ა ფ ი). ინვენტარის ერთი ნაწილის ალაგების შემდეგ.

62. სამარხი 153 (ک ენ ო ტ ა ფ ი). ინვენტარის მთლიანად ალაგების შემდეგ. 63. დერგი თიხისა (10299). 64. დერგი თიხისა (10299). 65. ქილა თიხისა (10316). 66. ქილა თიხისა (10316). 67. ქილა თიხისა (10314). 68. ქილა თიხისა. ზედხედი (10314). 69. ქილა თიხისა (10317) 70. ბადია თიხისა (10301). 71. ბადია თიხისა (10301). 72. ბადია თიხისა (10300). 73. კოკა თიხისა (10312). 74. ქილა თიხისა (10305). 75. ქილა თიხისა (10305). 76. ქილა თიხისა (10308). 77. ქილა თიხისა (10308). 78. ქილა თიხისა (10303). 79. ქილა თიხისა (10303). 80. ქილა თიხისა (10306). 81 ქილა თიხისა (10306). 82. ქილა თიხისა (10307).83. ქილა თიხისა (10307). 84. ქილა თიხისა (10304). 85. ქილა თიხისა (10313). 86. სურა თიხისა (10313). 87. ფიალა თიხისა (10302). 88. ფიალა თიხისა (10302). 89. ბადია თიხისა (10315). 90. კათხა თიხისა (10311). 91. ქილა თიხისა (10309). 92. ქილა თიხისა (10309). 93. ქილა თიხისა (10310). 94. ქილა თიხისა (10310).

95. სამარხი 45. 1939, N. სადღეგებელი თიხისა (1455). 96. ქილა თიხისა (1459). 97. ქილა თიხისა (1459). 98. კოკობი თიხისა (1457). 99. კოკობი და მისი ხუფი (1457). 100. კოკობი

თიხისა (1457). 101. კათხა თიხისა (1456). 102 კათხა თიხისა (1456). 103. სადღეგრძელი თიხისა (1455). 104. ჯამი თიხისა (1458). 105. ჯამი თიხისა (1458). 106. მძიეები ანტიმონისა (1464). 107. მძიეები სარდიონისა (1462). 108. მძიეები პასტისა (1463). 109. მძიეები პასტისა (1463). 110. რგოლები ბრინჯაოსი (1460, 1461). 111. მძიეები ანტიმონისა (1464). 112. მძიეები სარდიონისა (1462).

113. სამარხი 75. 1939, N. ლანგარი თიხისა (1864). 114. ლანგარი თიხისა (1864). 115. ჯამი თიხისა (1861). 116. ჯამი თიხისა (1861). 117. ჯამი თიხისა (1862). 118. ჯამი თიხისა (1862). 119. ფიალა თიხისა (1863). 120. ფიალა თიხისა (1863). 121. ქილა თიხისა (1865). 122. ქილა თიხისა (1865). 123. სატეერისპირი ბრინჯაოსი (1866). 124. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (1867). 125. სადგისი ბრინჯაოსი (1868). 126. სადგისი ბრინჯაოსი (1868). 127. ირმის რქისძირი (1870). 128. ირმის რქის შვილი (1871). 129. საკინძი ბრინჯაოსი (1869). §

130. სამარხი 101. 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 131. სადღეგრძელი თიხისა (2200). 132. სადღეგრძელი თიხისა (2200). 133: მძიეები სარდიონისა და ძვლისა (2204, 2206). 134. სატეერისპირი ბრინჯაოსი (2201). 135. სატეერისპირი ბრინჯაოსი (2201). 136. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (2202). 137. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (2202). 138. საკინძი ბრინჯაოსი (2203). 139. საკინძი ბრინჯაოსი (2203). 140. ლახტისთავი რქის ძირისა (2206). 141. ლახტისთავი ირმის რქის ძირისა (2207). 142. ლახტისთავი ირმის რქის ძირისა (2207). 143. ნიეთი ძვლისა (2208). 144. სალესი ქვისა (2209). 145. სალესი ქვისა (2209).

146. სამარხი 113. 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 147. ქილა თიხისა (2341). 148. ქილა თიხისა (2341). 149. სასმისი თიხისა (2342). 150. სასმისი თიხისა (2342). 151. მახათი ბრინჯაოსი (2343). 152. მახათი ბრინჯაოსი (2343). 153. საკინძები ბრინჯაოსი (2344—2347). 154. საკინძები ბრინჯაოსი (2344—2347). 155. რგოლები ბრინჯაოსი (2348, 2349). 156. რგოლები ბრინჯაოსი (2348, 2349). 157. მძიეები სარდიონისა და პასტისა (2350).

158. სამარხი 155. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 159. სადღეგრძელი თიხისა (4521). 160. სადღეგრძელი თიხისა (4521). 161. ქილა თიხისა (4525). 162. ქილა თიხისა (4526). 163. ქოთანი თიხისა (4522). 164. ქოთანი თიხისა (4522). 165. ქილა თიხისა, ცალყურა (4512). 166. ჯამი თიხისა (4520). 167. ჯამი თიხისა (4520). 168. ფიალა თიხისა (4515). 169. ფიალა თიხისა (4515). 170. ფიალა თიხისა (4516). 171. ლანგარი თიხისა (4517). 172. ლანგარი თიხისა (4517). 173. ლანგარი თიხისა (4519). 174. ლანგარი თიხისა (4519). 175. ჯამი თიხისა (4523). 176. ჯამი თიხისა (4523). 177. ჯამი თიხისა (4524). 178. ჯამი თიხისა (4524). 179. სატეერისპირი (4526). 180. სატეერისპირი (4526). 181. ხელშუბისპირი (4527). 182. ხელშუბისპირი (4527). 183. საკინძები ბრინჯაოსი (4528.) 184. ირმის რქის ძირი (4531). 185. ირმის რქის ძირი (4532). 186. ირმის რქის ძირი (4531). 187. ირმის რქის ძირი (4532). 188. ეშვი გარეული ღორისა (4533). 189. ეშვი გარეული ღორისა (4533). 190. მძიეები სარდიონისა (4530). 191. ანატკეცი ობსიდიანისა (4529). 192. ანატკეცი ობსიდიანისა (4529).

193. სამარხი 156. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ 194. ქილა თიხისა (4539). 195. ქილა თიხისა (4539). 196. კოკობანა თიხისა (4537). 197. ქოთანი თიხისა (4538). 198. ქოთანი თიხისა (4538). 199. ჭურჭელი თიხისა, ქვევრისებური (4536). 200, 202. ჭურჭელი თიხისა, ქვევრისებური (4535). 201. ჭურჭელი თიხისა, ქვევრისებური (4536). 203. ჯამი თიხისა, (4534.) 204. ჯამი თიხისა (4534). 205. სატეერისპირი ბრინჯაოსი (4640). 206. სატეერისპირი ბრინჯაოსი (4540). 207. საკინძი ბრინჯაოსი (4541). 208. საკინძი ბრინჯაოსი (4541). 209. რგოლები ბრინჯაოსი (4542, 4543). 210. მძიეები სარდიონისა (4545, 4546). 211. კოკი მსხვილფეხა პირუტყვისა (4547).

212. სამარხი 171. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 213. ქოთანი თიხისა (4747). 214. ჯამი თი-

ხისა (4746). 215. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (4749). 216. ხვია ბრინჯაოსი (4750). 217. ანატკეცი ობსიდიანისა (4751).

218. სამარხი 175. 1940, N. დერგი თიხისა (4801). 219. ქოთანი თიხისა (4802). 220. დერგი თიხისა (4801). 221. ქოთანი თიხისა (4802). 222. დოქი თიხისა (4804). 223. დოქი თიხისა (4804). 224. ლანგარი თიხისა (4803). 225. სატევრისპირი ბრინჯაოსი (4805). 226. საკინძი ბრინჯაოსი (4806). 227. ირმის რქის ძირი (4807). 228. ირმის რქის ძირი (4807). 229. ლანგარი თიხისა (4803). 230. სატევრისპირი ბრინჯაოსი (4805). 213. საკინძი ბრინჯაოსი (4806).

232. სამარხი 288. 1947, N. პრეპარაციის შემდეგ. 233. ქილა თიხისა (7519).234. დერგი თიხისა (7516). 235. ქილა თიხისა (7517). 236. ლანგარი თიხისა (7520). 237. ჯამი თიხისა (7518). 238. სატევრისპირი ბრინჯაოსი (7521). 239. მახათი ბრინჯაოსი (7522). 240. საკინძები ბრინჯაოსი (7523—7526). 241. ფრაგმენტები ბრინჯაოსი ხვიისა (7529). 242. მძივები სარდონისა (7530). 243. მძივები ბრინჯაოსი (7528). 244. ქილა თიხისა (7517). 245. დერგი თიხისა (7516). 246. ლანგარი თიხისა (7520). 247. ჯამი თიხისა (7518). 248. ქილა თიხისა (7519). 249. მძივები ბრინჯაოსი (7528). 250. მძივები ანტიმონისა (7531). 251. ფრაგმენტები ბრინჯაოს ხვიისა (7529). 252. მახათი ბრინჯაოსი (7522). 253. საკინძები ბრინჯაოსი (7523—7526). 254. სატევრისპირი ბრინჯაოსი (7521).

255. სამარხი 239. 1940, s. პრეპარაციის შემდეგ. 256. ფრაგმენტები ბრინჯაოს სამაჯურისა (11614). 257. მძივები სარდონისა (11615). 2558. მძივსაკიდი ანტიმონისა (11616).

259. სამარხი 146. კენოტაფი, 1939, s. 260. დერგი თიხისა (10293). 161. დერგი თიხისა (10293). 262. ქილა თიხისა (10292). 263. ქილა თიხისა (10292). 264. ქილა თიხისა (10294). 265. ქილა თიხისა (10294). 266. ქილა თიხისა (10295). 267. ქილა თიხისა (10295). 268. ფიალა თიხისა (10297). 269. სამარილე თიხისა (10298). 270. ჯამი თიხისა (10291).

271. სამარხი 145. 1939, s. 272. ქილა თიხისა (10211). 273. ქილა (10211). 274. ქილა თიხისა (10210) 275. ქილა თიხისა (10210). 276. ქილა თიხისა (10209). 277. ქილა თიხისა (10209). 278. ბალთა თიხისა (10207). 279. ბადია თიხისა (10207). 280. ჯამი თიხისა (10212). 281. ქილა თიხისა (10208). 282. ქილა თიხისა (10208). 283. ქოთანი თიხისა (10213). 284. ქოთანი თიხისა (10213). 285. სამაჯური ბრინჯაოსი (10214). 286. მძივები სარდონისა (10216). 287. მანჭვალი ბრინჯაოსი (10216).

288. სამარხი 21. 1939, N. ქილა თიხისა (1116). 289. ქილა თიხისა (1116). 290. კოჭობი თიხისა (1117). 291. კოჭობი თიხისა (1117). 292. სამარილე თიხისა (1120). 293. სამარილე თიხისა (1120). 294. ქვაბქოთანა (1119). 295. ქვაბქოთანა (1119). 296. ქილა თიხისა (1118). 297. ქილა თიხისა (1118). 298. მძივები სარდონისა (1124). 299. მძივები პასტისა (1123). 300. მძივები მინისებრი პასტისა (1122). 301. რგოლები ბრინჯაოსი (1121)

302. სამარხი 54. 1933, N. პრეპარაციის შემდეგ. 303. ტოლჩა თიხისა (1609). 304. ტოლჩა თიხისა (1609). 305. ლანგარი თიხისა (1610). 306. ლანგარი თიხისა (1610). 307. ქილა თიხისა (1611). 308. ქილა თიხისა (1611). 309. ქილა თიხისა (1611). 310. სატევრისპირი ბრინჯაოსი (1612). 311. სატევრისპირი ბრინჯაოსი (1612). 312. ისრისპირები ბრინჯაოსი(1613—1615). 313. ისრისპირები ბრინჯაოსი (1613—1615).

314. სამარხი 58. პრეპარაციის შემდეგ. 315. დერგი თიხისა (1670). 316. ქილა თიხისა (1672). 317. ქილა თიხისა (1672). 318. დერგი თიხისა (1670). 319. ლანგარი თიხისა (1671). 320. ლანგარი თიხისა (1671). 321. სატევრისპირი ბრინჯაოსი (1673.) 322. სატევრისპირი ბრინჯაოსი (1673). 323. სადგისი ბრინჯაოსი (1674). 324. სადგისი ბრინჯაოსი (1674). 325. მძივები სარდონისა (1675). 326. მძივები სარდონისა (1675). 327. ლახტისთავი ირმის რქის ძირისა (1676). 328. ლახტისთავი ირმის რქის ძირისა (1676).

329. სამარხი 100. 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 330. კოჭობი თიხისა (2189). 331. კოჭობი თი-

ხისა (2189). 332. სადღვებელი თიხისა (2190). 333. სადღვებელი თიხისა (2190). 334. ქილა თიხისა (2191). 335. ქილა თიხისა (2191). 336. საკინძები ბრინჯაოსი (2193—2195). 337.საკინძები ბრინჯაოსი (2193—2195). 338. მძივები სარდონისა (2199). 339. მძივები სარდონისა (2199). 340. მახათი ბრინჯაოსი (2192). 341. მახათი ბრინჯაოსი (2192). 342. რგოლები ბრინჯაოსი (2196, 2197). 343. რგოლები ბრინჯაოსი (2196, 2197).

344. სამარხი 80. 1939, N. ქილა თიხისა (1931).345. ქილა თიხისა (1931). 346. დოქი თიხისა (1935). 347. დოქი თიხისა (1935). 348. ლანგარი თიხისა (1936). 349. ლანგარი თიხისა (1936). 350 ჯამი თიხისა (1934). 351. ჯამი თიხისა (1934). 352. ქოთანი თიხისა (1932). 353. ქოთანი. თიხისა (1932). 354. ქილა თიხისა (1937). 355. ქილა თიხისა (1937). 356. ქილა თიხისა (1933). 357. ქილა თიხისა (1933). 358. ირმის რქის ძირი (1941). 359. ირმის რქის ძირი (1941). 360. სატეერისპირი (1938). 361. სატეერისპირი (1938) 362. შუბისპირი (1939). 363. შუბისპირი (1939). 364. მძივები (1940). 365. მძივები (1940).

366. სამარხი 158. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 367. ქილა თიხისა (4554). 368. ქილა თიხისა (4554). 369. კოკობი თიხისა (4555). 370. (4555). 371. ჯამი თიხისა (4556). 372. ჯამი თიხისა (4556). 373. მძივები ანტიმონისა (4561). 374. მძივები ანტიმონისა (4561). 375. მძივები სარდონისა (4562). 376. მძივები სარდონისა (4562). 377. საკინძები ბრინჯაოსი (4557, 4558). 378. საყურეები ბრინჯაოსი, (4559, 4560). 379. საყურეები ბრინჯაოსი (4559, 4560).

380. სამარხი 160. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 381. დერგი თიხისა (4572). 382. დერგი თიხისა (4572). 383. ლანგარი თიხისა (4567). 384. ლანგარი თიხისა (4567). 385. სატეერისპირი (4573). 386. სატეერისპირი (4573).387. შუბისპირი (4574). 388. დერგი თიხისა (4571). 389. დერგი თიხისა, ზედხედი (4571). 390. ირმის რქის ძირი (4576). 391. საკინძი ბრინჯაოსი (4577). 392. ანატკეცი ობსიდიანისა (4675).

393. სამარხი 178, 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 394. ჯამი თიხისა (4835). 395. ჯამი თიხისა (4835). 396. ფიალა თიხისა (4836). 397. ფიალა თიხისა (4836). 398. კოკობანა თიხისა (4837). 399. კოკობანა თიხისა (4837). 400. ქვევრისებრი ჭურჭელი თიხისა (4838). 401. ქვევრისებრი ჭურჭელი თიხისა (4838). 402. რგოლები ბრინჯაოსი (4843, 4844).. 403. რგოლები ბრინჯაოსი (4841, 4842). 404. სამაჯური ბრინჯაოსი (4840). 405. რგოლი ბრინჯაოსი (4845). 406. კვირისტავი ძვლისა (4839). 407. მძივები სარდონისა (4846).408. მძივები სარდონისა (4847). 409. მძივები პასტისა (4848).

410. სამარხი 179. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 411. ქილა თიხისა (4850). 412. ჯამი თიხისა (4849). 413. საკინძები ბრინჯაოსი (4852—4855). 414. მახათი ბრინჯაოსი (4851). 415. რგოლები ბრინჯაოსი (4856, 4857). 416. მძივები სარდონისა (4864). 417. მძივები სარდონისა (4856). 418. რგოლები ბრინჯაოსი (4856, 4857). 419. საკინძები ბრინჯაოსი (4852 4855). 419a. მახათი ბრინჯაოსი (4851). 420. მძივსაკიდის ფრაგმენტები ანტიმონისა (4859, 4861). 421. მძივები ტალკისა (4863). 422. ჯამი თიხისა (4849). 423. ქილა თიხისა (4850). 424. მძივები პასტისა (4866). 424a. მძივები სარდონისა (4864—4865).

425. სამარხი 180. 1940, N. პრეპარაციის შემდეგ. 426. ქოთანი თიხისა (4867). 427. ქოთანი თიხისა (4867). 428. დერგი თიხისა (4872). 429. დერგი თიხისა (4872). 430. ქილა თიხისა (4870). 431. ქილა თიხისა (4870). 432. ჯამი თიხისა (4869). 433. ჯამი თიხისა (4869). 434. ქილა თიხისა (4871). 435. ქილა თიხისა (4871). 436. ჯამი თიხისა (4868). 437. ჯამი თიხისა (4868). 438. სატეერისპირი ბრინჯაოსი (4873). 439. სატეერისპირი ბრინჯაოსი (4873). 440. ხარის ბრინჯაოს ქანდაკება (4880). 441. ხარის ბრინჯაოს ქანდაკება (4880). 442. ხარის ბრინჯაოს ქანდაკება (4880). 443. შუბისპირი ბრინჯაოსი (4874). 444. შუბისპირი ბრინჯაოსი (4874). 445. საყბეური ბრინჯაოს ლაგმისა (4876). 446. საყბეური ბრინჯაოს ლაგმისა (4876). 447. საკინძი ბრინჯაოსი (4877). 448. საკინძი ბრინჯაოსი (4877). 449. მძი-

ვები სარდიონისა (4878). 450. ისრისპირი ბრინჯაოსი (4875). 451. ირმის რქის ძირი (4881) 452. ირმის რქის ძირი (4881). 453. მძივები სარდიონისა (4878).

454. სამარხი 182. 1940, N. ქილა თიხისა (4907). 455. ჯამი თიხისა (4906). 456. კოპობი თიხისა (4908). 457. რგოლები ბრინჯაოსი (4909—4910). 458. მძივები სარდიონისა (4912). 459. მძივები პასტისა (4911).

460. სამარხი 192. 1940, N. ქილა თიხისა (5025). 460a. ჯამი თიხისა (5024). 461. საკინძები ბრინჯაოსი (5027—5032). 462. მახათი ბრინჯაოსი (5026). 463. მძივები სარდიონისა (5033).

464 სამარხი 198. 1940, N. ჯამი თიხისა (5099). 465. ქილა თიხისა (5100). 466.დერგი თიხისა (5101). 467. რგოლები ბრინჯაოსი (5102, 5103). 468. მძივები პასტისა (5105). 469. მძივები სარდიონისა (5104). 470. მძივები პასტისა (5105). 471. რგოლები ბრინჯაოსი (5102, 5103). 472. საკიდები ანტიმონისა (5106). 473. საკიდები ანტიმონისა (5106).

474. სამარხი 232. 1946, N. პრეპარაციის შემდგ. 475. ქილა თიხისა (6219).476. ქილა თიხისა (6220). 477. ქილა თიხისა (6220). 478. ქილა თიხისა (6218). 479. ქილა თიხისა (6218). 480. ქილა თიხისა (6211). 481. ქილა თიხისა (6211).
482. ქილა თიხისა (6217). 483. ქილა თიხისა (6217). 484. ქილა თიხისა (6212). 485. ტოლჩა თიხისა (6212). 486. ფინჯანი თიხისა (6214). 487. ლანგარი თიხისა (6215). 488. ლანგარი თიხისა (6215). 489. კოპობი თიხისა (6213). 490. სატეერისპირი ბრინჯაოსი (6222). 491. სატეერისპირი ბრინჯაოსი (6222). 492. შუბისპირი ბრინჯაოსი (6221). 493. შუბისპირი ბრინჯაოსი (6221). 494. საკინძი ბრინჯაოსი (6223). 495. საკინძი ბრინჯაოსი (6223). 496. ანატკეც-ანამტვრევი ობსიდიანისა (6224).

497. სამარხი 264. 1946, N. პრეპარაციის შემდეგ. 498. კოპობი თიხისა (6610). 499. ქილა თიხისა (6612). 500. ქილა თიხისა (6611). 501. ჯამი თიხისა (6009). 502. ქილა თიხისა (6613). 503. საკინძები ბრინჯაოსი (6616—6618). 504. მახათი ბრინჯაოსი (6614). 505. რგოლები ბრინჯაოსი (6625). 506. მძივები ანტიმონისა (6623). 507. რგოლი ბრინჯაოსი (6615). 508. მძივები სარდიონისა (6620). 509. ანატკეცი გამქვირეალე ობსიდიანისა (6626).

510. სამარხი 267. 1947, N. დერგი თიხისა (7211). 511. დერგი თიხისა (7211). 512. კოპობი თიხისა (7210). 513. ჯამი თიხისა (7212). 514. სატეერისპირი ბრინჯაოსი (7214). 515. სატეერისპირი ბრინჯაოსი (7214). 516. შუბისპირი ბრინჯაოსი (7215). 517. შუბისპირი ბრინჯაოსი (7215). 518. ლურსმნები ბრინჯაოსი (7216). 519. საკინძი ბრინჯაოსი (7217). 520. რქის ძირი ირმისა (7218).

521. სამარხი 280. 1947, N. დერგი თიხისა (7434). 522. დერგი თიხისა (7434). 523. ლანგარი თიხისა (7432). 524. ლანგარი თიხისა (7432). 525. ჯამი თიხისა (7431).526. ჯამი თიხისა (7431). 527. სასმისი თიხისა (7433). 528. სასმისი თიხისა (7433). 529. საკინძი ძვლისა (7442). 530. საკინძი ძვლისა (7442). 531. სატეერისპირი ბრინჯაოსი (7435). 532. სატეერისპირი ბრინჯაოსი (7435). 533. ფრაგმენტი ძვლისა (7443). 534. ფრაგმენტი ძვლისა (7443) 535. ისრისპირები ბრინჯაოსი (7436—7440). 536. ისრისპირები ბრინჯაოსი (7436—7440). 537. სადგისი ბრინჯაოსი (7441). 538. სადგისი ბრინჯაოსი (7441).

539. სამარხი 283. 1947, N. პრეპარაციის შემდეგ. 540. ქილა თიხისა (7480). 541. ქილა თიხისა (7480). 542. თეფში თიხისა (7483). 543. თეფში თიხისა (7483). 544. ქილა თიხისა (7484). 545. ქილა თიხისა (7484). 546. თეფში თიხისა (7481). 547. თეფში თიხისა (7479). 548. თეფში თიხისა (7479). 549. სატეერისპირი ბრინჯაოსი (7485). 550. სატეერისპირი ბრინჯაოსი (7485). 551. ისრისპირები ბრინჯაოსი (7486, 7487). 552. საკინძი ბრინჯაოსი (7488).

553. სამარხი 284. 1947, N. ქილა თიხისა (7489). 554. ლანგარი თიხისა (7490). 555. საკინძი ბრინჯაოსი (7491). 556. საკინძის თავი ბრინჯაოსი (7492). 557. ბრინჯაოს ზოდის მცირე ნატე-

ხი (7493). 558. რგოლი ბრინჯაოსი] (7494). 559. სამაჯური (?) ბრინჯაოსი (7495). 560 მძივები თეთრი პასტისა (7498). 561. ეშვი ტახისა (7496).

562. სამარხი 39 (ნაშთი), 1947, N. შუბისპირი ბრინჯაოსი (7461).

563. სამარხი 294, 1948, N. პრეპარაციის შემდეგ. 564. დერგი თიხისა (8081). 565. დერგი თიხისა (8081). 566. ქილა თიხისა (8082). 567. ქილა თიხისა (8082). 568. დოქი თიხისა (8079) 569. ჯამი თიხისა (8080). 570.ჯამი თიხისა (8080). 571. სატევრისპირი ბრინჯაოსი (8084). 572. სატევრისპირი ბრინჯაოსი (8084). 573. შუბისპირი ბრინჯაოსი (8083). 574. შუბისპირი ბრინჯაოსი (8083). 575. საკინძი ბრინჯაოსი (8085). 576. საკინძი ბრინჯაოსი (8085). 577. ანამტვრევი ობსიდიანისა (8086).

578. სამარხი 55. 1939., N. პრეპარაციის შემდეგ. 579. საკინძი ბრინჯაოსი (9874).

580. სამარხი 75. 1939., N. პრეპარაციის შემდეგ. 581. ფიალა თიხისა (9951). 582. სასმისი თიხისა (9952). 583. სატევრისპირი ბრინჯაოსი (9954). 584. ისრისპირები ბრინჯაოსი (9955, 9956). 585. საკინძი ბრინჯაოსი (9957).

586. სამარხი 128. 1939, s. სადღეგელი თიხისა (10138). 587. ქვაბქოთანა თიხისა (10139). 588. ქვაბქოთანა თიხისა (10142). 589. ქვაბქოთანა თიხისა (10140). 590. ლანგარი თიხისა (10141).

591. კათხა თიხისა (10137). 592. მძივები სარდიონისა (10144). 593. მძივი ბრინჯაოსი (10145). 594. სატევრისპირი ბრინჯაოსი (10143).

595. ორმოსამარხი 129. 1939, s, პრეპარაციის შემდეგ. 596, 598. დერგი თიხისა (10146). 597, 599. სადღეგელი თიხისა (10148). 600. სატევრისპირი ბრინჯაოსი (10153) 601. სატევრისპირი ბრინჯაოსი (10153). 602. ფინჯანი თიხისა (10152). 603. ფინჯანი თიხისა (10152). 604. ქვაბქოთანა თიხისა (10147). 605. ქვაბქოთანა თიხისა (10147). 606. ქოთანი თიხისა (10150). 607. ქოთანი თიხისა (10150). 608. კათხა თიხისა (10151). 609. კათხა თიხისა (10151). 610. ისრისპირები ბრინჯაოსი (10154—10157). 611. ისრისპირები ბრინჯაოსი (10154—10157). 612. ლამელა ობსიდიანისა (10161).

613. სამარხი 131. 1939. s, პრეპარაციის შემდეგ. 614. ლანგარი თიხისა (10167). 615. საკინძი ბრინჯაოსი (10169).

616. სამარხი 151. 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 617. სატევრისპირი ბრინჯაოსი (10218). 618. სადღეგელი თიხისა (10217). 619. სადღეგელი თიხისა (10217). 620. მძივები სარდიონისა (10221). 621. მძივები სარდიონისა (10222). 622. სამაჯურები ბრინჯაოსი (10219, 10220). 623. მძივები ძვლისა (10224). 624. მძივები ანტიმონისა (10223). 615. მძივები ანტიმონისა (10223).

626. სამარხი 174. 1940, პრეპარაციის შემდეგ. 627. დერგი თიხისა (11523). 628. დერგი თიხისა (11523). 629. ქოთანი თიხისა (11524). 630. სადღეგელი თიხისა (11522). 631. სადღეგელი თიხისა (11522). 632. ლანგარი თიხისა (11525). 633. ლანგარი თიხისა (11525) 634. სატევრისპირი ბრინჯაოსი (11527). 635. სატევრისპირი ბრინჯაოსი (11527). 636. ბალთა ბრინჯაოსი (11531). 637. ბალთა ბრინჯაოსი (11531). 638. კოპები ცხვრისა (11532, 11533). 639, 640. ისრისპირები ბრინჯაოსი (11528—11529).

641. სამარხი 281. 1940, s. ჯამი თიხისა (11660). 642. სატევრისპირი ბრინჯაოსი (11662). 643. შუბისპირი ბრინჯაოსი (11663). 644. საკინძი ბრინჯაოსი (11664).

645. სამარხი 160. 1939, s. გოზაური თიხისა (10236). 646. სურა თიხისა (10244). 647. სურა თიხისა (10243). 648. ქილა თიხისა (10235). 649. ქოთანი თიხისა (10238). 650. ქილა თიხისა (10245). 651. ქილა თიხისა (10237). 652. კოპობი თიხისა (10240). 653. კოპობი თიხისა (10242). 654. კოპობი თიხისა (10241). 655. კოპობი თიხისა (10239). 656. მძივები სარდიონისა (10254). 657. მახათი ბრინჯაოსი (10247). 658. კილიტები ბრინჯაოსი (10249). 659. საკიდი-ზანზალაკი (10246).

660. სამარხი 162. 1940, N. დოქი თიხისა (4593). 661 სასმისი თიხისა (4592). 662. ჯამი თიხისა (4591). 663. ქოთანი თიხისა (4594).

664. სამარხი 140. 1939, N. სადღეგრძელი (2723). 665. ჯამი თიხისა (2722). 666. სატევრისპირი ბრინჯაოსი (2728). 667. მძივები სარდიონისა (2727). 668. ისრისპირები (2724=2726).

669. სამარხი 163. 1939, s. ქილა თიხისა (10269). 670. ქილა თიხისა (10264). 671. ბადია-საწურავი (10262). 672. ბადია-საწურავი. დეტალი (10262). 673. ქოთანი თიხისა (10266). 674. ქილა თიხისა (10268). 675. კოკობი თიხისა (10263). 676. ქოთანი თიხისა (10265). 677. გვერგვი ბრინჯაოსი (10270). 678. ბადია თიხისა (10267).

679. სამარხი 273. 1940, s. ხელადა თიხისა (11636). 680. ქილა თიხისა (11633). 681. ლანგარი თიხისა (11637). 682. კათხა თიხისა (11635). 683. ფიალა თიხისა (11634). 684. ღილი ბრინჯაოსი (11638).

685. სამარხი 170. 1940, N. ქილა თიხისა (4736). 686. ქილა თიხისა (4738). 687. სასმისი თიხისა (4739). 688. ჯამი თიხისა (4737). 689. კოკობი თიხისა (4735). 690. ქოთანი თიხისა (4734). 691. ლანგარი თიხისა (4733). 692. საკინძები ბრინჯაოსი (4741—4743).

693. სამარხი 228. 1946, N. ხელადა თიხისა (6165). 694. დოქი თიხისა (6168). 695. ქილა თიხისა (6169). 696. ქილა თიხისა (6171). 697. კოკობი თიხისა (6164). 698. ქილა თიხისა (6167). 699. ქილა თიხისა (6163). 700. ლანგარი თიხისა (6170). 701. ლანგარი თიხისა (6166). 702. შუბისპირი ბრინჯაოსი (6175). 703. სატევრისპირი ბრინჯაოსი (6174). 704. საკინძი ბრინჯაოსი (6176).

705. სამარხი 261. 1946, N. ქილა თიხისა (6568). 706. სადღეგრძელი თიხისა (6566). 707. ქილა თიხისა (6567). 708. ქოთანი თიხისა (6564). 709. ბადია თიხისა (6565). 710. ირმის რქის ძირი (6573). 711. სატევრისპირი ბრინჯაოსი (6569). 712. ისრისპირი ბრინჯაოსი (6570). 713. საკინძი ბრინჯაოსი (6571). 714. ბალთა ბრინჯაოსი (6573).

718. სამარხი 263, 1946 N. 715, კათხა-სასმისი თიხისა (6602) 716. ქილა თიხისა (6601). 717. ქილა-სასმისი თიხისა (6597).

718. ლანგარი თიხისა (6598). 719. ქილა თიხისა (6600). 720. ირმის რქისძირი (6608). 721. სატევრისპირი ბრინჯაოსი (6603). 722. საკინძი ბრინჯაოსი (6605, 6606).

723. სამარხი 266. 1974, N. ქილა თიხისა (7202). 724. ქილა თიხისა (7203). 725. ჯამი თიხისა (7204). 726. ბადია თიხისა (7205). 727. მძივები სარდიონისა (7207). 728. მძივები ანტიმონისა (7210). 729. მძივი ძვლისა (7209). 730. რგოლი ბრინჯაოსი (7206). 731. მძივები პასტისა (7208

732. სამარხი 49. 1938, s. გოზაური თიხისა (8924). 133. სამარხი 33. 1939, №. კოკობი თიხისა (1266). 734. ჭურჭელი თიხისა, ფრაგმენტი (1264). 735. დერგი თიხისა (1265). 736. ნივთი ძვლისა (1269). 737. ნემსი ბრინჯაოსი (1268). 738. შუბისპირი ბრინჯაოსი (1267).

739. სამარხი 64. 1939, N. თასი თიხისა (1718). 740. ქილა თიხისა (1709). 741. თასი თიხისა (1718). 742. დერგი თიხისა (1716). 743. ქოთანი თიხისა (1713). 744. ბადია თიხისა (1712). 745. კოკობი თიხისა (1714). 746. ფიალა თიხისა (1715).
747. ქილა თიხისა (1717). 748. ჯამი თიხისა (1710). 749. ჯამი თიხისა (1708). 750. სატევრისპირი ბრინჯაოსი (1719).

751. სამარხი 73. 1919. N. დერგი თიხისა (1852). 752. ქოთანი თიხისა (1849). 753. ქილა თიხისა (1851). 754. ფიალა თიხისა (1848). 755. კოთხო თიხისა (1850). 756. ფიალა თიხისა (1847). 757. ლანგარი თიხისა (1953). 758. მძივები სარდიონისა (1859). 759. საკინძები ბრინჯაოსი (1857, 1858).

760. სამარხი 172. 1940, N. ჯამი თიხისა (4752). ქილა თიხისა (4754). 762. კოკობი თიხისა (4753). 763. საყურეები ბრინჯაოსი (4755, 4756). 764. მძივები სარდიონისა (4759).

765. სამარხი 221. 1946, N. ქვაბქოთანა თიხისა (6086). 766. კოკობი თიხისა (6087). 767. კათხა თიხისა (6083). 768. ხელადა თიხისა (6085). 769. ტოლჩა თიხისა (6082). 770. ფინჯანი.

თიხისა (6084). 771. საკინძი ბრინჯაოსი (6090). 772. ისრისპირი ბრინჯაოსი (6089). 773. სატევრისპირი ბრინჯაოსი (6088).

774. სამარხი 268. 1947, N. კათხა თიხისა (7222). 775. კათხა თიხისა (7221). 776. ჯამი თიხისა (7219). 777. ლანგარი თიხისა (7224). 778. ქილა თიხისა (7226). 779. ქილა თიხისა (7225). 780. საკინძი ბრინჯაოსი (7227). 781. მძივები პასტისა (7229). 782. მძივები სარდონისა (7228).

783. სამარხი 258. 1947, N. სადღეებელი თიხისა (7500). 784. ქილა თიხისა (7499). 785. ქილა თიხისა (7501). 786. მძივები სარდონისა (7504). 787. მძივები ანტიმონისა (7505). 788. საკინძები ბრინჯაოსი (7502, 7503).

789. სამარხი 43. (ნაშთი). 1947, N. მძივები სარდონისა (7663).

790. სამარხი 166. 1939. s. ლანგარი თიხისა (10279). 791. კათხა თიხისა (10280). 792. ისრისპირი ბრინჯაოსი (10281). 793. ისრისპირი ბრინჯაოსი (10281). 794. სამარხი 44. 1939, s. კათხა თიხისა 795. ქილა თიხისა (8902). 796. ქილა თიხისა (8902). 797. კათხა თიხისა (8897). 798. კათხა თიხისა (8896). 799. ჯამი თიხისა (8899). 800. ჯამი თიხისა (8900). 801. საკინძები ბრინჯაოსი (8905, 8906). 802. მძივები სარდონისა (8908). 803. მძივები ძელისა (8909). 804. ბალთა ბრინჯაოსი (8907). 805. ანატკეც-ანამტვრევები ობსიდიანისა (8910). 806. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (8904). 807. სატევარი ბრინჯაოსი (8903).

808. სამარხი 178. 1940, s. კოპობი თიხისა (11541). 809. ქოთანი თიხისა (11542). 810. ქილა თიხისა (11544). 811. მძივები სარდონისა (11550). 812. საკინძი ბრინჯაოსი (11546). 813. მძივები აქატისა (11551). 814. მძივი ქალცედონისა (11552). 815. ხეია სპირალური ბრინჯაოსი (11547). 816. ანატკეცი ობსიდიანისა (11554).

817. სამარხი 268. 1940, s. ლანგარი თიხისა (11623). 818. კათხა თიხისა (11625). 819. ქილა თიხისა (11626). 820. ჯამი თიხისა (11622). 821. ქვაბქოთანა (11628). 822. ისრისპირები ბრინჯაოსი (11630, 11631). 823. ისრისწვერი ყუნწიანი (11629). 823a ირმის რქის ძირები (11632).

824. სამარხი 282. 1940. s. ქილა თიხისა (11665). 825. სადღეებელი თიხისა (11668). 826. ხელადა თიხისა (11667). 827. ლანგარი თიხისა (11670). 828. ჯამი თიხისა (11669). 829. ქილა თიხისა (11673). 830. კათხა თიხისა (11666). 931. კოპობი თიხისა (11671). 832. ისრისპირები ბრინჯაოსი (11674, 11675). 833. საკინძი ბრინჯაოსი (11676). 834, სადგისი ბრინჯაოსი (11677). 835. ჩქიფი ბრინჯაოსი (11679). 836. კოპები ცხვრისა (11682, 11683). 837. მძივი ძელისა (11680). 838. ეშვი ტახისა, ფრაგმენტი (11681). 839. ლაშელა ობსიდიანისა (11685).

840. 841. სამარხი 62. 1939, s. პრეპარაციის შემდეგ. 842. დერგი თიხისა (9925). 843. ქილა თიხისა (9927). 844. მძივი ქალცედონისა (9928).

845. სამარხი 139. 1939, s. ქილა თიხისა (10195). 846. ქილა თიხისა (10196). 847. სურა თიხისა (1097). 848. ქილა თიხისა (10198).

849. კენტაფი 9. 1939, s. ქილა თიხისა (10284). 850. ქოთანი თიხისა (10285). 851. ქოთანი თიხისა (10283).

852, 853. სამარხი 17, 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 854. ლანგარი თიხისა (10282). 855. ქილა თიხისა (1084). 856. მახათი ბრინჯაოსი (1087). 857. საკინძები ბრინჯაოსი (1086). 858. საყურეები (საკიდები?) ბრინჯაოსი (1085). 859. მძივები სარდონისა (1089). 860. მძივები პასტისა (1088).

861. სამარხი 161, 1939, s. პრეპარაციის შემდეგ. 862. ქილა თიხისა (10257) 863. ქილა თიხისა (11258).

864. სამარხი 373, 1941, s. პრეპარაციის შემდეგ. 865. ისრისპირი ბრინჯაოსი (12297). 866. ისრისპირი ბრინჯაოსი (12298). 867. ნივთი (სადგისი) ბრინჯაოსი (12300). 868. ისრისპირი ძელისა (12299) 869. ყაშმის რვოლი ბრინჯაოსი (12301).

870. 871. სამარხი 5, 1938, N. პრეპარაციის შემდეგ. 872. ქილა თიხისა (110). 873. სატევრისპირი ბრინჯაოსი (112). 874. სატევრისპირი ბრინჯაოსი (112). 875. შუბისპირი ბრინჯაოსი (111). 876. შუბისპირი ბრინჯაოსი (111).

877. სამარხი 26. (კენოტაფი), 1938, N. პრეპარაციის შემდეგ. 878. კოპობი თიხისა (320). 879. ხელადა თიხისა (316). 880. ჭიქილა თიხისა (318). 881. ქილა თიხისა (319). 882. კოპობი თიხისა (317). 883. სატევრისპირი ბრინჯაოსი (323). 884. სატევრისპირი ბრინჯაოსი (323). 885. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (324). 886. ხელშუბისპირი ბრინჯაოსი (322). 887. ისრისპირი ბრინჯაოსი (322). 888. ისრისპირი ბრინჯაოსი (322). 889. ისრისპირი ბრინჯაოსი (325). 890. ისრისპირი ბრინჯაოსი (325). 891. ლახტისთავი ბრინჯაოსი (326). 892. ლახტისთავი ბრინჯაოსი (326). 893 სადგისი ბრინჯაოსი (321). 894 სადგისი ბრინჯაოსი (321). 895. საკინძი ბრინჯაოსი (327). 896. საკინძი ბრინჯაოსი (327). 897. რქისძირი (330). 898. ურქისძირი (330). 899. ჯოკი მსხვილფეხა საქონლისა (331).

900. სამარხი 27. 1938, N. პრეპარაციის შემდეგ. 901. სურა თიხისა (332). 902. ქილა თიხისა (333). 903. ქილა თიხისა (333). 904. ჯამი თიხისა (334). 905. სატევრისპირი ბრინჯაოსი (337). 906. სატევრისპირი ბრინჯაოსი (337). 907. შუბისპირი ბრინჯაოსი (336). 908. ისრისპირი ძვლისა (339). 909. საკინძი ბრინჯაოსი (338). 910. საკინძი ბრინჯაოსი (338.) 911. რგოლი ბრინჯაოსი (335). 912. სალამური (341). 913. საყბეური ლაგმისა (340). 914. ეშვი ტახისა (343). 915. მძივები სარდონისა (342).

916. 917. სამარხი 10, 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 918. სადღვებელი თიხისა (1026). 919. ქილა თიხისა (1028). 920. ქილა თიხისა (1030). 921. ქილა თიხისა (1030). 922. ქილა თიხისა (1030). 923. კოპობი თიხისა (1027). 924. კოპობი თიხისა (1027). 924. კოპობი თიხისა (1027). 925. კოპობი თიხისა (1027). 926. კათხა თიხისა (1029). 927. კათხა თიხისა (1029.) 928. კათხა თიხისა (1029). 929. რგოლები ბრინჯაოსი (1031). 930. მახათი ბრინჯაოსი (1032). 931. მძივები სარდონისა (1035). 932. მძივები მინისებრი პასტისა (1033). 933. მძივები პასტისა (1034).

934. სამარხი 13, 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 935. ლანგარი თიხისა (1053). 936. ქილა თიხისა (1056). 937. ქილა თიხისა (1056). 938. ჯამი თიხისა (1057). 939. კოპობი თიხისა (1054). 940. კოპობი თიხისა (1054). 941. საკინძი ბრინჯაოსი (1058). 942. საკინძი ბრინჯაოსი (1059). 943. რგოლი ბრინჯაოსი (1060). 944. მძივები სარდონისა (1061).

945. სამარხი 19, 1939, N. პრეპარაციის შემდეგ. 946. ლანგარი თიხისა (1101). 947. ჯამი-საფური (1104). 948. ქილა თიხისა (1103). 949. ქილა თიხისა (1103). 950. ქოთანი თიხისა (1102). 951. ქოთანი თიხისა (1102). 952. მძივები სარდონისა (1105). 953. ეშვები ტახისა (1106).

ილუსტრაციები
ИЛЛЮСТРАЦИИ

4
5
7
6
2
8
9
10
11

12
16
18
19
20
21
22
23
24
25
N


26
27
28
30
31
32
29
34
42
40
39
37
36
38
43
44



46


47

48


49

50

51

52


53

54

55

56

57

58

60


61

62

63

64



66

68



70

71



72



73

75


77

78

79

81

80

82

83


84
85
86
87
88
89
90
91
92
93
94

95
96
97
98
99
100
101
102
103
104
105
106
107
108
109
110


113
114
116
118
120
122
123
124
125
126
127
128
129
128


138
133
135
137
138
140
139
141
142
142
143
144
145


147
148
150
152
153
156
157





159


160

161

164

165


167

168


169


173
175
172
174
176
181
180
179
177
183
178
182
184
186
185
187
188
189
190
192


193
S → N
194
195
197
196
199
200
201
202
203
204
201
199
205
206
209
207
208
210
211


212
216
217
214
220
218
221
223
224
222
230
228
231
225
226
227
229


232
234
236
237
238
245
250
240
243
241
246
254
247
242
249
248
251
251
244
253


257
258
260
262
261
263
265
267
268
270


271
272
273
274
275
276
277
278
279
280
281
282
283
284
285
286
287


287
288
291
295
293
296
297
299
300


302
303
304
305
306
308
307
311
310
309
313


314
N
0 10 20
317
321
323
324
325
326
318
327
328
320
322


334
332
333
340
335
339
342
336
337
338
341
343


344
345
346
347
348
349
350
351
352
353
354
355
356
357
358
359


361
362
363
364
370
371
368
372
369
376
373
377
375
379
374
N


382
384
386
387
384
390
387
389
391
392


393
394
395
397
399
396
398
400
401
402
403
404
405
407
409


411
412
415
417


418
419
420
422
421
419a
423
424
424a
425
427
431
432
426
429
430
433
435
436
434
437


438
439
444
443
442
447
448
450
446
451


454
457
458
459
463
462
461
460
460a
464
465
466
468
467
469
470
472
473

474
N

476

478


477


479

475

480

482

481

485


487

486


488

489


490
491
492
493
494
495
496
503
504
N
499
505
506
500
507
502
501
509


511
512
513
514
515
516
517
518
519
520
521
522
523
524
525
526
527
528
529
530
531
532
533
534
535
536
537
538


540
542
543
544
546
547
548
549
550
551
552
0 5 10

554
555
556
557
558
559
560
561
562
563
564
566
568
569
570
571
572
573
574
575
576
577

579
580
581
582
583
584
585
586
587
588
589
590
591
592
593
594


595
596
597
598
599
600
601
602
603
604
605
606
607
608
609
610
611
612


613
614
615
616
617
618
619
620
621
622
623
624
625


626
627
628
629
630
631
632
633
634
635
636
637
638
639
640
N

641

642 643

644

645

646

647

648

649

650

651

652

653

654

655


656
657
658
659

660

661


662

663

664

666


667

665

668

669

670

671


672


673


674

675

676


677

678

680

681

682

683

684

685


686

687


691

692

688

689

690

693


694

695

696

697

698

699

702

703

700

701

704

705

707

708

712

713

709

710

714


715
716
718
719
720
721
723
724
725
726
728
729
730
731


732
733
738
735
737
736
741
739
740
745
743
750
744
746
747
748
749

751

753

754

755

756

757

758

759

760

761

764

762


763


765
766
767
768
770
771
772
773
774
775
776
777
778
779
780
781
782

783

784

785

786

787

788

789

790

791

792

793

794

795

796

797

798

799

804

800

801

802

803

807

806

805


808


809


810

811

812


815
LAV
LAV

816


817


819

823a

823
822


820

821


824
825
826
827
828
829
830
831
832
833
834
835
836
837
838
839

840



842



843

844

841

845



846



B47



B48



B49

B50

B54

B55



B52

B53




856
857
859
860
858
861
862
N
0 10 20 30 40
863
864
865
866
867
870
871
868
869
0 10 20


872
873
874
875
876
877
N
879
883
880
881
884
882


885
886
887
888
890
889
891
893
895
896
894
892
897
898
899
N
901
902


905
906
907
912
911
913
909
914
910
908
919
916
918


919
920
921
922
923
924
925
926
927
928
929
930
931
932


933
935
936
934
N
938
937
940
939
941
944


945




947


950

951


952


949



შინაარსი

წინასიტყვაობა . 5

მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები (უძვ. დროიდან ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანებამდე) 8

სამთავროს სამაროვნის სამარხეული კომპლექსები 33

I. შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. ძვ. წ. XVII—XVI სს. სამრხ. კომპლექსები 33

II. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები. გვინბრინჯაო I. ძვ. წ. XV—XIII სს. სამარხეული კომპლექსები 38

III. გვიანბრინჯაო II. ძვ. წ. XII—XI სს. სამარხეული კომპლექსები 137

Археологические памятники Мцхета доантичной эпохи (резюме) 174

მითითებული ლიტერატურა 176

საძიებელი 177

სურათების აღწერილობა 182

ტაბულები 191

МЦХЕТА. РЕЗУЛЬТАТЫ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ

Т. IV

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ — 1165

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ლ. ფავლენიშვილი
კორექტორი დ. ერისთავი

გადაეცა წარმოებას 16.4.80; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.9.1980;
ქაღალდის ზომა 70×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 21,7;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15.8;

უე 01240; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 1568;

ფასი 2 მან. 15 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19